




ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები

ტ. XXIV

PROCEEDINGS OF THE INSTITUTE OF ZOOLOGY

VOL XXIV



ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები

ტ. XXIV

გამომცემლობა „უსტარი“

თბილისი

2015

**PROCEEDINGS OF THE
INSTITUTE OF ZOOLOGY
Vol. XXIV**

Publishing House “USTARI”

Tbilisi

2015

შპპ (UDC) 59(012)

№ 833

რედკოლეგია ელისო ყვავაძე, მზია კოხია (რედაქტორი), მაია ბუხსიანიძე

კრებული გამოიცა ავსტრალიელი მეცნიერის დრ. საიმონ კონორის
ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1512 - 1720



ერისტო ყვავაძე

1940–2013

ერისტო ყვავაძე

2013 წლის 14 აგვისტოს გარდაიცვალა ქართველი ზოოლოგი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ერისტო ყვავაძე. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა უხერხემლო ცხოველთა ტაქსონომია, ფაუნოლოგია, ეკოლოგია, ზოოგეოგრაფია და ფილოგენია. განსაკუთრებით დიდი იყო მისი ინტერესი საქართველოს უხერხემლო ცხოველთა ბიომრავალფეროვნების შესწავლისადმი. ამ მიმართულებით მიჰყავდა მას ახალგაზრდა მკვლევარები, რომელთა აღზრდას და სპეციალისტებად ჩამოყალიბებას დიდ დროს უთმობდა - იგი იყო არა მარტო მეცნიერი, არამედ შესანიშნავი პედაგოგი და მზრუნველი მეგობარი ახალგაზრდა მკვლევარებისათვის.

ერისტო ყვავაძე დაიბადა ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურაში. 1959 წელს, აქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა. იმავე წელს გაწვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სადაც იგი 1959-62 წლებში მსახურობდა უკრაინისა და პოლონეთის საზღვარზე.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, 1963-1968 წლებში, იგი სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ზოოლოგიის სპეციალობით. მე-4-ე კურსზე ზოოლოგებს მე ვუკითხავდი ცხოველთა ეკოლოგიის კურსს.

წარჩინებული სწავლისთვის და აქტიურ სტუდენტური მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოვდა ნ. კრუპსკაიას სახელობის სტიპენდიით. პირველი სამეცნიერო პუბლიკაციები მას უკვე სტუდენტობისას ჰქონდა გამოქვეყნებული. უნივერსიტეტში სწავლის დროს ერისტო ყვავაძე ხელმძღვანელობდა იქ არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს, იყო მისი თავჯდომარე. ერისტოს აქტიურობით და ხელმძღვანელობით ორგანიზებული იქნა სამეცნიერო წრის არაერთი ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც ბიოლოგები, ასევე გეოგრაფები, ქიმიკოსები და სხვა ფაკულტეტების სტუდენტები. ექსპედიციებში მოძიებული მასალის კვლევის საფუძველზე სტუდენტებს საშუალება ეძლეოდათ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში მიეღოთ მონაწილეობა. ამ კონფერენციების ორგანიზება და თემატიკის შერჩევა ერისტო ყვავაძეს კარგად ეხერხებოდა.

1969 წელს ერისტო ყვავაძე იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში. მან დაიწყო მუშაობა თემაზე „საქართველოს ჭიაყელები (*Lumbricidae*)“, რომელიც 1975 წლის მარტში წარმატებით დაიცვა მოსკოვში, სევერცოვის სახელობის ცხოველთა ევოლუციური მორფოლოგიის და ეკოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1985 წელს გამოქვეყნდა ერისტო ყვავაძის პირველი მონოგრაფია „Дождевые черви Кавказа“, სადაც განხილულია მასალები კავკასიაში გავრცელებული ჭიაყელების ფაუნის, ზოოგეოგრაფიის, ეკოლოგიისა და კონსერვაციის შესახებ. აგრეთვე, მონოგრაფიაში მოცემულია კავკასიის ჭიაყელების სარკვევი.

1989 წელს ერისტო დაინიშნა უხერხემლო ცხოველთა ლაბორატორიის გამგედ და მას ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში.

1999 წელს ერისტო ყვავაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კავკასიის ჭიაყელები (*Lumbricidae*) მათი სისტემატიკა, ფაუნისტიკა, ზოოგეოგრაფია, ეკოლოგია და ფილოგენია“. დაცვა ჩატარდა ზოოლოგიის ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე და მას მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

როგორც უკვე აღინიშნა, ერისტო დიდ დროს უთმობდა ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებას და გაზრდას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ბოლო წლებში მომზადდა 13 სადისერტაციო ნაშრომი, რომელთა ნაწილი წარმატებით იყო დაცული. სამი დისერტანტი მისი გარდაცვალების შემდეგ აგრძელებს მუშაობას. შეიძლება ითქვას, რომ ერისტო ყვავაძემ უხერხემლო ზოოლოგიის სხვადასხვა დარგში შექმნა და დატოვა ზოოლოგების საკმაოდ დიდი ჯგუფი. მისი გაზრდილი მკვლევარები დღეს მოღვაწეობენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში, აგრეთვე სტაჟირებას გადიან ევროპის და აზიის ქვეყნების წამყვან ლაბორატორიებში.

ბოლო წლებში ერისტო ყვავაძეს მოპოვებული ჰქონდა რამოდენიმე გრანტი, სადაც იგი იყო ამ პროექტების კოორდინატორი. ესენია: 1) მარიამჯვარის ნაკრძალის უხერხემლო ცხოველების ბიომრავალფეროვნების შესწავლა; 2) ალგეთის ნაკრძალის უხერხემლო ცხოველების ბიომრავალფეროვნების შესწავლა; 3) ბორჯომ-ხარაგაულის ნაციონალური პარკის პეპლების (*Lepidoptera*) შესწავლისათვის. აგრეთვე მან იმუშავა პროექტში: „უხერხემლო ცხოველები, როგორც გარემოს დაბინძურების ბიოინდიკატორები“, რომელიც ფინანსდებოდა უკრაინის სამეცნიერო ფონდის მიერ. ამ და სხვა პროექტების კვლევის შედეგები გამოქვეყნდა მონოგრაფიების სახით.

ერისტო ყვავაძე იყო ზოოლოგიის ინსტიტუტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს წევრი. აქტიურად მონაწილეობდა ზოოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ნაშრომების ტომების გამოქვეყნებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოიცა ბოლო ორი (XXII- XXIII) ტომი. იგი თანამშრომლობდა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან და იყო რამოდენიმე ნათარგმნი წიგნის ტექსტის სამეცნიერო კონსულტანტი. მათ შორისაა „ველური ბუნების ატლასი“, რომელიც ქართულ ენაზე გამოიცა 2012 წელს და ქართველ ბავშვებს დიდი სიხარული მიანიჭა.

ე. ყვავაძე 2003-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ეკოლოგების ასოციაციას.

სიცოცხლის ბოლო წლებში ასწავლიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს. კითხულებდა ლექციებს დარვინიზმსა და ნიადაგის ეკოლოგიაში.

ჩემთან ერთად სიცოცხლის ბოლო თვეებში და დღეებშიც კი ერისტო ყვავაძე ინტენსიურად მუშაობდა ეკოლოგიური ლექსიკონის შექმნაზე, რომელიც გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2014 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ერისტო ყვავაძე იყო ოჯახის კარგი მამა, მან გაზარდა ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, იყო საუკეთესო მეუღლე.

მისი კოლეგების, მოსწავლეების და მეგობრების გულებში ერისტო ყვავაძე სამუდამოდ დარჩება არამარტო, როგორც კარგი მეცნიერი და მასწავლებელი, არამედ, როგორც კეთილი, მოსიყვარულე და მზრუნველი პიროვნება. პირადად ჩემთვის ე. ყვავაძე იყო კეთილი მეგობარი და კოლეგა, რომელთან ერთად მრავალი სამეცნიერო ნაშრომი შემისრულებია.

ქვემოთ წარმოდგენილია ერისტო ყვავაძის მიერ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის პეროდში აღწერილი ჭიაყელების გვარები, ქვეგვარები, სახეობები და ქვესახეობები:

Alpocaucasiona Kvavadze, 2000; *Caucasodrilus* Kvavadze, 2000; *Allolobophorabrunnecephala* Kvavadze, 1985; *A. kintrishiana* Kvavadze, 1987; *Dendrobaena alpina diplotritheca* Kvavadze, 1972; *Dendrobaena byblica arsanica* Kvavadze, 1985; *Dendrobaena byblica herethica* Kvavadze, 1985; *Dendrobaena ilievae* Kvavadze & Miloikova, 1993; *Dendrobaena imeretiana* Kvavadze, 1992; *Dendrobaena kelassuriensis* Kvavadze, 1985; *Dendrobaena kurashvili* Kvavadze, 1971; *Dendrobaena malevici* Kvavadze, 1985; *Dendrobaena mamissonica* Kvavadze, 1984; *Dendrobaena marinae* Kvavadze, 1985; *Dendrobaena jaloniensis* Kvavadze, 1985; *Dendrobaena swanetiana* Kvavadze, 1992; *Dendrobaena verihemiandra* Kvavadze, 1989; *Dendrodriloides* Kvavadze, 2000; *Dendrodriloides ganjiensis* Kvavadze, 1985; *Dendrodriloides grandis perelae* Kvavadze, 1973; *Dendrodriloides hydrophilica* Kvavadze, 1979; *Dendrodriloides polysegmentica* Kvavadze, 1973; *Dendrodriloides supsaiensis* Kvavadze, 1985; *Dendrodriloides thamarae* Kvavadze, 1983; *Eisenia iverica* Kvavadze, 1973; *Eisenia kafaniensis* Kvavadze, 1985; *Eisenia transcaucasica breviclitelata* Kvavadze, 1985; *Helodrilus carticus* Kvavadze, 2000; *Helodrilus colchicus* Kvavadze, 2000; *Helodrilus zicsianus* Kvavadze, 2000.

ერისტო ყვავაძის საპატივცემულოდ უხერხემლოთა რამოდენიმე სახეობას მისი მოწაფეების და კოლეგების მიერ ეწოდა მისი გვარი:

Coccophagus kvavadzei Japoshvili & Karaca, 2002,

Iotonchus kvavadzei (Eliava, Bagathuria & Chuchulashvili, 2005)

Charitopus eristoi Japoshvili, 2010

Ghilarovus kvavadzei Murvanidze, 2014

Protaphis kvavadzei Barjadze & Ozdemir, 2014

ერისტო ყვავაძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები, რომელთა ჩამონათვალს ვიძლევიტ ქვემოთ:

1. Квavadze E. III. 1985. Дождевые черви Кавказа. Тбилиси, Мецниერება, 237 стр.;
2. ბ. ყურაშვილი, ი. გოგებაშვილი, ერ. ყვავაძე და სხვ. 1978. მდინარე არაგვის აუზის ცხოველთა ეკოლოგიურ-პარაზიტოლოგიური გამოკვლევების შედეგები. "მეცნიერება", თბილისი, გვ. 213;
3. მ. მურვანიძე, ერ. ყვავაძე, ნ. ბაღათურია, ი. ელიავა, თ. არაბული, ლ. მუმლაძე, 2009. უხერხემლო ცხოველები - ურბანიზებული გარემოს ბიოინდიკატორები. "უნივერსალი", თბილისი, გვ. 121;
4. ერ. ყვავაძე, თ. არაბული, მ. მურვანიძე, ნ. ბაღათურია, 2011. კოლხეთის დაბლობის ბზიანების უხერხემლო ცხოველები. "უნივერსალი", თბილისი;
5. ერ. ყვავაძე, თ. არაბული, მ. მურვანიძე, ნ. ბაღათურია, და სხვ. 2011. კოლხეთის ეროვნული პარკის ცხოველთა მრავალფეროვნება. "უნივერსალი", თბილისი, გვ. 269;
6. მ. მურვანიძე, ერ. ყვავაძე, ნ. ბაღათურია, ი. ელიავა, თ. არაბული და სხვა. 2013. კარიერებისა და ნაყარების კოლონიზაცია უხერხემლო ცხოველების მიერ (ჭიათურის მანგანუმის საბადო). მრავალფეროვნება. "უნივერსალი", თბილისი, გვ. 115;
7. ირ. ელიავა, ერ. ყვავაძე. 2014. ეკოლოგიური ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 293 გვ.

ერისტო ყვავაძის ღვაწლი საქართველოს უხერხემლოთა ბიომრავალფეროვნების შესწავლაში და ქართველი ზოოლოგების ახალი პლეადის აღზრდაში დიდია. მისი ხსოვნა დიდი ხანს დარჩება ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა გულეში.

პროფესორი ირაკლი ელიავა,

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

In Memoriam – Eristo Kvavadze

1940–2013

Eristo Kvavadze, the Georgian zoologist, Sc.D., Associate Professor of the Ilia State University, passed away on 14 August 2013. The scope of his scientific interests included: taxonomy, faunology, ecology, zoogeography and phylogeny of invertebrates. He showed particular interest in the study of biodiversity of invertebrates of Georgia. He guided young scholars in this field of research and devoted much time to their professional growth. He was not only a scientist, but also an excellent teacher and a caring friend for young researchers.

Eristo Kvavadze was born in the village Mukhuri of Tkibuli region. In 1959, he graduated from v. Mukhuri high school with honors. In the same year he was drafted for military service and in 1959-1962 served on the border with Poland.

After returning from the army, during 1963-1968, he studied biology at Iv. Javakhishvili Tbilisi State University, chair of - zoology. In the fourth year, I gave him lectures on zoology.

He was awarded the Krupskaya scholarship for excellent study and involvement in student activities. His first scientific papers were published when he was still a student. Eristo Kvavadze headed a student scientific council during his University years, and acted as its chairman. Many expeditions were organized by the student scientific council due to his activity and under his guidance, biologists as well as geographers, chemists, and students of other faculties were participating in these expeditions. Scientific data collected during these expeditions offered students opportunities to take part in scientific conferences. Eristo Kvavadze was actively involved in the organization of these conferences as well as in selection of topics of these conferences.

In 1969, Eristo Kvavadze joined the Institute of Zoology of the Academy of Sciences of Georgia. He started to work on his thesis "Earthworms of Georgia (*Lumbricidae*)", which he successfully defended in March 1975 in Moscow, at a meeting of the Dissertation Scientific Council of the Severtsov Institute of Evolutionary Morphology and Ecology of Animals and was awarded the Candidate of Sciences Degree in Biology.

In 1985, Eristo Kvavadze published his first monograph "Earthworms of the Caucasus", where issues of fauna, zoogeography, ecology and conservation of earthworms in the Caucasus are discussed. The monograph includes the identification guide for earthworms of the Caucasus.

In 1989, Eristo Kvavadze was promoted to Head of the Laboratory of Invertebrates, which he headed for many years.

In 1999, Eristo Kvavadze defended a doctoral thesis on the topic: "Earthworms of the Caucasus (*Lumbricidae*), their systematics, faunistics, zoogeography, ecology and phylogeny. The defense took place at the Dissertation Council of the Institute of Zoology, and he was awarded the Doctor of Sciences Degree in Biology.

As already noted, Eristo devoted much time to teaching of young scientists. In recent years, 13 theses were prepared under his direction and some of them were successfully defended. After his death, three young scientists continue to work on dissertations. Eristo Kvavadze created and left quite a large group of zoologists in different fields of invertebrate zoology. Today, the scientists trained by him are working in different institutions in Georgia and are being trained in leading laboratories of Europe and Asia.

Last years Eristo Kvavadze received several grants in which he was a Project Coordinator. These are: 1) The study of the biodiversity of invertebrates of the Mariamdzkhvari Reserve; 2) The study of the biodiversity of invertebrates of the Algeti Reserve; 3) The study of butterflies (*Lepidoptera*) of the Borjomi-Kharagauli National Park. He also worked in the project "Invertebrate animals as bio-indicators of environmental pollution" funded by Scientific Foundation of Ukraine. The results of the studies in the framework of the above listed and other projects were published in monographs.

Eristo Kvavadze was a member of the Dissertation Council at the Institute of Zoology. He actively participated in the publication of scientific works of the Institute of Zoology. He was directly involved in the publication of the last XXIII volume of the Proceedings of the Institute of Zoology.

He collaborated with the Bakur Sulakauri publishing house and was a scientific advisor of Georgian texts of several translated books. Such as: the "Atlas of wild life", that was published in Georgian in 2012 and brought great joy to the Georgian children.

In 2003-2006, E. Kvavadze headed the Association of Young Ecologists of the Iv. Javakhishvili Tbilisi State University.

During last month and even days of his life Eristo Kvavadze intensively worked with me on the dictionary of ecology, which was published after his death, in 2014.

It should be noted that Eristo Kvavadze was a great father; he raised two sons and a daughter, and was a wonderful husband.

Eristo Kvavadze will remain forever not only as an excellent scientist and teacher, but also as a kind, loving and caring person in the hearts of his colleagues, students and friends. Personally for me E. Kvavadze was a good friend and colleague, together with whom we've done many scientific works.

New genera, subgenera, species, subspecies of earthworms described by Eristo Kvavadze during his scientific carrier are listed below:

Alpocaucasiona Kvavadze, 2000; *Caucasodrilus* Kvavadze, 2000; *Allolobophora brunnecephala* Kvavadze, 1985; *A. kintrishiana* Kvavadze, 1987; *Dendrobaena alpinadiplotritheca* Kvavadze, 1972; *Dendrobaena byblica arsanica* Kvavadze, 1985; *Dendrobaena byblica herethica* Kvavadze, 1985; *Dendrobaena ilievae* Kvavadze & Miloikova, 1993; *Dendrobaena imeretiana* Kvavadze, 1992; *Dendrobaena kelassuriensis* Kvavadze, 1985; *Dendrobaena kurashvili* Kvavadze, 1971; *Dendrobaena malevici* Kvavadze, 1985; *Dendrobaena mamissonica* Kvavadze, 1984; *Dendrobaena marinae* Kvavadze, 1985; *Dendrobaena jalonensis* Kvavadze, 1985; *Dendrobaena swanetiana* Kvavadze, 1992; *Dendrobaena verihemiandra* Kvavadze, 1989; *Dendrodriloides* Kvavadze, 2000; *Dendrodriloides ganjiensis* Kvavadze, 1985; *Dendrodriloides grandis perelae* Kvavadze, 1973; *Dendrodriloides hydrophilica* Kvavadze, 1979; *Dendrodriloides polysegmentica* Kvavadze, 1973; *Dendrodriloides supsaiensis* Kvavadze, 1985; *Dendrodriloides thamarae* Kvavadze, 1983; *Eisenia iverica* Kvavadze, 1973; *Eisenia kafaniensis* Kvavadze, 1985; *Eisenia transcaucasica breviclitelata* Kvavadze, 1985; *Helodrilus cartlicus* Kvavadze, 2000; *Helodrilus colchicus* Kvavadze, 2000; *Helodrilus zicsianus* Kvavadze, 2000.

Some species of invertebrates were named in honor of Eristo Kvavadze by his students and colleagues:

- Coccophagus kvavadzei* Japoshvili & Karaca, 2002,
- Coccophagus kvavadzei* Japoshvili & Karaca, 2002,
- Iotonchus kvavadzei* (Eliava, Bagathuria & Chuchulashvili, 2005)
- Charitopus eristoi* Japoshvili, 2010
- Ghilarovus kvavadzei* Murvanidze, 2014
- Protaphis kvavadzei* Barjadze & Ozdemir, 2014

Eristo Kvavadze published numerous scientific papers including monographs, the latter are listed below:

1. E.Sh. Kvavadze, 1985. Earthworms of the Caucasus. Tbilisi, Metsniereba, 237p.
2. B. Kurashvili, I.Gogebashvili, E.Kvavadze *et al.*, 1978.“Metsniereba”, Tbilisi, 213p.The results of environmental and parasitological study of animals in the Aragvi river basin. ”Metsniereba”, Tbilisi, 213p.
3. M. Murvanidze, E.Kvavadze, N.Bagaturia, I.Eliava, T.Arabuli, L.Mumladze. 2009. Invertebrates – bioindicators of the urban environment. “Universal”, Tbilisi, 121p.
4. E. Kvavadze, T. Arabuli, M.Murvanidze, N. Bagaturia. 2011. Invertebrates of the Colchis lowland boxwoods .“Universal”, Tbilisi.
5. E. Kvavadze, T.Arabuli, M.Murvanidze, N. Bagaturia *et al.* 2011.The diversity of animals of the Colchis National Park. “Universal”, Tbilisi, 269p.
6. M. Murvanidze, E. Kvavadze, N. Bagaturia, I. Eliava, T. Arabuli *et al.* 2013. Colonization of pits and embankments by invertebrates (Chiatara manganese deposit). “Universal”, Tbilisi, 115p.
7. I. Eliava, E. Kvavadze, 2014. Ecological Dictionary. Publishing house of the Ilia State University, Tbilisi, 293p.

The merit of Eristo Kvavadze in the research of biodiversity of invertebrates of Georgia and in training of a new generation of Georgian zoologists is great. His loss will be deeply felt by the research community of the Institute of Zoology.

Professor Irakli Eliava,

Corresponding member of the National Academy of Sciences

ზოოლოგიის ინსტიტუტი

(მოკლე ქრონიკა)

ე. ცხადაია

ზოოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 0162, თბილისი

edisher.tskhadaia@iliauni.edu.ge

საქართველოს ცხოველთა სამყაროს შესახებ ზოგადი ცნობები პირველად ვახუშტი ბაგრატიონის 1754 წლის ნაშრომში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" გვხვდება [1]. საქართველოში ზოოლოგიური კვლევების დაწყების თარიღად შეიძლება ჩაითვალოს 1770-74 წლები, როდესაც ა. გულდენშტედტმა იმოგზაურა კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში. მან შეაგროვა ზოოლოგიური კოლექციები და ცნობები საქართველოს ცხოველთა სამყაროს შესახებ. 1774 წლიდან ცხოველთა სამყაროს შესწავლას განაგრძობდნენ: პ. პალასი, ე. მენეტრიე, ა. ნორდმანი, ე. ეიხვალდი, ფ. კოლენატი, კ. კესლერი, ფ. ბაიერი და გ. რადე. 1867 წლის 2 იანვარს გაიხსნა კავკასიის მუზეუმი, რომლის ოთხი განყოფილებიდან ერთ-ერთი იყო ზოოლოგიის განყოფილება, სულ მალე მას დაემატა ენტომოლოგიური განყოფილებაც. აქ თავს იყრიდა არა მარტო კავკასიაში, არამედ თურქეთსა და ირანში შეგროვილი მასალებიც. მაშინდელ საქართველოში ეს იყო ერთადერთი დაწესებულება, სადაც ხდებოდა საქართველოს და მთლიანად კავკასიის ცხოველთა სამყაროს შესწავლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გუსტავ რადე [2], რომელიც ამავდროულად იყო კავკასიის მუზეუმის დირექტორიც. XX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიის და კერძოდ საქართველოს ფაუნას იკვლევდნენ კ. სატუნინი (ორნითოფაუნა, ძუძუმწოვრები) ა. ნიკოლსკი (ჰერპეტოფაუნა), ს. ვერეშჩაგინი, ვ. ჰეპტენერი, ს. ოგნევი, ნ. დილნნიკი, ა. კოზნაკოვი (ძუძუმწოვრები).

1932 წელს დაარსდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის ზოოლოგიური სექტორი, რომელიც 1935 წლიდან გადაკეთდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალად. მოგვიანებით, 1937 წელს დაარსდა ემბრიოლოგიური და ბაკურიანის მაღალი მთის ბიოლოგიური სადგურები, რომლებსაც ხარლამპი ღლონტი ხელმძღვანელობდა. 1938 წელს ბიოლოგიური სადგურის სისტემატიკის განყოფილება გადაეცა ზოოლოგიურ სექტორს, სადაც მალევე აღადგინეს ეკოლოგიის განყოფილებაც. ზოოლოგიურ სექტორს ხელმძღვანელობდა პროფ. ფილიპე ზაიცევი [3]. 1941 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ამავე წელს ზოოლოგიური სექტორის ბაზაზე დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად დაინიშნა აკადემიკოსი ფილიპე ზაიცევი. დირექტორის მოადგილედ პროფ. დავით კობახიძე, სწავლულ მდივანად კი ბ.მ.კ. ალექსანდრე მაჩაბელი.

1942 წელს ზოოლოგიის ინსტიტუტს შეუერთდა ემბრიოლოგიური და ბაკურიანის მაღალი მთის ბიოლოგიური სადგურები. იმ დროისთვის ზოოლოგიის ინსტიტუტის სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ეკოლოგიის განყოფილება, ჰიდრობიოლოგიისა და იქთიოლოგიის განყოფილება, ზოოგეოგრაფიის და სისტემატიკის განყოფილება, ცხოველთა ემბრიოლოგიის ლაბორატორია და პარაზიტოლოგიის ლაბორატორია [3, 4]. 1957 წ. აკად. ფ. ზაიცევის გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს 1965 წლამდე ხელმძღვანელობდა პროფ. დავით კობახიძე. 1965-1989 წლებში ინსტიტუტის დირექტორი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბორის ყურაშვილი, ხოლო 1989-2005წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი ელიავა, 2005 წლიდან დღემდე ინსტიტუტის დირექტორია პროფესორი, ბ.მ.დ. გიორგი ბახტაძე.

გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაცია საქართველოს ფაუნის შესახებ უკეთეს შემთხვევაში მეტად ფრაგმენტული იყო, ზოოლოგიის ინსტიტუტის წინაშე დადგა საქართველოს ფაუნის ინვენტარიზაციის, სახეობრივი შემადგენლობის, ცალკეულ სახეობათა არეალების, ურთიერთკავშირების და დამოკიდებულებების შესწავლის



პროფ. ვილიამ ზაიცევი
(1877-1957)

აუცილებლობა. დაიწყო საქართველოს ცხოველთა სამყაროს გეგმაზომიერი შესწავლა სისტემატიკის, ზოოგეოგრაფიის, ეკოლოგიის და მორფოლოგიის მიმართულებებით. განიხილებოდა კვლევების პრაქტიკული მხარე, რეგულარულად ეწყობოდა ექსპედიციები. ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა კვლევების შედეგად აღწერილ იქნა მავნე და სასარგებლო უხერხემლო და ხერხემლიან ცხოველთა სახეობები, მათი არეალები და ეკოლოგიური თავისებურებები. შემუშავდა მათი რაციონალურად გამოყენების რეკომენდაციები. შედეგად, საქართველოში შეიქმნა ცხოველთა სამყაროს რაციონალური გამოყენების, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის მავნებლების, სამედიცინო და ვეტერინარიის პარაზიტოლოგიური სიტუაციის გაკონტროლების მეცნიერული საფუძვლები, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ენტომოფაუნის, ობობასნაირების, ცხოველთა პარაზიტების, მოლუსკების, ჭიაყელების და სხვა უხერხემლო ცხოველებს ერთობლივად შეისწავლიდნენ ეკოლოგიის და სისტემატიკა-ზოოგეოგრაფიის განყოფილებების თანამშრომლები. მათ მიერ შესწავლილია უხერხემლოთა სხვადასხვა ჯგუფები: ფ. ზაიცევი – წყლის ხოჭოები (*Hydrophilidae* და *Haliphilidae*), ქერქიჭამიები (*Ipidae*, *Carabidae*), ი. ზაიცევა – ბაღლინჯოები (*Hemiptera*), მ. გუჯაბიძე – ორფრთიანები (*Diptera*), ფ. ზაიცევი, ა. ჭოლოკავა – ცხვირგრძელა ხოჭოები (*Curculionidae*), 803 სახეობა, ი. ჯამბაზიშვილი – ფირფიტულვანა ხოჭოები (*Scarabaeidae*) 228 სახეობა, ფ. ზაიცევი, ნ. რეკი – ბზუალა ხოჭოები (*Carabidae*), მ. სეფერთელაძე – ფოთოლჭამია ხოჭოები (*Chrysomelidae*), რ. სავენკო, მ. სოხაძე – თრიფსები (*Thysanoptera*), ი. ჯამბაზიშვილი, მ. ჯამბაზიშვილი – უღვაშაფირფიტოვანი ხოჭოები (*Scarabaeidae*),



ზოოლოგიის ინსტიტუტის პირველი თანამშრომლები. 1949 წ.

სხედან: ნადეჟდაჯაფარიძე, ალექსანდრე მაჩაბელი, ალექსანდრა აბაზაძე, რაისა სავენკო, მარიამ ბურჯანაძე, თამარ ჟიჟილაშვილი, ფილიპე ზაიცევი, თამარ ანდლულაძე, დავით კობახიძე, ოლგა პონდოევა, მიხეილ შიდლოვსკი.

დგანან: თამარ როდონაია, ალექსანდრესადოვსკი, ლენა ქოიავა, ვერა მაჭარაშვილი, ზაქრო ექვთიმიშვილი, თამარ კაკაურიძე, ირინე მორგილევსკაია-ფლიტი, ელენე შენგელია, ბორის ყურაშვილი, გალინა ენუქიძე, თინა ბეგელაური, ჰანს რეკი.

თ. ჩანტლაძე – ტკაცუნა ხოჭოები (*Elateridae*), ი. ვერბა – ტყავფრთიანები (*Dermaptera*), თ. ჟიჟილაშვილი – ჭიანჭველები (*Formicidae*) 142 სახეობა, ე. შენგელია – პეპლები (*Lepidoptera*), ციკადები (*Cicadidae*), ნემსიყლაპიები (*Odonata*), რ. სავენკო – პეპლები (*Lepidoptera*), სწორფრთიანები – (*Orthoptera*), თრიფსები (*Thysanoptera*), ლ. გურგენიძე – მაწუხელები (*Tabanidae*), ა. ჯიბლაძე, მ. ახვლედიანი – ბუგრები (*Aphids – Hemiptera, Aphidoidea*), თ. ენუქიძე – ბრაკონიდები (*Braconidae*). დღეისათვის, მწერების რამდენადმე არასრულ სიაში შეტანილია 3580 სახეობა, რომლებიც გაერთიანებული არიან 1206 გვარში და სამი რიგის (*Hemiptera, Diptera, Coleoptera*) 115 ოჯახში. უხერხემლო ცხოველთა ლაბორატორიაში გაიზარდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებიც დღეს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში თუ უნივერსიტეტებში წარმატებით განაგრძობენ კვლევებს (ენტომოლოგები – გ. ჯაფოშვილი, შ. ბარჯაძე, მ. მურვანიძე, თ. არაბული, მალაკოლოგი ლ. მუმლაძე, გ. ჩალაძე). ობობასნაირები (*Arachnidae*) შესწავლილია ჰ. რეკის, ნ. ჯაფარიძის, შ. დარეჯანაშვილის, პ. საგდიევას მიერ, ძირითადად ჯავშნიანი და იქსოდისებური ტკიპების (*Acari*) 1150-ზე მეტი სახეობა, რომლებიც მიეკუთვნება 8 რიგს, 155 ოჯახს, 417 გვარს. გ. ლეჟავას მიერ შეგროვებული მოლუსკების (*Mollusca*) 400 სახეობის ნიჟარა, სახეობები გაერთიანებული არიან 207 გვარში, 79 ოჯახში და სამ კლასში

(*Bivalvia*, *Gastropoda*, *Polyplacophora*), ე. ყვავადის მიერ მთელი კავკასიის მასშტაბით შესწავლილი და დადგენილია რეგიონში გავრცელებული ჭიაყელების (*Lumbricidae*) 89 სახეობა და ქვესახეობა. ამათგან 29 სახეობა და 4 ქვესახეობა ახალია მეცნიერებისათვის. ამას გარდა მის მიერ შეისწავლებოდა ჭიაყელების,

ქლუხორის ექსპედიცია 1953 წ.



როგორც შუამავალი და რეზერვუარი მასპინძლების როლი ნემატოდების გავრცელებაში. საქართველოს მღვიმეების და გამოქვაბულების უხერხემლო ცხოველთა ფაუნას სწავლობდა რ. ჯანაშვილი.



1963 წ. სანისლოს ექსპედიციის ბანაკი

ჰიდრობიოლოგიის განყოფილების თანამშრომლები იკვლევდნენ საქართველოს მდინარეების და შიდა წყალსატევების ეკოლოგიურ პირობებს, შესწავლილია საქართველოს ყველა დიდი მდინარის, მათი შენაკადების, ბუნებრივი ტბების და ხელოვნური წყალსატევების ჰიდროფაუნა, ფიტო- და ზოოპლანქტონი, ზოობენთოსი, თევზების სახეობრივი შემადგენლობა, მათი ბიოლოგიური პროდუქტიულობის პოტენციალი (პროფ. ა. სადოვსკი, თ. კაკაურიძე, ა. პატარიძე, ვ. მაჭარაშვილი, ლ. ცისკარიშვილი, ა. კოხია, ვ. არსენიშვილი, ნ. ჯაფარაშვილი, ნ. იაკობაშვილი-

ფარქოსაძე, რ. ელანიძე, მ. დემეტრაშვილი, ლ. მღვდლიაშვილი, ნ. ბესტავაშვილი, მოგვიანებით ო. ცხომელიძე, ზ. ჯვარშიშვილი, თ. ქოქოსაძე). ლაშა ცისკარიშვილის მიერ შემუშავებული იქნა პირველადი პროდუქტიულობის გამოსათვლელი ფორმულა, რომლიც დღემდე ფართოდ გამოიყენება, მათ შორის, უცხოელი სპეციალისტების მიერ.

ეკოლოგიის და ხერხემლიანი ცხოველების განყოფილებებში მღრღნელების, მწერიჭამიების, ხელფრთიანების, (მ. შიდლოვსკი, ს. კოხია, ი. მორგილევსკაია-ფლიტი, გ. ენუქიძე), მსხვილი ძუძუმწოვრების - ირემი, შველი, არჩვი, ჯიხვი, დათვი და სხვ., მათი ეკოლოგიურ-გეოგრაფიული, გავრცელების, რაოდენობრივი დინამიკის, (ა. არაბული, ზ. ჩლაიძე, ა. კაპანაძე, მოგვიანებით, გ. ზარქუა), ამფიბიების, ქვეწარმავლების (ზ. ექვთიმიშვილი, თ. მუსხელიშვილი, მოგვიანებით ვ. ნეგმეძიანოვი და ვ. ფიცხელაური) და ფრინველების სახეობების (მ. კუტუბიძე, მოგვიანებით ა. აბულაძე), შესწავლის შედეგად დაგროვდა დიდი რაოდენობით მნიშვნელოვანი ფაუნისტური და ეკოლოგიური ინფორმაცია.

1980-ანი წლებიდან ხერხემლიან ცხოველთა ლაბორატორიაში შეისწავლებოდა აფიბიების (დ. თარხნიშვილი), წვრილი ძუძუმწოვრების (ა. ბუხნიკაშვილი), მგლების (ი. ბადრიძე) და ირემების (ზ. გურიელიძე) ქცევა და ეკოლოგია.

პარაზიტოლოგიის განყოფილებაში ბ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით: შეისწავლებოდა თევზების, ამფიბიების, ქვეწარმავლების, ფრინველთა და ძუძუმწოვრების პარაზიტები: თ. როდონაია, გ. მაცაბერიძე (ძუძუმწოვრების პარაზიტული ჭიები), ე. ჯანყარაშვილი (ქვეწარმავლების ჰელმინთები), ლ. ქოიავა, ლ. პეტრიაშვილი, ქ. მაცაბერიძე – (თევზების ჰელმინთები), ლ. მიქელაძე – (კოკციდიები), ლ. გეწაძე – (ამფიბიების ჰელმინთები), ი. სავატეევ-ელიავა, ლ. ჯაფარიძე, ლ. სულაძე – (ფრინველთა ჰელმინთები), ი. გოგებაშვილი – (თევზების პარაზიტული უმარტივესები), ლ. ბურთიკაშვილი-მურვანიძე – (სისხლის პარაზიტები), სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ფილტვის პარაზიტებს სწავლობდა კ. გურჩიანი, პარაზიტ-მასპინძლის სისტემის ურთიერთობის ბიოქიმიური მექანიზმები შეისწავლებოდა ქ. ნიკოლაიშვილისა და ც. ლომიძის მიერ. ნ. რამიშვილი შეისწავლიდა ხოჭოების, როგორც ძუძუმწოვრების ჰელმინთების შუამავალი მასპინძლების როლს ჰელმინთების გავრცელებაში. ა. კვესიტაძე, ი. კარაჩენცევა, ჟ. ფრიდმანი, გ. ქინქლაძე და მ. ბოჭაძე იკვლევდნენ ცხოველებში ჰელმინთური ინვაზიების დროს მიკრო- და მაკროელემენტების შემადგენლობის ცვლილებას [5].

1963 წ. ჩამოყალიბდა ენტომოჰელმინთოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. კაკულია. შეისწავლებოდა ტყისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნე მწერების პარაზიტული ნემატოდების ბიოლოგია, სისტემატიკა (ც. დევდარიანი, თ. გურგენიძე, ლ. მაღლაკელიძე, ო. გორგაძე, მ. ლორთქიფანიძე, მ. ფარეიშვილი), მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა მავნე მწერების ბიოკონტროლში. ლაბორატორიას 2009 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ო. გორგაძე.

1965 წლიდან ინსტიტუტი მონაწილეობდა ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემუშავებაში. რისთვისაც ახალდაბის ექსპერიმენტულ ბაზაზე მრავალი წლის განმავლობაში ტარდებოდა შესაბამისი კვლევები.

1972 წ. ჩამოყალიბდა ნიადაგის ზოოლოგიის ლაბორატორია. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ი. ელიავას ხელმძღვანელობით შეისწავლებოდა ნიადაგში თავისუფლად მცხოვრები ნემატოდები, პარაზიტი ფიტონემატოდები (თ. ცქიტიშვილი, ტ. ელიაშვილი, ნ. ბაღათურია, მოგვიანებით ე. ცქიტიშვილი) და სხვა ნიადაგში მოზინადრე უხერხემლოები (შ. დარეჯანაშვილი, ლ. გურგენიძე, მ. კოხია, მ. გიგოლაშვილი). ნიადაგის ზოოლოგიის ლაბორატორიაში აგრეთვე შეისწავლებოდა ბუნებრივ ეკოსისტემებში პირველადი პროდუქციის დანიადაგის საპროფიტული ორგანიზმების მიერ გამოთავისუფლებული ენერგიისა და კვების ელემენტების წრებრუნვაში მონაწილეობა. ნიადაგში მოზინადრე უხერხემლო საპროფიტების როლი მაღალი მთის საძოვრების რეაბილიტაციისა და ნიადაგწარმოქმნის პროცესებში (მ. კოხია). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ელიავა საქართველოში ითვლება ნიადაგის ზოოლოგიისა და ფიტოჰელმინთოლოგიის სკოლის დამაარსებლად. ამ სკოლის მიერ შესწავლილი და დადგენილია ნიადაგში თავისუფლად მცხოვრები ნემატოდების და ფიტონემატოდების სახეობრივი შემადგენლობა, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაცვისათვის.

ცხოველთა ემბრიოლოგიის განყოფილებაში ტარდებოდა სამუშაოები ექსპერიმენტული ემბრიოლოგიის და მორფოლოგიის მიმართულებით. ამ კვლევების მიზანს წარმოადგენდა ცხოველთა ემბრიონული განვითარებისას ფორმის წარმომქმნელი პროცესების მორფოლოგიური კანონზომიერების შესწავლა. კერძოდ, ემბრიოლოგიაში მეტად აქტუალური საკითხის - თვალის ჯამის და ბროლისგანვითარების პროცესები (პროფ. პ. ჭანტურიშვილი, თ. სიხარულიძე, ბ. კანკავა, მოგვიანებით ი. ქორქია და გ. კვინიხიძე). ეს გამოკვლევები საფუძვლად დაედო ბროლის აღდგენის შესაძლებლობების დადგენას, მასალას ჰისტოლოგიურად ამუშავებდა ფ. ეფრემიძე. ასევე, ამფიბიებზე ექსპერიმენტებით დადგინდა ჩანასახის გვერდითი ხაზის როლი დამატებითი კიდურის ჩამოყალიბებაში (ა. მაჩაბელი), სხვადასხვა ამფიბიებში ნერვული ფირფიტის უჯრედული მასალიდან სმენის პლაკოდის ჩამოყალიბება (თ. ოცხელი). შესწავლილია თავისებურთა ოჯახის სპერმატოგენეზის და ოოგენეზის სეზონური დინამიკა (თ. ოცხელი, ბ. კანკავა), შესწავლილია ფრინველთა ჭირისა და ყვავილსაწინააღმდეგო ვაქცინაციის გავლენა ემბრიონის ორგანიზმზე (ი. ქორქია), იმუნოლოგიური მეთოდების გამოყენებით, სახეობათა შორისკანის ტრანსპლანტაციით დადგინდა პარტენოგენეზული ხვლიკის ჰიბრიდული ბუნება. ამ მეთოდით ერთ-ერთი ოჯახის რანგი აყვანილია ზეოჯახის კატეგორიაში (ი. ქორქია, ი. დარევესკისთან ერთად). შეისწავლებოდა ფრინველთა და ზოგიერთი ძუძუმწოვრების გონადების დიფერენცირება ემბრიონულ პერიოდში (ნ. კინწურაშვილი), ფრინველების საკვერცხეების დიფერენცირება პოსტემბრიონულ პერიოდში (ლ. ყურულაშვილი), მოგვიანებით ამ სამუშაოებში ჩაერთვნენ ნ. ჟუკოვსკაია, ნ. ბახტაძე და ლ. კანკავა. ასევე შეისწავლებოდა ჰიპოფიზის ფუნქციური დიფერენცირების საკითხები ფრინველთა ემბრიოგენეზში (ა. ტვოროგოვა), მწერების ნეიროენდოკრინული სისტემები და ჰორმონები (ე. ცხადაია).

1968 წელს აკად. ვ. ჟღენტის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ციტოლოგიის ლაბორატორია, რომელიც შემდგომ იწოდებოდა ელექტრონული მიკროსკოპიის

ლაბორატორიად. მას ხელმძღვანელობდა გ. კვინიხიძე. ამ ლაბორატორიაში ელექტრონული და მასკანირებელი მიკროსკოპების საშუალებით შეისწავლებოდა თვალის უჯრედების დიფერენცირების პროცესები და მასთან დაკავშირებული მორფოლოგიური ცვლილებები (ხ. ჯანელიძე, ქ. ზვიადაძე, ვ. ახალკაცი, ნ. ალანია, ნ. ბელთაძე, ლ. ბოევა, ა. კუხიანიძე), უხერხემლო ცხოველების ციტოგენეტიკა (გ. ბახტაძე). აღსანიშნავია, რომ მასკანირებელი მიკროსკოპის გამოყენებით დადგინდა ზოგიერთი პარაზიტული ჭიების (თ. ყურაშვილი) და სხვადასხვა უხერხემლო ცხოველების მორფოლოგია, აქვე მიმდინარეობდა თვალის ღეროვანი უჯრედების (ქ. დავითაია) და ცხოველთა სმენის ორგანოს (ნ. ჩხეიძე) შესწავლა.

ზოოლოგიის ინსტიტუტს გააჩნდა თბილისის ზღვის, ახალდაბის, ხეკორძის ექსპერიმენტული ბაზები, რომლებიც გამოიყენებოდა საკვლევი თემების შესრულების დროს, რომელთა გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში ნ. ბერიძე.

ამჟამად, ინსტიტუტის დაქვემდებარებაშია მხოლოდ ქუთაისის ექსპერიმენტული ბაზა, რომელიც გამოიყენება დასავლეთ საქართველოში ექსპედიციების დროს.

დროთა განმავლობაში ინსტიტუტის სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა. საქართველოში სამეცნიერო კვლევების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, 2009 წლიდან ზოოლოგიის ინსტიტუტი შევიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში და იწოდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტად. დღეისათვის ინსტიტუტის სტრუქტურა ასე ჩამოყალიბდა:

- ხერხემლიან ცხოველთა შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი – ხელმძღვანელი, მკვლევარი ა. ბუხნიკაშვილი;
- ფიტონემატოდების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი – ხელმძღვანელი მკვლევარი, ე. ცქიტიშვილი;
- ენტომოპათოგენების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი – ხელმძღვანელი, მკვლევარი ო. გორგაძე;
- პარაზიტოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი – ხელმძღვანელი, მკვლევარი ლ. ბურთიკაშვილი-მურვანიძე;
- კარიოსისტემატიკის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი – ხელმძღვანელი, მკვლევარი ნ. ბახტაძე;
- ჰიდრობიოლოგიისა და იქთიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი – ხელმძღვანელი, მკვლევარი, ასოცირებული პროფესორი ბ. ჯაფოშვილი;
- კოლექციების ფონდი – გამგე ხ. ბეგელაური;

დღეისათვის ზოოლოგიის ინსტიტუტში მიმდინარეობს კვლევები შემდეგი მიმართულებებით: ხერხემლიან ცხოველთა შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის თანამშრომლები – მკვლევარები ა. ბუხნიკაშვილი, დოქტორანტი ი. ნატრაძე, ასისტენტ-მკვლევარები – ა. კანდაუროვი, ხ. ბეგელაური, შეისწავლიან საქართველოს ხერხემლიან ცხოველთა ფაუნას: მწერიჭამიებს, ხელფრთიანებს, მღრღნელებს; ფრინველებს – ა. აბულაძე და გ. ედიშერაშვილი, ქვეწარმავლებს – დ. ბეკოშვილი. ცენტრალურ კავკასიონზე, აჭარაში, გურიაში, ჯავახეთში აწარმოებენ ხერხემლიანების მრავალფეროვნების შესწავლას. ეს ჯგუფი, აგრეთვე, მუდმივად ატარებს დაკვირვებებს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის, აჭარაში მშენებარე ჰესების კასკადის

და საქართველოს მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტრო ხაზების გავლენის ზონაში წვრილ ძუძუმწოვრებზე, ორნითოფაუნაზე, წითელი ნუსხის სახეობებზე, აწარმოებენ საქართველოს ხელფრთიანთა მონიტორინგს; საქართველოს მასშტაბით ატარებენ ეკოლოგიურ ექსპერტიზებს.

ფიტონემატოდების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი შეისწავლის ნიადაგში მცხოვრები ნემატოდების სახეობრივი შემადგენლობას. მათ მიერ გამოვლენილია და შესწავლილია ნემატოდების გავრცელების და ლოკალიზაციის კერები, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის და წარმოებული პროდუქციის დაცვისათვის (მკვლევარები ე. ცქიტიშვილი, თ. ცქიტიშვილი, ნ. ბაღათურია, მ. გიგოლაშვილი).

ენტომოპათოგენების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი აწარმოებს ენტომოპათოგენური ნემატოდების ბიომრავალფეროვნების შესწავლას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ახდენს მათ იდენტიფიცირებას და იკვლევს მათი გამოყენების შესაძლებლობას უმთავრესი მავნე მწერების ბიოკონტროლში (მკვლევარები ო. გორგოძე, მ. ლორთქიფანიძე, მ. კუჭავა, დოქტორანტი ნ. გაბროშვილი). აქვე ხორციელდება ჭიანჭველების ეკოლოგიური და სისტემატიკური შესწავლა (დოქტორანტი ნ. გრატიაშვილი), ჯგუფში პარალელურად მუშავდება ვერმიტექნოლოგიები და ამ ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის მეთოდები (მკვლევარი მ. კოხია).

პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი შეისწავლის პარაზიტოლოგიურ სიტუაციას საქართველოს ბუნებრივ ბიოცენოზებში. ძირითადად იკვლევს მოლუსკების, როგორც შუამავალი მასპინძლების როლს ჰელმინთოზების გავრცელებაში, აგრეთვე თევზების, ამფიბიების და ქვეწარმავლების პარაზიტოზებს. იკვლევს საქართველოს ფაუნის წარმომადგენელთა რეაქციას გარემოს დაბინძურებაზე (მკვლევარები ლ. ბურთიკაშვილი-მურვანიძე, ქ. ნიკოლაიშვილი, ც. ლომიძე, დოქტორანტი ლ. არაბული, ქ. დავითაია, ქ. ასათიანი).

ჰიდრობიოლოგიისა და იქთიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის მიერ შეისწავლება შავი ზღვის და საქართველოს შიდა წყლების თევზების, პლანქტონის და ბენტოსის ბიომრავალფეროვნება, ეკოლოგია, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენდემური, ინვაზიური და ინდიკატორული სახეობების კვლევას. ფასდება წყლის ეკოსისტემების ეკოლოგიური სტატუსი, ბიოპროდუქტულობა და თევზების მარაგები. ამასთანავე შეისწავლება ყველა საკვლევი წყალსატევის წყლის ქიმიური მახასიათებლები წყლის დაბინძურების ხარისხის და სხვადასხვა სახეობების დაბინძურებისადმი ტოლერანტობის სტატუსის დასადგენად (მკვლევარები ასოც. პროფ. ბ. ჯაფოშვილი, ა. პატარიძე, ასისტენტ-მკვლევრები მ. ბოჟაძე, მ. გიოშვილი, დოქტორანტი ჟ. შუბითიძე).

კარიოსისტემატიკის და ბიოქიმიის შემსწავლელი ლაბორატორიის ძირითადი საქმიანობა მიმართულია საქართველოს ფაუნის წარმომადგენელთა მრავალფეროვნების, ცხოველთა ამ თუ იმ ჯგუფის სისტემატიკის, სახეობრივი დიაგნოსტიკის, ევოლუციისა და ფილოგენეზის შესასწავლად კარიოლოგიური და ციტოგენეტიკური მეთოდებით ქრომოსომული ანალიზის, ქრომოსომების დიფერენცირებული შეღებვის, FISH და სხვა მეთოდების გამოყენებით (მკვლევარები

ნ. ბახტაძე, პროფ. გ. ბახტაძე, ე. ცხადაია, დოქტორანტი ნ. ჩაკვეტაძე). ტარდება საქართველოს ფაუნისთვის დღემდე შეუსწავლელი ტიპის მტკნარი წყლის ბეწვურების (*Nematomorpha: Gordiida*) სისტემატიკური გამოკვლევა ციტომორფოლოგიური და ულტრასტრუქტურული მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდების გამოყენებით (მკვლევარი ნ. კინწურაშვილი).

ზოოლოგიის ინსტიტუტის დაარსების დღიდან საკოლექციო ფონდში თავმოყრილია ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, ექსპედიციებში შეგროვებული ენტომოლოგიური, ეგზო- და ენდოპარაზიტების, ობობასნაირების, წვრილ და ზოგიერთ მსხვილ ძუძუმწოვართა კოლექციები, რომელთა დამუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის თ. ბეგელაურს. სამწუხაროდ 90-იანი წლების მოვლენების შედეგად ვერ მოხერხდა ქვეწარმავლების, ორნითოლოგიური და მსხვილი ძუძუმწოვრების კოლექციების გადარჩენა, ხოლო იქთიოლოგიური კოლექცია დაცვის მიზნით გადაეცა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებას. დღეისათვის აქტიურად მიმდინარეობს კოლექციების ელექტრონული კატალოგიზაცია (საკოლექციო ფონდის გამგე ხ. ბეგელაური).

ინსტიტუტის 75 წლიანი არსებობის განმავლობაში შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია ზოოლოგიურ მეცნიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნებში გამოცემული წიგნები და სამეცნიერო ჟურნალები. ბიბლიოთეკის კომპლექტაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ბიბლიოთეკის პირველ გამგეს ა. აბაზაძეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ბიბლიოთეკას განაგებდა ლ. პატარაია, ბიბლიოთეკარები: ლ. ღვინევაძე და მ. ტყემელაშვილი. ამჟამად ბიბლიოთეკის გამგეა ნ. ბელთაძე. მის მიერ შედგენილ იქნა ბიბლიოთეკის ფონდის ელექტრონული კატალოგი, რამაც გააადვილა წვდომა სამეცნიერო ლიტერატურასთან.

წლების განმავლობაში მონაცემები საქართველოს ფაუნის შესახებ, ექსპერიმენტული კვლევების შედეგები ქვეყნდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ სამეცნიერო ჟურნალებში, ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომებში (ინსტიტუტის დაარსების დღიდან დღემდე გამოცემულია ინსტიტუტის შრომების 23 ტომი), გამოცემულია საქართველოს ცხოველთა სამყაროს 4 ტომი, მონოგრაფიები საქართველოში გავრცელებული უხერხემლო და ხერხემლიან ცხოველთა შესახებ, საქართველოს თევზებისა და ძუძუმწოვრების ატლასები, კატალოგები, სხვადასხვა თემატური კრებულები, სარკვევები, ლექსიკონები. უმაღლესი სკოლებისათვის უხერხემლო ცხოველთა ზოოლოგიის, პარაზიტოლოგიის სახელმძღვანელოები, გამოცემულია საქართველოს "წითელი წიგნი" და სხვა. ინსტიტუტის თაოსნობით ჩატარდა არაერთი საერთაშორისო დონის კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა. ინსტიტუტი ჩართულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის პროგრამაში მიმართულებით "ცხოველთა სამყაროს სტრუქტურა და დიაგნოსტიკა" (დღეისათვის ინსტიტუტში მზადდება 7 დოქტორანტი).

ზოოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები აქტიურად თანამშრომლობენ მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, მუზეუმებთან და უნივერსიტეტებთან, გაერთიანებული არიან სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო

ორგანიზაციებში, მონაწილეობენ საერთაშორისო და რეგიონული კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში.



ზოოლოგიის ინსტიტუტში ბოლო წლებში გამოქვეყნებული შრომები

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვახუშტი (1941). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2. გ. ჩხაიძე (2003). საქართველოს მუზეუმი (1852-1932). თბილისი, გვ. 28, 38-45;
3. ა. მაჩაბელი (1958). ზოოლოგიის ინსტიტუტის მიერ საქართველოს ცხოველთა სამყაროს შესწავლის ძირითადი შედეგები. საქართველოს მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVI, გვ. 5-20;
4. Академия наук Грузинской ССР (1981). Изд. »Мецниереба». Тбилиси. стр. 191-202;
5. Б.Е. Курашвили (1977). Паразитологические исследования Института Зоологии АН ГССР и их дальнейшие задачи. В сб. «Паразитологический сборник», т. 4, стр. 5-27;
6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივის ზოოლოგიის ინსტიტუტის ფონდი.

Institute of Zoology

(Brief Chronicle)

E.Tskhadaia

S u m m a r y

The Institute of Zoology of the Academy of Sciences of Georgia was founded in 1941. The structure of the Institute was represented by the departments of systematics and zoogeography, ecology, hydrobiology, parasitological and animal embryology laboratories. The researchers pioneered in studies of species composition, habitat, ecology of invertebrates and vertebrates, relationship between the species, which was very important for the protection of fauna and environment, as well as for agriculture and medicine. In to 2009 the Institute of Zoology became part of the Ilia State University as a result of reorganization. At present 6 research groups continue wildlife studies in Georgia by means of karyologic, scanning electron microscope and other methods.

The Institute house collections of endo- and exoparasites, amphibians, reptiles, fishes, birds, small and large mammals, ticks, terrestrial mollusks, representatives of many groups of insects

and small mammals inhabiting Georgia. Online cataloguing of the materials of the collections is underway.

On the Status of Pine Bunting (*Emberiza leucocephalos*) in Georgia

A. Abuladze

Institute of Zoology, Ilia State University
3/5, K. Cholokashvili Ave, 0162, Tbilisi, Georgia
aleksandre.abuladze@iliauni.edu.ge

In spite of long history of study of Avifauna of Georgia, data on many bird species till the present time are very limited and fragmentary. One of such species is the Pine Bunting (*Emberiza leucocephalos*).

This bird species occurs during breeding season across much of temperate Asia - from eastern regions of European Russia, mostly in Asian Russia, east across the Ural Mountains across Siberia north in the basin of Ob River to 64th parallel, in the basin of Yenisei River north to 67th parallel, in the basins of Indigirka River, Lena River and Yana River north to 70th parallel, in the basin of Kolyma River north to 65th parallel, east to the Sea of Okhotsk, Sakhalin Island and Sea of Japan in the Russian Far East, in the Ural Mountains south to 55th parallel, in Kazakhstan, Kyrgyzstan, Mongolia (Khangai Mountains and Khentei Mountains) and Tibet. Presence of the several solitary pairs was confirmed in May - June 2012 in three areas of the Russian part of Altai Mountains.

Most populations migrate west and south to winter in scattered sites across southern parts of Eurasia including European part of Russia, Ukraine, Latvia, Lithuania, Central Asia, Iraq, Afghanistan to North-western India and Northern, irregularly to Southern China [1, 2, 3, 4]. Isolated wintering sites are situated in the southern parts of the Caspian Sea basin, Iran, occasionally in Israel, Turkey and Caucasus.

The Pine Bunting is a rare vagrant to Western Europe, including Great Britain, Ireland, Southern France, North-eastern Italy and Tuscany in Italy.

Two subspecies are recognized [3, 5]. The nominate subspecies *Emberiza leucocephalos leucocephalos* occurs throughout the species' range with the exception of China. *E.l.leucocephalos* is widely distributed in Siberia to Sakhalin and Tibet, winters to Iraq, India and

China. The nominate race is replaced in North-western China (Kokonor region of north-eastern Qinghai to north-western Gansu) by the geographically isolated and apparently resident subspecies *Emberiza leucocephalos fronto*.

Pine Bunting interbreeds with Yellowhammer in the areas where their breeding ranges overlap, most often in the west of range [6, 7].

The Pine Bunting was first recorded in Georgia in January 1961, when flock consisting of several individuals was observed in northern surroundings of Tbilisi City at the southern bank of Tbilisi reservoir and one bird from this flock was bagged [8].

According to Author's own observations and all available published data as well as unpublished information, the occurrence of the Pine Bunting at the territory of Georgia during last 50 years has been verified about twenty times. Most of documented records were registered in eastern part of Georgia, i.e. in the Caspian Sea basin. The majority of the records come from semi-open arid landscapes, semi-deserts, riparian forests, secondary woodlands, old large gardens and parks in settlements and its environs, including cities. In all cases only small flocks, much rarely solitary individuals, were observed. The origin of birds, recorded within the limits of Georgia, is not known.

It is for the first time of my long-term field works at the territory of Georgia, the Pine Bunting has been recorded on January 26th, 1981, when 4 individuals were observed in garden of Kumisi village (south-west of Tbilisi City).

These birds were recorded twice during the period from November 28th to December 7th, 1985 on the Black Sea coastal lowlands in Abkhazia. The first sighting was on November 28th, when at least three individuals were seen at seaside boulevard in central part of Sukhumi. Probably these birds were in a more numbers as large mixed flock of seed-eater passerines consisted of 150-200 individuals, and Pine Buntings were feeding on ground and in dense thickets of evergreen bushes. These two records of Pine Buntings were the first records in Western Georgia as well to the western part of South Caucasus, i.e. in the Black Sea basin.

The next observation of these birds took place in the morning on November 23rd, 1988 in vicinity of resort Manglisi, Kvemo Kartli Region, at the territory of Algeti Nature Reserve. Birds were very careful and did not allow people to approach them closer than 15 m.

The list of several records during 1990's-2014 with brief general information on locations, dates, some details and conditions of observations, etc., are presented lower:

- on December 9th, 1991, conducting observations on the western macro-slope of the Gombori Ridge near Otaraantkari village (Sagarejo municipality, Kakheti Region), for 4 hours we have seen twice these birds in the mixed flocks of small passerines feeding on ground. At least six individuals were observed in one flock and two pine buntings were seen in another flock;

- on December 27th, 1995 Pine Buntings were recorded in Imereti Region - in the Khanistskali River valley in area located between the Dimi village and the Ajameti Nature Reserve territory, Baghdati Municipality. At least 25 individuals were seen feeding in the vineyards and garden together with about 50 Chaffinch (*Fringilla coelebs*), 25-30 Eurasian Linnets (*Carduelis cannabina*), several Yellowhammers (*Emberiza citrinella*) and solitary Rock Bunting (*Emberiza cia*). In this case the largest flock of those recorded in Georgia was observed;

- three birds were observed in acacia tree crown during 3-4 minutes on right bank of Vere River (right-hand tributary of Mtkvari River), in Vake District of Tbilisi City, between territory of "Mziuri" Park and Tbilisi Zoo on 27 February 1999. Birds allow an observe to come at the distance of 10 m and did not express any concern;

- at least four individuals were in mixed flock of small passerines recorded in upper part of the Tbilisi Botanical garden in morning on 23 November 2005;

- one of the most remarkable records was on March 27th, 2007, when approximately 25 Pine Buntings were counted during about 2.5 hours (from 14:20 to 16:45) in several small flocks observed feeding in evergreen bushes in area between the territory of Tbilisi ZOO and Tamarashvili street (Vake District of the Tbilisi City);

- about 20 individuals were counted in large (350+ individuals) mixed flock of finches and buntings, mostly Chaffinches (*Fringilla coelebs*), 30-40 Bramblings (*Fringilla montifringilla*) and several Yellowhammers (*Emberiza citrinella*). Birds were watched during about 15 minutes in morning on 19 January 2011 on gentle slope with scattered low trees and bushes near locality Betania at Trialeti Ridge, in the southwestern surroundings of Tbilisi City.

Several last records were in January/February 2014, when these birds were observed in Eastern Georgia:

- on January 14th, 2014 solitary was observed together with 12-15 Chaffinches (*Fringilla coelebs*) and four Yellowhammers (*Emberiza citrinella*) in field between motor-road Tbilisi - Rustavi and eastern edge of Krtsanisi Dendrological Park;

- on January 19th, 2014 at least two individuals were identified in the flock, consisted of 20-25 seed-eating birds observed in the dense thickets of juniper and other low bushes near the Shio-Mgvime monastery in the western suburbs of Mtskheta;

- two times small groups consisting at least of five and three individuals were watched in morning on February 7th, 2014 in area located near the St. Nino monastery between Bodbe village and Signaghi town, Kakheti Region. Birds were observed in the mixed flocks of small passerines (mostly chaffinches, goldfinches, greenfinches and solitary tits) feeding on ground and in bushes among tall Cypress trees lower monastery. About 3 hours later at least 6 individuals were recorded in Signaghi town, birds were observed in small park directly in the central part of town.

Besides that, on the web-site Observation.org the information was posted that the birdwatcher from Belgium Johannes Jansen recorded pine buntings two times in early March 2011 – 3 individuals on March 4 in Gardabani, Kvemo Kartli Region, and single one on March 7 near Dedoplistskaro, Kakheti Region. Finally, in autumn of 2014, Georgian zoologist Giorgi Darchiashvili observed and photographed this bird in Stepantsminda, Mtskheta-Mtianeti Region.

The earliest autumn sighting was noted on November 23 (1988, 2005) and on November 28 (1985). The latest spring records were noted on March 4 (2011), on March 7 (2011) and on March 27 (2007). In 15 cases out of 18 known records these birds were observed in Eastern Georgia, i.e. in the Caspian Sea basin, and only 3 times in Western Georgia, i.e. in the Black Sea basin.

For the neighboring regions of Georgia the Pine Buntings are also occasional winter visitors. So, in Turkey this bird species is considered as a vagrant, with a few, from 10 to 13, recent (in 1974, 1997, 2005, 2008 and 2011) and about six 19th-century records. The following is list of some last records [9, 10, 11, 12, 13]:

კიდევ უფრო გაურკვეველია ზოგიერთი სხვა სახეობის არსებობის შესაძლებლობა, რადგან ადგილი მიეთითება ასე: „გვხვდება თითქმის მთელ საქართველოში, ან დასავლეთ საქართველოში“. ეს მითითება, როგორც წესი, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სახეობა ვინმეს დაუფიქსირებია გურიაში, ან არსებობს დამადასტურებელი მასალა სამუზეუმო კოლექციებში. ამგვარი მითითებანი წარმოადგენენ ექსტრაპოლაციებს სახეობათა არეალების რუკებიდან, ან უკეთეს შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგს. რაც ეხება შავი ზღვის სანაპიროს, აქ კვლევები მხოლოდ აჭარაში, აფხაზეთში და ქ. ფოთის მიდამოებში ტარდებოდა. ეს უკანასკნელი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გურია, რადგან ფოთის სამხრეთი მიდამოები შედის გურიის შემადგენლობაში. იმის გამო, რომ უმეტეს შემთხვევაში უფრო ზუსტად ადგილი მიითითებული არა არის, ხოლო ცხოველთა სახეობრივი შემადგენლობა, როგორც ფოთის სამხრეთში ისე მის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში მსგავსია, შესაძლებლად ვთვლით სახეობები, რომლებიც ფოთისთვისაა მიითითებული, გურიასაც მივაკუთვნოთ.

1996, 1997 და 2001 წლებში ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში წინასწარ ჩატარებულმა სამუშაოებმა დაგვანახა, რომ ანთროპოგენული ზეგავლენის გამო ძუძუმწოვრების სახეობათა, როგორც რაოდენობა, ასევე, ზოგიერთი სახეობის რიცხოვნობაც ამჟამად საკმაოდ განსხვავდება ადრინდელისაგან (იხილეთ ცხრ. 1). დაიგეგმა ძუძუმწოვართა დღევანდელი მდგომარეობის უფრო ღრმად შესწავლა.

გეოგრაფია და ლანდშაფტები

გურია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, მდ. რიონის მარცხენა მხარეს. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება მდ. ფიჩორი, სამხრეთიდან მესხეთის ქედი, დასავლეთიდან შავი ზღვა, ხოლო აღმოსავლეთიდან იმერეთი, მდ. სუფსის სათავეებიდან ს. საჯავახომდე. თვით გურია ოროგრაფიულად იყოფა ოთხ მსხვილ ნაწილად: გურიის დაბლობი - რიონის დაბლობის მარცხენა მხარე (შედის კოლხეთის დაბლობში), გურიის სერი, გურიის ტაფობი [21] და მესხეთის ქედი

(ჩრდილო ფერდობები). ეს უკანასკნელი სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიებოდა გურია-აჭარის და აჭარა-იმერეთის ქედებად. ეს ორივე ტერმინი მოძველებულად ითვლება და ამჟამად იხმარება მესხეთის ქედი, რადგან არავითარი წყვეტა გურია-აჭარის და აჭარა-იმერეთის ქედებს შორის არ არსებობს და დასახელება მხოლოდ ადმინისტრაციული კუთვნილებიდან გამომდინარე იხმარებოდა.

ლანდშაფტები გურიაში ფრიად მრავალფეროვანია და მოიცავს: ზღვისპირა დიუნებს, პოლიდომინანტურ სუბტროპიკულ ტყეს, ფართოფოთლოვან ტყეს, წიწვოვან ტყეს, სუბალპურ და ალპურ მდელოებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ასევე ფართოდაა წარმოდგენილი ჭარბტენიანი ლანდშაფტები (მურყნიანი და სფაგნუმიანი ჭაობები). ისინი გვხვდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც, მაგრამ აქ მათ მცირე ტერიტორია უკავიათ.

ლანდშაფტების ეს ჩამონათვალი, წარმოადგენს წარსულის სურათს, როგორც ვხედავთ, როდესაც ისინი ხელუხლებელნი იყვნენ გურიის ტერიტორია ზღვისპირა დიუნების, სფაგნუმიანი ჭაობებისა და სუბალპური და ალპური მდელოების გარდა ტყით იყო დაფარული. ამჟამად ყველაფერი ძლიერ არის შეცვლილი - მურყნიანი ჭაობები გამეჩხერებულია, მშრალი ვაკე ადგილები აგროლანდშაფტებად და დასახლებებადაა ქცეული, სუბალპური და ალპური მდელოები მეორად მდელოებადაა გადაქცეული. ტყიანი მასივები ძლიერაა შემცირებული და მხოლოდ მთების ფერდობებზეა შემორჩენილი. ვაკეზე დარჩენილი ტყეები დერივატებს წარმოადგენს.

ამჟამად ლანდშაფტები გურიაში შემდეგნაირად არის განაწილებული:

გურიის დაბლობი კოლხეთის დაბლობის სამხრეთ ნაწილს წარმოადგენს, უკავია ჭარბტენიან ტერიტორიებს (ტბებს, ჭაობებს, მდინარეებს, ღელეებსა და არხებს), იქ მდებარეობს მდ. რიონის, სუფსის, ნატანების, ჩოლოქის ქვემო დინებები და მათი შენაკადები, ასევე დაბლობის მდინარე ფიჩორი. ჭაობები ძირითადად ორ ნაწილად იყოფიან - სფაგნუმიანი ჭაობები და დაჭაობებული მურყნის ტყეები, წიფლის, ლაფნის, რცხილის, ნეკერჩხლის ჩანარებით, ალაგ-ალაგ ბზის ქვეტყით, ლიანებით, ეკალიჭითა და მაყვლით. ანთროპოგენული დატვირთვა ჭარბტენიან ტერიტორიებზე ამჟამად დაბალია, რადგან მათი დაშრობა არ ხდება, ტორფის მოპოვება უმნიშვნელოა. თუმცა, წარსულში კოლხეთის დაბლობის დაშრობამ, სოფლის მეურნეობის განვითარების მცდელობებმა და ტორფის მოპოვებამ ძალიან შეცვალა ეს ტერიტორიები, ძნელი სათქმელია რამდენად, რადგან ჭაობების დაშრობამდე აქ ძუძუმწოვრების კვლევები არ ჩატარებულა.

ვიწრო ზოლი (0,5-2 კმ) ჭარბტენიანი ლანდშაფტებიდან გურიის სერამდე გადაქცეულია დასახლებებად და აგროლანდშაფტებად (საძოვრები, სიმინდის ყანები, ბაღები). ადრე ეს ადგილი გარდამავალი ზონა იყო ჭაობებსა და პოლიდომინანტურ ტყეებს შორის.

გურიის ტაფობი თითქმის მთლიანად დასახლებებად და აგროლანდშაფტებად არის ქცეული, ტყის მცირე დეგრადირებული ჩანარებით. ანთროპოგენული დატვირთვა ძალიან მაღალია, რადგან გურიის ტაფობი უკვე დიდი ხანია (70-80 წელიწადი) წარმოადგენს მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის განვითარების, ასევე სხვადასხვა არაადგილობრივი, ტექნიკური და დეკორატიული მცენარეების

ინტროდუქციის ადგილს. თუმცა, უშუალოდ გურიის ტაფობზე მომხდარი ფლორის ცვლილებების შესახებ მონაცემები არაა, მაგრამ არის მონაცემები აჭარისა და კოლხეთის დაბლობზე [22, 23]. გურიის ტაფობზე ძლიერაა შეცვლილი მცენარეული საფარი (განსაკუთრებით ბალახეულობა) და მეტწილად სამხრეთ-აღმოსავლეთაზიური და ამერიკული სახეობებით არის წარმოდგენილი.

მთათა ფერდობებზე განლაგებული ტყეები ორ ნაწილადაა გაყოფილი - გურიის სერზე განფენილი ტყეები და მესხეთის ქედის ტყეები. ეს ორი მონაკვეთი გათიშულია ერთმანეთისაგან დასახლებული ვაკით (გურიის ტაფობი) და ერთდება ჩოხატაურისა და ვანის მუნიციპალიტეტების საზღვარზე, მდ. სუფსისა და გუბაზოულის ხეობებში. ეს ტყეები, განსაკუთრებით დაბლობისაკენ გამეჩხერებულია და ძირითადად ახალგაზრდა ხეებითაა წარმოდგენილი, რომელთა პროდუქტიულობა დაბალია.

მესხეთის ქედზე, მთათა ფერდობებზე არსებული ტყიანი მონაკვეთები ბევრ ადგილას, კარგ ან დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, რადგან მიუვალ ადგილებზეა განვითარებული, უგზოობის გამო ხე-ტყის დამზადება აქ არ მიმდინარეობს, ან მისი მასშტაბები მცირეა. ნაკლებად დამრეც ადგილებში ტყე ძლიერ ანთროპოგენულ დაწოლას განიცდის, იჩეხება.

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სუბალპური ზონა (გომისმთა), აქ ანთროპოგენული გავლენა ძირითადად საუკუნეების განმავლობაში სამოვრების გადამოვაში გამოიხატება, ამიტომ სუბალპურ მაღალბალახოვნებას აქ არ ვხვდებით, ბალახი მხოლოდ ალაგ-ალაგ აღწევს 15-20 სმ სიმაღლეს.

ცალკე გამოსაყოფია დიდი მდინარეების გასწვრივ განლაგებული ტერიტორიები (300 მეტრიან ზოლში), რომლებიც მდიდარია ცხოველებით, რადგან ის ძირითადად მშრალია და სახეობათა უმრავლესობა აქ იყრის თავს. თუმცა ეს ტერიტორია გაცილებით უფრო მცირეა დაჭაობებულზე, აგრო- და ტყიან ლანდშაფტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ანთროპოგენული დატვირთვა აქ მაღალია (ძირითადად საქონლის მოვება და ექსტენსიური სოფლის მეურნეობა), ბიოტოპების დეგრადაცია საშუალო ან საშუალოზე დაბალია და ვერ აღწევს იმ დონის დეგრადაციას, როგორცაა გურიის ტაფობისა და კოლხეთის დაბლობის დანარჩენ ნაწილში.

გურიაში ერთი დაცული ტერიტორიაა, კოლხეთის ეროვნული პარკის უდიდესი ნაწილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. ასევე არსებობს პონტური მუხის ტყე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, რომელსაც იცავს ადგილობრივი მოსახლეობა და „პონტური მუხის აღკვეთილს“ უწოდებს.

ნაშრომში შესწავლილ ტერიტორიას ჩვენ პირობითად ვყოფთ ოთხ ნაწილად:

1) კოლხეთის დაბლობის მარცხენა ნაწილი ლანჩხუთის და ოზურგეთის რაიონში; იწყება სოფელ ჯაპანათი და ჯაპანას ტბით, ტბებით დიდი და პატარა ნარიონალით და მათი მიდამოებით დასავლეთისაკენ მდ. ჩოლოქამდე. დაბლობის სამხრეთი ნაწილი გასდევს გურიის სერის ფერდობებს, დასავლეთ ნაწილში კოლხეთის დაბლობი იჭრება გურიის ტაფობში მდ. ნატანების ხეობის გაყოლებით მისი და მდ. ბჟუჟას შესართავამდე. ჩრდილოეთით მიმოიხილება არა მხოლოდ გურიის ტერიტორია, არამედ ხობისა და აბაშის მუნიციპალიტეტების ტერიტორია, მდ. რიონის მარცხენა მხარეზე, რადგან ის ოროგრაფიულად, ლანდშაფტურად და ფაუნისტურადაც ერთ მთლიანს წარმოადგენს.

2) გურიის სერი - მდინარე ხევისწყალიდან აღმოსავლეთით მდ. სუფსის ხეობამდე დასავლეთით.


3) გურიის ტაფობი - აღმოსავლეთიდან იწყება ვიწრო შეჭრით ს. განთიადიდან და გოგოურიდან, დასავლეთისკენ-კი სრულდება ს. ზემო ნატანებისა და ს. ლაითურის მიდამოებში. ჩრდილოეთით ის ესაზღვრება გურიის სერს, სამხრეთით კი მესხეთის ქედს.

4) მესხეთის ქედი - ქედის ჩრდილო ფერდობები, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება გურიის ტაფობს, სამხრეთიდან კი საზღვარი გასდევს წყალგამყოფს და მდ. აჭის სათავეებით და მ. თავკატარათი სრულდება.

მეთოდика

კვლევის ობიექტი ყველა ძუძუმწოვარი ან მათი აღრიცხვის მეთოდი განსხვავდება ერთმანეთისაგან: დიდი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრები აღირიცხება ნაკვალევით 1-5 კმ-იან მარშრუტებზე, ასევე ვიზუალურად, როგორც დღისით ასევე ღამით. წავი და ნუტრია აღირიცხება ნაკვალევით და ბუნაგებით წყალსატევის გასწვრივ 1-2 კმ მარშრუტებზე, ასევე ფიქსირდება ცხოველმყოფელობის სხვა ნიშნებითა და უშუალო დაკვირვებით. აღსანიშნავია, რომ თუ ეს სახეობები წყალსატევაში ბინადრობენ, მათი ცხოველმყოფელობის ნიშნების აღნიშვნის ალბათობა ძალიან მაღალია. წვრილი ძუძუმწოვრების სახეობრივი შემადგენლობა დგინდება მოპოვებით, ვიზუალური დაკვირვებითა და ცხოველმყოფელობის სხვა ნიშნებით; მათი აღრიცხვის რაოდენობრივი მონაცემები, მოცემულია პროცენტებში 100 ხაფანგ-ღამეზე გადათვლით. ძუძუმწოვრების კვალის საერთო რაოდენობის აღრიცხვისას ითვლება, როგორც მსხვილი და საშუალო, ასევე წვრილ ძუძუმწოვართა ნაკვალევი ისეთ ადგილას სადაც, შეიძლება კვალი დარჩეს (უპირატესად მდინარისპირა ლამში). ხელფრთიანების აღრიცხვა ხდება, როგორც მარშრუტებზე (ტყეში, ხეივნებში, ცალკეულ ხეებთან, მიწისქვეშა სამალავებში, ნაგებობებში), ასევე წყალსატევის პირას ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაკვირვებით. ხელფრთიანების აღრიცხვა ხორციელდება ვიზუალურად, ულტრაბგერითი დეტექტორების Pettersson D 200 და Pettersson D 240 საშუალებით, ასევე ხელფრთიანთა საჭერი ბადით. მცირე ტერიტორიაზე ერთი სახეობის დიდი რაოდენობით არსებობა მიუთითებს კოლონიის არსებობაზე (სამშობიარო, მამრების, სატრანზიტო ან დასაზამთრებელი კოლონიები), ასეთ შემთხვევაში აღირიცხება კოლონია ან გადამფრენი გუნდი, დაახლოებით ისაზღვრება მისი სიდიდე. ყველა შეხვედრის წერტილი ფიქსირდება GPS-ის საშუალებით.

რუკა 1. გურიის ლანდშაფტები და საკვლევო უბნები (Landscapes and Study Areas of Guria)



- – საკვლევო უბნები (Study areas)
- ▼ – საკვლევო უბნები ლიტერატურული მონაცემების მიხედვით (Study areas by Literature data)
- დანართი - გურიის ლანდშაფტების ლეგენდა (Annex – Legend map landscape)

ანთროპოგენული გავლენის ტიპის დასადგენად ვიყენებთ შემდეგ გრადაციას: უმაღლესი დონის დატვირთვა (დასახლებანი, დარღვეული მოწები), ძალიან მაღალი (სარწყავი მიწები), მაღალი (სახნავი მიწები; საძოვარების გადამოვა), საშუალო (მრავალწლიანი ნარგავები, სარეკრიაციო ტერიტორიები), დაბალი (რაციონალურად გამოყენებული საძოვრები; შეზღუდული მოხმარების ტყეები) და ძალიან დაბალი (კანონით დაცული და ხელუხებელი ტერიტორიები) [24, 25].

მასალა

კვლევების ჩატარება განსაზღვრულ იქნა სხვადასხვა ანთროპოგენული დატვირთვის გათვალისწინებით, დაიგეგმა მათი ორ ეტაპად ჩატარება. პირველ ეტაპზე ჩატარდა კვლევები უმაღლესი, მაღალი და საშუალო ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ეკოსისტემებში, როგორცაა ტბები დიდი და პატარა ნარიონალი, ადგილები რუჯულა, კოლომონა და მალთაყვა, ს. გრიგოლეთის მიდამოები, მდინარე სუფსის ქვემო წელი, გურიის ტაფობი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში), გომისმთის მიდამოები. ასევე, რამოდენიმე სხვა ადგილთან, სადაც ჩვენ მხოლოდ ერთჯერადი, მოკლევადიანი კვლევებით შემოივითარებოდა. დაკვირვებანი ტარდებოდა წლის ყველა დროს 2005-2006 (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) და 2012 წ. (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). მოკლე ვადიანი გასვლები სამივე მუნიციპალიტეტში ამჟამადც საკმაოდ ხშირია.

ანთროპოგენული დატვირთვის მხრივ გურიის ტერიტორია დაიყო სამ ნაწილად: 1) მაღალი ან უმაღლესი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ტერიტორიები - გურიის ტაფობი ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში უაღრესად დეგრადირებულია; სუბალპური მდელოები, ასევე ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში - საკმაოდ დეგრადირებული, გადამოვილი ტერიტორიები; ცოტათი უკეთეს მდგომარეობაშია ვიწრო დასახლებული ზოლი ჭარბტენიან ლანდშაფტებსა და გურიის სერს შორის, რადგან სივიწროვის გამო ის ადვილად შედწევადა მუშაობებისათვის, როგორც ჭარბტენიანი ლანდშაფტებიდან ასევე, გურიის სერიდან; 2) საშუალო ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ტერიტორიები - ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები, რომლებიც განეკუთვნება კოლხეთის დაბლობს - დეგრადირებულია, მაგრამ იმის გამო, რომ მათი დიდი ნაწილი მდებარეობს მდ. რიონის, სუფსისა და ნატანების პირას (მდინარის ნაპირები დასახლებულ პუნქტებს გარეთ ნაკლებად ექვემდებარება სამეურნეო დატვირთვას) ფლორა შედარებით კარგ მდგომარეობაშია; 3) დაბალი ან ძალიან დაბალი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე ტერიტორიები მესხეთის ქედის ტყეთა საგრძნობი ნაწილი, რადგან ძირითადად მიუვალ, ციცაბო კალთებზეა განვითარებული და ამიტომ არ იჩეხება. იქ, სადაც მთის კალთების დახრილობა არაა დიდი, ტყე საკმაოდ ცუდ მდგომარეობაშია (კურორტ ბახმაროს მიდამოები); ასევე, კარგ მდგომარეობაშია კოლხეთის ეროვნულ პარკსა და „პონტური მუხის აღკვეთილში“ შემავალი ტერიტორიები.

დაბალი ანთროპოგენული გავლენის მქონე ტერიტორიების შესწავლა მეორე ეტაპის შესრულებისას არის დაგეგმილი და ამ ნაშრომში არ განიხილება.

ანთროპოგენული ფაქტორი უაღრესად უარყოფითად მოქმედებს აქ მობინადრე ცხოველებზე. შუა გურიის ვაკისა და მაღალმთიანეთის ფაუნა უკიდურესად გაღარიბებულია.

გურიის ძუძუმწოვართა ფაუნის შემადგენლობა

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით გურიაში სავარაუდოდ 54 სახეობა უნდა იყოს, მაგრამ იმის გამო, რომ ძუძუმწოვართა ფაუნის შესწავლის დონე გურიაში როგორც ზემოთ ვთქვით არაა დამაკმაყოფილებელი იყო, კვლევებისას ხდებოდა გურიისთვის ახალი სახეობების დაფიქსირება. ამავდროს ზოგიერთი ამ ტერიტორიისთვის ცნობილი სახეობა ვერ იქნა ნანახი.

ჩვენი და ლიტერატურული მონაცემებიდან გამომდინარე ამჟამად, გურიაში ძუძუმწოვრების სახეობათა რაოდენობა 63 უდრის, ერთი სახეობა კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*) XX ს. 60-იან წლებამდე გვხვდებოდა აქ, მაგრამ ამჟამად გამქრალია. ამათგან გურიაში საქართველოს წითელი ნუსხის 9 სახეობა ბინადრობს ან უნდა ბინადრობდეს [26], ასევე აქ გვხვდება ან უნდა გვხვდებოდეს 8 კავკასიის ენდემური სახეობა.

ერთადერთი ნაშრომი, რომელშიც აღიწერება გურიის ბუნება ზოოლოგიური თვალთახედვით ს. საჯავახოძისა და ქ. ჩოხატაურამდე და აქედან მდ. სუფსის ხეობით მ. მეფისწყარომდე, ეს კ. სატუნიშის ნაშრომია „გურიიდან მესხეთის ქედის გავლით“ [27], რომელიც აღწერით ხასიათს ატარებს, მასში მხოლოდ გარემოს საერთო მდგომარეობაა განხილული. ნაშრომში ნათქვამია, რომ მიუხედავად ტყეების მშვენიერი მდგომარეობისა, აქ ძალიან ცოტაა ხერხემლიანი ცხოველები, უხერხემლოებისაგან განსხვავებით.

ამჟამად ღია ლანდშაფტებში, იქ სადაც სატუნიშის მონაცემებით ადრე ტყე იყო სახეობრივი მრავალფეროვნება და ცალკეულ სახეობათა რიცხოვნობა დაბალია.

გურიაში გარეული ღორი (*Sus scrofa*) ლიტერატურული მონაცემებით აღინიშნებოდა მდ. სუფსის ქვემო და შუა წელში, ზუსტი ადგილის მიუთითებლად [15]. XX ს. 60-ანი წლებისათვის გარეული ღორის რიცხოვნება კოლხეთის დაბლობზე 1000 ჰა-ზე საშუალოდ 3,3 ინდივიდს უდრიდა [28]. ამჟამად მისი ნახვა აქ ძლიერ იშვიათად შეიძლება და ისიც მთლიანად შინაურ ღორთან ჰიბრიდებს წარმოადგენს [29]. ჩვენ მიერ „გარეული ღორი“ ნანახი იქნა მალთაყვაში.

იმავს პერიოდში შველი (*Capreolus capreolus*) საკმაო რაოდენობით იყო კოლხეთის დაბლობზე. მისი რიცხოვნება საშუალოდ 6-8 ინდივიდს შეადგენდა 1000 ჰა-ზე [28, 30]. უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნაშრომი კოლხეთის შესახებ „კოლხეთის დაბლობის ბიოცენოზების ცხოველთა მოსახლეობა“ გამოქვეყნდა 1984 წ. აქ მოყვანილი მონაცემებით შველის საშუალო რაოდენობა შემცირდა და 5-6 ინდივიდს წარმოადგენდა 1000 ჰა-ზე [31]. ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ შველის ისედაც შემცირებული პოპულაცია კიდევ უფრო შემცირდა და ამჟამად იგი ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ერთეულების სახითაა შემორჩა. ჩვენ მისი კვალი მხოლოდ ერთხელ ადგილ რუჯულაში ვნახეთ. გურიის ტაფოზზე შველი საერთოდ არ შეგვხვდებოდა, თუმცა XX საუკუნის 60-ან წლებამდე იგი გვხვდებოდა, როგორც მდ. სუფსის, ასევე მდ. ნატანების ხეობებში [15].

კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლების ცნობით, კოლხეთის ეროვნული პარკის ტ. პალიასტომისა, მდ. თხორინას, გურინკასა და ადგილ მალთაყვას შორის განლაგებულ ტერიტორიაზე ბინადრობს 50-200 შველი, 20-30 გარეული ღორი, 6-7 წავი.

XX ს. პირველ ნახევარში გურია-აჭარის ქედისათვის მიეთითება აგრეთვე კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus*), მას ძალიან მცირე რაოდენობით გურია-აჭარის ქედისთვის მიუთითებს ა. პაპავა [12] და ა. ჯანაშვილიც [13]. ამჟამად ეს სახეობა აქ გამქრალია.

საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა არჩვი (*Rupicapra rupicapra*) XX საუკუნის 70-ან წლებში გამოკვლეული აქვს ა. კაპანაძეს [8], რომელსაც გურიისთვის იგი მითითებული აქვს 6 წერტილიდან. მთლიანად მცირე კავკასიონისათვის (მესხეთის ქედი) სამარშრუტო აღრიცხვისას დაფიქსირდა 688 ინდივიდი. სიმჭიდროვე მერყეობს 0,2-დან 1,8-მდე 100 ჰა-ზე. თანამედროვე მონაცემები ამ ადგილებიდან არ არსებობს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში „ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა/შესწავლის შესახებ“ 2012 წ. [32] ავიააღრიცხვების შედეგად მითითებულია, რომ მცირე კავკასიონზე სავარაუდოდ 770 არჩვი ბინადრობს. არჩვის სიმჭიდროვე 0,45 ინდივიდია 100 ჰა-ზე. რამდენი მათგანია გურიის მთებში არ მიეთითება.

ასევე საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა წავი (*Lutra lutra*) ლიტერატურაში მიეთითება მდ. სუფსისა და ნატანების ხეობებისათვის [13, 27, 33, 34,] ადგილის დაუზუსტებლად, პალიასტომის ტბისათვის. ასევე ადგილის დაუზუსტებლად აღინიშნება ის კოლხეთის ჭაობებისათვის [14, 15, 35]. ერთადერთი წერტილი კოლხეთის დაბლობზე, რომელიც შეიძლება დაუკავშიროთ რაიმე ტოპონიმს მითითებულია რუკაზე ნ. ვერეშაგინის წიგნში „კავკასიის ძუძუმწოვრები“ [15] და სავარაუდოდ, ხობის მუნიციპალიტეტში უნდა მდებარეობდეს.

ჩვენს მიერ წავი აღინიშნა მდ. სუფსის ქვემო წელში, ზღვასთან მისი შესართავის მახლობლად და ს. ხიდმაღალასა და ს. სუფსის შემოგარენში; მდ. ნატანების ზღვასთან შესართავის სიახლოვეს და ს. ლაითურის მიდამოებში, მდ. სეფას შესართავთან. კოლხეთის დაბლობზე ს. ნიგვზიანის ჩრდილოეთით არსებული შემკრები არხის პირას ადგილ კოლომონაში, ადგილ მალთაყვაში, პალიასტომის ტბაზე, ტ. პატარა ნარიონალში ჩამდინარე არხში. საერთოდ საქართელოში იგი ყველაზე ხშირად კოლხეთის დაბლობზე, არხებისა და მდინარეების პირას გვხვდება [36].

გურიაში მაჩვის (*Meles meles*) არსებობის შესახებ ცნობებს იძლევა ნ. ვერეშაგინი [15], ა. ჯანაშვილი [13] და ს. კოხია თანაავტორებით [31], მაგრამ ზუსტი ადგილის მიუთითებლად, თუმცა ს. კოხიას მონაცემები მხოლოდ კოლხეთის დაბლობს ეხება. ჩვენ მაჩვის კვალი მხოლოდ ტ. პატარა ნარიონალში ჩამავალ არხის პირას და მდ. სუფსაზე ს. ხიდმაღალს მახლობლად გვაქვს ნანახი.

ტყისა (*Martes martes*) და კლდის კვერნები (*Martes foina*) გურიაში არცერთ წერტილზე არ მიეთითება. მათ ა. ჯანაშვილი [13] აღნიშნავს გურია-აჭარის ქედისთვის, კოლხეთის დაბლობისათვის კი ის მიეთითება სახეობრივი კუთვნილებისა (*Martes sp.*) და ნახვის ადგილის მიუთითებლად [31]. ნ. ვერეშაგინის რუკებზე ეს სახეობები მოცემულია გურიისთვის, მაგრამ ადგილების მიუთითებლად მდ. სუფსისა და ნატანების ხეობებში, მესხეთის ქედზე [15]. ჩვენ არც ტყისა და არც კლდის კვერნის კვალი არსად გვინახია.

დედოფალა (*Mustela nivalis*) ცნობილია ორი წყაროდან, მთელი გურიისათვის [16, 31]. ჩვენ მისი ნაკვალევი ვნახეთ სამ ადგილას ტ. პატარა ნარიონალში ჩამავალ არხის პირას, მდ. ნატანების პირას ს. ლაითურთან და მდ. სუფსის პირას ს. ხიდმაღალსთან.

კიდევ ერთი წითელი ნუსხის სახეობაა მურა დათვი (*Ursus arctos*). XX საუკუნის 80-ან წლებში გამოკვლეულია ა. არაბულის მიერ. გურია-აჭარის ქედისთვის მრავალი წერტილია მითითებული, როგორც აჭარაში ასევე გურიაში [7], მაგრამ დათვი მხოლოდ აჭარაში აღინიშნება. გურიაში მითითებული 20 წერტილიდან, რომლებშიც ჩატარდა კვლევა, არცერთ მათგანში ის არ დაფიქსირებულა. ნ. ვერეშჩაგინის ნაშრომში [15] რუკაზე აღნიშნულია ორი წერტილი, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ გურიას, ეს წერტილები მდებარეობენ მდ. სუფსის სათავეებში და სავარაუდოდ კურორტ ბახმაროს მახლობლად. ჩვენ დათვის კვალი არ გვინახია.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით დათვი გურიაში მესხეთის ქედზე არის.

ასევე წითელი ნუსხის სახეობა ფოცხვერის (*Lynx lynx*) არსებობაზე გურიაში სარწმუნო მონაცემები არ მოგვეპოვება. ნ. ვერეშჩაგინის რუკაზე [15] აღნიშნული აქვს ის მდ. სუფსის სათავეებში, ა. ჯანაშვილს [13] კი აღნიშნული აქვს, რომ იგი გვხვდება გურია-აჭარის ქედზე, ადგილის დაუზუსტებლად. ჩვენ მისი კვალი არ გვინახავს, ადგილობრივი მოსახლეობაც მას იშვიათად უთითებს. სავარაუდოდ, უნდა ჩავთვალოთ, რომ იგი აქ გვხვდება, რადგან აჭარაში ის ჩვეულებრივი სახეობაა.

კატის კვალი ნანახი იქნა ადგილ კოლომონაში, ტ. პატარა ნარიონალში ჩამავალ არხის პირას და მდ. სუფსაზე ს. ხიდმაღალსთან, მაგრამ კავკასიური ტყის კატაა (*Felis silvestris caucasica*) ეს თუ შინაური კატაა (*Felis silvestris catus*) ძნელი სათქმელია, რადგან აქ ორივე გვხვდება, ახალგაზრდა ტყის კატისა და შინაური კატის კვალის გარჩევა ერთმანეთისაგან ტალახზე ძნელია. მაგრამ თუ ტყის კატა არის კიდევ ის ძალიან მცირერიცხოვანია, რადგან კვლევების წლებში აქ მხოლოდ 3 ნაკვალევია ნანახი. ამავდროს XX საუკუნის 60-70-ან წლებში ტყის კატა კოლხეთში ჩვეულებრივ სახეობად ითვლებოდა [37]. ა. ჯანაშვილიც მიუთითებს მას გურია-აჭარის ქედისათვის, როგორც ჩვეულებრივ სახეობას [13]. ტყის კატის რაოდენობის შემცირების ტენდენცია ჩვენი მონაცემებით არა მხოლოდ გურიაში, არამედ მთელ საქართველოშიც შეიმჩნევა.

ერთადერთი მსხვილი ძუძუმწოვარი, რომელიც ადრეც და დღესაც მრავალრიცხოვანია კოლხეთის დაბლობზე, ტურაა [15, 17, 38]. ტურის (*Canis aureus*) ხმა გურიაში მოსმენილი გვაქვს ყველგან სადაც გვიმუშავია, სუბალპური მდელოების გარდა.

მგელი (*Canis lupus*) მოხსენიებული ჰყავს ა. ჯანაშვილს [13] გურია-აჭარის ქედისათვის და ა. პაპავას [12] სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის ზუსტი ადგილის მიუთითებლად. ადგილობრივი მოსახლეობა იტყობინება, რომ ბოლო 15 წლია იგი ისევ გაჩდა გურიაში დიდი ხნის არ არსებობის შემდეგ. ჩვენ მისი კვალი არ გვინახია.

მელა (*Vulpes vulpes*) საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული მტაცებელია დედოფალასთან ერთად, ის გვხვდება ყველგან კოლხეთის ჭაობების გარდა. მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში იგი მოხსენიებულია ისევე, როგორც ფოცხვერი, მგელი, დათვი ე.ი. გურია-აჭარის ქედისათვის, თითქმის მთელი საქართველოსათვის [12, 13], ყოველგვარი კონკრეტული ადგილის მიუთითებლად. ნ. ვერეშჩაგინის რუკაზე ის მითითებულია მდ. სუფსის სათავეებში [15]. ჩვენ მიერ იგი დაფიქსირებულია მდ.

სუფსის ნაპირზე ს. ხიდმაღალასთან, მდ. ნატანების ნაპირას ს. ლაითურის მიდამოებში, ტ. პატარა ნარიონალში ჩამდინარე არხის პირას ს. გულეიკართან.

დანარჩენი სახეობები განეკუთვნებიან წვრილ ძუძუმწოვრებს და მიეკუთვნებიან 4 რიგს: კურდღლისანირებს, მღრღნელებს, ხელფრთიანებსა და მწერიჭამოებს.

გურიისთვის ევროპული კურდღელის (*Lepus europaeus*) არსებობის ფაქტი მოყვანილია მხოლოდ ორ ნაშრომში [9, 31]. პირველ შემთხვევაში მისი გავრცელება გამოკვლეულ იქნა ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში, მაგრამ დაფიქსირდა მხოლოდ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. მეორე შემთხვევაში გამოკვლეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სადაც მიეთითება, რომ იგი ბინადრობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში და ფოთის მიდამოებში, ისეთ დამშრალ ტერიტორიებზე, როგორებიცაა იმნათი, ასევე, ნარიონალის ტბებზე, მდ. ფიჩორის ნაპირებზე. ჩვენ კურდღლის ცხოველმყოფელობის კვალი არსად დაგვიფიქსირებია. ადილობრივი მოსახლეობა მას მიუთითებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს გურიაში ისევე, როგორც მთელ საქართველოში, მისი რაოდენობა ძლიერაა შემცირებული.

წითელი ნუსხის სახეობა კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*) მხოლოდ ერთხელაა დაფიქსირებული გურიის ტყეებში მთა სურებიდან 1938 წ. ამ სახელწოდების მთა არ არსებობს, მაგრამ ნათელია, რომ მოპოვების ადგილი მდ. სუფსის ზემო წელში უნდა იყოს. ეს სახეობა აქ არ დაგვიფიქსირებია, ისევე როგორც ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus vulgaris*).

ნუტრია (*Myocastor coypus*) - ინტროდუცენტი სახეობაა, საქართველოში მისი აკლიმატიზაცია 1932 წ. მოხდა [14]. გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ძირითად კრებებში მოიხსენიება ა. ჯანაშვილისა [13] და ს. კობიასა და თანაავტორების [31] მიერ. პირველ შემთხვევაში შავი ზღვის სანაპიროსთვის და ფოთის მიდამოებისათვის, ხოლო მეორე შემთხვევაში მდინარეების ფიჩორის, ჩერპალკისა და გურიწყას ხეობებში, ტ. პალიასტომზე, ტ. ოკვატეზე. ნ. ვერემჟაგინს [15] იგი მითითებული აქვს პალიასტომის ტბისთვის, მდ. სუფსისათვის და ლანჩხუთისათვის. ჩვენ მიერ იგი დაფიქსირებულია მდ. სუფსის ნაპირზე ს. ხიდმაღალასთან და ს. სუფსასთან, მდ. ნატანების ნაპირას ს. ლაითურის მიდამოებში, ტ. პატარა ნარიონალში ჩამდინარე არხის პირას ს. გულეიკართან და ს. კეთილართან, ასევე დიდი ნარიონალის ტბაზე, ადგილ მალთაყვაში, მდ. ფიჩორაზე პალიასტომის ტბასთან, იმნათის ტბაზე, ადგილებში რუჯულასა და კოლომონაში.

საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა პრომეთეს მემინდვრია (*Prometheomys schaposchnikovi*) გურიის ტერიტორიაზე კურორტ ბახმაროს მიდამოებიდანაა ცნობილი, კერძოდ მ. გადრეკილიდან, მდ. ბახვის წყლის სათავეებიდან, თვით ბახმაროდან და მ. მეფისწყაროდან [12, 13, 15, 16]. ჩვენ კვლევებს გომისმთაზე შედეგი არ გამოუღია.

XX საუკუნის 70-ანი წლებიდან დასავლეთ საქართველოში არავის მოუპოვებია წყლის მემინდვრია (*Arvicola terrestris*). ეს იმით აიხსნება, რომ წყლის მემინდვრიამ ვერ გაუწია კონკურენცია რუხ ვირთაგვას (*Rattus norvegicus*) და ფრიად იშვიათი გახდა დასავლეთ საქართველოში [15], რადგან დაჭაობებულ ტერიტორიებზე ყველგან დომინირებს რუხი ვირთაგვა, რომელიც ძალზე პლასტიური სახეობაა, იკვებება, როგორც მცენარეული ასევე ცხოველური საკვებით, ფიზიკურადაც უფრო ძლიერია წყლის მემინდვრიაზე.

დასავლეთ საქართველოდან წყლის მემინდვრიის მოპოვების სულ 9 წერტილია ცნობილი, ესენია 2 წერტილი მდ. რიონის ქვემო წელში, ერთი ანაკლიასთან, ორი მდ. სუფსაზე [15], ერთი წერტილი მდ. ჭოროხის შესართავში [39], ერთი წერტილი აჯამეთში [16], ერთი ეგზემპლარი ს. მაღლაკიდან და ერთიც აღნიშნულია ქ. ქობულეთის მიდამოებისათვის [40]. რეალურად საკოლექციო მასალა კი მხოლოდ ორია – აჯამეთიდან და მაღლაკიდან. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით ეს სახეობა ახლაც ბინადრობს კოლხეთის ჭაობებში, მაგრამ მისი მოპოვება ჩვენ კვლევებამდე ვერ ხერხდებოდა.

ჩვენს მიერ წყლის მემინდვრია მოპოვებულ იქნა ტ. პატარა ნარიონალში ჩამავალი არხის პირას. ასევე აღინიშნა მისი კვალი ადგილ მალთაყვაში, ადგილ კოლომონასა და მდ. სუფსის ნაპირზე ს. სუფსასთან.

ბუჩქნარის მემინდვრია (*Microtus majori*) ფართოდაა გავრცელებული გურიაში, როგორც დაბლობზე, ასევე, მთის ტყეებში. ლიტერატურაში იგი მოიხსენიება, როგორც გავრცელებული თითქმის მთელ საქართველოში [12, 13, 15]. უშუალოდ გურიისთვის მიეთითება 3 ადგილიდან: ს. ვაკიჯვარი, ცხვარის საპარსის ქედი და კურორტი ბახმარო [11, 16]. ჩვენ მიერ ბუჩქნარის მემინდვრია დაფიქსირებულ იქნა ადგილ მალთაყვაზე, ს. გრიგოლეთში, ადგილებში რუჯულასა და კოლომონაზე, სს. კეთილართან და გულეიკართან, ს. ოზურგეთში.

დაღესტნური მემინდვრია (*Microtus daghestanicus*) გვხვდება სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, გურიაში აღინიშნება კურიტ ბახმაროდან, მ. გადრეკილიდან და მუჭუთას ქედიდან [16]. ჩვენ გომის მთაზე იგი ვერ ვნახეთ.

საქართველოს კანონმდებლობითვე დაცული პაწია თაგვი (*Micromys minutus*) [26] რომელიც იმდენად მცირერიცხოვანია, რომ შეუძლებელია მისი ზუსტი არეალის დადგენა, ამიტომ მისი გავრცელება ძალიან ცუდადაა შესწავლილი [41]. სახეობის მოპოვების ყველა ადგილი საქართველოში დაშორებულია ერთმანეთისაგან დიდი მანძილით და მოპოვების დროით [42]. ს. ანუხვასთან (აფხაზეთი) იგი მოპოვებულია XX საუკუნის 40-50-იან წლებში, ს. ნატანებთან (გურია) 60-იან წლებში, ს. დედალაურთან (იმერეთი) 2001 წ.

ჩვენს მიერ სოფელ ნატანებისა და სხვა დასახლებული პუნქტების მიდამოებში ჩატარებულმა კვლევამ შედეგი არ მოგვცა, პაწია თაგვი ნანახი არ იქნა.

ტყის თაგვები (*Sylvaemus uralensis*, *S. fulvipectus*, *S. ponticus*) გურიაში ხშირად გვხვდება, ლიტერატურაშიც ისინი უხვადაა მოყვანილი, თუმცა, მხოლოდ მთელი საქართველოსთვის [11, 13, 15]. უფრო კონკრეტული მონაცემები გვაქვს ნაშრომებში, რომლებიც კონკრეტულად ეხება წვრილ ძუძუმწოვრებს, მღრღნელებს ან უშუალოდ ტყის თაგვებს [16, 31, 41]. ჩვენს მიერ ტყის თაგვები აღინიშნა ყველა გამოკვლეულ წერტილზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. დიდი რაოდენობით იგი არსად აღნიშნულა, მათი რაოდენობა მერყეობდა 3%-10% შორის 100 ხაფანგ-ღამეზე გადაანგარიშებით. გურიის ტაფობზე და გომისმთაზე ამ თაგვების რაოდენობა ძალიან დაბალი იყო და მერყეობდა 0%-3% 100 ხაფანგ-ღამეზე გადაანგარიშებით.

სახლის თაგვი (*Mus musculus*) ძირითადად დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად ბინადრობს. დასახლებული ადგილებიდან მოშორებით იშვიათია. ჩვენ სახლის თაგვი ნანახი გვაქვს ადგილ მალთაყვაში არსებულ კუნძულზე სახლის

სიახლოვეს, ს. ოზურგეთში და ამ სოფლის მიდამოებში არსებულ ყანაში, თანაც ერთეულების სახით.

შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*) ლიტერატურაში ყოველთვის მოიხსენიება მთელი საქართველოსათვის, ერთადერთი ნაშრომი სადაც არის მოცემული კონკრეტული ადგილი (ს. ვაკიჯვარი), ეს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის წვრილ ძუძუმწოვართა კოლექციის კატალოგია“ [16]. შედარებით ზუსტი ადგილია მოყვანილი ნ. ვერეშაგინის რუკაზე სადაც პალიასტომის ტბის მახლობლად [15]. ჩვენ მიერ შავი ვირთაგვა დაფიქსირებულ იქნა ადგილ რუჯულაში, მდ. სუფსის ნაპირზე ს. ხიდმაღალასთან და მდ. ნატანების ნაპირას ს. ლაითურის მიდამოებში.

რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) გურიისთვის ლიტერატურაში მხოლოდ ორ ნაშრომში მოიხსენიება - ნ.კ. ვერეშაგინის რუკაზე, მდ. სუფსის შესართავთან და მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე სადაც ს. საგვიჩიოს და ს. სირიაჭყონის მახლობლად, ადიგლებში რუჯულასა და კოლომონას შორის [15]; ასევე ზოოლოგიის ინსტიტუტის წვრილ ძუძუმწოვართა კოლექციის კატალოგში სს. ჯუმათში, ნიაბაურსა და ვაკიჯვარში [16]. ჩვენ მიერ რუხი ვირთაგვა დაფიქსირდა შემდეგ ადგილებში: მალთაყვა, რუჯულა, კოლომონა, მდ. სუფსაზე ს. ხიდმაღალასთან და ს. სუფსასთან, ასევე ს. ოზურგეთში.

სხვა მღრღნელები - გუდაურული (*Chionomys gud*), მცირეაზიური (*Chionomys roberti*) მემინდვრები და მცირეაზიური ტყის თაგვი (*Sylvaemus mystacinus*) კვლევის ობიექტს არ წარმოადგენდნენ, რადგანაც ბინადრობენ ტყეში და მალღმთის მდელობზე კლდოვან ადგილებში, რომლებიც ამჟამად საკვლევ ტერიტორიას არ წარმოადგენდნენ.

მწერიჭამიებიდან გურიაში ნანახი იქნა მხოლოდ 4 ყველაზე გავრცელებული სახეობა: აღმოსავლეთევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური (*Talpa caucasica*) და მცირე (*Talpa levantis*) თხუნელები და გრძელკუდა კბილეთორა (*Crociodura gueldensataedti*).

აღმოსავლეთევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*) გურიისთვის არსად არ მოიხსენიება ჩვენი ნაშრომის გარდა კოლხეთის ნაკრძლისათვის და ს. გრიგოლეთისათვის [42]. სხვა წყაროებში ის მხოლოდ ერთხელაა მოყვანილი კოლხეთის დაბლობისათვის, ადგილის მიუთითებლად [31], ა. პაპავასა [12] და ა. ჯანაშვილს [13] ის მოჰყავთ დასავლეთი საქართველოსათვის და შავი ზღვის სანაპიროსთვის. ჩვენს მიერ ეს სახეობა ნანახი იქნა ადგილ რუჯულაში.

კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*) ლიტერატურაში აღინიშნება შავი ზღვის სანაპიროდან [13], კურორტ ბახმაროდან და მუჭუთას ქედიდან [16], კოლხეთის ნაკრძალიდან და ს. გრიგოლეთიდან [42], ნ. ვერეშაგინის რუკაზე ის მითითებულია მდ. სუფსისა და ნატანების ქვემო და შუა წელზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, თუმცა, კონკრეტული წერტილები არაა დასახელებული; მთელ კოლხეთის დაბლობზე ის მითითებულია წიგნში “კოლხეთის დაბლობის ბიოცენოზების ცხოველთა მოსახლეობა” [31]. ჩვენს მიერ კავკასიური თხუნელა აღინიშნა ადგილებში მალთაყვა, რუჯულა, კოლომონა, სოფლებთან კეთილარი, გულეიკარი და ჯაპანა, ტბებთან პატარა და დიდ ნარიონალი, მათში ჩამავალი არხების პირას.

მცირე თხუნელა (*Talpa levantis*) ლიტერატურაში მოიხსენიება შავი ზღვის სანაპიროდან [12], გურიიდან [13], მუჭუთას ქედიდან [16]. ჩვენს მიერ იგი აღინიშნულია გომისმთაზე და ს. გულეიკართან.

გრძელკუდა კბილეთრა (*Crocidura gueldensataedi*) ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა საქართველოში მწერიჭამიათა შორის. გურიაში ნ. ვერეშაგინის რუკებზე იგი აღნიშნულია მდ. სუფსის ხეობაში და შავი ზღვის სანაპიროზე სუფსიდან ფოთამდე, ნიაბაურში, ვაკიჯვარში და ქ. ოზურგეთში [16], კოლხეთის ნაკრძალში და გრიგოლეთში [42]. ჩვენს მიერ სახეობა დაფიქსირდა შემდეგ ადგილებში: მალთაყვა, რუჯულა და კოლომონა, ტ. პატარა ნარიონალში ჩამავალ არხის პირას ს. გულიეკართან, ს. ოზურგეთში.

არავის უნახავს გურიაში კავკაიის ენდემები: რადეს ბიგა (*Sorex raddei*), რომელიც ზუსტი ადგილის მიუთითებლად კოლხეთის დაბლობისათვის აღნიშნული აქვს ბ.ს. იუდინს [43] და კოლხური კბილეთრა (*Crocidura leucodon lasia*). არ შეგვხვედრია ჩვენ ვოლნუხინის ბიგა (*Sorex volnuchini*) მოყვანილი ზემო ნატანებიდან და კავკასიური წყლის ბიგა (*Neomys teres*) მოყვანილი მუჭუთას ქედიდან [16], ასევე არ არის დაფიქსირებული აქ კავკასიური ბიგაც (*Sorex satunini*). ყველა ეს სახეობა ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე სავარაუდოდ უნდა გვხვდებოდეს გურიაში.

გურიაში არასაკმარისად იყო შესწავლილი ხელფრთიანებიც. ყველა მონაცემი დასახლებულ პუნქტებზე მოდიოდა, ინახება სხვადასხვა კოლექციებში და უკანასკნელ დრომდე გამოქვეყნებული არ გახლდათ [42, 44]. ამ ლიტერატურული მონაცემებიდან და სამუზეუმო მასალებიდან ჩანს, რომ კოლხეთის დაბლობზე მოხინაძრე ხელფრთიანთა შორის გურიას შესაძლოა მივაკუთნოთ ინდივიდები დაფიქსირებული ფოთსა და კოლხეთის ნაკრძალში, კერძოდ: დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე მეღამურა (*Nyctalus leisleri*) და ჩვეულებრივი ფრთაგრძელი (*Miniopterus schreibersii*), ჩვეულებრივი ღამურა (*Vespertilio murinus*) [42, 45, 46]. გურიაში ასევე დაფიქსირებულია ულვაშა მღამიობი (*Myotis mystacinus*) მ. მუჭუთადან [16], ტყის მღამიობი (*Myotis nattereri*) ბახვიდან [42], გიგანტური მეღამურა (*Nyctalus lasiopterus*) ბახმაროდან [47] და ჯუჯა ღამორი (*Pipistrellus pipistrellus*) შუბუთიდან [42]. ყველა ეს მონაპოვარი ერთეულ ინდივიდებს წარმოადგენენ გიგანტური მეღამურას გარდა, რომლის მცირე კოლონია იქ ნანახი ბახმაროს ქვევით განლაგებულ ტყეში [47].

ჩვენი კვლევების შედეგად ზემოთ ჩამოთვლილების გარდა გურიის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია კიდევ 7 სახეობა: წვეტყურა მღამიობი (*Myotis blythii*), წყლის მღამიობი (*Myotis daubentonii*), წითური მეღამურა (*Nyctalus noctula*), ჩვეულებრივი მეგვიანე (*Eptesicus serotinus*), ტყის ღამორი (*Pipistrellus nathusii*), პაწია ღამორი (*Pipistrellus pygmaeus*), ხმელთაშუაზღვის ღამორი (*Pipistrellus kuhlii*) (ცხრილი 1, 2, 4).

ერთ-ერთი იშვიათი სახეობა გიგანტური მეღამურა ნანახია გურიის მთელ ტერიტორიაზე, მართალია ერთეულების სახით. ეს ყურადსაღები ფაქტია, რადგან იგი ყველგან იშვიათია. ყველა დანარჩენი ჩვენს მიერ გურიაში პირველად ნანახი სახეობა საქართველოს ჩვეულებრივი ბინადარია. თუმცა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ჩვეულებრივი სახეობები მრავალრიცხოვანნი არიან, მაგალითად ს. ნაბელავის მიდამოებში არსებულ ტყეში, რომელშიც მრავლადაა ფულუროიანი ხეები, ახლოს იყო მდ. გუბაზოული და მცირე ღელე, ასევე მიტოვებული შენობებიც, სულ ორი სახეობის დაფიქსირება შევძელით, ჯუჯა ღამორის (*Pipistrellus pipistrellus*) და კომპლექს „ულვაშა

მდამიობის“ (*Myotis mystacinus* group)¹ რომელიდაც წარმომადგენელისა, ისიც ერთეული ინდივიდების სახით.

ცხრილი 1. ძუძუმწოვრების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

Distribution of mammals by Municipalities

№	ლათინური და ქართული დასახელება Scientific and Georgian Names	განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით Distribution by Municipalities								
		ლანჩხუთი Lanchkhuti			ოზურგეთი Ozurgeti			ჩოხატაური Chokhatauri		
1	<i>Erinaceus concolor</i> (აღმოსავლეთევროპული ზღარბი)	+					!			!
2	<i>Talpa caucasica</i> (კავკასიური თხუნელა)	+					!		#	
3	<i>Talpa levantis</i> (მცირე თხუნელა)	+			+				#	
4	<i>Sorex raddei</i> (რადეს ბიგა)			!			!			!
5	<i>Sorex satunini</i> (კავკასიური ბიგა)						!			!
6	<i>Sorex volnuchini</i> (ვოლნუხინის ბიგა)			!		#				!
7	<i>Neomys teres</i> (კავკასიური წყლის ბიგა)						!		#	
8	<i>Crocidura gueldenstaedtii</i> (გრძელკუდა კბილეთერა)	+	#		+	#				!
9	<i>Crocidura leucodon lasia</i> (კოლხური კბილეთერა)		#				!			!
10	<i>Rhinolophus ferrumquinum</i> (დიდი ცხვირნალა)		#				!			!
11	<i>Rhinolophus hipposideros</i> (მცირე ცხვირნალა)						!			!
12	<i>Myotis blythii</i> (წვეტყურა მდამიობი)	+			+					!
13	<i>Myotis mystacinus</i> group (ჯგეფი ულვაშა მდამიობი)*	+			+			+	#	
14	<i>Myotis nattereri</i> (ტყის მდამიობი)			!		#				!
15	<i>Myotis daubentonii</i> (წყლის მდამიობი)	+			+					!
16	<i>Nyctalus lasiopterus</i> (გიგანტური მეღამურა)	+			+				#	
17	<i>Nyctalus noctula</i> (წითური მეღამურა)	+			+			+		
18	<i>Nyctalus leisleri</i> (მცირე მეღამურა)	+	#				!	+		
19	<i>Eptesicus serotinus</i> (ჩვეულებრივი მეგვიანე)	+					!	+		
20	<i>Pipistrellus nathusii</i> (ტყის ღამორი)	+					!			!
22	<i>Pipistrellus pipistrellus</i> (ჯუჯა ღამორი)	+	#		+			+		
23	<i>Pipistrellus pygmaeus</i> (პაწია ღამორი)	+					!			!
24	<i>Pipistrellus kuhlii</i> (ხმელთაშუაზღვის ღამორი)	+					!			!
25	<i>Barbastella barbastellus</i> (ევროპული მაჩქათელა)						!			!
26	<i>Plecotus auritus</i> (რუხი ყურა)						!			!
27	<i>Miniopterus schreibersii</i> (ჩვეულებრივი ფრთაგრძელი)		#							
28	<i>Vespertilio murinus</i> (ჩვეულებრივი ღამურა)		#				!			!
29	<i>Mustela nivalis</i> (დედოფალა)	+			+					!
30	<i>Martes martes</i> (ტყის კვერნა)					#			#	
31	<i>Martes foina</i> (კლდის კვერნა)					#			#	
32	<i>Meles meles</i> (მაჩვი)	+	#			#			#	
33	<i>Lutra lutra</i> (წავი)	+	#		+	#			#	
34	<i>Ursus arctos</i> (მურა დათვი)					#			#	
35	<i>Felis sylvestris</i> (გარეული კატა)	+	#		+	#			#	
36	<i>Lynx lynx</i> (ფოცხვერი)					#			#	
37	<i>Canis lupus</i> (მგელი)			!		#			#	
38	<i>Canis aureus</i> (ტურა)	+	#		+	#			#	
39	<i>Vulpes vulpes</i> (მელა)	+	#		+	#			#	
40	<i>Sciurus anomalus</i> (კავკასიური ციფვი)						!		#	

¹- სახეობა ულვაშა მდამიობი რეგიონის შედეგად დაიშალა სხვადასხვა მონათესავე სახეობებად (გურიაში შესაძლოა შევხვდეთ *Myotis mystacinus*, *M. brandtii*, *M. aurasensis*, *M. alcathoe*), რომელთა გარჩევა ხშირად, ზოგჯერ კი გარეგანი მაჩვენებლებითაც შეუძლებელია, საჭირო ხდება გენეტიკური კვლევების ჩატარება, ამიტომ ისინი მოიხსენიებიან როგორც ჯგუფი ულვაშა მდამიობი.

41	Sciurus vulgaris (ჩვეულებრივი ციყვი)							#	
42	Myocastor coypus (ნუტრია)	+	#		+				
43	Dryomys nitedula (ტყის ძილგუდა)				#			#	
44	Glis glis (ჩვეულებრივი ძილგუდა)				+	#		#	
45	Microtus majori (ბუჩქნარის მემინდვრია)	+			+	#		#	
46	<u>Microtus daghestanicus</u> (დაღესტნური მემინდვრია)							#	
47	Prometheomys schaposchnikovi (პრომეთეს მემინდვრია)						!	#	
48	Arvicola terrestris (წყლის მემინდვრია)	+	#				!		!
49	Clethrionomys glareolus ponticus (პონტური მემინდვრია)						!	#	
50	Chionomys gud (გუდაურული მემინდვრია)						!	#	
51	Chionomys roberti (მცირეაზიური მემინდვრია)		#				!	#	
52	Sylvaemus mystacinus (მცირეაზიური თავი)						!	#	
53	Sylvaemus uralensis მცირე ტყის თავი	+	#		+			#	
54	Sylvaemus fulvipectus (კავკასიური ტყის თავი)вавв	+	#		+				
55	Sylvaemus ponticus (პონტური ტყის თავი)	+					!		!
56	Micromys minutes (პაწია თავი)			!		#			!
57	Mus musculus (სახლის თავი)	+	#		+	#		#	
58	Rattus norvegicus (რუხი ვირთავა)	+	#		+	#			!
59	Rattus rattus (შავი ვირთავა)	+	#			#			!
60	Lepus europaeus (ევროპული კურდღელი)			!			!	#	
61	Sus scrofa (გარეული ღორი)	+	#				!		!
62	Capreolus capreolus (ევროპული შცელი)	+	#			#		#	
63	Cervus elaphus (კეთილშობილი ირემი)					#		#	
64	Rupicapra rupicapra (არჩვი)					#		#	

+ - ჩვენი კვლევის შედეგები

+ - Results of our study

- ლიტერატურული წყაროები

- Literature data

! - ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე უნდა იყოს, მაგრამ ჯერ ნანახი არ არის, ან არ აღინიშნება ლიტერატურაში, თუმცა მოსახლეობის მონაცემებით გურიაში გვხვდება

! – There is no proving of occurrence of these species according to literature data and our records. Considering existing habitats and information from local people these species could be founded in Guria.

მსხვილი ასოებით გამოყოფილია წითელი ნუსხის სახეობები

Bold letters – Red list species

ხაზგასმულია ენდემური სახეობები

Underlined - Endemic Species

შედეგები

ხერხემლიან ცხოველთა ამგვარი სიღარიბე უხერხემლოების სიმარავლის ფონზე, ჯერ კიდევ კ. სატუნინის მიერ იქნა აღნიშნული [27], რაც ცალკე შესასწავლი საკითხია. ასეთი მდგომარეობა როგორც ჩანს ძირითადად ტყეებისთვის არის დამახასიათებელი.

ღია ლანდშაფტებში ამგვარი პრობლემა ადრე არ იდგა, ყოველ შემთხვევაში სახეობათა სიმარავლის მხრივ. გამოკვლეულ რაიონებში - კურორტ ბახმაროსა და ქ. ოზურგეთის მიდამოები, კოლხეთის დაბლობი, მდ. სუფსის ქვემო წელი [15, 16, 31] - სახეობების რაოდენობა ძლიერ არ განსხვავდებოდა სხვა საშუალო დონის გავლენის ქვეშ მყოფი ანთროპოგენიზირებული ლანდშაფტებისაგან. მაგრამ ის მდგომარეობა, რომელიც დღეისთვის გვაქვს გურიის ტაფობსა და გომისმთაზე ფაუნისტური კომპლექსების კრიტიკულ დეგრადაციაზე მიუთითებს (ცხრ. 2).

არამფრენი წვრილი ძუძუმწოვრების რაოდენობა გურიის ტაფობსა და სუბალპებში არ აღემატება 3%, 100 ხაფანგ-ლამეზე გადათვლით. გურიის ტაფობზე ჩვენს მიერ აღინიშნა წვრილი ძუძუმწოვრების მხოლოდ 2 სახეობა, კავკასიური ტყის თავი (*Sylvaemus*

fulvipectus) და სახლის თაგვი (*Mus musculus*), სუბალპურ სარტყელში კი მხოლოდ მცირე ტყის თაგვი (*Sylvemus uralensis*) და მცირე თხუნელა (*Talpa levantis*). თხილის ნარგავებში გვხვდება ჩვეულებრივი ძილგუდა. გურიის ტაფობზე დიდი მდინარეებიდან მოშორებით წვრილი ძუძუმწოვრების რაოდენობა ყველაზე მაღალია დასახლებულ პუნქტებში და 13-14% უდრის, ეს მონაცემი საშუალოზე ნაკლებად ითვლება ბუნებრივ პირობებში [49].

მსხვილი ძუძუმწოვრები გურიის ტაფობზე (დიდი მდინარეთა პირების გამოკლებით) საერთოდ არ შეგვხვდრია, ტურის გარდა.

გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია მდინარისპირა მონაკვეთები, სადაც შემორჩენილია ჭალის ტყეების დერივატები ან კარგადაა განვითარებული წყლისპირა ბალახეულობა და ბუჩქნარი. აქ წვრილ ძუძუმწოვართა რაოდენობა 30-40% აღწევს, ზოგან კი 80% და მეტსაც. ტ. პატარა ნარიონალში ჩამავალი არხების პირას ს. კეთილართან და გულიეკართან (არხის გაღმა ნაპირზე) მიტოვებულ გატყევებულ ბაღში, სადაც მიმდინარეობდა ეკოსისტემის აღდგენის პროცესი 100 ხაფანგ-ღამეზე დაფიქსირდა წვრილი ძუძუმწოვრების 80,8% პირველ დღეს და 56% მეორე დღეს. მეორე დღის მონაცემიც კი ძალიან მაღალია. მდინარისპირა მონაკვეთებში (ქვემო და შუაწელში) სახეობრივი მრავალფეროვნება მაქსიმალურია (ლიტერატურაში გურიის დაბლობისათვის აღნიშნულ წვრილ ძუძუმწოვართა სახეობებიდან აქ არ შეგვხვდრია მხოლოდ რადეს ბიგა, კოლხური კბილეთორა და პაწია თაგვი). მსხვილი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრები დიდი წყალსატევებისპირა ტერიტორიებზე ასევე კარგადაა წარმოდგენილი. მდ. რიონის, სუფსისა და ნატანების, ტბების პალიასტომის, დიდ და პატარა ნარიონალის, დიდი შემკრები არხების პირას მტაცებლებიდან და ჩლიქოსნებიდან დაფიქსირებულია ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), წავი (*Lutra lutra*), მაჩვი (*Meles meles*), დედოფალა (*Mustela nivalis*), შველი (*Capreolus capreolus*) ასევე მღრღნელი ნუტრია (*Myocator coypus*). გარდა ამისა, ჩვენ აქ დავაფიქსირეთ გაურკვეველი ტაქსონომიური კუთვნილების კატა და ღორი. თუმცა, ეს ყველაფერი უფრო გურიის დაბლობის ნაწილს ეხება, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს კოლხეთის ეროვნული პარკი, სადაც არსებობს სიცოცხლისუნარიანი პოპულაციები. მდ. სუფსისა და ნატანების შუაწელშიც ცხოველები მეტია ვიდრე გურიის ტაფობის დანარჩენ ნაწილში, მაგრამ საგრძნობლად ნაკლები ვიდრე დაბლობის მონაკვეთებზე. თუ ამ მდინარეთა პირებზე ქვემო დინებაში ცხოველების საერთო რაოდენობა ნაკვალევით ერთ კილომეტრ მარშრუტზე მერყეობს 70-100 შორის, გურიის ტაფობზე დიდი მდინარეების პირას იგივე მანძილზე 20-30 კვალის ნახვა შეიძლება.

ს. კეთილარის და ს. გულიეკარის მახლობლად არსებული არხის პირი (სოფლების საწინააღმდეგო მხარეზე ნაწილობრივ წარმოადგენს მიტოვებულ ბაღებს). ეს ადგილი მკვეთრად განსხვავდება ახლომახლო არსებულ კულტურულ ლანდშაფტებისაგან ძუძუმწოვრების მაღალი მოსახლეობით, რომელიც ანთროპოგენული პრესის მოხსნის შემდეგ, უკანასკნელ 15-20 წელიწადში გაჩდა. რაც დიდი წყალსატევებისპირა (მდ. რიონი) ტერიტორიების სწრაფი აღდგენის უნარზე მეტყველებს.

ცხრილი 2. სახეობების თეორიული და რეალური განაწილება ლანდშაფტური
ზონების მიხედვით

Table 2. Possible and Actual Distribution of Species by Lendscapes

ლათინური და ქართული დასახელება Scientific and Georgian names	საკვლევი ტერიტორიები (Study areas)							
	გურიის დაბლობი Guria Lowland		ადგილი ჭაობებსა და გურიის სერს შორის Territori between wetlands and Guria Slope		გურიის ტაფობი Guria Depression		სუბალპური ძელოვები (გომის მთა) Subalpin meadows (mt. Gomi)	
<i>Erinaceus concolor</i> (აღმოსავლეთევროპული ზღარბი)	+	#	+		+			
<i>Talpa caucasica</i> (კავკასიური თხუნელა)	+	#	+	#	+		+	
<i>Talpa levantis</i> (მცირე თხუნელა)	+	#	+		+		+	#
<i>Sorex raddei</i> (რადეს ზიგა)							+	
<i>Sorex satunini</i> (კავკასიური ზიგა)							+	
<i>Sorex volnuchini</i> (ვოლნუჩინის ზიგა)			+		+			
<i>Neomys teres</i> (კავკასიური წყლის ზიგა)							+	
<i>Crociodura gueldenstaedtii</i> (გრძელკუდა კბილთეთრა)	+	#	+	#	+	#		
<i>Crociodura leucodon lasia</i> (კოლხური კბილთეთრა)	+		+		+			
<i>Rhinolophus ferrumquinum</i> (დიდი ცხვირნალა)	+		+		+			
<i>Rhinolophus hipposideros</i> (მცირე ცხვირნალა)	+		+		+			
<i>Myotis blythii</i> (წვეტყურა მღამიობი)	+	#	+	#	+		+	
<i>Myotis mystacinus</i> group (ჯგეფი უღვამა მღამიობი)**	+		+		+	#	+	
<i>Myotis nattereri</i> (ტყის მღამიობი)	+		+		+			
<i>Myotis daubentonii</i> (წყლის მღამიობი)	+	#	+	#	+	#		
<i>Nyctalus lasiopterus</i> (გიგანტური მელამურა)	+		+	#	+	#	+	
<i>Nyctalus noctula</i> (წითური მელამურა)	+	#	+	#	+	#		
<i>Nyctalus leisleri</i> (მცირე მელამურა)	+	#	+		+			
<i>Eptesicus serotinus</i> (ჩვეულებრივი მეგვიანე)	+	#	+		+		+	
<i>Pipistrellus nathusii</i> (ტყის ღამორი)	+	#	+		+			
<i>Pipistrellus pipistrellus</i> (ჯუჯა ღამორი)	+	#	+	#	+	#	+	
<i>Pipistrellus pygmaeus</i> (პაწია ღამორი)	+	#	+		+			
<i>Pipistrellus kuhlii</i> (ხმელთაშუაზღვის ღამორი)	+	#	+		+			
<i>Barbastella barbastellus</i> (ევროპული მაჩქათელა)			+		+			
<i>Plecotus auritus</i> (რუხი ყურა)	+		+		+			
<i>Miniopterus schreibersii</i> (ჩვეულებრივი ფრთაგრძელი)	+							
<i>Vespertilio murinus</i> (ჩვეულებრივი ღამურა)	+						+	
<i>Mustela nivalis</i> (დედოფალა)	+	#	+	#	+		+	
<i>Martes martes</i> (ტყის კვერნა)					+			
<i>Martes foina</i> (კლდის კვერნა)			+		+		+	
<i>Meles meles</i> (მაჩვი)	+	#	+		+		+	
<i>Lutra lutra</i> (წავი)	+	#	+	#	+	#		
<i>Ursus arctos</i> (მურა დათვი)			+		+		+	
<i>Felis sylvestris</i> (გარეული კატა)	+	#	+		+	#	+	
<i>Lynx lynx</i> (ფოცხვერი)					+		+	
<i>Canis lupus</i> (მგელი)					+		+	
<i>Canis aureus</i> (ტურა)	+	#	+	#	+	#		
<i>Vulpes vulpes</i> (მელა)	+	#	+	#	+	#	+	
<i>Sciurus anomalus</i> (კავკასიური ციყვი)					+			
<i>Sciurus vulgaris</i> (ჩვეულებრივი ციყვი)					+			
<i>Myocastor coypus</i> (ნუტრია)	+	#	+	#	+	#		

Dryomys nitedula (ტყის ძილგუდა)			+		+		+	
Glis glis (ჩვეულებრივი ძილგუდა)			+		+			
Microtus majori (ბუჩქნარის მემინდვრია)	+	#	+	#	+		+	
Microtus daghestanicus (დაღესტნური მემინდვრია)							+	
Prometheomys schaposchnikovi (პრომეთეს მემინდვრია)							+	
Arvicola terrestris (წყლის მემინდვრია)	+	#	+	#				
Clethrionomys glareolus ponticus (პონტური მემინდვრია)							+	
Chionomys gud (გუდაურული მემინდვრია)							+	
Chionomys roberti (მცირეაზიური მემინდვრია)							+	
Sylvaemus mystacinus (მცირეაზიური თავვი)					+		+	
Sylvaemus uralensis მცირე ტყის თავვი	+	#	+	#	+		+	#
Sylvaemus fulvipes (კავკასიური ტყის თავვი)	+	#	+	#	+	#	+	
Sylvaemus ponticus (პონტური ტყის თავვი)	+	#	+	#	+			
Micromys minutes (პაწია თავვი)	+		+		+			
Mus musculus (სახლის თავვი)	+	#	+	#	+	#		
Rattus norvegicus (რუხი ვირთაგვა)	+	#	+	#	+			
Rattus rattus (შავი ვირთაგვა)	+	#	+		+			
Lepus europaeus (ევროპული კურდღელი)			+		+		+	
Sus scrofa (გარეული ღორი)	+	#	+		+			
Capreolus capreolus (ევროპული შცელი)	+	#	+		+		+	
Cervus elaphus (კეთილშობილი ირემი)							+	
Rupicapra rupicapra (არჩვი)							+	
სახეობათა საერთო რაოდენობა	40	30	45	19	50	13	33	2

+ სახეობა სავარაუდოდ უნდა გვხვდებოდეს საკვლევ ტერიტორიაზე

+ Species could be founded on the study area

სახეობა დაფიქსირებულია საკვლევ ტერიტორიაზე ჩვენს მიერ

Species recorded on the study area during our research

მიღებული მონაცემებიც ადასტურებს ჩვენს წარმოდგენებს: გურიის დაბლობზე ლიტერატურული წყაროებიდან და ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე 40 სახეობაზე ნაკლები არ უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ 30 დავაფიქსირეთ; ვიწრო ზოლში ჭარბტენიან ტერიტორიასა და გურიის სერს შორის უნდა იყოს 45 სახეობა აღირიცხა 19; გურის ტაფობზე უნდა იყოს 50 სახეობა აღირიცხა 13; ხოლო გომისმთაზე არსებულ სუბალპურ მდელოზე 33 სახეობის მაგივრად სულ 2 სახეობას შევხვდით, რაც ყველაზე უარესი მაჩვენებელია (იხილეთ ცხრილი 2). გომისმთაზე შესაძლოა კიდევ სამ სახეობას შევხვდეთ - მელას, დედოფალასა და დაღესტნურ მემინდვრიას, მაგრამ ეს ვერ გამოასწორებს მდგომარეობას, რადგან სუბალპები შესწავლილი უბნებიდან ყველაზე მოწყვლადია, ფაუნის განადგურება აქ ყველაზე ადვილია (ნადგურდება 80% სახეობებისა) [49,50], ამიტომ მისი აღდგენა ძალიან დიდ დროს მითხოვს.

განხილვა

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ქვემო ნაწილში, რომელიც წარმოადგენს კოლხეთის დაბლობის გაგრძელებას, ანთროპოგენული დატვირთვა ძირითადად ძალიან დაბალი, დაბალი და საშუალოა, (რატომაუნდა აქ არ შედის ვიწრო აგროლანდშაფტები და დასახლებანი ჭარბტენიან ლანდშაფტსა და გურიის სერს შორის). ძუძუმწოვრების მოსახლეობაზე ანთროპოგენული გავლენა საშუალო ან საშუალოზე მაღალია, განსაკუთრებით დიდი წყალსატევებისპირა უბნებზე. სახეობრივი მრავალფეროვნება აქ

საშუალოა, მაგრამ ამ უბანში არ გვხვდება იშვიათი სახეობები, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან აქ მხოლოდ წავს ვხვდებით.

გურიის ტაფობზე (დიდი მდინარეების გასწვრივ განლაგებული ტერიტორიების გარდა) და სუბალპურ მდელოებზე (გომისმთა) ანთროპოგენული გავლენა მაღალი და უმაღლესია. შესაბამისად, ცხოველების რაოდენობაც დაბალია, ისევე, როგორც სახეობრივი მრავალფეროვნებაც (ცხრ. 2, 3 და 4).

კვლევების შედეგები უბნების მიხედვით გაყოფილია ორ ნაწილად - ცალკეა მოყვანილი არამფრენი ძუძუმწოვრების კვლევის ცხრილი (ცხრ. 3), ხოლო ცალკე მფრენი ძუძუმწოვრების (ხელოვანიანების) ცხრილი (ცხრ. 4), რადგან მათი სივრცობრივი განაწილება და ცხოვრების ნირი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში და გრაფიკში მოცემულია ანთროპოგენული გავლენის ტიპისა და დიდი წყალსატევების გავლენა 8 საკვლევ უბანზე. საკვლევ უბნებს პირობითად მიცემული აქვს შემდეგი ნუმერაცია (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ): 1) მალთაყვა; 2) რუჯულა-კოლომონა; 3) დიდი და პატარა ნარიონალის ტბები და მასში ჩამდინარე არხი; 4) მდ. ნატანების შუა წელი; 5) მდ. სუფსას ქვემო წელი; 6) გურიის ტაფობი; 7) გომის მთა; 8) დასახლებული პუნქტები.

ცხრილების ქუდში მუქი ფერით აღნიშნულია - უმაღლესი და მაღალი ანთროპოგენული გავლენის ქვეშ მყოფი საკვლევ უბნები; ხაზგასმულია - საშუალო გავლენის მქონე უბნები; აღნიშვნის გარეშეა - საშუალოზე დაბალი ანთროპოგენული გავლენის ქვეშმყოფი ადგილი.

ცხრილი 3. არამფრენი ძუძუმწოვრების განაწილება უბნების მიხედვით
Table 3. Non-flying Mammals distriburion by Sites

სახეობის ლათინური დასახელება Scientific name	ადგილის დასახელება Place							
	მალთაყვა Maltakva	რუჯულა- კოლომონა Rujula - Colomona	დიდი და პატარა ნარიონა ლი Didi and Patara Nariionali	მდ. სუფსა Riv. Supsa	მდ. ნატანები Riv. Natanebi	გურიის ტაფობი Guria Depresion	გომისმთა Mt. Gomishta	დასახლებული პუნქტები Settlements
1. <i>Erinaceus concolor</i>		+		+				
2. <i>Talpa caucasica</i>	+	+	+	+	+			+
3. <i>Talpa levantis</i>			+				+	
4. <i>Crocidura gueldenstaedtii</i>	+	+	+					+
5. <i>Canis aureus</i>	+	+	+	+	+	+		+
6. <i>Vulpes vulpes</i>			+	+	+			
7. <i>Lutra lutra</i>	+	+	+	+	+			
8. <i>Meles meles</i>			+					
9. <i>Mustela nivalis</i>			+		+			
10. <i>Felis silvestris</i>			+	+	+			
11. <i>Capreolus capreolus</i>		+	+					
12. <i>Myocastor coypus</i>	+	+	+	+	+			
13. <i>Arvicola terrestris</i>		+	+	+	+			
14. <i>Terricola majori</i>	+	+	+	+				+
15. <i>Mus musculus</i>	+					+		+
16. <i>Sylvaemus uralensis</i>	+	+	+				+	
17. <i>Sylvaemus fulvipectus</i>			+	+		+		+

18. <i>Rattus rattus</i>		+	+	+	+			
19. <i>Rattus norvegicus</i>	+	+		+				+
სულ სახეობები	9	12	16	12	9	3	2	7


+ ჩვენს მიერ აღრიცხული არამფრენი ძუძუმწოვრები

+ Our records of non-flying mammals

პირველი ცხრილიდან თვალნათლივ ჩანს ტბების დიდი და პატარა ნარიონალის მიდამოების უპირატესობა ყველა დანარჩენ ადგილთან; ასევე დიდი წყალსატევების პირა ეკოსისტემების (ადგილები მალთაყვა, რუჯულა-კოლამონა, მდ. სუფსა და ნატანები) უპირატესობა მცირე წყალსატევებისა და წყალს მოშორებულ ადგილებთან (გურიის ტაფობი, გომის მთა). დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ხელფრთიანებშიც, მაგრამ აქ სურათი უფრო თანაბარია, რადგან დიდი ზომის ხელფრთიანები მსხვერპლის ძებნისას ისეთ ადგილებში შეიძლება შეგვხვდნენ, სადაც მათი საბინადრო ადგილი არაა, მაგალითად წითური და გიგანტური მელამურები სოფელ ოზურგეთში.

ორივე ცხრილიდან ნათლად ჩანს ანთროპოგენული გავლენის ზემოქმედების დონე - მრავალფეროვნება ყველაზე მაღალია დიდ და პატარა ნარიონალზე და მასში ჩამავალ არხზე, ადგილზე, სადაც ანთროპოგენული პრესი სპეციფიურია, არ გამოიხატება

სურ. 1



ცხრილი 4. ხელფრთიანების განაწილება უბნების მიხედვით


Table 4. Bats Distribution by Sites

სახეობის ლათინური დასახელება Scientific Neme	ადგილის დასახელება Place					
	მაღთაყვ Maltakva	რუჯულა- კოლონის Ruijula - Colomona	დიდი და პატარა ნარიონალი Didi and Patara Narional	მდ. ნატანები Riv. Natanebi	გურიის ტფი Guria Depresion	დასახლებული უბნები Settlements
1. <i>Pipistrellus nathusii</i>	+		+	+		
2. <i>Pipistrellus pipistrellus</i>		+	+	+	+	+
3. <i>Pipistrellus pygmaeus</i>		+				
4. <i>Pipistrellus kuhlii</i>			+			
5. <i>Myotis blithyi</i>			+			
6. <i>Myotis mystacinus</i> group		+	+		+	
7. <i>Myotis daubentonii</i>		+		+		+
8. <i>Eptesicus serotinus</i>			+	+		+
9. <i>Nyctalus noctula</i>		+	+	+		+
10. <i>Nyctalus lasiopterus</i>			+	+		+
11. <i>Nyctalus leisleri</i>			+			+
სულ სახეობები	1	5	9	6	2	6

+ ჩვენ მიერ აღრიცხული ხელფრთიანები

+ Our records of Bats

სურ. 2



ადგილსამყოფელის განადგურებაში (თევზაობა, ნადირობა) და მიმდინარეობს დაზიანებული ადგილსამყოფელის აღდგენა; ადგილებზე: კოლომონა-რუჯულაზე, მალთაყვაზე, მდ. სუფსისა და ნატანების პირას დროდადრო ხდება ადგილსამყოფელის მკვეთრი ცვლილებები (ტორფის მოპოვება, პირუტყვის პოვება, ქვიშის კარიერების მოწყობა მდინარის პირას ან მის კალაპოტში) ამიტომ სახეობრივი მრავალფეროვნებაც უფრო დაბალია; გურიის ტაფობზე, სუბალპებსა და დასახლებულ პუნქტებში (დიდი წყალსატევებიდან მოშორებით) ანთროპოგენული პრესი მაღალია, ამიტომ მუქმუწოვართა სახეობრივი მრავალფეროვნება დაბალია.

ყველა ზემოთ მოყვანილი საკვლევი უბნებიდან გამოსაყოფია ტბების დიდი და პატარა ნარიონალისა და მასში ჩამავალი არხის ტერიტორია და ადგილი მალთაყვა. პირველი მათგანი 7-8 კილომეტრითაა დაშორებული კაცობურის აღკვეთილისგან ამიტომ შესაძლებელია დაუკავშირდეს მას, როგორც დაცული ლანდშაფტი. თვით ტბები და მათში ჩამავალი შეშვრები არხი კი სეზონურ აღკვეთილად გამოცხადდეს. ადგილი მალთაყვა ისედაც კოლხეთის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონას წარმოადგენს და აქ მხოლოდ კანონის უკეთ შესრულებაა საჭირო. უკეთ დაცვის შემთხვევაში ტ. დიდი და პატარა ნარიონალების მიდამოებში შესაძლოა გაჩდეს ის სახეობები (ვოლნუხინის ბიგა, კოლხური კბილთეთრა, პაწია თაგვი), რომლებიც ამჟამად აქ არ გვხვდება.

დასკვნა

ჩვენი კვლევების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გურიაში ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე უნდა გვხვდებოდეს 64 სახეობის ძუძუმწოვარი (ერთ-ერთი მათგანი, ირემი გურიაში განადგურებულია), აქედან 56 სახეობის არსებობა მეცნიერულად დამტკიცებულია ჩვენს ან ჩვენს წინამორბედთა მიერ. 5 სახეობა არცერთ წყაროში არაა დაფიქსირებული და არც ჩვენ შეგვხვდებოდა (რადეს და კავკასიური ბიგები, მცირე ცხვირნალა, ევროპული მაჩქათელა და რუხი ყურა), 8 სახეობა (თეთრმუცელა კბილთეთრა, დიდი ცხვირნალა, ჩვეულებრივი ფრთაგრძელი, ტყისა და კლდის კვერნები, დათვი, მგელი, ფოცხვერი) ზუსტი ადგილის მიუთითებლად არის მოხსენიებული, როგორც გურია-აჭარის ქედზე, შავი ზღვის სანაპიროზე, თითქმის მთელ საქართველოში და ა.შ. მოხინაძრე. თუმცა ლანდშაფტური კუთვნილებიდან გამომდინარე ცამეტივე სახეობის არსებობას ამ ტერიტორიაზე არაფერი არ უშლის (ცხრ. 1).

ლიტერატურიდან ცნობილი 14 სახეობა ჩვენ არ შეგვხვდებოდა (ცხრ. 1), რაც უმეტეს შემთხვევაში იმაზე მეტყველებს, რომ მათი რაოდენობა შემცირებულია ან ისინი საერთოდ აღარ ბინადრობენ გურიაში (მსხვილი და საშუალო ზომის ძუძუმწოვრები). წვრილი ძუძუმწოვრები, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მოკლეა და რიცხოვნობის ძლიერი მერყეობა ახასიათებთ, შეიძლება ვერ იქნენ ნანახი კვლევის წლებში მათი რიცხოვნობის ვარდნის გამო.

ჩატარებული კვლევების შედეგად გურიის ფაუნისათვის პირველად აღინიშნა 10 სახეობა, ესენია: აღმოსავლეთევროპული ზღარბი, წვეტყურა მდამიობი, წყლის მდამიობი, წითური მედამურა, ჩვეულებრივი მეგვიანე, ტყის ღამორი, პაწია ღამორი, კიულის ღამორი, დედოფალა და პონტური ტყის თაგვი (ცხრ. 1).

ჩვენს მიერ მიღებულმა მონაცემებმა აჩვენა, რომ გურიის ტაფობსა და სუბალპურ სარტყელში ძუძუმწოვართა სახეობების რაოდენობა და თვით ცხოველების რიცხოვნობაც დაბალი და ძალიან დაბალია. მაშინ, როდესაც ლიტერატურული მონაცემებითა და სახეობების ბიოტოპური კუთვნილებიდან გამომდინარე გურიის ტაფობზე (დიდი მდინარეების ნაპირების ჩათვლით) შესაძლოა ბინადრობდეს ყველაზე მეტი სახეობა (50), ყველაზე მეტი ენდემური და კანონით დაცული სახეობა კი სუბალპურ სარტყელში უნდა გვხვდებოდეს. ორივე ეს ტერიტორია ძლიერი ანთროპოგენული პრესის ქვეშ იმყოფება (პირუტყვის არანორმირებული მოვება სუბალპურ მდელოებსა და ტყეში, მცენარეთა ინვაზიური სახეობების მოზღვაება გურიის ტაფობზე). საჭიროება მოითხოვს დავიცვათ გურიის სუბალპური ლანდშაფტები, აქ დაცული ტერიტორიის - აღკვეთილის მოწყობით (IUCN IV კატეგორია). მცირე კავკასიონზე ის ითამაშებს დამაკავშირებელი რგოლის როლს ბორჯომ-ხარაგულის ეროვნულ პარკსა და კინტრიშის ნაკრძალს შორის.

გურიის ტაფობზე მხოლოდ მცირე დაცული ტერიტორიის შექმნა შესაძლებელი, რადგან ის ყველაზე უფრო დასახლებული და ათვისებული ტერიტორიაა სტატიაში განხილულ ადგილებს შორის. ამგვარი ადგილი მხოლოდ მდ. ბახვისწყლის ქვემო დინებაში არსებობს კურორტ ნასაკირალთან. ეს იმისთვისაცაა საჭირო, რომ გურიის ტაფობზე შენარჩუნდეს ერთი მცირე ტერიტორია მაინც, სადაც შემორჩება და აღდგება ძუძუმწოვრების აქ არსებული სახეობრივი მრავალფეროვნება. ტერიტორიის სიმცირის გამო აქ აღკვეთილზე უფრო მაღალი კატეგორიის დაცული ტერიტორიის მოწყობა შეუძლებელია.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გურიის ღია ლანდშაფტები განიცდის ძლიერ ანთროპოგენულ გავლენას. მათ უმეტესობაზე დატვირთვა უმაღლესი და მაღალია. ხოლო, ადგილები სადაც ანთროპოგენული დატვირთვა საშუალოა ძალზე ცოტაა. ძუძუმწოვართა სახეობებზე ანთროპოგენული გავლენა დამოკიდებულია არა მხოლოდ ლანდშაფტებზე დატვირთვის დონეზე, არამედ მათი ადდგენის უნარზე. თუ ლანდშაფტს ადდგენის მაღალი უნარი გააჩნია (დიდი წყალსატევების პირა ბიოტოპები), სახეობათა რაოდენობა იქ მაღალია, თუ არა, სახეობათა რაოდენობა დაბალია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხანგრძლივი ანთროპოგენული დატვირთვა წყდება და იწყება ბიოტოპის ადდგენა ძუძუმწოვართა სახეობები მაინც ცოტა რჩება. ამ შემთხვევაში მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ადამიანის ჩარევითაა შესაძლებელი.

სიტუაციის გასაუმჯობესებლად შემოთავაზებულია 3 დაცული ტერიტორიის შექმნა:

- დიდი და პატარა ნარიონალის ტბებისა და მასში ჩამავალი არხის ტერიტორია, როგორც სახეობებით ყველაზე მდიდარი და მაღალი პოტენციალის მქონე ადგილი;
- კურორტ ნასაკირალის მიდამოები, როგორც ერთადერთი ადგილი გურიის ტაფობზე, სადაც შეიძლება ადდგეს და შენარჩუნდეს სახეობებით პოტენციალურად უმდიდრესი ადგილი;
- გომისმთის მიდამოები ტყის პირისა და სუბალპური მდელოს გასწვრივ ერთ კილომეტრიან ზოლში (ნახევარ-ნახევარი კმ ტყესა და სუბალპურ მდელოზე), იმისთვის, რომ დამყარდეს კავშირი ბორჯომ-ხარაგაულის პარკსა და კინტრიშის ნაკრძალს შორის და ადდგეს ძუძუმწოვრების მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე.

ნაშრომში თვალნათლივ ჩანს, რომ არ აღინიშნება მსხვილი ძუძუმწოვრების ნახვის ადგილები. ეს იმის გამო ხდება, რომ მათი უმეტესობა ტყის სახეობაა, ჩვენ კი ტყიანი ლანდშაფტები განხილული არ გვაქვს. ასევე, არ არის ნანახი ძუძუმწოვრები ყველაზე უფრო ნაკლებად სახეცვლილ კლდოვან ლანდშაფტში. საჭიროა კვლევების ჩატარება დაბალი და უდაბლესი ანთროპოგენული დატვირთვის მქონე მონაკვეთებზე ტყიან და კლდოვან ლანდშაფტებში, რაც დასრულებულ სახეს მისცემს გურიის ძუძუმწოვართა მოსახლეობის აღწერას.

ლიტერატურა

1. Lamberti A. (1654). Relatione della Colchida, poggii della Mengrelia nella quale si trate dell origine, costumi e cosi naturali di quei paesi. Napoli.
2. Menetries E. (1832). Catalogue raisonne des object zoologique recueils dans voiage an Caucase et jusgu'aux frontieres actuelles de la Parse entrepris par ordre de sa majeste l'empereur / St. Petersbourg, I-XXXIX, 1832: 271 pp.
3. Нордманн А.И. (1838). Путешествие по Закавказскому краю / Журнал Министерства Народного Просвещения. № XX: 115 с.
4. Бендукидзе О.Г. (1979). Голоценовая фауна позвоночных Грузии / "Мецნიერება", Тбилиси: 122 с.
5. Бендукидзе О.Г. (1981). Изменение состава фауны позвоночных Грузии в послеледниковое время // Общие вопросы палеобиологии, Тбилиси: 162-172.
6. არაბული ა. (1977). შველი, ირემი და გარეული ღორი მცირე კავკასიონზე / თბილისი, მეცნიერება: 81გვ.

7. არაბული ა. (1987). დათვი საქართველოში / "მეცნიერება", თბილისი: 81 გვ.
8. კაპანაძე ა. (1974). არჩვი მცირე კავკასიონზე საქართველოს ფარგლებში // „მასალები საქართველოს ფაუნისათვის“, IV: 458-480.
9. კობია ს. (1974). კურდღლის (*Lepus europaeus* Pall.) გავრცელება და დასახლების სიმჭიდროვე მცირე კავკასიონზე საქართველოს ფარგლებში // „მასალები საქართველოს ფაუნისათვის“, IV: 360-383.
10. Моргилевская И.Е. (1989). Каталог коллекции мелких млекопитающих Института зоологии АН ГССР / "Мецნიერება", Тбилиси: 28 с.
11. Шидловский М.В. (2013) (1948). Грызуны Грузии. Фаунистический состав и эколого-географическое распространение // Ред. А. Бухникашвили, А. Кандауров. Тбилиси: 62-169.
12. პაპავა ა. (1960). საქართველოს ძუძუმწოვართა სარკვევი / "ცოდნა", თბილისი: 160 გვ.
13. ჯანაშვილი ა. (1963). საქართველოს ცხოველთა სამყარო. ხერხემლიანები / საქ. მეც. აკად. ზოოლოგიის ინსტიტუტის კრებული, თბილისი, III: 460 გვ.
14. Верещагин Н.К. (1941). Акклиматизация нутрии (*Myocastor coypus* Mol.) в Западной Грузии // Тр. Зоол. инст. АН ГССР, IV: 3-42
15. Верещагин Н.К. (1959). Млекопитающие Кавказа. История формирования фауны / Изд. АН СССР, М.-Л.: 703 с.
16. Моргилевская И.Е., Ципуришвили Д.Г. (1989). Лесная мышь в Грузии / "Мецნიერება", Тбилиси: 112 с.
17. Сатунин К.А. (1915). Млекопитающие Кавказского края (Chiroptera, Insectivora, Carnivora) / Зап. Кавк. муз. сер. Тифлис, А, I, № 1: 410 с.
18. Сатунин К.А. (1920). Млекопитающие Кавказского края / Travux de Musée de Géorgie. Tiflis, II, № 2: 223 pp.
19. Шидловский М.В. (1962). Определитель грызунов Закавказья / ИЗ АН ГССР, Тбилиси: 171 с.
20. Енукидзе Г.П., Сихарулидзе З.Д., Негмедзянов В.А. (1977). Материалы к познанию фауны позвоночных Кинтришского заповедника // Охр. прир. Грузии // Тбилиси, 5: 247-277. (Гр., Рус.)
21. მარუაშვილი ლ. (1964). საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია / თბილისი, „ცოდნა“: 343 გვ.
22. დავითაძე მ. (2001). აჭარის ადგილობრივი ფლორა / ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა: 199გვ.
23. Мазуренко М.Т., Хохряков А.П. (1972). Сравнительный анализ заносной одичавшей флоры Колхиды // Бюл. МОИП, отд. биол., 77(1): 128-138.
24. Андрейчик М.Ф. (2011). Эколого-хозяйственный подход к устойчивому развитию республики Тыва // http://www.rusnauka.com/27_OINXXI_2011/Ecologia/1_91775.doc.htm
25. Кочуров Б.И. (2001). Экологически безопасное и сбалансированное развитие региона // Известия АН СССР. № 4: 87-92.
26. საქართველოს წითელი ნუსხა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება №303, 2006 წ. 2 მაისი.
27. Сатунин К.А. (1906). Из Гуріи через Месхітскій хребет. Очерки природы Кавказа IV // "Естествознание и Географія", № 2: 50-64.

28. არაბული ა. (1973). გარეული ღორი (*Sus scrofa attila* Thom.) და ევროპული შველი (*Capreolus capreolus capreolus* L.) კოლხეთის დაბლობზე // “მასალები საქ. ფაუნისათვის”. საქ. სსრ მეცნიერებათა აკად. შრომები, III:
29. რატიანი ჯ. (2000). გარეული ღორი საქართველოში და მისი ეკოლოგიური და გენეტიკური პრობლემები // ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, “მეცნიერება”, ტ. XX: 281-289.
30. Арабули А.В. (1973). Распространение и количественное распределение кабана, косули и оленя в Грузии // Разв. охотн. хоз. Украинской ССР.
31. კობია ს. და სხვ. (1984). ძუძუმწოვრები // “კოლხეთის დაბლობის ბიოცენოზების ცხოველთა მოსახლეობა”. “მეცნიერება” თბილისი: 145-185.
32. გურიელიძე ზ. (2013). ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა/შესწავლის შესახებ // ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: 44 გვ.
33. ჯანაშვილი ა. (1947). მასალები წავის (*Lutra lutra* L.) გავრცელების შესწავლისათვის // თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, XXX: 59-65.
34. გურიელიძე ზ. (1997). საშუალო და მსხვილი ძუძუმწოვრები // წიგნში: “საქართველოს ბიომრავალფეროვნების პროგრამის მასალები”. თბილისი: 74-82.
35. Павлов М.П., Кириш И.Б. (1960). Материалы по питанию выдры (*Lutra lutra* L.) в Закавказье и взаимоотношение её с нутрией (*Myocastor coypus* Mol.) // Зоол. ж. АН СССР, М., XXXIX, № 4: 600-607.
36. Бухникашвили А., Натрадзе И., Кандауров А. (2007). Выдра (*Lutra lutra*) в Грузии – 1996-2006 годы // Сб. “Млекопитающие горных территорий” ред. В.В. Рожнов и Ф.А. Темботова. Мат. международной конференции 13-18 августа 2007 г., Товарищество Научных Изданий КМК, М.: 56-60.
37. Гептнер В.Г., Слудский А.А. (1972). Млекопитающие Советского Союза. Хищные (гиены и кошки) Т. 2, ч. 2. / “Высшая школа”, М.: 549 р.
38. Динник Н.Я. (1914). Звери Кавказа (хищные) / Зап. Кавк. отд. ИРГО, кн. XXVII, вып. 2, ч. II, Тифлис, 536 стр.
39. Флеров К.К. (1927). Очерк фауны млекопитающих долины р. Чороха // Ежег. Зоол. муз. АН СССР, М., XXVIII: 63-71.
40. ჯანაშვილი ა., ხელაძე პ., მესხიძე ჯ., ჟორდანიას რ., ბაქრაძე მ., ანდლულაძე ვ., პავლიაშვილი თ., გოგმაჩაძე თ. (1979). აჭარის ფაუნა. ხერხემლიანები (ეკოლოგიური და ზოოგეოგრაფიული მიმოხილვა) / გამ. “საბჭოთა აჭარა”, ბათუმი: 120 გვ.
41. Bukhnikashvili A., Kandaurov A. (2002). List of Georgian Mammals // Proceedings of the Institute of Zoology, GAS, vol. XXI: 319-340.
42. ბუხნიკაშვილი ა. (2004). მასალები საქართველოს წვრილ ძუძუმწოვართა (Insectivora, Chiroptera, Lagomorpha, Rodentia) კადასტრისათვის / გამ. “უნივერსალი”, თბილისი: 144 გვ.
43. Юдин Б.С. (1972). К систематике трансарктической бурозубки (*Sorex cinereus* Kerr., 1972) фауны СССР // Териология. Новосибирск: Наука, Т. 1: 40-50.
44. Бухникашвили А.К., Кандауров А.С., Натрадзе И.М. (2004). Находки рукокрылых в Грузии за последние 140 лет. // “Plecotus” М, № 7: 41-57
45. ჯანაშვილი ა.გ. (1953). საქართველოს ძუძუმწოვართა სარკვევი / სტალინის სახელმწიფო თსუ გამომცემლობა, თბილისი: 217 გვ.

46. Соколов В.В., Сыроечковский Е.Е. Ред. (1989). Заповедники СССР. Заповедники Кавказа / Изд. "Мысль", М.: 366 с.
47. Цыцулина Е.А. (1999). Новые находки рукокрылых (Chiroptera) на Западном Кавказе // *Plecotus et al.*, № 2: 79-83.
48. Белановская Е.А., Ясный Е.В. (1990). Антропогенная трансформация горных экосистем Большого Кавказа // Сб. "Биота экосистем Большого Кавказа", М.: 176-187.
49. Ясный Е.В. (1990). Комплексы мелких млекопитающих в высотнo-поясных экосистемах Большого Кавказа // Сб. "Биота экосистем Большого Кавказа", "Наука", М.: 111-158.
50. Беручашвили Н.Л. (1995). Кавказ: ландшафты, модели, эксперименты / Тбилиси: Изд-во ТГУ: 315 с.

Current State of Mammals in Guria

A. Bukhnikashvili, A. Kandaurov, I. Natradze

Institute of Zoology, Ilia State University,
a.bukhnik@gmail.com, a.s.kandaurov@gmail.com
ioseb.natradze@iliauni.edu.ge

S u m m a r y

Introduction

Mammals in Guria have not been sufficiently studied. Relatively reliable data exist only for Colchis (Kolkheti) Lowland. Scarce data are available for the limited areas or for some species for the rest of the territory there. Data in published sources are controversial. They don't correspond with the museum information, as well as with the preliminary data, obtained by us in 1996, 1997 and 2001. Our studies showed significant difference in species composition and in species abundances comparing with the data known for the previous periods.

Study on the current state of mammals was carried out in 2005, 2006 and 2012 in areas with a high anthropogenic pressure. It contains the review of state of mammals in open landscapes affected by anthropogenic influence. A comparative analysis of our data and the data, obtained earlier than 1960 is done. Short annotations are made for all the species found for the time being and for species recorded earlier in open areas. The past and current distributions of mammals are also given in the article. The comparisons of populations' are done for those species for which population numbers in the past were available.

The territory of Guria was divided into four parts according to landscape:

1. Wetlands in Guria lowland
2. Forests on the Guria ridge and Meskheta range
3. Guria depression and narrow strip between the wetlands and the Guria ridge
4. High mountain meadows on Meskheta range (mountain Gomis Mta).

According to the level of the anthropogenic pressure Guria can be divided into three parts:

1. Areas of extremely high and high anthropogenic pressure – Guria depression and subalpine meadows as well as the densely populated narrow line between wetlands and Guria ridge;
2. Areas under medium anthropogenic pressure located in Guria wetlands;
3. Areas of low and very low anthropogenic pressure – larger part of Meskheta range forests, areas belonging to the Kolkheti National Park and to the so called "Pontic Oak" Nature Reserve.

Total number of mammal species amounts to 64 which include species from our records and species that could be found in Guria considering existing habitats. One of them, red deer (*Cervus elaphus*), is extinct in Guria. We did not find 5 species which can occur in Guria (*Sorex raddei*, *Sorex satunini*, *Rhinolophus hipposideros*, *Barbastella barbastellus* and *Plecotus auritus*). Records of 8 species in literature (*Crocidura leucodon lasia*, *Rhinolophus ferrumequinum*, *Miniopterus schreibersii*, *Martes martes*, *Martes foina*, *Ursus arctos*, *Canis lupus*, and *Lynx lynx*) are without exact information on the finding places. Their distribution is described as “Meskheta range”, “Black Sea coast” or “almost all over Georgia”. However, taking into account the existing habitats, there is nothing to prevent their presence on this territory. Today, the occurrence of 56 species is confirmed by us, or by our predecessors.

We could not find 14 species mentioned in publications (Table 1) that could mean that the populations were decreasing, or even get extinct in Guria.

The following ten species are identified by us in Guria for the first time: *Erinaceus concolor*, *Myotis blythii*, *Myotis daubentonii*, *Nyctalus noctula*, *Eptesicus serotinus*, *Pipistrellus nathusii*, *Pipistrellus pygmaeus*, *Pipistrellus kuhlii*, *Mustela nivalis* and *Sylvaemus ponticus* (Table 1).

Until 60-70-ies of XX century the number of species distributed in open landscapes under medium anthropogenic pressure does not significantly differ from other areas under similar anthropogenic pressure. The present state of faunistic complexes of Guria depression and mountain Gomis Mta points at critical degradation (Table 2). Number of species, as well as populations' sizes, is low or very low. According to the published data up to 40 species should be represented in Guria lowland while we were able to find only 30 species; 45 species should have been represented in the narrow strip between the wetlands and the Guria ridge while we have found only 19; instead of expected 50 species in Guria depression we fixed only 13; instead of 33 species at Gomis Mta mountain we found just 2 (Table 2). It should be also noted that observation point on the mountain Gomis Mta is situated within the subalpine belt and there should occur much more endemic and protected by law species.

In Guria lowland, the level of the anthropogenic pressure is very low and low within the National Park. In other places it is medium and above medium however at the big water bodies far from the human settlements it is lower. Species diversity is average there. Rare species are not represented there. The common otter (*Lutra lutra*) is only species included in the Georgian Red Data List.

With exception of the areas adjacent to large rivers, the anthropogenic pressure on Guria depression and on the subalpine meadows (mountain Gomis Mta) is high and the highest. Accordingly, the number of animals recorded by us as well as the species diversity is low (Tables 2, 3, and 4). Within the Guria depression, with exception of the banks of large rivers, the highest number of small mammals was fixed in human populated areas, In Guria depression apart from the large rivers, the large mammals, with exception of the jackals (*Canis aureus*), have not been found. We did not find large mammals at the mountain Gomis Mta as well.

It is necessary to maintain at least one small protected area in Guria depression where it will be possible to keep existing species diversity and restore former species diversity of this part of Guria. Only a small protected area can be established in Guria depression as it is the most developed and densely populated area among the considered areas. A suitable area is situated in lower reaches of the river Bakhvistskali at the health resort Nasakirali. It is impossible to arrange a protected area of a higher category than the managed reserve, because the territory itself is quite limited.

Area of Didi Narionali Lake and Patara Narionali Lake, with the channel flowing into these lakes, should be separately noted. Distance between this area and Katsoburi managed reserve is 7-8 km. Area between the lakes and the Katsoburi managed reserve should be protected as a Protected Landscape (IUCN IV category), while the both lakes and the territory around the channel should be designated as a seasonal managed reserve.

There is a need to protect the subalpine landscapes in Guria by establishing a protected area such as a managed reserve. This protected area will connect the Borjomi-Kharagauli National Park and the Kintrishi Nature Reserve.

In case of establishing the above mentioned protected areas, it will become possible to preserve the mammalian fauna of Guria in all landscapes being under the anthropogenic pressure. The proper implementation of the protective measures will enable us to partially restore the fauna of mammals.

დანართი

Annex

A1 – კოლხეთის დაბლობის ლანდშაფტები დაჭაობებული მურყნის ტყით, სფაგნუმიანი ჭაობებით, მთის წინა რცხილნარ-მუხნარებით, წიფლნარ-წაბლნარებით, მუხნარ-მელქვნარით და პოლიდომინანტური ტყით მუდამ მწვანე ქვეტყით

Colchic Lowlandland scapes with swampalder forest and sphagnum bogs and foot hill landscapes with hornbeam-oak forest alternating with beech-chestnut, oak-*Zelkova* and polydominant forest with evergreen understory

J1 – დაბლობის ჭაობები

Lowland landscapes with wetlands

O1 – დაბალმთის კოლხური ლანდშაფტები რცხილნარ-მუხნარებით, რცხილნარ-წიფლნარ-წაბლნარებით ძირითადად მარადმწვანე ქვეტყით, იშვიათად მუხნარ-ფიჭვნარი ჩანართებით

Colchic low-mountain landscapes with hornbeam-oak and hornbeam-beech-chestnut forests mainly with evergreen understory, partly alternating with oak-pine forests

O2 – შუამთის კოლხური ლანდშაფტები წიფლის ტყეებით ძირითადად მარადმწვანე ქვეტყით

Colchic middle-mountain landscapes with beech forests mainly with evergreen understory

W1 – შუამთის ლანდშაფტები წიფლნარ-მუქწიწვოვანი და მუქწიწვოვანი ტყეებით ნაწილობრივად მარადმწვანე ქვეტყით

Caucasian middle-mountain landscapes with beech-dark coniferous and dark coniferous (spruce-fir) forests, partly with evergreen underwood

W 2 – კავკასიური მაღალმთის ლანდშაფტები არყის ხისა და ფიჭვის ტყეებით

Caucasian upper-mountain landscapes with birch and pine forests ნ. ბერუჩაშვილის მიხედვით [50].

**კოლორადოს ხოჭოს (*Leptinotarsa decemlineata* Say) ხელოვნური ინფიცირება
ენტომოპათოგენური ნემატოდებით**

ნ. გაბროშვილი, ო. გორგაძე

ზოოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 0162, თბილისი, საქართველო

ogorgadze@gmail.com

შესავალი: აღსანიშნავია, რომ კოლორადოს ხოჭო (*Leptinotarsa decemlineata* Say) კარტოფილის ნათესების სერიოზულ მავნებელს წარმოადგენს [1]. განსაკუთრებით მავნებლობს მატლის ფაზაში; ამ დროს ის ნაწილობრივ ან მთლიანად აზიანებს კარტოფილის ფოთლებს და ყვავილებს; ხშირად იწვევს მცენარის სრულ დეფოლიაციას. ხოჭოს და მის მატლებს შეუძლიათ კარტოფილის ნათესების 75%-მდე განადგურება, რაც კარტოფილის მოსავლიანობაზე უარყოფითად აისახება [2]. კარტოფილის გარდა ისინი აზიანებენ წიწაკის, ბარდის, პომიდვრის და ბადრიჯნის ნათესებს. აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გამოიყენება ბრძოლის ქიმიური მეთოდი, რაც საფრთხეს უქმნის როგორც გარემოს, ისე ადამიანის ჯანმრთელობას [2]. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგას მავნე მწერების რიცხოვნობის რეგულირების, მათგან მცენარეთა დაცვისა და მიყენებული ზარალის შესამცირებლად ისეთი მეთოდების და საშუალებების გამოყენების საკითხი, რომლებიც იქნებიან ეფექტური, ეკონომიკურად ხელსაყრელი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეკოლოგიურად უსაფრთხო. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი. მსოფლიო პრაქტიკაში მავნე მწერებთან ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდებიდან ერთ-ერთ ეფექტურ და პერსპექტიულ მეთოდს მათი ბუნებრივი მტრების - ნემატოდების გამოყენება წარმოადგენს [3-5]. ცნობილია, რომ ბუნებრივი თვალსაზრისით საქართველოს მეკარტოფილეობის სხვადასხვა რეგიონი ერთმანეთისაგან განსხვავებული კლიმატური პირობებით ხასიათდება. ასეთ რეგიონებში კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ პათოგენური ნემატოდების ეფექტურობა ზოგიერთი გამონაკლისის გარდა [6], თითქმის შეუსწავლელია.

ნაშრომში განხილულია კოლორადოს ხოჭოს ბიოლოგიური კონტროლის მიზნით ენტომოპათოგენური ნემატოდების (ეპნ) გვარი *Steinernema*-სა და გვარ *Heterorhabditis*-ის გამოყენების შესაძლებლობა.

მასალა და მათოდიკა. საექსპერიმენტო მასალა (კოლორადოს ხოჭო და მისი მატლები) მოვიპოვეთ საგარეჯოს რაიონში, კერძო სექტორის კარტოფილის ნათესებიდან. მავნებლის ტრანსპორტირებისათვის გამოვიყენეთ ბადესახურავიანი ნახევარლიტრიანი პოლიეთილენის ქილები. მავნებლის წინააღმდეგ ცდები ჩატარებული იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, ენტომოპათოგენების ლაბორატორიაში 21-25°C და 80% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში.

ცდაში, მავნე მწერების ინფიცირებისათვის გამოყენებული იქნა 10სმ დიამეტრის პეტრის ჯამები, კარტოფილის ფოთლები, ნემატოდის (მე-3 ასაკის) ინფექციური ლარვები და შემასხურებელი. ცდებში გამოსაყენებელი საექსპერიმენტო ინფექციური ლარვების დიდი რაოდენობა კულტივირებული იქნა ფიჭის დიდი ჩრჩილის (*Galleria mellonella*) მატლებზე [7]. ექსპერიმენტის დაწყებამდე პეტრის ჯამებზე განვსაზღვრეთ [7] ცდებში გამოსაყენებელი სხვადასხვა სახეობის ეპნ-ის რიცხოვნობა (1000 ± 105 ნემატოდა) 1მლ სუსპენზიაში. ტესტის სახით ყველა ცდაში თითოეული მავნებლის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა 100 ± 11 ეგზ. ნემატოდის ინფექციური ლარვა. თითოეულ ცდაში იყო საცდელი და საკონტროლო ვარიანტი. საცდელი ვარიანტის თითოეულ ცდაში მავნებლების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა გვარ *Steinernema*-ს ნემატოდები (*S. carpocapsae*, *S. thesami*, *Steinernema* sp.) და გვარ *Heterorhabditis*-ის (*H. bacteriophora*-ს) ენტომოპათოგენური ნემატოდები, ხოლო საკონტროლო ცდის ვარიანტში მავნებლები მხოლოდ ონკანის წყლით დამუშავდა. საცდელი ვარიანტის თითოეულ ცდაში იყო 4 გამეორება და 1 კონტროლი. ექსპერიმენტის პერიოდში შესწავლილ იქნა განვითარების სხვადასხვა ფაზაში მყოფი დახოცილი მწერების სხეულში ინფიცირების შედეგად შეღწეული ნემატოდების რიცხოვნობა. დადგინდა მწერების მიმართ ნემატოდების ეფექტურობის პროცენტი [8]. გამოვიყენეთ მწერის გაკვეთის მეთოდიკა [9], ხოლო მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ჩავატარეთ ენტომონემატოლოგიაში მიღებული მეთოდის მიხედვით [10].

შედეგები. ცდის დაყენებიდან 24 საათის შემდეგ საცდელ პეტრის ჯამებზე ჯერ კიდევ იყო მავნებლებისაგან შეუჭმელი კარტოფილის ფოთლები (სურათი-ა). მკვდარი მატლები არ დაფიქსირდა, მაგრამ მატლები პასიურად მოძრაობდნენ. ცდიდან 48 საათის შემდეგ კარტოფილის ფოთლები მთლიანად შეჭმული იყო (სურათი-ბ), მატლები თითქმის არ მოძრაობდნენ. მწერები გაღიზიანებაზე სუსტად რეაგირებდნენ. 72 საათის შემდეგ ცდაში მატლების დიდი რაოდენობა დახოცილი იყო.

ცდის დაყენებიდან მეხუთე დღეს დადგინდა, რომ მავნებლების მიმართ გამოყენებული ნემატოდის ყველა სახეობა მაღალი ეფექტურობით (97- 100%-მდე) აღინიშნა (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. კოლორადოს ხოჭოს ენტომოპათოგენური ნემატოდებით
ხელოვნურად ინფიცირების შედეგები

ცდის ვარიანტი	ნემატოდების სახეობა	ცოცხალი მავნებლის რიცხოვნობა ცდაში (4 გამეორება)	სიკვდილიანობის საშუალო %
------------------	------------------------	---	--------------------------------

		დამუშავებამდე	დამუშავების შემდეგ	
საცდელი	<i>S. carpocapsae</i>	151±6	1	99.3
საცდელი	<i>S. thesami</i>	155±8	4	97.4
საცდელი	<i>Steinernema</i> sp.	139±5	2	98.5
საცდელი	<i>H. bacteriophora</i>	148±3	2	98.6
კონტროლი	წყალი	35±2	1	-

მავნებლებში შეღწეული ნემატოდების რიცხოვნობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მესამე და მეოთხე ასაკის მავნებლის მატლები უფრო ადვილად ინფიცირდებიან, ვიდრე პირველი და მეორე ასაკის მატლები და იმაგო (იხ. სურათი).



სურათი. პეტრის ჯამებში კოლორადოს ხოჭოსა და მისი მატლების ნემატოდებით

ინფიცირება

ა-ინფიცირებიდან 24 სთ-ის შემდეგ; ბ-48-სთ-ის შემდეგ; გ-72 სთ-ის შემდეგ

(გაკვეთილ მატლში დაფიქსირებული ნემატოდები).

რაც შეეხება ხოჭოს პირველი და მეორე ასაკის მატლებს, მათში *Steinernema carpocapsae*-ს ნემატოდების რიცხოვნობა შეადგენდა საშუალოდ 55.7 ეგზემპლარს (ცხრილი 2), მესამე ასაკის მატლებში-73.8 ეგზ. მეოთხეში - 104.4 ეგზ, ხოლო მავნებლის იმაგოს ფაზაში ნემატოდების რიცხოვნობა მატლებთან შედარებით დაბალი (12.5 ეგზ.) იყო. რაც შეეხება გვარ *Steinernema*-ს სხვა სახეობის ნემატოდებს (*S. thesami*, *Steinernema* sp.), მათი რიცხოვნობა

მავნებლებში *S. carpocapsae*-ს ნემატოდებთან შედარებით ნაკლები იყო. მაგ., *S. thesami*-ს ნემატოდები I-II ასაკის მატლში შეადგენდა 36.3 ეგზ-ს; III ასაკში- 52.5 ეგზ; IV ასაკში 63.7 და იმაგოს ფაზაში 10.3 ეგზ., ხოლო *Steinernema* sp. ნემატოდების რიცხოვნობა *S. thesami*-ს რიცხოვნობასთან შედარებით იყო უმნიშვნელოდ მაღალი. კოლორადოს ხოჭოს *Heterorhabditis bacteriophora*-თი დაინფიცირების შედეგად მივიღეთ, დაახლოებით ისეთივე რიცხოვრივი მონაცემები, როგორც *S. carpocapsae*-ს გამოყენების შემთხვევაში. კოლორადოს ხოჭოზე ჩატარებული ცდების ანალიზი გვიჩვენებს, რომ *Steinernema*-სა და *Heterorhabditis*-ს ნემატოდებს უნარი შესწევთ შეაღწიონ მავნებლის ორგანიზმში და მათი სიკვდილიანობა გამოიწვიონ.

ცხრილი 2. ინფიცირების შედეგად კოლორადოს ხოჭოში შეღწეული ნემატოდების რიცხოვნობა

ნემატოდების სახეობა	ნემატოდების საშუალო რიცხოვნობა სხვადასხვა ასაკის მავნებლებში			
	I-II	III	IV	იმაგო
<i>S. carpocapsae</i>	55.7	73.8	104.4	12.5
<i>S. thesami</i>	36.3	52.5	63.7	10.3
<i>Steinernema</i> sp.	41.6	55.6	71.5	15.6
<i>H. bacteriophora</i>	52.3	76.7	95.3	25.5

ლაბორატორიულ პირობებში 21-25°C-ზე კოლორადოს ხოჭოს წინააღმდეგ ჩატარებულ ცდებში ნემატოდების ეფექტურობა საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. აღნიშნულ ტემპერატურაზე *S. carpocapsae*-ს, *S. thesami*-ს და *Steinernema* sp. ნემატოდების მიერ მავნებლების 97-99%-მდე სიკვდილიანობა დაფიქსირდა. ასევე ეფექტური (98,6%) აღმოჩნდა მავნებლების მიმართ *H. bacteriophora*-ს ნემატოდი. ნემატოდებით ინფიცირებული მავნებლების გაკვეთისას დადგინდა, რომ მწერის ორგანიზმში ნემატოდი ხვდება საკვების მიღებისას პერორალური გზით. ჩატარებული ცდების შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლორადოს ხოჭოს ბიოლოგიური კონტროლისა და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების მიზნით, სასურველია საქართველოში მიღებული და დანერგილი იქნას ბიოლოგიური მეთოდის, კერძოდ ენტომოპათოგენური ნემატოდების გამოყენება

ლიტერატურა

1. კალანდაძე ლ., ბათიაშვილი ირ., ალექსიძე ნ., ყანჩაველი გ. ბოსტან-ბაღის მავნებლები. ენტომოლოგია, II ნაწილი. თბილისი, 1962. 141-143.
2. <http://www.extension.umn.edu/garden/insects/find/colorado-potato-beetles>.
3. <http://www.biocontrol.entomology.cornell.edu>
4. Xian W. J. and L. L. Ying. 1987. Entomogenous nematode research in China. Rev. nematol., Vol. 10, 483-489.
5. Ehlers R-U. and A. Peters. 1995. Entomopathogenic nematodes in biological control: Feasibility, perspectives and possible risks. In: Hokkanen HMT, Lynch JM (eds). Biological Control: Benefits and risks. Cambridge University Press, 119-136.
6. Gorgadze O.A. and M.G. Lortkipanidze. 2004. The Invasion of Colorado Beetle (*Leptinotarsa decemlineata* Say) by using the Nematode *Steinernema thesami* (Steinernematidae). Bulletin of the Georgian Acad. of. Sciences, 169, №3, 592-594.
7. Veremchuk G.V. 1986. Methodologic recommendations on laboratory cultivation on bee moth (*Galleria mellonella*) and application of entomopathogenic nematodes. L., 1-19 (In Russian).
8. Abbot W. S. 1925. Method of computing the effectiveness of insecticide. J. Econ. Entomol., 18, 265-276.
9. Pavlovski E.N. 1957. Method of manual anatomizing of insects. M., 85 (Russian).
10. Dospekhov B. A. 1979. Method of field experiment (with principles of statistical treatment of results of investigations) M., 415. (In Russian).

**Artificial Infection of Colorado potato beetles (*Leptinotarsa decemlineata*) by
Entomopathogenic Nematodes**

N. Gabroshvili, O. Gorgadze

S u m m a r y

The infectivity of entomopathogenic nematodes (EPNs): *S. carpocapsae*, *S. thesami*, *Steinernema* sp. and *Heterorhabditis bacteriophora* were used against the Colorado potato beetles (*Leptinotarsa decemlineata*) under laboratory conduction. Insects were treated with the same concentration of nematode suspension - title - 1000 ± 105 specimens /1 ml water (e.i. 100 nematode per insects).

Mortality rates of insects are presented in Table 1. Within 48 hour exposure respectively, 97-99%, were infected by EPNs. Different number of nematodes was observed into the dead insects bodies after dissecting of insects.

Number of nematodes registered in the III and IV stage of dead insects was higher than in other instars.

**საქართველოს დაბლობებსა და მთისწინეთში ხვატარების
გავრცელების ზოგიერთი ფაუნისტურ-ეკოლოგიური თავისებურებანი
(Lepidoptera, Noctuidae)**

ე. დიდმანიძე, ვ. პეტროვი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი,
რუსთაველის გამზირი 3, 0105, თბილისი, საქართველო
lepidopterology@mail.ru; valeri.petrov@mail.ru

აბსტრაქტი

საქართველო მთიანი ქვეყანაა მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური სარტყლიანობით. თითოეული სარტყელი ხასიათდება მისთვის დამახასიათებელი სასიცოცხლო გარემოთი (რელიეფი, კლიმატი, ფლორა და ფაუნა), რაც განაპირობებს მეზობელ სარტყლებთან მის იზოლიაციას და განსაზღვრავს ბიოცენოზისათვის დამახასიათებელი ფაუნის ფორმირებას.

ბუნებრივი სარტყლების გამოყოფისას ჩვენ გავყევით ა. გროსგეიმის [1, 2], ნ. გვოზდეცკის [3 - 6], ნ. კეცხოველის [7], ფ. სახოკიას [8], რ. გაგნიძის [9], ვ. გულისაშვილის [10 - 12], რ. ქვაჩაკიძის [13] და სხვ. ცნობილი მკვლევარების მიერ შემოთავაზებულ კავკასიის და საქართველოს ლანდშაფტური დასარტყლიანების სქემებს, სადაც საქართველო დაყოფილია 3 მაღლობრივ საფეხურად: I. დაბლობებისა და მთისწინეთის (სუბმონტანური) საფეხური (ზღვის დონიდან - 800-900 მ); II. მთის (მონტანური) საფეხური (900-1900 მ) და III. მთამაღალის საფეხური (1900 მ და ზევით); 10 ლანდშაფტურ სარტყლად და მრავალ ბიოტოპად. ჩვენც, ჩვენი მრავალწლიანი ფაუნისტური კვლევა სწორედ ამ ცნობილი მკვლევარების მონაცემების კვალდაკვალ განვახორციელეთ.

ხვატარები ღამის პეპლებს მიეკუთვნება, რის გამოც მათი ბიო-ეკოლოგიური შესწავლა განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ისეთი მთიანი რეგიონისათვის, როგორიცაა საქართველო, ამ გამოკვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ფაქტობრივი მასალის დიდი მოცულობის გამო, წარმოდგენილ ნაშრომში, განვიხილავთ მხოლოდ პირველ მაღლობრივ საფეხურში ჩატარებული კვლევის შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: არიდული, ჰაბიტატი, ინტრაზონალური, ევზონალური, აზონალური, ქსეროფილი, ხორტოფილი და ა.შ.

შედეგები და მათი განხილვა

ცნობილი მეცნიერი, ლეპიდოპტეროლოგი მ. რიაბოვი წერდა: “Определение высотных границ обитания многих чешуекрылых обладающих сильным полетом весьма затруднительно, что никогда нельзя забывать при изучении специального или зонального распределения горных чешуекрылых“ [14]. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და ვერტიკალურ სარტყლიანობის მიხედვით ქერცლფთიანების და კერძოდ

ხვატარების გავრცელების შესწავლამ დაგვანახა, რომ მათი სარტყლობრივი არეალები რიგ შემთხვევაში მართლაც არ ემთხვევა ლანდშაფტურ დარაიონებას, რაც ნათლად აისახა კიდეც მიღებულ შედეგებზე.

I. მაღლობრივი საფეხური (ზღვის დონიდან – 900 მ-დე)

აერთიანებს 2 ეკოლოგიურ ლანდშაფტს (A და B) და 4 ბუნებრივ სარტყელს:

A. სუბარიდული და არიდული ლანდშაფტი (ზღვის დონიდან 50-60 მ-დე),

საქართველო მეზოფილური ქვეყანაა, რომლის საზღვრები გადის ზომიერ კლიმატურ სარტყელში [15]. ტერიტორიის 1/4 არიდული ნაწილია, რომელიც მდებარეობს კარგად განვითარებულ მეზოფილურ ლანდშაფტებს შორის. ეს გარემოება გავლენას ახდენს ფაუნაზე და მის სუბარიდულ ხასიათს განაპირობებს.

ცალკეული ცნობები საქართველოს არიდულ ლანდშაფტში გავრცელებული ქერცლფრთიანების შესახებ მოცემულია ჩვენს ნაშრომებში [16 - 20].

1. უდაბნოების და ნახევარუდაბნოების ხვატარების ფაუნა (სურ.1, 2)

ეს სარტყელი საქართველოში მოიცავს მტკვარ-არაქსის დაბლობის მნიშვნელოვან ნაწილს [21, 5, 6]. უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობის მსხვილი ლაქები გვხვდება ელდარის დაბლობსა და შირაქის ზეგანზე და გრძელდება ქ. რუსთავამდე. შესწავლილია შემდეგი პუნქტები: გარდაბანი, უდაბნო, დავით-გარეჯი, იორი, მარნეული, მილლერ-ქაშები, კუმისის ტბის მიდამოები, შავნაბადა, იაღლუჯა, შირაქ-ელდარი, კასრისწყალი.

კლიმატოლოგი მ. კორძაია [22, 23] ამ რეგიონის ჰავას მშრალ-სუბტროპიკებს მიაკუთვნებს. იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა 0°C-ზე მაღალია, ხოლო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ზოგჯერ -13°-18°C-ზე ეცემა. ზაფხული ცხელია, ივლისის წლის საშუალო ტემპერატურა +43°C-ია. წლის საშუალო ტენიანობა მერყეობს 186-349 მმ-ის ფარგლებში.

სარტყლის მცენარეულობა ერთგვაროვანი არ არის. მის სხვადასხვა ნაწილში განვითარებულია აბზინდიანი (*Artemisia*), ყარღანიანი (*Salsola*) და მარცვლოვან-აბზინდიანი (*Festucea-Artemisia*) ნახევარუდაბნოები (სურ. 1). მდინარეთა სანაპიროებზე გვხვდება ჭალის ტყეები. შირაქ-ელდარზე, ნახევარუდაბნოს ტიპის ჰაბიტატში, მცენარეთა ისეთ დაჯგუფებაში, როგორიცაა: *Alhagi pseudoalhagi*, *Artemisia fragrens*, *Holoknemus strobilaceum* და სხვადასხვა ეფემერული მარცვლოვნები, ჩვენ აღვრიცხეთ ბიომისათვის სპეციფიკური 17 სახეობის ხვატარი². ასეთი აღმოჩნდა (მცენარეებით მკვებავი): *Ochroleura forcipula*, *Sideridis albicolon* და გვარ *Cucullia*-ს წარმომადგენლები ცერცვეკალაზე (*Alhagi pseudoalhagi*); *Pericyma albidentaria*, *Leucanitis*, *Ochroleura signifera improcera* და *Mamestra zea* - მარცვლოვნებზე (*Gramininae*); *Heliothis nubigera* და *Rocleptria incarnata* - მუხუდოზე (*Cicer*); *Periphanes delphinii* - დეზურაზე, ზღარბაზე (*Delphinium*, *Acantholimon*), *Porphyria purpurina* - ნარზე (*Cirsium*) და *Callistege mi* - კურდღლისცოცხა (*Genista*). მტკვრის დაბლობს გასდევს ყარღანიანი (*Salsola dendroides*) ნახევარუდაბნო (სურ. 2). ამ ბიოტოპის ხვატარების ღამის ფაუნა ღარიბია და არ გამოირჩევა ორგინალობით. შედარებით მდიდრულად გამოიყურება იაღლუნი (*Tamarix*),

² ხვატარების ნომენკლატურისათვის ძირითადად ვისარგებლეთ ფ. ჰარტიგის და ვ. ჰეინიკის სისტემით [24] (Hertig & Heinicke, 1975).

რომელთანაც ბიოლოგიურად დაკავშირებულია: *Cardepija sociabilis* და *Clytie illunaris*. სახეობრივად მწირი აღმოჩნდა ჭალის ტყეების ფაუნაც. ის ძირითადად შედგება ჩვეულებრივი და ჰემიქსეროფილური სახეობებისაგან, რომელსაც ადგილ-ადგილ ერევა ტენისმოყვარული ფორმები.

მიუხედავად მრავალწლიანი სავსე მუშაობისა, საქართველოს უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს სარტყელში სულ მოპოვებულია 201 სახეობა, რაც დღეისათვის ჩვენს მიერ საქართველოში აღრიცხული ხვატარების ფაუნის (598 სახეობა) 33,6%-ს შეადგენს.

საინტერესო მონაპოვრია: *Tephрина pumicaria* შირაქის პლატოზე, ეს სახეობა ადრე ცნობილი იყო დაღესტნიდან და მცირე აზიის ნახევარუდაბნოებიდან; ელდარის უდაბნოებში *Zethes insularis* შუა აზიის უდაბნოს ელემენტია; ელდარ-შირაქის ქსეროფიტულ ლანდშაფტში ქსეროფილური სახეობები *Dyscia*-ს და *Leucanitis*-ის გვარებიდან საქართველოში შემოჭრილია სამხრეთის უდაბნოებიდან, ნახევარუდაბნოებიდან და მშრალი სტეპებიდან.

სარტყლის ჩვეულებრივი სახეობებია: *Noctua pronuba*, *Amathes c-nigrum*, *Mythimna albipuncta*, *Acontia luctuosa*, *Autographa gamma* და სხვ., სულ 47 სახეობა, ანუ სარტყლის ფაუნის სახეობათა საერთო რაოდენობის (201 სახეობა) 23,4%. მათი უმრავლესობა, პოლიფაგია, ევრიზონალურია, ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვა არიდულ რაიონებში, მრავლდება მასობრივად, წელიწადში იძლევა რამოდენიმე თაობას და წარმოადგენს ფონის შემქმნელს. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა შირაქ-ელდარის ზამთრის სამოვრების, ბოსტან-ბაღჩის და ხეხილის ბაღების სერიოზული მავნებელია. ფაუნის სერიოზულ ნაწილს ქმნის ოლიგოზონალური, რომლებიც ნახევარუდაბნოებს და უდაბნოებს აკავშირებს არიდულ ნათელ და ჭალის ტყეებთან (ასეთებია ძირითადად ტყისა და ტყე-სტეპის სახეობები), მთა-სტეპისა და ქვა-ლორდიან მცენარეულობასთან (ასეთები ძირითადად ტყე-სტეპის, სტეპის და უდაბნოს სახეობები) და ა.შ., სულ 94 სახეობა, რაც სარტყლის ფაუნის სახეობათა საერთო რაოდენობის 46,7%-ია.

შედარებით მწირია აზონალურების რაოდენობა. ისინი თავს იყრიან სარტყლის ისეთ ბიომებში, როგორიცაა გუბურა, ხელოვნური წყალსატევებისა და მშრალი ხეობების მდინარეთა ნაპირები, სულ 30 სახეობა ე. ი. სარტყლის ფაუნის სახეობათა საერთო რაოდენობის 14,9%.

ზონალური დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მონოზონალური ანუ ე. წ. სარტყლის “პირობითი ენდემები”. ხვატარებიდან მათ მიეკუთვნება: *Ochropleura melanura*, *O. amoena*, *Engorisma chaldaica*, *Paradiarsia punica*, *P. glareosa*, *Discestra mendax*, *Sideridis implexa*, *Mythimna littoralis*, *Episema lederi*, *Cryphia roederi*, *Phseudohadena luciniosa*, *Aegle koekeretziana*, *Acantholipes regularis*, *Zethes insularis*, *Leucanitis rada*, *L. herzi*, *L. sequilina*, *L. saiani*, *L. sequistoria*, სულ 19 სახეობა ე.ი. სარტყლის ფაუნის სახეობათა საერთო რაოდენობის 9,5%.

სარტყლების ფაუნის ურთიერთშედარებისათვის სწორედ ეს სახეობები უნდა მივიღოთ მხედველობაში, ვინაიდან მათთვის დამახასიათებელია ჰაბიტატის მკაცრი შერჩევითობა და პოპულაციის სიმცირე.

სარტყლის დახასიათებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, დომინანტობის ინდექსს. სახეობის პოპულაციის განსაზღვრისას აღმოჩნდა, რომ

საკვლევ ბიომში სახეობათა უმეტესობა (58,1%) მცირერიცხოვანია; კვებითი სპეციალიზაციით ჭარბობს ხორტოფილები (63,5%); ტენტან დამოკიდებულებაში 66,6% უკავია ქსეროფილ-მეზოქსეროფილურ ჯგუფს; ფაუნის დანარჩენი მეზოფილ-ჰიგრომეზოფილია; ფაუნის იერსახეს განსაზღვრავს ღია ლანდშაფტთან (უდაბნო-სტეპი, ტყე-სტეპი, მდელო-სტეპი) დაკავშირებული ფორმები - (70,5%).

2. დაბლობისა და მთისწინეთის სტეპის, ტყე-სტეპის და არიდული ნათელი ტყეების ხვატარების ფაუნა (200-750 მ ზ.დ.)

დაბლობისა და მთისწინეთის სტეპებისა და ტყე-სტეპების ხვატარების ფაუნა მნიშვნელოვნად განსხვავდება ნათელი ტყეების ფაუნისაგან, ამიტომ მათ ცალკე განვიხილავთ.

დაბლობისა და მთისწინეთის სტეპი და ტყე-სტეპი (სურ. 3) - დაბლობსა და მთისწინეთის სტეპებს საქართველოში უკავია მდ. მტკვრის დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: სამგორი, ნაომარი, შირაქი, გურჯაანი, მილარ-კაშები, მთა იაღლუჯა, წალასკური, კვერნაკი, ტარიფონა, გარეჯი, უდაბნო, კასპი, გორი, წითელქალაქი. როგორც სპეციალისტები [21, 7, 10] ამტკიცებენ, საქართველოში პირველადი სტეპები, გარდა ელდარ-შირაქისა (უროიანი სტეპი), არ მოგვეპოვება. სამხრეთ საქართველოს სტეპები მეორადი წარმოშობისაა, ისინი ტყის გაჩეხვის შემდეგაა წარმოქმნილი, რაც იმიტაც მტკიცდება, რომ ამ ტერიტორიაზე სტეპები და ტყის დერივატები (მუხა, კუნელი, ასკილი, კვრინჩხი და სხვ.) ერთმანეთს ცვლის [7, 8, 13].

საქართველოს სტეპებში კლიმატი მშრალია, ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. საშუალო წლიური ნალექი მერყეობს 319 - 649 მმ-ის ფარგლებში. ჰაერის შედარებითი ტენიანობა 63-81%-ია [22, 23].

ამ ბიოტოპის ხვატარების ფაუნა ერთგვაროვანი არ არის. ხორტოფილების უმეტესობა ტროფიკულად მცენარის სხვადასხვა სახეობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ფარსმანდუკზე (*Achillea*) - 5, ავშანზე (*Artemisia*) - 18, თათაბოზე (*Atriplex*) - 10, ნუშზე (*Amygdalus*) - 4 სახეობაა აღრიცხული და ა. შ.

სარტყლის ჩვეულებრივი სახეობებიდან გამოირჩევა: *Cucullia tanacetii* (საკვები მცენარე - *Pyrethrum*, *Artemisia*, *Achillea*, *Matricaria*); *Macdounnoughia confuse* (საკვები მცენარე - *Achillea*, *Artemisia*, *Pyrethrum*, *Anthemis*, *Brassica*, *Beta*); *Trachea atriplici* (საკვები მცენარე - *Rumex*, *Polygonum*, *Plantago*, *Sinapis*, *Atriplex*, *Chenopodium*, *Convolvulus*); *Axilia putris* (საკვები მცენარე - *Convolvulus*, *Plantago*, *Taraxacum*, *Rumex*, *Atriplex*).

ა. გროსგეიმის [2] თანახმად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში სტეპი წარმოდგენილია აზინდა-წივანთან ვარიანტით, რომელიც გარდამავალია ნახევარუდაბნოების სტეპისაკენ. მცენარეთა ასეთ ასოციაციაში მთელი რიგი ხვატარები ბიოლოგიურად დაკავშირებულია შემდეგ მცენარეებთან: *Mythimna comma* - *Festuca*, *Rumex*, *Deschampsia*-სთან, *Oligia strigilis* - *Festuca* და სხვა მარცვლოვნებთან, *Calamia virens* - *Festuca*, *Arundo*, *Typha*, *Sparganium*, *Cyperus*-სთან, *Euxoa tritici* - *Festuca*, *Artemisia*-სთან და სხვ.

ბიოტოპის იშვიათ სახეობებს მიეკუთვნება: *Chersotis hahni*, *Sideridis implexa*, *Cucullia prenanthis*, *Calophasia freyeri*, *Cryphia roederi*, *Zethes propinqua*, *Pseudophia gentilis* და სხვ.

არიდული ნათელი ტყეები (300 მ-დან 500-600 მ-დე) (სურ.4, 5).

3. გულისაშვილის [10, 12] მონაცემებით არიდული ნათელი ტყეები სამხრეთული ტყე-სტეპია. მაგრამ ნ. კეცხოველი [7] მიიჩნევს, რომ ჩვენ “ტყე-სტეპს” არაფერი აქვს საერთო სამხრეთ რუსეთის ტყე-სტეპთან, ამიტომ სამხრეთ კავკასიაში ნახევარუდაბნოები და სტეპები ტყის ელემენტების მონაწილეობით, მიზანშეწონილია მოვიხსენიოთ მხოლოდ არიდულ ტყეებად.

ჰავა აქ თბილი და სუბტროპიკულია, ზამთარი თითქმის უთოვლო, ზაფხული მშრალი. წლის საშუალო ტემპერატურა 10° - 13°C -ია. ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 0°C -ია. წლიური ნალექიანობა 246-560 მმ-ს შორის მერყეობს, ფარდობითი ტენიანობა 64%-76%-ია [15, 22, 23].

საქართველოს ნათელი ტყეების წამყვანი ფორმაციაა: ბეჭვი (*Paliurus spinachristi*), იალღუნი (*Juniperus*), საკმეველის ხე (*Pistacia mutica*), აკაკის ხე (*Celtis*), ალუბალი (*Cerasus*), შავჯაგა (*Rhamnus*), გრაკლა (*Spiraea*), ჟასმინი (*Jasminum*) და სხვ. ელიარ-ოვლის მთაზე ხარობს კავკასიის ენდემი და რელიქტი – ელდარის ფიჭვი (*Pinus eldarica*) (სურ. 4).

შესწავლილია არიდული ტყეების და მისი დერივატების ყველა ძირითადი უბანი, ქართლიდან დაწყებული (შიდა და ქვემო ქართლი) და ვაშლოვანის ნაკრძალით დამთავრებული (სურ. 5). ამ სარტყლის ფაუნა არაერთგვაროვანია. ხვატარების ფაუნა საკმაოდ მდიდარია მდინარეების: მაშავერას, ქციას, ხრამის და ალგეთის დამრეც ფერდობებზე, სადაც იზრდება ისეთი საკმეველის, როგორიცაა: ქართული მუხა (*Quercus iberica*), ტირიფფოთოლა მსხალი (*Pyrus salicifolia*), ქართული ნეკერჩხალი (*Acer iberica*); ბუჩქნარიდან: შავჯაგა (*Rhamnus pallasii*), ბეჭვი, კოწახური (*Barbaris vulgaris*), გრაკლა (*Spiraea crinata*) და სხვ. დენდროფილებიდან დამახასიათებელი სახეობებია: *Eupsilia transversa* (საკვები მცენარე - *Pyrus*, *Malus*, *Cydonia*, *Prunus*, *Salix*, *Acer*), *Xanthia croceago* (*Quercus*), *Atethmia ambusta* (*Quercus*, *Populus*, *Pyrus*, *Mallus*), *Apatela aceris* (*Quercus*, *Salix*, *Populus*, *Acer*, *Aesculus*, *Malus*, *Pyrus*, *Rosa*, *Jiglans*, *Ulmus*), *Cosmia pyralina* (*Quercus*, *Tilia*, *Ulmus*, *Padus*, *Malus*, *Pyrus*, *Prunus*), *Prodotis stolidia* (*Rubia*, *Fragaria*, *Rubus*, *Quercus*, *Polyurum*), *Scopelosoma satellitia* (*Celtis*, *Juglans*, *Ulmus*, *Rosa*, *Prunus*, *Pyrus*, *Cydonia*, *Crataegus*), *Colymnia offinis* (*Celtis*, *Juglans*, *Tilia*, *Quercus*), *Euxophila rectangularia* (*Celtis*) და სხვ.

სარკინეთისა და არმაზის ქედებზე ნათელი ტყის ფორმაციაში შედის ღვიის (*Juniperus*) რამოდენიმე სახეობა. რამდენადაც ციცაბოა ფერდი, მით ხშირია ღვიანი (სურ. 6). ფოთლოვნებიდან წამყვანია: ნუში (*Amygdalus*), საკმლის ხე, ტირიფფოთოლა მსხალი, ბუჩქნარით: ცხრატყავა (*Lonicera iberica*), გრაკლა და სხვ. [7, 10]. მცენარეთა ამ დაჯგუფებასთან ხვატარების არცთუ დიდი ჯგუფია დაკავშირებული, მათგან იშვიათებს განეკუთვნება *Blepharita satura* - გვხვდება ცხრატყავაზე, მაყვალზე, მოცვზე, მანანაზე; *Metachrostis strigula* - საკმლის ხის გარდა გვხვდება ვაშლზე, მაყალოზე; *Lithophane socia* - ღვიის გარდა გვხვდება კვრინჩხზე (*Prunus spinosa*), ქართულ მუხაზე, აღმოსავლეთის წიფელზე და სხვა ფოთლოვნებზე; *Meganophria oxyacanthae* - გვხვდება კვრინჩხზე, კუნელზე, ქლიავზე, ალუბალზე, მაყალოზე.

ბალახოვან საფარიდან დომინირებს: ურო, წივანა, ვაციწვერა, ენდრონიკა, ჭანგა და ა.შ. ხვატარებიდან ბალახოვნების ამ ჯგუფთან დაკავშირებულია: *Chersotis multangula*, *Ch. margaritacea* - მატლი გვხვდება მრავალძარღვაზე, ბურბუმელაზე და

ჩიტისთვალაზე; *Thalera decimalis* და *Simplecia rectalis* - მატლი მოპოვებულია ჭანგაზე, სიმინდზე და კონდარზე.

ადგილ-ადგილ ქსეროფიტულ მცენარეულობას ცვლის დაბლობის ტყეების მეზოფილური ელემენტები და ამ ადგილებში, როგორც წესი, თავს იყრის ხვატარების ტენისმოყვარე ფორმები: *Apatele rumicis*, *Naenia typical*, *Atephia alchemista* და სხვ.

ფაუნისტურად მდიდრად გამოიყურება მცენარეთა ფრიგანული დაჯგუფებები. მაგალითად, გლერძა (*Astragalus caucasica*), რომელიც სასიცოცხლო ფორმაა ხვატარებისთვის: *Autophila limbata*, *Lygophila viciae*, *L. craceae*, *Taxocampa pastinum*; სალბთან (*Salvia*) დაკავშირებულია - *Eugnorisma depuncta*, *Cucullia blattariae*, *Pyrrhia umbra*, *Heliothis peltigera*; ღიღილოსთან (*Centaurea*) - *Orthosia pistacina*, *Luperina zollikhoferi*, *Porphyria parva*, *Panchrysia deaurata* და სხვ. ზოგიერთი მათგანი იშვიათ მონაპოვარს წარმოადგენს როგორც საქართველოსთვის, ასევე კავკასიისთვის.

სარტყლის ედიფიკატორია ე. წ. “პირობითი ენდემები” ანუ სახეობები, რომლებიც მხოლოდ ამ სარტყელშია რეგისტრირებული, ესენია: *Chersotis hahni*, *Discestra mendax*, *Mamestra praedita*, *Calophasia casta*, *C. freyeri*, *Clophana opposita*, *Aporophila lutulenta*, *A. nigra*, *Autophila cataphanes*, *Mycteropulus puniciago*, *Caradrina selini*, *Acontia urania*, *Nycteola revayana*, *Autographa excelsa*, *Astiotes neonympha* - სულ 15 სახეობა, ე. ი. სარტყლის ფაუნის სახეობათა საერთო რაოდენობის 7,0%. მათგან უმრავლესობა იშვიათია, ხორციელდება ლოკალური გავრცელებით და ეკოლოგიურად დაკავშირებულია ტყე-სტეპის, სტეპის და ნახევარუდაბნოების ასოციაციასთან. ფაუნისტურად საინტერესოა ევროპულ-ციმბირული არეალის მქონე *Cerastris rubricosa*, რომელიც ადრე დასავლეთ საქართველოში შავიზღვისპირეთიდან იყო ცნობილი [27]; შემდგომში კი აღმოსავლეთ საქართველოში მდ. ალგეთის ქალიანშიც მოვიპოვეთ, თანაც დავაფიქსირეთ არცთუ მცირე პოპულაცია.

არიდულ ტყის ლანდშაფტში დარეგისტრირებული ხვატარების 156 სახეობა (საქართველოს ხვატარების საერთო რაოდენობის (598 სახეობა) 35,2%), ფაუნისტურად ასე გამოიყურება: ჭარბობს პოლიზონალურები - 46,1%, ბიზონალურებს უკავიათ 22,4%, მონოზონალურების - 7,1%, ხოლო ევზონალურ-აზონალურებს მიეკუთვნება - 24,4%. მრავალრიცხოვნებს უკავიათ დაახლოებით - 21,8%, ჩვეულებრივებს - 17,3%, ხოლო ბირთვს ქმნის მცირერიცხოვანი და იშვიათი სახეობები (60,9%).

ზოგიერთ წლებში მასობრივი გამრავლება ახასიათებთ და სერიოზულ მავნებლებს მიეკუთვნება: *Euxoa agricola*, *E. obelisca*, *Scotia exclamationis*, *Mythimna vitellina*, *Apatele rumicis*.

სარტყელში ტროფიკული კავშირების მიხედვით ჭარბობს ხორტოფილია - 44,9%, დენდროფილებს უკავიათ 28,8%, პოლიფაგების - 17,3%.

ორივე არიდულ სარტყელში სეზონური განვითარების ორი პიკი შეინიშნება. ესენია: გაზაფხულ-ზაფხულის (23,8%) და გაზაფხულ-შემოდგომის (23,1%) პიკი. სარტყლის ქსეროფილები და მეზოფილები ფაუნის 55,8%-ს შეადგენს, მეზოფილებია 34,0%. ჰუმიდური და არიდული ფორმების რაოდენობების ასეთი სიახლოვე კიდევ ერთხელ ადასტურებს სარტყლის სუბარიდულ ხასიათს. ეს დასკვნა ემთხვევა ვ. გულისაშვილის მოსაზრებას, რომ “არიდული ნათელი ტყე წარმოადგენს გარდამავალ ზონას, უტყეო ნახევარუდაბნოსა და ტყიან ზონას შორის” [10, 12].

ამგვარად, განხილულ არიდულ სარტყლებსა და ცალკეულ ბიოტოპებში რეგისტრირებული ხვატარების საერთო ფაუნის განაწილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ: ნათელ ტყესა და ტყე-სტეპებს უკავშირდება ფაუნის 27,5%, უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს - 13,6%, სტეპებს - 20,1%; ტყის ბიოტოპებთანაა დაკავშირებული 24,2%, მთაგორიან ქსეროფიტებთან - 1,3%, მდელოსა და მდელო-სტეპის მცენარეულობასთან - 4,7%, ევრიბიონტია - 8,7%.

უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოების ფაუნასთან შედარებით, არიდული ტყეების ფაუნისტური სიმდიდრე ლოგიკურია და სარტყელში წარმოდგენილი მცენარეთა განსხვავებული ფორმაციების (ტყე, ნათელი ტყე, სტეპი, ჭალა, ჯაგ-ეკლიანი დაჯგუფება ფრიგანა და ა.შ.) ანარეკლია.

B. ტყის მცენარეულობა (50-60 მ-დან 800-900 მ-დე).

ვ. გულისაშვილი [10] ბარის ტყეებში აერთიანებს მდინარეების რიონის, მტკვრის, იორის და ალაზანის ქვედა დინებების აუზებში მოქცეულ ტყეებს, რომელებსაც ეკოლოგიური პირობების თავისებურებებიდან გამომდინარე ორ ჯგუფად ჰყოფს. ესენია: 1. დაბლობის ტყეები სუბტროპიკული კლიმატით (კოლხური და ჭალისტყეები) და 2. ზომიერად თბილი ჰავის ვაკისა და იორის, ალაზანის, მტკვრის და სხვ. აუზების ჭალის ტყეები [11, 13].

2. დასავლეთ საქართველოს ტყეებისა და სუბტროპიკული ქვეტყის ხვატარების ფაუნა (50-60 მ-დან 500-600 მ-დე) (სურ. 7, 8, 9) .

განსახილველ სარტყელში შედის კოლხეთის დაბლობი, ტყეებით, წყალ-ჭაობისა და ფსამოფილური მცენარეებით, 140-150-მ-დე ზ.დ. და მთისწინეთის შერეული და ფართოფოთლოვანი ტყეები, სუბტროპიკული ქვეტყით (500-600 მ-დე ზ.დ.).

ტყის პირველი ვარიანტის შესასწავლად გამოვიკვლიეთ: მდინარეების რიონის, ინგურის, ცხენისწყალის დაბლობი; მეორე ვარიანტისათვის - აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის და აჭარის რაიონი; წლიურ-დაკვირვებისათვის სტაციონალურ პუნქტებად შერჩეულ იქნა კინტრიშისა და აჯამეთის ნაკრძალი (სურ. 7, 8).

სარტყლის ჰავა ტენიან-სუბტროპიკულია. იანვრის საშუალო ტემპერატურა $-3,3^{\circ}$ – $3,6^{\circ}\text{C}$; აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა ეცემა -15° – 20°C ; ივლისის საშუალო წლიური ტემპერატურა $+14^{\circ}$ – $+15^{\circ}\text{C}$ –ია, მაქსიმალური $+23^{\circ}\text{C}$, $+24^{\circ}\text{C}$; ჰაერის ტენიანობა ხასიათდება მაღალი საშუალო წლიური ნალექიანობით (1157-1757 მმ) [22, 23].

ნ. კეცხოველის [7], ა. კოლაკოვსკის [25, 26] და ვ. გულისაშვილის [10,12] თანახმად, დაბლობის ტყეები დაჭაობებული უბნებით ძირითადად წარმოდგენილია მურყანით (*Alnus barbata*), იფნით (*Fraxinus excelsior*), რცხილით (*Carpinus caucasica*), იმერეთის მუხით (*Quercus imeretina*). ქვეტყეში ხარობს პონტური შქერი (*Rhododendron ponticum*), ბზა (*Buxus colchica*), დაფნა (*Laurocerasus officinalis*) და სხვ. ძლიერ არის განვითარებული ლიანები.

მცენარეთა ასეთი დაჯგუფებისათვის ხვატარებიდან ჩვეულებრივია: *Apatele leporina* – მურყანზე, ტირიფზე, იფანზე, თხილზე, ასკილზე; *Catocala fraxini* – მუხაზე, იფანზე, წიფელზე, ტირიფზე, თელაზე; *Orthosia gothica* – რცხილაზე, მუხაზე, ცაცხვზე, ქლიავზე; *Amphipyra pyramidea* – იფანზე, ცაცხვზე, ტირიფზე, მუხაზე, პონტურ შქერზე და სხვ.

ტერასებზე დაბლობის ტყეების დაჯგუფება უფრო მრავალფეროვანია და მდიდრდება შემდეგი ფორმაციებით: თელა (*Ulmus foliacea*), თუთა (*Morus alba*), წაბლი (*Castanea sativa*); ქვეტყეში: იელი (*Rhododendron flavum*), შინდანწლა (*Cornus australis*), ანწლი (*Sambucus nigra*); ლიანებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა კატაბარდა (*Clematis vitalba*), [10].

ასეთ ფლორისტულ დაჯგუფებაში ხვატარებიდან წაბლზე ხშირია: *Catocala promissa* და *Catephia alchymista*. ორივე ხვატარი ასევე გვხვდება, მუხაზე და წიფელზე. თუთაზე მოვიპოვეთ *Euxoa agricola* და *Etachrostis seladona* – პირველი ცნობილი მავნებელია, ხასიათდება მასობრივი გამრავლებით და პოლიფაგიით; ხოლო მეორე, იშვიათი სახეობაა და სავარაუდოდ ოლიგოფაგია; კატაბარდაზე მოვიპოვეთ ერთადერთი სახეობა – *Zanclognatha tarsicrinalis*, რომელიც არქაული წარმოშობის გამო ფაუნისტურად საინტერესოა.

მთლიანობაში, დასავლეთ საქართველოს ტყეების (სუბტროპიკული ქვეტყით), ხვატარების ფაუნა არც თუ მდიდრად გამოიყურება, მაგრამ ის შედარებით მრავალფეროვანი ხდება მთისწინეთში, სადაც ტყეები გამდიდრებულია ახალი ფორმაციებით, როგორიცაა: წიფელი (*Fagus orientalis*), ჰერტვისის მუხა (*Quercus hertwissiana*), ნეკერჩხალი (*Acer pseudolafanus*), ბიჭვინთის ფიჭვი (*Pinus pithyusa*) (სურ. 9) და სხვ. ქვეტყეშია – ჭყორი (*Ilex colchica*), კეთილშობილი დაფნა (*Laurus nobilis*), უნგერნის შქერი (*Rhododendron ungera*), კოლხური კუნელი (*Crataegus colchica*) და სხვა.

ბალახეულ საფარში ჭარბობს სხვადასხვა სახეობის ბაია (*Ranunculus*), ენდრონიკა (*Galium*), ისლი (*Carex elongate*), ჭინჭარი (*Urtica*), ზამბახი (*Iris*).

ამ ბიოცენოზში მოპოვებულ ხვატარებიდან შეიძლება დავასახელოთ: *Allphies oxycanthae* – კუნელზე, ალუჩაზე; *Conistra ligula* – კუნელზე, ქლიავზე, თელაზე, ნეკერჩხალზე, იფანზე; *Apatele tridens* – კუნელზე, ალუჩაზე, მსხალზე, მუხაზე, მურყანზე, ტირიფზე, ჭნავზე, ალუბალზე; *Ochroleptura plecta* – ენდრონიკაზე, ჭინჭარზე, *Xylina vetusa* – ზამბახზე ენდრონიკაზე, მრავალძარღვაზე, ისლსა და დეზურაზე.

დასავლეთ საქართველოს დაბლობების ტყეებში - სუბტროპიკული ქვეტყით, სულ მოპოვებულია ხვატარების 258 სახეობა [27, 28, 29, 30], მათ შორის სარტყლის იერსახეს ქმნის 125 სახეობა, რაც საქართველოს ხვატარების ფაუნის (598 სახეობა) 20,9 %-ს შეადგენს.

სარტყლის “პირობით ენდემებს” განეკუთვნება სულ 20 სახეობა, მათ შორის: *Orthosia populeti*, *Craniofora pontica*, *Apamea aquila*, *Sedina büettneri* (იშვიათია), *Eustotia candidula* (იშვიათია), *Cucullia prenanthis*, *Eublemma amabilis*. მათი უმეტესობა ტენისმოყვარულია და სასიცოცხლო ფორმით მჭიდროდაა დაკავშირებული კოლხური ტიპის მცენარეულობასთან. ფაუნის 52,6% უკავია ოლიგოზონალებს, რომლებიც მეზობელ სარტყლებს ერთმანეთთან აკავშირებს. ევზონალურებია თითქმის 28%, ხოლო ევზონალურ-აზონალურებს მიეკუთვნება 1,9%. ამ უკანასკნელთა ჰაბიტატი ძირითადად ისეთი აგრობიოცენოზია, რომლის შემადგენლობაში შედის: ტყემალი, ქლიავი, მსხალი, ვაშლი, ევკალიპტი, ციტრუსები, ჩაი და ა.შ. მაგ.: *Agrotis soucia* და *Trigonophora meticolosa* - ევკალიპტი, ეთერზეთოვანი მცენარეები; *Calpe capucina* - ლიმონი, მანდარინი, ჩაი და სხვ.

მოპოვებულ ხვატარების ფაუნისტური ანალიზიდან ირკვევა, რომ სარტყელის ფაუნა სახეობრივად მდიდარი არაა და შედარებით მონოტონურია: დენდროფილები ჭარბობს ხორტოფილებს (თანაფარდობა - 75/29); მეზოფილები თითქმის სამჯერ მეტია ქსეროფილებზე (თანაფარდობა - 93/33). ჭარბი ტენიანობა ფაუნას აშკარად მეზოფილურ ხასიათს ანიჭებს. შედარებით ერთფეროვანი კოლხური ტყე ფაუნისტურად ერთფეროვანად გამოიყურება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დას. საქართველოს დაბლობები და მთისწინეთის მცენარეულობა მეტწილად ინტროდუცირებულია.

4. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ფართოფოთლოვანი ტყეების ხვატარების ფაუნა (400-500-დან 800-900 მ ზ.დ.) (სურ. 10, 11).

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებს უკავია დიდი და მცირე კავკასიონის შემადგენელი მთათა სისტემის შემადგენლობა, სურამის გადასასვლელიდან აღმოსავლეთით კასპიის ზღვის მიმართულებით [10, 12].

აღნიშნული ტერიტორიიდან შესწავლილია: მდინარეების - ალაზანის, მტკვრის, ლიახვის, ქსანის, იორის ველები და პუნქტები: ნაფარეული, ხაშური, მეჯვრისხევი და მუხრანი. წლიური დაკვირვებებისათვის შერჩეული იყო ლაგოდების ნაკრძალი.

სარტყელის ჰავა ზომიერად თბილია; წლის საშუალო ტემპერატურა 10,2°-12,8°C-ია; აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა მერყეობს -16°-29°C-ს შორის; ივლისის საშუალო ტემპერატურა +20,5° - +24,8°C-ია; ატმოსფერული ნალექი მერყეობს 269 მმ-დან 776 მმ-მდე [22, 23].

სარტყელში დაბლობის ტყეები მეზოფილურია [13]. ამჟამად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეების ტერიტორია ათვისებულია სოფლის მეურნეობის კულტურებით, მაგრამ იქ, სადაც ტყე ჯერ კიდევ შემორჩა, ორი ტიპით არის წარმოდგენილი. ეს არის: ჭალის ტყეები, რომელიც ვ. გულისაშვილის [10] აზრით განსხვავდება შუაზიური ჭალის ტყეებისაგან და ბარის დაბლობის ტყეები, რომლებიც მთების კალთებამდეა მისული.

ჭალის ტყეებს – უკავიათ მდინარეების მტკვრის, ქსანის და ალაზანის ქვედა ტერასები. ტყე წარმოდგენილია შემდეგი ფორმაციებით: ალვის ხე (*Populus hybrida*, *P. nigra*), ტირიფი (*Salix ssp.*), თელა (*Ulmus subcosa*), იალღუნი (*Tamarix*), ქაცვი (*Hippophoe rhamnoides*), რცხილა, მსხალი, კუნელი, ზღმარტლი (*Mespilus sp.*) და სხვ. (სურ. 10).

ჭალის ტყეებში მოპოვებულ ხვატარების ფაუნაში ჭარბობს აზონალურ-ევზონალური სახეობები. ევზონალები პოლიფაგებია და ძირითადად გვხვდება რცხილაზე, მსხალზე, კუნელზე და ა.შ. ბიომის ფონის შემქმნელ სახეობებად შეიძლება მივიჩნიოთ: *Euxoa agricola*, *Noctua orbona*, *Xestia xanthographa*, *Mamestra brassicae*, *M. genistae*, *Xylina ornithopus*, *Xylomiges conspicillaris*, *Mythimna vitellina*, *Apatele rumicis*, *Phlogophora meticulosa*, *Axylia putris* და სხვ. სულ 17,6%.

აღმოსავლეთ საქართველოს შშრალი რაიონების ვაკისა და მთისწინეთის ტყეები - ძირითადად წარმოდგენილია მუხის სხვადასხვა სახეობით, მათ შორის გამოირჩევა გრძელყუნწა მუხა (*Quercus longipes*) თელისა და თუთის მონაწილეობით. შემადგენლებზე გვხვდება ქართული მუხა (*Q. iberica*), წაბლი (*Castanea sativa*), მინდვრის ნეკერჩხალი (*Acer campestre*), ცირცელი (*Sorbus terminalis*), იფანი, თელა და სხვ. კარგადაა განვითარებული ქვეტყე, რომელშიც შედის: შინდი, კუნელი, ასკილი,

ზღმარტლი, ქანჭყატი (*Evonimus*) და სხვ. ბალახოვან საფარს ქმნის: ქვათესლა (*Lithospermum*), მატკვარცანა (*Lathyrus*), ფურისულა (*Prymula macrocalyx*) და სხვ. [10, 31].

აღნიშნულ ბიომში ხვატარების ფაუნა, შედარებით მრავალფეროვანია, მათგან: *Agrotis punicea* - გვხვდება ჟოლოზე, მაყვალზე; *Catocala promissa* - ჩვეულებრივი სახეობაა, გვხვდება წაბლზე, მუხაზე, წიფელზე; *Catephia alchymista* - იშვიათია, გვხვდება წაბლზე, მუხაზე; *Metachrostis seladona* - იშვიათია, გვხვდება თუთაზე; *Euxoa agricola* - ფართო პოლიფაგია; *Amathes baja* - გვხვდება ქლიაზე, თამელზე (*Sorbus*), მაყვალზე; *Apatele strigiosa* - იშვიათია, გვხვდება თამელზე, კუნელზე, ასკილზე, მსხალზე, ტყემალზე და სხვ.

ბალახოვნებთან დაკავშირებულია: *Ectypa glyphica* - გვხვდება მატკვარცანაზე (*Lathyrus*), მჟაუნაზე, ჭინჭარზე; *Lygophila cracca* - გვხვდება მატკვარცანაზე, ცერცველაზე; ფურისულაზე (*Prymula*), სულ 11 სახეობის ხვატარია დაფიქსირებული.

სარტყლის ფარგლებში, ადგილ-ადგილ გაჩეხილ ტყეზე, მეორადი მცენარეულობაა განვითარებული. ბუჩქნარიდან ასეთია ე. წ. „ჯაგ-ეკლიანი“ [7]. ამ დაჯგუფებაში დომინირებს ძეძვი (*Paliurus spina*), კუნელი (*Crataegus*), პალასის ხეჭრელი ანუ შავჯაგა (*Rhamnus pallasii*), გრაკლა (*Spiraea hypericifolia*), ჟასმინი (*Jasminum* sp.) და სხვ. ასეთ ფორმაციაში სიმშრალის მოყვარული სახეობები იყრის თავს: *Scotia obesa*, *Ochropleura plecta*, *Mamestra oleracea*, *M. genistae*, *Xylina exoleta*, *Polymixis rufocincta*, *Antitype chi*, *Oria musculosa*, *Callistige mi*, *Leucanitis cailino* და სხვ.

აღმოსავლეთ საქართველოს ფართოფოთლოვანი ტყეები სუბტროპიკული ქვეტყით გვხვდება ბარსა და მთისწინეთში, მდინარე ალაზნის ველზე. ჰავა მშრალი-სუბტროპიკულია; წლის საშუალო ტემპერატურა $+12^{\circ}\text{C}$ -ია; ტენიანობა აღწევს 1017 მმ-ს; მცენარეული საფარი მრავალფეროვანია, რომელთა შორისაა ენდემები და მესამეული პერიოდის რელიქტებიც (ლაგოდების ნაკრძალი) (სურ.11).

ტყის ძირითადი ფორმაციაა რცხილა, წიფელი, ლაფანი, ჯონჯოლი (*Staphylea pinnata*), კაკლის ხე (*Juglans regia*), ნეკერჩხალი, წაბლი და სხვ. კარგადაა განვითარებული ქვეტყე და ბალახოვანი საფარი, რომელთა შორის გამოირჩევა მაყვალი (*Rubus*), დაფნა (*Laurocerasus officinalis*), შქერი (*Rhododendron* sp.), ვიწრო ენდემები: *Leontice Smirnovi*, *Primula Juliae*, *Gentiana Lagodechiana*, *Paoenia Mlokozewschii* და სხვ. ტყეში ბევრია გვიმრა და ხავსი [32, 33].

ბიოცენოზის ამ დაჯგუფებისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა ხვატარების შემდეგი სახეობები: *Euxoa agricola*, *Amphipyra pyramidalis* - გვხვდება მუხაზე, ჯაგრცხილაზე, იელზე; *A. perflua* - გვხვდება მუხაზე, თელაზე, ტირიფზე; *Colymnia offinis* - გვხვდება კაკლის ხეზე; *Catocala promissa* და *Catephia alchymista* - გვხვდება წაბლზე. ხვატარების დასახლების სიჭარბით განსაკუთრებით გამოირჩევა: რცხილა, ცაცხვი, წიფელი, ნეკერჩხალი, მაყვალი და ა. შ. ჩვეულებრივი პოლიფაგები მოპოვებულია აგრეთვე დაფნაზე და შქერზეც. ბალახოვან მცენარეებიდან უხვი დასახლებით გამოირჩევა: ფურუსულა - *Chersotis fimbrialis*, *Noctua janthina*, *Diarsia mendica*, *Amathes ditrapezium* და ნაღველა (*Gentiana*) - *Callopietria purpureofasciata*, *C. latreillei*, *Phlogophora scita*, *Euplexia lucipara*.

აღმოსავლეთ საქართველოს ფართოფოთლოვან ტყეში, სუბტროპიკული ქვეტყით, შეგროვილი მასალის ფაუნისტური მონაცემების შეპირისპირებამ ამავე ტიპის

დასავლეთ საქართველოს ტყეებთან გვაჩვენა, რომ მცენარეული საფარისა და კლიმატის მსგავსება ქერცლფთიანთა ფაუნაზეც აისახება. მაგალითად, ხვატარებიდან აღმ. საქართველოს მშრალ სუბტროპიკებში მოპოვებულია სახეობები, რომლებიც ადრე ცნობილი იყო მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან ან მხოლოდ აფხაზეთიდან: *Haemorphagia fuciformis*, *Ochrostigma melagone*, *Sideridis impudens*, *Crino adusta*, *Athetis blanda*, *A. pulmonaris*, *Erastria venustula*, *Herminia griphalis*, *H. crinalis*, *Hypenoides tenialis*, *Cidaria udentaria* [27, 28]. ხოლო დანარჩენი საერთო სახეობების უმეტესობა ჰიდრო-, ჰიდრო-მეზოფილი ან მეზოფილია.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობისა და მთიწინეთის ტყეების ხვატარების ფაუნა საკმაოდ მდიდარი (297 სახეობა, ანუ საქართველოს ხვატარების სახეობების საერთო რაოდენობის 49,7%), მრავალფეროვანი და ორიგინალურია [34 - 40].

ფაუნის მნიშვნელოვანი ნაწილი (56,3%) ოლიგოზონალია, რომლებიც დაბლობისა და მთიწინეთის ტყეებს აკავშირებს ერთის მხრივ მთის ტყეების ფაუნასთან (განსაკუთრებით დენდროფილები) და მეორეს მხრივ, სუბალპური ტყეების ფაუნასთან (განსაკუთრებით ტყე-სტეპისა და სტეპის ფორმები); ევრიზონალები 28,1%-ია, ისინი ფართოდ არიან გავრცელებული და საქართველოს ტყისა და ტყე-სტეპის ტერიტორიაზე ყველგან გვხვდება. მათ მიეკუთვნება: *Euxoa agricola*, *Scotia segetum*, *S. exclamacionis*, *Ochropleura plecta*, *Noctua pronuba*, *Amathes c-nigrum* და სხვ. აზონალები და ევზონალურ-ინტრაზონალები, სულ ერთად, შეადგენენ ფაუნის 13,3%-ს.

განსაკუთრებით ყურადსაღებია სარტყლის “პირობითი ენდემები”: *Lycophotia molothina*, *Discestra stigmata*. საქართველო ამ სახეობებისათვის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვარია; “პირობით ენდემებს” განეკუთვნება ასევე *Mamestra zea*, *Hadena albimacula*, *Aporophyla lutulenta*, *Apaema anceps*, *Luperina zollicoferi*, *Nyctoela revayana*, *Astiotetes neonympha*, *Leucanitis herzi* – სულ 13 სახეობა ანუ 4,3% სარტყლის ფაუნის (სულ 297 სახეობა). ყველა ეს სახეობა იშვიათი, ერთეული (*Discestra stigmata*) ან სარტყლის იშვიათი მონაპოვარია (*Lycophotia molothina*).

რიცხოვრივად, სახეობათა 54,7% ანუ ძირითადი ნაწილი, მცირერიცხოვანია, ზოგიც იშვიათი ან ერთეულია. ჩვეულებრივებს და მრავალრიცხოვნებს უკავიათ 45,3%, მათგან უმეტესობა წელიწადში რამოდენიმე თაობას იძლევა, გვხვდება თითქმის მთელი წლის განმავლობაში და ქმნის სარტყლის საერთო ფონს.

ტროფიკული კავშირების თვალსაზრისით ფაუნის დიდი წილი დენდროფილებზე მოდის – 39,6%; მათ მოსდევს ხორტოფილები - 30,9%, პოლიტროფებს უკავიათ 15,8%, დანარჩენი უცნობია.

სარტყლის ფაუნის ფორმირება მიმდინარეობდა ტყის ბიოცენოზის ბაზაზე. ამიტომ ფაუნის წამყვან ბირთვს (47,4%) ქმნის ტყის კლიმატთან და მცენარეულობასთან დაკავშირებული ფორმები. ამასთან სარტყელი მდიდარია ტყიანი მიწდვრებით, ტყისპირებით, ნათელი ფერდობებით და ა.შ. რაც განაპირობებს ასევე ტყე-სტეპთან დაკავშირებულ სახეობების თავმოყრას და მათ სიუხვეს (35,6%), დანარჩენი ჩვენთვის გაურკვეველი ან ევრიზონტებია.

ფაუნის ტენთან დამოკიდებულების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქსეროფილური ჯგუფი (ჰემიქსეროფილები, ქსეროფილები) რიცხოვრივად (41,7%) იმდენად ახლოსაა

მეზოფილურ ჯგუფთან (46,1%) (მეზოფილი, ჰიდრომეზოფილი და ჰიდროფილი), რომ გავლენას ახდენს ფაუნის რაობაზე და მას სუბარიდულ ხასიათს ანიჭებს (იხ. დიაგნოზი).

საქართველოს დაბლობებისა და მთისწინეთის (სუბმონტანური) საფეხურში (ზღვის დონიდან 800-900 მ-დე) გაერთიანებულ 4 სარტყლისა და ცალკეული ბიოტოპების ფაუნისტურ-ეკოლოგიური მონაცემების დაპირისპირებამ გვიჩვენა, რომ ქერცლფრთიანების შემთხვევაში სტაბილურად ორი სარტყელი იკვეთება, რომლებიც როგორც ფაუნისტური, ასევე ეკოლოგიური ჯგუფებით სრულ თანხვედრაშია A და B ეკოლოგიურ-ლანდშაფტური დარაიონების მონაცემებთან. უპირველესად, ამის მიზეზია ის, რომ ხვატარები აქტიურად მფრენი და ფიტოფაგი მწერებია, ფართო არეალით, რაც ნათლად აისახა კიდეც ჩვენს მიერ მიღებულ კვლევის შედეგებზე (იხ. დიაგნოზი).

დიაგნოზი

ფაუნისტური ჯგუფები	თვისებრივი განაწილება (ზღვის დონიდან 800-900 მ) (თანაფარდობა)	
	A. სუბარიდული და არიდული	B. ტყის მცენარეულობა
ფაუნა	481 (46,4%)	555 (53,6%)
დენდროფილები	94 (29,7%)	223 (70,3%)
ხორტოფილები	220 (55,6%)	175 (44,3%)
მეზოფილები	110 (27,1%)	297 (72,9%)
ქსეროფილები	287 (62,4%)	173 (37,6%)
აზონალები	456 (45,8%)	539 (59,5%)
მონოზონალები	25 (61,0%)	16 (39,0%)

დასკვნა

საქართველოს დაბლობებისა და მთისწინეთის (სუბმონტანური) საფეხურში (ზღვის დონიდან 800-900 მ-დე) გაერთიანებული 4 სარტყლისა და ცალკეული ბიოტოპების ფაუნისტურ-ეკოლოგიურ შესწავლის შედეგები ასეთია:

1. სახეობრივად ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს ფართოფოთლოვანი ტყე - 297 (32,1%), შემდეგ მოდის სტეპის, ტყე-სტეპის და არიდული ტყის სარტყელი - 280 (30,3%), უფრო ერთფეროვნად გამოიყურება დასავლეთ საქართველოს ტყეები სუბტროპიკული ქვეტყით - 258 (27,9%), ბოლოს, ნახევარუდაბნო და უდაბნო - 201 (21,7%).

2. საქართველოს ფართოფოთლოვანი ტყეების ფაუნისტური სიმდიდრე (32,1%) გამოწვეულია აქ წარმოდგენილ მცენარეთა განსხვავებულ ფორმაციათა სიუხვით (ტყე, ნათელი ტყე, სტეპი, ჭალა, ჯაგ-ეკლიანი, ფრიგანა და ა.შ.).

შედარებით ღარიბულად და მონოტონურად გამოიყურება დას. საქართველოს ბარის ტყეები სუბტროპიკული ქვეტყით (27,9%), ამის მიზეზია: ჭარბი ტენიანობა, მცენარეული საფარის ერთფეროვნება და ანთროპოგენური ფაქტორი. ამასთან, დაბლობისა და მთისწინეთის მთელი ტერიტორია ორივე შემთხვევაში ურბანიზებულია და მთლიანად არის ათვისებული სოფლის მეურნეობის კულტურებით. ფაუნისტურად შედარებით მრავალფეროვნია არიდული ტყეების და ტყე-სტეპის სარტყელი (30,3%). აქ ბევრი სახეობა ევრიზონალურია და საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცელებული. ფაუნისტურად ძლიერ შეზღუდულია ნახევარუდაბნოებისა და სტეპი (21,7%), რაც სარტყლის ექსტრემალური პირობებით და მცენარეული საფარის ერთფეროვნებით უნდა აიხსნას.

3. საპირისპირო სურათია ე. წ. “სარტყლის ენდემების” შედარებისას. ამ შემთხვევაში რიცხოვნობად ჭარბობს ნახევარუდაბნოსა და სტეპის ბინადარი სახეობები - 14 (12,4% სარტყლების ენდემების საერთო ჯამიდან); შემდეგ არიდული ტყის - 11 (10%), აღმოსავლეთ საქართველოს ფართოფოთლოვანი ტყის - 9 (6,4%), და ბოლოს დასავლეთ საქართველოს ტყის, სუბტროპიკული ქვეტყით - 7 (5,5%). ასეთი პროცენტული თანაფარდობა გამომდინარეობს იმ ბუნებრივი (აბიოტური და ბიოტური) პირობებიდან, რითაც ეს სარტყლები ხასიათდება.

4. საქართველოს დაბლობისა და მთისწინეთის (ზღვის დონიდან 800-900 მ.) ფაუნისტურ სპექტრში, ტყიან სარტყლებსა და ბიომებში კვების სპეციალიზაციით დენდროფილები (223 სახეობა) სჭარბობს ხორტოფილებს (175 სახეობა), შესაბამისად, ფართოფოთლოვან ტყეებში მოპოვებული ხვატარების სახეობების საერთო რაოდენობის (555 სახეობა) 40,2% და 31,5%, მაშინ, როდესაც ნახევარუდაბნოებსა და ტყე-სტეპის ფაუნაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ხორტოფილები (220 სახეობა) სჭარბობს დენდროფილებს (94 სახეობა), შესაბამისად, არიდული გარემოს ხვატარების სახეობების საერთო რაოდენობის (481 სახეობა) – 45,7% და 20,0%.

5. ტენთან დამოკიდებულებაში ჯგუფების შეპირისპირებით დადგენილია, რომ უდაბნოების, ნახევარუდაბნოების, სტეპების და არიდული ტყე-სტეპის ქსეროფილური ფაუნა (287 სახეობა - 59,7%) დომინირებს მეზოფილებზე (110 სახეობა - 22,8%). დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობისა და მთისწინეთის ფართოფოთლოვან ტყეებში სურათი საპირისპიროა: აქ მეზოფილური სახეობები (297 სახეობა - 53,5%) აღემატება ქსეროფილებს (173 სახეობა - 31,2%).

6. საქართველოს დაბლობისა და მთისწინეთის (სუბმონტანურ) I-მაღლობრივ საფეხურში (ზღვის დონიდან 800-900 მ-დე) გაერთიანებული 4 სარტყლისა და ცალკეული ბიოტოპებში ხვატარების ფაუნისტურ-ეკოლოგიური მონაცემების შეჯერებით იკვეთება ორი სარტყელი, რომლებიც როგორც ფაუნისტური, ასევე ეკოლოგიური ჯგუფების დაპირისპირებით სრულ თანხვედრაშია A და B ეკოლოგიურ-ლანდშაფტურ დარაიონებასთან;

7. დიაგნოზში მოცემული A და B სარტყელების არიდული და ჰუმიდური (53,1% : 46,9%) ჯგუფების ჯამური ინდექსი, საშუალებას გვაძლევს დავასკნათ, რომ პირველ მაღლობრივ საფეხურში (ზღვის დონიდან 800-900 მ) განსახლებული ხვატარების ფაუნა თვისობრივად სემიარიდულია.

ლიტერატურა

1. Гроссгейм А.А. (1936). Анализ флоры Кавказа. Баку, Изд. АН СССР, 257 с.
2. Гроссгейм А.А. (1948). Растительный покров Кавказа. М., Изд. Моск. Общества испытателей природы, с. 267.
3. Гвоздецкий Н.А. (1950). О высотной зональности, принципах картирования и физико-географического районирования горных стран. Географический сборник, вып. 4. Научн. зап. Львовского гос. Университета, т. 40, с. 180-220.
4. Гвоздецкий Н.А. (1954). Физическая география. Кавказ. Вып. I, М., Изд. МГУ, с. 84.
5. Гвоздецкий Н.А. (1958). Физическая география. Кавказ. Вып. II, М., Изд. МГУ, с. 108.
6. Гвоздецкий Н.А. (1960). Физико-географическое районирование европейской части СССР и Кавказа. Известия Всесоюзного географического Общества, т. 95, 5, с. 162-186.
7. კეცხოველი ნ. (1960). საქართველოს მცენარეული საფარი, გვ. 382.
8. სახოკია, ფ. (1960). საქართველოს მცენარეულობის მოკლე მიმოხილვა და მისი გეობოტანიკური დარაიონების სქემა. თბილისი, განათლება, 397 გვ.
9. Гагნიдзе, 1974. Ботанико-географический анализ флороценологического комплекса субальпийского высокогорья Кавказа, Тбилиси -224 с.
10. Гулисашвили В.З. (1964). Природные зоны и естественно-исторические области Кавказа. М., Наука, 327 с.
11. Гулисашвили В.З., Махатадзе, Л.Б., Прилипко Л.П. (1975). Растительность Кавказа. М., 232 с.
12. გულისაშვილი ვ. (1977). საქართველოს ბუნებრივი ზონები. თბილისი. 195 გვ.
13. Квачакидзе Р.К. (1996). Геоботаническое районирование Грузии. Тбилиси. 182 с.
14. Рябов М.А., 1958. Чешуекрылые –Lepidoptera. В кн.: Животный мир СССР, Кавказ. Т.У, М-Л: 351-375
15. Фигуровский И.В. (1919). Климаты Кавказа. Записки Кавказского отд. Русского географического об-ва, т. 29, вып. 5, с. 91-189.
16. Дидманидзе Э.А. (1976а). Новые виды чешуекрылых фауны Грузии из Вашлованского заповедника. Сообщ. АН ГССР, т. 84, № 3, с. 717-720.
17. Дидманидзе Э.А. (1978). Чешуекрылые аридных ландшафтов Грузии. Тбилиси, Мецниереба, 319 с.
18. Дидманидзе Э.А. (1979). Чешуекрылые аридных ландшафтов Закавказья. Сб.тр. «Некоторые группы животных аридных районов Закавказья», изд. АНГССР, с.43-114.
19. Дидманидзе Э.А. (2003). Пяденицы (Lepidoptera, Geometridae) аридных и семиаридных ландшафтов равнинно-низкогорной ступени Грузии и сопредельных территорий. Сб. научных трудов, Консервация вридных и семиаридных экосистем в Закавказье. Тбилиси: 25-30.
20. დიდმანიძე ე. (2005). საქართველოს პეპლები (ენდემური, რელიქტური და სხვა იშვიათი სახეობები), თბილისი, გვ. 88 (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
21. Сахокия М.Ф. (1958). Ботаническое описание окрестностей г. Тбилиси и по маршруту Тбилиси – плато Шираки. В кн.: Ботанические экскурсии по Грузии, I, Тбилиси, с.5-7.

22. Кордзахия М.О. (1946). Типы климатов Грузии и зоны их распространения. Сообщ. АН ГССР, т. 8, с. 129-151.
23. კორძაზია მ. (1961). საქართველოს ჰავა. თბილისი, 67გვ.
24. Hartig Fred und Heinicke Wolfgang, (1975). Systematisches Verzeichnis der Noctuiden Europas (Lepidoptera-Noctuidae). J. "Entomologische Berichte", Arbeitsmaterial für Entomologische Fachgruppen und Interessengemeinschaften, p. 29-47.
25. Колаковский, А.А. (1958). Ботанико-географическое районирование Колхиды.- Тр.Сухумск. бот.сада, №11. с.13-36.
26. Колаковский, А.А.(1961). Растительный мир Колхиды. Москва. 460 с.
27. Милянковский Е.С. (1964). Фауна чешуекрылых Абхазии. Тр. Сухумской опытно. станц эфиромасличных культур, вып. 5, с. 91-190.
28. Милянковский Е.С. (1971). Новые данные по фауне и экологии чешуекрылых Абхазии. Тр. Сухумской опытно. станции эфиромасличных культур, вып. 10, с. 137-141.
29. Дидманидзе Э.А., Джобава Д.Б. (1987). Чешуекрылые кинтришского государственного заповедника (*Macrolepidoptera*). Вестн. Гос. муз. Грузии им Джанашиа, т.34 А, с. 220-240.
30. დიდმანიძე ე., (2012). ქერცლფრთიანები – Lepidoptera. აჭარის ფაუნის რეესტრი და ნუსხა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1-709: გვ. 119-130.
31. Кавришвили К.В.(1965). Физико-географическая характеристика окрестностей Тбилиси. Мецниереба, Тбилиси, 155 с.
32. Долуханов А.Г., 1958. Ботаническая экскурсия г. Сигнахи – г. Лагодехи – Бацарское ущелье. В кн.: Ботанические экскурсии по Грузии. Вып. I, Тбилиси, с. 31-41.
33. Долуханов А.Г.,1966. Растительный покров Кавказа. В кн.: Кавказ. М. Наука, с. 223-255.
34. Дидманидзе Э.А. (1971). Итоги изучения фауны чешуекрылых (*Macrolepidoptera*) Лагодехского заповедника. Зоол. журн. АН СССР, т. 50, вып. 4, с. 515-519.
35. დიდმანიძე ე. (1972). ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში გავრცელებული ხვატარები. შრ. კრ. "საქართველოს ნაკრძალები", II, გვ. 235-265.
36. დიდმანიძე ე., სიხარულიძე ზ., (1974). ქერცლფრთიანები (*Macrolepidoptera*) საგურამოს ნაკრძალში. შრ. კრ. "საქართველოს ნაკრძალები", III, გვ. 91-100.
37. დიდმანიძე ე., სუპატაშვილი ა., გოგინაშვილი ნ. (2010). საქართველოს ტყის პეპლები. თბილისი, 384 გვ. (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
38. დიდმანიძე ე., ყვავაძე ე., (2006). ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პეპლები. თბილისი, 182 გვ. (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
39. Дидманидзе Э.А. (1975). Материалы по фауне чешуекрылых (*Macrolepidoptera*) Малого Кавказа (Месхет-Джавахети, Южная Грузия). Вестник Гос. муз. Грузии им С.Н. Джанашиа, т. 28, с. 293-336.
40. Дидманидзе Э.А. (1976б). К изучению фауны чешуекрылых (*Macrolepidoptera*) Малого Кавказа (р-ны Цалка-Дманиси). Вестник Гос. муз. Грузии им С. Н. Джанашиа, т. 29, с. 153-184.

**Some Ecological Peculiarities of Expansion of Nattflies Fauna in the Lowland
and Submountain Regions of Georgia
(Lepidoptera, Noctuidae)**

E. Didmanidze, V. Petrov

Summary

Four landscape zones on the lowland and submountain territory of Georgia (up to 800-900 m above sea level) are discussed: 1. deciduous forest of the East Georgia; 2. steppe, forest-steppe and arid forest; 3. West Georgian forests with subtropical under wood and 4. semidesert and desert.

Based on the results of the perennial seasonal observations (1970-2000 years) faunistic-ecological structure of Nattflies is identified: species diversity, trophic specialization, ecological and zonal groups. The “conditional endemics”, specific, rare and background species of the zones are identified.

Faunistic-ecological data comparison revealed that nattflies species diversity and isolation of zones are directly related to the vegetation diversity of the zones. The fact that nattflies are phytophagous insects was clearly evidenced once more by the results of the research conducted by us. The research revealed that distribution of nattflies in different vegetation belts basing both on faunal and ecological groups coincides with the two eco-landscape regions identified by botanists: A. sub-arid and arid landscape (50-60 m a.s.l.) encompassing first two vegetation belts and B. forest vegetation (from 50-60 m to 800-900 m a.s.l.) covering third and fourth vegetation belts. The reason of this coincidence is that although nattflies are phytophagous insects they are active flyers, which is reflected in our results.

ილუსტრაციები

(ფოტო ე. დიდმანიძისა)




სურ. 1. მარცვლოვან-აზინდიანი (*Festuca-Artemisia*) ნახევარუდაბნო; ელდარ-შირაქი.



სურ. 2. ყარღანიან (*Salsola dendroises*) და ხურხუმიან (*S.nodulosa*) მლაშობიანი ნახევარუდაბნო; გარდაბანი-სოღანლული.



სურ. 3. ჯაგ-ეკლიანი ბუჩქნარი (შავჯაგა-*Rhamnus Pallasii* და სხვ.) გარეჯის მთისწინეთის გაშიშვლებულ ქედებზე.



სურ. 4. ფიჭვნარი ელდარის ფიჭვით (*Pinus eldarica*); ელიარ-ოულის ქედი.



სურ. 5. ნათელი ტყე (ტყე-სტეპი)საკმევლის ხის (*Pistacia mutica*) ფორმაციით;
ვაშლოვანის ნაკრძალი.



სურ. 6. ნათელი ტყე ხშირი ღვიანით (*Juniperus*); არმაზის ქედის კალთები.




სურ. 7. კოლხური ტყე კოლხური მუხით (*Quercus hartwissiana*), კოლხური სუროთი (*Hedera colchica*) და სუბტროპიკული ქვეტყით; კინტრიშის ნაკრძალი.



სურ. 8. მთისწინეთის ტყე ძელქვით (*Zelcova carpinifolia*), წაბლფოთლა (*Quercus castaneifolia*) და იმერული (*Q. imeretina*) მუხნარით; აჯამეთის ნაკრძალი.



სურ. 9. შავი ზღვის სანაპირო ბიჭვინთის ფიჭვნარით (*Pinus pithyusa*); ბიჭვინთის ნაკრძალი.



სურ. 10. ჭალის ტყე ქაჯვის (*Hippophae rhamnoides*) ფორმაციით; გარდაბნის სამონადირეო მეურნეობა.



სურ. 11. ფართოფოტოლოვანი ტყე , მდ. შრომისწყლის ხეობა; ლაგოდეხის ნაკრძალი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები

ა. კანდაუროვი, ე. ცხადაია, ხ. ბეგელაური

ზოოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ჩოლოყაშვილის 3/5, 0162, თბილისი, საქართველო

a.s.kandaurov@gmail.com

ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექციის ისტორია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტი) კოლექციების შეგროვება დაიწყო 1932 წლიდან, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ზოოლოგიური სექტორის ჩამოყალიბების შემდეგ. ზოოლოგიურ სექტორში მუშაობა დაიწყო სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოსულმა სპეციალისტებმა, რომლებმაც თან მოიტანეს თავისი კოლექციები. ამრიგად ინსტიტუტის კოლექციაში აღმოჩნდა XX საუკუნის დასაწყისში შეგროვილი მცირერიცხოვანი მასალა საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან. 1941 წლიდან ფილიალი გადაკეთდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიად. ამავე წელს ზოოლოგიური სექტორის ბაზაზე ჩამოყალიბდა ზოოლოგიის ინსტიტუტი, რასაც შედეგად მოჰყვა საკვლევო თემატიკის გაფართოვება და მასალის მოპოვების შესაძლებლობის ზრდა. ამ მომენტიდან დაიწყო ქვეყნის ფაუნის გეგმაზომიერი შესწავლა. უკანასკნელ წლებში თაობათა ცვლის, შტატების შემცირების და ახალ შენობაში გადასვლის გამო კოლექციების ფონდს შეემატა რიგი თანამშრომლების პირადი კოლექციები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები ორი ნაწილისგან შედგება: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 60 წლის განმავლობაში (1932-1992 წლებში) შეგროვილი უხერხემლო ცხოველთა კოლექციები და ხერხემლიან ცხოველთა კოლექცია, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია მცირე ძუძუმწოვრებით, რომლის შეგროვებაც ხელმძღვანელობდა მ. შიდლოვსკი.

უხერხემლო ცხოველთა საკოლექციო ფონდი ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობის მწერებით, რომლებიც შეგროვილია სხვადასხვა ტაქსონომიურ ჯგუფთან მომუშავე სპეციალისტების მიერ: ი. ზაიცევა (ბაღლინჯოები - Hemiptera), მ. გუჯაბიძე (ორფრთიანები - Diptera), ა. ჭოლოკავა (ცხვირგრძელა ხოჭოები - Curculionidae), ი. ჯამბაზიშვილი (ფირფიტულვამა ხოჭოები - Scarabaeidae), ნ. რეკი (ბზუალა ხოჭოები - Carabidae), მ. სეფერთელაძე (ფოთოლჭამია - Chrysomelidae), თ. ჟიჟილაშვილი (ჭიანჭველები - Formicidae), ე. შენგელია (პეპლები - Lepidoptera, ციკადები - Cicadidae), რ. სავენკო (პეპლები - Lepidoptera, სწორფრთიანები - Orthoptera, თრიფსები - Thysanoptera), ა. ჯიბლაძე და მ. ახვლედიანი (ბუგრები - Hemiptera, Aphidoidea). რაც შეადგენს 12 ტაქსონომიური ჯგუფის თემატურ კოლექციას.

დღეისათვის, მწერების საკმაოდ არასრულ სიაში შეტანილია 3 580 სახეობა, რომლებიც განეკუთვნებიან სამ რიგს (*Hemiptera*, *Diptera*, *Coleoptera*), 115 ოჯახს და 417 გვარს. ენტომოლოგიური მასალის დიდი ნაწილი გარკვეულია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მასალა რჩება ბამბის საფენებზე და ელოდება თავის მკვლევარებს.

ობობასნაირები - *Arachnidae* წარმოდგენილია 3. რეკის, ნ. ჯაფარიძის, შ. დარეჯანაშვილის და პ. საგდიევას მიერ შეგროვებული კოლექციებით (ძირითადად - ტკიპები - *Acar*) - 1150-ზე მეტი სახეობა, რომლებიც განეკუთვნება 8 რიგს, 155 ოჯახს, 417 გვარს.

კოლექციაში იწახება გ. ლეჟავას მიერ შეგროვებული, მოლუსკების 400 სახეობის ნიჟარა, სახეობები გაერთიანებული არიან 207 გვარში, 79 ოჯახში და სამი კლასის (*Bivalvia*, *Gastropoda*, *Polyplacophora*) 26 რიგში.

2013 წელს საკოლექციო ფონდს შეემატა ე. ყვავაძის მიერ კავკასიის მასშტაბით შეგროვებული ჭიაყელების (*Lumbricidae*) კოლექცია, რომელიც წარმოდგენილია 8 ოჯახის 89 სახეობით [1].

ასობით პარაზიტი იწახება პრეპარატების სახით სასაგნე მინებზე. მასალა შეგროვებულია ბ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით პარაზიტოლოგების მიერ: თ. როდონაია, გ. მაცაბერიძე (ძუძუმწოვრების პარაზიტული ჭიები), ქ. მაცაბერიძე (თევზების პარაზიტები), ი.გოგებაშვილი (პარაზიტული უმარტივესები).

საკოლექციო ფონდში არსებული სახეობების არასრული სიები გამოქვეყნდა ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომებში [2, 3, 4].

ბოლო წლების განმავლობაში, უხერხემლო ცხოველთა კოლექციის შევსება შეფერხებულია. გრძელდება ენტომოლოგიური კოლექციების დამუშავება, აღრიცხვა, კატალოგიზაცია. ამ საქმიანობაში სასურველი იქნებოდა გარე სპეციალისტების ჩართვა.

ხერხემლიანი ცხოველების კოლექცია

ჩვენი კოლექციების მეორე ნაწილს - წვრილი ძუძუმწოვრების კოლექცია წარმოადგენს, რომელსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. ძნელი სავარაუდოა, რომ ოდესმე განმეორდეს ასეთი მასშტაბის და გეოგრაფიული დაფარვის მქონე კოლექციის შეგროვება. 1938 წელს, საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავებასთან დაკავშირებით, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს დაევალა შეესწავლა მღრღნელების ფაუნის შემადგენლობა და გავრცელება საქართველოში. 1939-1947 წლებში საკვლევი თემის - "საქართველოში გავრცელებული მღრღნელების ეკოლოგიურ-გეოგრაფიული განაწილება", შესრულებასთან დაკავშირებით წვრილი ძუძუმწოვრების შეგროვება რეგულარულად მიმდინარეობდა. 1946-1948 წლებში რეგულარულად ხდებოდა მწერიჭამიებისა და ხელფრთიანების შეგროვება თემის "საქართველოს მწერიჭამია და ხელფრთიანი ძუძუმწოვრები" შესრულებასთან დაკავშირებით. გეოგრაფიულად ეს მასალა მოიცავს მთელ საქართველოს. გეგმის მიხედვით მასალის მოპოვება განხორციელდა 108 გეოგრაფიულ პუნქტში. აგრეთვე სხვა თემატიკის ექსპედიციების მუშაობის დროს პარალელურად ხდებოდა წვრილი ძუძუმწოვრების კოლექციების შევსება (92 პუნქტიდან). ყოველწლიურად ერთდროულად სხვადასხვა ადგილებში

ერთიანი მეთოდის გამოყენებით რამდენიმე ექსპედიცია მუშაობდა. მოპოვებული მასალა გადაეცემოდა ლაბორატორიას, მუშავდებოდა და იდებოდა კოლექციაში.

მ. შიდლოვსკი ხელმძღვანელობდა კოლექციების შეგროვებას 1972 წლამდე, შემდეგ წვრილი ძუძუმწოვრების კოლექციების კურატორი იყო ი. მორგილევსკაია-ფლიტი.

ხერხემლიანი ცხოველების კოლექციის შემადგენლობა

მ. შიდლოვსკის მიერ შეგროვებული წვრილი ძუძუმწოვრების კოლექცია მოიცავს საქართველოში გავრცელებული წვრილი ძუძუმწოვრების ხუთ რიგს (*Soricomorpha*, *Erinaceomorpha*, *Chiroptera*, *Lagomorpha*, *Rodentia*), და მტაცებელთა (*Carnivora*) ერთ სახეობას - დედოფალა *Mustela nivalis* (53 ეგზ.). წვრილი ძუძუმწოვრების კოლექციის კატალოგი გამოქვეყნდა 1989 წელს. კოლექციის კატალოგში შეტანილია 11 ოჯახის, 34 გვარის, 65 სახეობის 12850 ეგზემპლარი [5]. სამწუხაროდ, დღეისთვის ეს კატალოგი არასაკმარისად სწორად ასახავს კოლექციის შემადგენლობას, რაც კოლექციების ახალი მასალით შევსებითა და სისტემატიკოსთა მიერმრავალი სახეობის მიმართ შეხედულებების შეცვლით არის გამოწვეული. მთელი ეს მასალა ფიტულებისა და გაწმენდილი თავის ქალების სახით არის შენახული. 2000 ეგზემპლარზე მეტი ინახება საფიქსაციო სითხეში შემდგომი დამუშავების მიზნით. კოლექციაში შენახულია ჩლიქოსნების და მტაცებლების თავის ქალები, მაგრამ სერიული მასალა არის მხოლოდ არჩვზე (22 ეგზ.) და შველზე (47 ეგზ.). ამას გარდა, არსებობს ამფიბიების და ქვეწარმავლები სპირტში დაფიქსირებული მასალა.

1992 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები ინახებოდა სათავსოებში, რომელიც შეესაბამებოდა ზოოლოგიური მასალების შენახვის ნორმებს. 1992 წლის შემდეგ, დღემდევერ ხერხდება სამუზეუმო კოლექციების შენახვის პირობების დაცვა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ [6]. ამ დოკუმენტის თანახმად:

1. კოლექციების საცავში ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს $+16^{\circ}$ - $+18^{\circ}\text{C}$
 - ქვედა ზღვარის დაცემა დასაშვებია მინიმუმ $+10^{\circ}\text{C}$ -მდე
 - $+18^{\circ}\text{C}$ - ზევით აწევა იწვევს ექსპონატების გამოშრობას და ნიმუშის ნაადრევ დაზიანებას

დაზიანებას

2. ტენიანობა საცავში არ უნდა აღემატებოდეს 50-60 %
 - 50 %-ზე ქვემოთ მიმდინარეობს მასალების გამოშრობა და მტვრევა
 - 60 %-ის - ზემოთ ხდება მასალის დატენიანება, დაობება და დაღპობა
 - დასაშვებია მცირე ხნით (არაუმეტეს 3-10 დღისა) ტენიანობის 30% მდედაცემა ან

მისი მომატება 70%-მდე

3. წელიწადში ორჯერ უნდა ჩატარდეს საგაზაფხულო და საშემოდგომო სადეზინფექციო სამუშაოები.

გეოგრაფიული დაფარვა და ქრონოლოგიური მონაცემები

მასალა შეგროვებულია საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ დანაყოფში 260-ზე მეტი ადგილიდან. ეს ადგილები განლაგებულია პრაქტიკულად ყველა სახის

ლანდშაფტსა და სიმაღლისეულ ზონებში: ნახევარუდაბნოდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით აჭარის ტენიან სუბტროპიკებამდე დასავლეთით, ასევე კოლხეთის დაბლობიდან - ალპურ და სუბნივალურ ლანდშაფტებამდე (ზ.დ. 3000 მეტრი და მეტი). საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი საქართველოს რეგიონები - აფხაზეთი (915 ეგზ.), აჭარა (797 ეგზ.), სამაჩაბლო (ყოფილი სამხრეთოსეთი - 314 ეგზ.). გარდა ამისა, შეგროვებულია მასალა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე: აზერბაიჯანი (411 ეგზ.), სომხეთი (219 ეგზ.), რუსეთი (283 ეგზ.), ისევე როგორც ირანის (2 ეგზ.) და თურქმენეთის (5 ეგზ.) ტერიტორიებზე.

სახეობების გავრცელების მონაცემები, რომელიც წარმოდგენილია კოლექციებში ასახულია ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომებში [7-14].

ყველაზე "ძველი", გაცვლით მიღებული ან შემოსული პერსონალური კოლექციების, ნიმუშები თარიღდება XX საუკუნის ოცდანი წლებით. ძირითადი შევსება მოხდა 1938-1965 წლებში, თუმცა მოგვიანებით კოლექციის შევსება ხდებოდა მ. შიდლოვსკის მიერ დადგენილი წესით [15], თუმცა არა იმავეი ნტენსივობით. მასალის შეგროვება თითქმის შეწყდა კრიზისის დროს (1992-1996 წლებში), მაგრამ შემდგომში კვლავ განახლდა. შეიძლება ითქვას, რომ კოლექციაში დაცული მასალა ასახავს წვრილი ძუძუმწოვრების ფაუნის მდგომარეობას ბოლო 100 წლის განმავლობაში. დღეისათვის შეგროვილია წვრილი ძუძუმწოვრების 11 ოჯახის, 40 გვარის, 78 სახეობის 15000 ეგზემპლარზე მეტი.

15000-ზე მეტი ეგზემპლარი რა თქმა უნდა, არათანაბრად წარმოადგენს საქართველოს წვრილი ძუძუმწოვრების ფაუნას. ყველაზე სრულად წარმოდგენილია მღრღნელები (11461 ეგზ.), შედარებით ნაკლები სისრულით მწერიჭამიები (738 ეგზ.) და ყველაზე ნაკლებად - ხელფრთიანები (159 ტყავი და თავის ქალა). ამავე დროს, ბოლო წლებში კოლექციას შეემატა ხელფრთიანების 300 ეგზ. [16, 17, 18]. საქართველოში აღწერილი სახეობების ზოგი ნიმუში მოპოვებულია მათი პირვანდელი აღწერის ადგილიდან (ტიპიური ადგილიდან), მაგრამ მათი ნომენკლატურული სტატუსი კვლავ დასადგენია. ჩვენ კოლექციაში შენახული ტიპიური ეგზემპლარების აღწერა არ ხდებოდა. საბჭოთა პერიოდში სახეობის ტიპიური ეგზემპლარები, ძირითადად, იგზავნებოდა პეტერბურგის ზოოლოგიური ინსტიტუტის მუზეუმში, მოსკოვის უნივერსიტეტის მუზეუმში ან საქართველოს მუზეუმში.

კოლექციაში მრავალი სახეობის სერიული მასალა დევს. ყველაზე მრავალრიცხოვანი რაოდენობით წარმოდგენილია ჯგუფები:

- ტყის თაგვი - *Apodemus uralensis*, *A. ponticus*, *A. fulvipectus* (= *A. witherbyi*), სულ 4567 ფიტული თავის ქალებით. ამ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი ამონოგრაფია "ტყის თაგვი საქართველოში" [10];
- სახლის თაგვი - *Mus musculus*, *M. domesticus*, *M. macedonicus* - სულ 1252 ეგზემპლარი [19, 20];
- ბუჩქნარის მემინდვრია - *Microtus majori*, *M. Daghestanicus* დასავარაუდოთ *M. nasarovi* (ყველა ერთად 1327 ეგზემპლარი);
- საზოგადოებრივი მემინდვრია - *Microtus socialis*, რომელთა შორის არის ეგზემპლარები მოპოვებული იმ ტერიტორიაზე, სადაც ბინადრობს შიდლოვსკის

მემინდვრია - *M. schidlovskii* (სულ 916 თავის ქალადა 899 ფიტული). ამ მასალებზე დაყრდნობით დაწერილია მონოგრაფია "საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis Pallas*) საქართველოში" [7];

კოლექციაში მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წარმოდგენილი ენდემური და იშვიათი სახეობები:

- პრომეთეს მემინდვრია (*Prometheomys schaposchnikowi*) - 356 ეგზ., აქედან 141 მცირე კავკასიონიდან;

- გუდაურული მემინდვრია (*Chionomys gud*) - 160 ეგზემპლარი, რომელთაგან 23 ეგზემპლარი მცირე კავკასიონიდანაა;

- მცირეაზიული მემინდვრია (*Chionomys robertii*) - 278 ეგზემპლარი, რომელთაგან 163 ეგზემპლარი მცირე კავკასიონიდანაა;

- კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*) - 101 თავის ქალა და 250 ტყავი.

იშვიათობებს შორის აღსანიშნავია, საქართველოში, მცირე კავკასიონზე მოპოვებული 4 ეგზემპლარი პონტური მემინდვრია - *Myodes glareolus ponticus* და 1 ეგზემპლარი თავგისებური ზაზუნა - *Calomyscus sp.* (სავარაუდოდ, *C. urartensis*) ჯულფადან (აზერბაიჯანი), მისი აღწერის ადგილიდან [21].

კოლექციების მდგომარეობა დღეისათვის

დღეისათვის საკოლექციო მასალა ინახება მუყაოს კოლოფებში - 12-14 ცალი, ორ-ორ ეგზემპლარად ერთ უჯრედში. იმავე უჯრედებში მოთავსებულია, ინდივიდუალური ყუთები მინის სახურავით, რომლებშიც ინახება შესაბამისი ეგზემპლარის დანომრილი თავის ქალა. ყველა ეგზემპლარი შესაბამისად არის ეტიკეტირებული და ეტიკეტი მიბმულია ფიტულზე, ხოლო პირველადი ეტიკეტი მოთავსებულია თავის ქალას ყუთში. კოლოფები მოთავსებულია, მჭიდროდ დახურულ ხის ყუთებში. თავის მხრივ ხის ყუთები ინახება სპეციალურ კარადებში. მავნე მწერების (კერძოდ, ჩრჩილის და მუზეუმის ხოჭოს) საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა ნაფტალინი, ამჟამად ხმარებაშია თანამედროვე პრეპარატები.

კოლექციების მონაცემების ციფრულ ფორმატში გადაყვანა დაიგეგმა დიდი ხნის წინ [22, 23], მაგრამ თანხის უკმარისობის გამო სამუშაოები შეჩერებულია.

წვრილი ძუძუმწოვრების კოლექციას არ აქვს მუდმივი საერთაშორისო იდენტიფიკატორი, რომელიც მოახდენს თითოეული ეგზემპლარის ცალსახა იდენტიფიცირებას. დაწყებულია კოლექციების რეგისტრაციის პროცესი ბიოლოგიური საცავების რეგისტრში - Global Registry of Biological Repositories [24], აკრონიმით - GIZ (Georgian Institute of Zoology - საქართველოს ზოოლოგიის ინსტიტუტი): SMC (Shidlovsky Mammals Collection), ანუ - GIZ: SMC [25].

კოლექციების მნიშვნელობა ქართული მეცნიერებისათვის

ჩვენი კოლექციების მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

- განმეორებით ზოოლოგიური კოლექციების შეგროვება ამ მოცულობით და ასეთი გეოგრაფიული დაფარვით იქნება ძალიან ძვირი;

- შეიძლება ითქვას, რომ კოლექციის საფუძველზე უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ წვრილ ძუძუმწოვართა ფაუნის ამსახველი შედარებით სრული სურათის შექმნა;
- თუ სტუდენტებს არა აქვთ შესაძლებლობა შეაგროვონ მასალა ველზე, არსებული კოლექცია აძლევს მათ საშუალებას ადგილზე აწარმოონ კვლევები;
- კოლექცია თავისთავად წარმოადგენს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დამასაბუთებელ თვალსაჩინო დოკუმენტურ მასალას, რომელიც საშუალებას იძლევა გარემოზე ანთროპოგენური ზეგავლენით გამოწვეული ცვლილებების შესწავლა და აგრეთვე დასაბუთებულად აისახოს კლიმატის ცვლილებები;
- ინვაზიური სახეობების შემოღწევა და მათი გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე დოკუმენტირებულია კოლექციაში;
- მრავალი სახეობის მღრღნელი და ხელფრთიანი ცხოველი ადამიანისათვის საშიში ინფექციების და პარაზიტების გადამტანები არიან. კარგად დოკუმენტირებული მონაცემები მათი გავრცელების და ამ გავრცელების ცვლილებების შესახებ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვისა და ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვისათვის;
- ამჟამად არსებულ მონაცემთა უკმარისობა მრავალი სახეობის გავრცელების შესახებ საფრთხეს უქმნის სამეცნიერო პროექტების შესრულებას ბიოტექნოლოგიასა და გენომიკაში, რისკის ქვეშ აყენებს ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში, მეტყვევობასა და ჯანმრთელობის დაცვაში;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კვლევის ახალიმეთოდების (მოლეკულური ბიოლოგიისა და გენომიკის) განვითარება შესაბამისად ახალ მოთხოვნებს უყენებს ტრადიციულ ზოოლოგიურ კოლექციებს, რომლებიც კვლევისა და ახალი მეთოდებით დამუშავების ობიექტი ხდება და ასევე გამოიყენება სხვა ანალოგიურ კვლევებში მიღებული შედეგების დასადასტურებლად;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის თანახმად, კოლექციებზე მონაცემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს გლობალურ პრიორიტეტს.

სამწუხაროდ, საქართველოს ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექციების ბედი საგანგაშოა. ბოლო სამი წლის განმავლობაში (2011-2014) კოლექციამ უკვე ოთხჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა, ამან მძიმე კვალი დაატყო კოლექციებს. გადატანისას ზიანდება ენტომოლოგიური მასალა. ძუძუმწოვრების შესანახი საკოლექციო ყუთების 10% დაზიანებულია, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის მასალებს. ოთახი, რომელშიც განთავსებულია კოლექციები არ შეესაბამება ზოოლოგიური კოლექციების შენახვის სტანდარტებს [6] - კარები მჭიდროდ არ იხურება რათა გამორიცხული ქნეს მავნებლების შეღწევა, არ არის გამოყოფილი ცალკე ოთახი ფორმალინში ფიქსირებული მასალის შესანახად. არასაკმარისი დაფინანსების გამო ვერ ხერხდება კოლექციების რეგულარულად შევსება და მათი ციფრულ ფორმაში გადაყვანა. ყველაფერი ეს შეუძლებელს ხდის გამოვიყენოთ კოლექციები სასწავლო პროცესში და ხელს უშლის მუშაობაში მკვლევარებს.

სამეცნიერო კოლექციების დაცვა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არ განიხილება, როგორც სერიოზული მეცნიერება და მაინც, ჩვენ კოლექციებთან მუშაობდნენ ისეთი შესანიშნავი მეცნიერები, რიგორებიც იყვნენ ს.კ. დალი, ნ.კ.ვერეშაგინი, ნ.ნ.ვორონცოვი (С.К. Даль, Н.К. Верещагин, Н.Н. Воронцов) და მრავალი სხვა. პრაქტიკულად ხდებოდა მასალის გაცვლა სსრკ და საზღვარგარეთის მუზეუმებთან. მასალებზე რეგულარულად მუშაობდნენ ახალგაზრდა მეცნიერები და სტუდენტები თბილისიდან, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დროებითი სირთულეები დაიძლევა და სამეცნიერო ურთიერთობები აღდგება, ზოოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები შეივსება და სრულად იქნება გამოყენებული კვლევითი და სასწავლო მიზნებისათვის.

მადლიერება

ავტორები მადლიერებას გამოხატავენ დოქტორ ა. ბუხნიკაშვილის მიმართ სტატიის ტექსტის მომზადებისას აღმოჩენილი დახმარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Квавадзе Э.Ш. (1985). Дождевые черви Кавказа (Lumbricidae). — Тбилиси: Мецниереба, — С. 237. Бухникашвили А. К. (2004). Материалы к кадастру мелких млекопитающих (Insectivora, Chiroptera, Lagomorpha, Rodentia). — Тбилиси, — 136 с.
- 2, 3, 4. ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომებში — თბილისი: უნივერსალი, (2001). ტ. 21; — (2004). ტ. 22; (2008).ტ. 23.
5. Моргилевская И. Е.(1989). Каталог коллекции мелких млекопитающих Института зоологии АН ГССР — Тбилиси: Мецниереба, — 28 с.
6. Instruction of Museums Collection records and protection / Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia. — Tbilisi, 2006. — 98 p.
7. კობიას.ს. (1986) საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis Pallas*) საქართველოში— თბილისი: მეცნიერება, გვ. 135.
8. Шидловский М. В. (1976). Определитель грызунов Закавказья. — Тбилиси: Мецниереба,— 255 с.
9. Кандауров А.С., Бухникашвили А.К., Моргилевская И.Е. (1994).Систематическая изученность мелких млекопитающих (*Insectivora, Rodentia*) в Грузии // Биоразнообразие: степень таксономической изученности: Сборник. — М.: Наука, — С. 126–141.
10. Моргилевская И. Е., Цкипуришвили Д. Г. (1989). Лесная мышь в Грузии. — Тбилиси: Мецниереба,. — 112 с.
11. Bukhnikashvili A., Kandaurov A. (1998). Threatened and insufficiently studied species (Insectivora, Rodentia).Tbilisi,91 p.
12. Bukhnikashvili A., Kandaurov A. (2002). The Annotated List of Mammals of Georgia // Proceedings of the Institute of Zoology of Academy of Sciences of the Georgia. — Tbilisi: Metsniereba, Vol. 21.p. 319–340.

13. Бухникашвили, А. К. (2004). Материалы к кадастру мелких млекопитающих (Insectivora, Chiroptera, Lagomorpha, Rodentia). — Тбилиси, — 136 с.
14. Бухникашвили А. К. (2005). Насекомоядные — Insectivora и грызуны — Rodentia Грузии (видовой состав, распространение и охрана): Автореферат канд. дис. — Тбилиси,— 44 с.
15. Шидловский М. В. (2013). Насекомоядные и рукокрылые млекопитающие Грузии (Фаунистический очерк) и Грызуны Грузии. Фаунистический состав и эколого-географическое распространение. — Тбилиси,. — 174 с. — (Серия: Материалы к Фауне Грузии; Вып. V).
16. Bukhnikashvili A., Natradze J., Kandaurov A. (2002). Bats of Natural and Artificial Caves of Georgia. // IXth European Bat Research Symposium. — Le Havre, — p. 38.
17. Натрадзе И., Бухникашвили А., Кандауров А. (2003). Новые места находок летучих мышей в Грузии / Консервация аридных и семиаридных экосистем в Закавказье : Сборник. — Тбилиси, — с. 49–55.
18. Бухникашвили А., Кандауров А., Натрадзе И. (2005). Находки рукокрылых в Грузии за последние 140 лет // *Plecotus et al. M.*, № 7. С. 41–57.
19. Кандауров А.С. (1995). Два вида мышей рода *Mus* в Грузии // Состояние териофауны в России и ближнем зарубежье (Международное совещание). — М.: РЭТ-Инфо, — Март № 1 (13). — С. 8.
20. Orth A., Lyapunova E., Kandaurov A., Boissinot S., Boursot P., Vorontsov N., Bonhomme F. (1996). L'espece polytypique *Mus musculus* en Transcaucasie // *Comptes Rendus de l'Academie des Sciences, Paris, Sciences de la vie. Life sciences.* Vol. 319. P. 435–441.
21. Павлинов И. Я., Россолимо О.Л., (1987). Систематика млекопитающих СССР — Москва, Изд. МГУ, 283 с.
22. Кандауров А. С., Заславский А. Б. (1986). Коллекционная интерактивная база данных по мелким млекопитающим на основе инвертированных списков // Принципы и методы экоинформатики : Сборник. — М.: Наука, — С. 80.
23. Кандауров А. С., Бухникашвили А. К. (1989). Подход к организации кадастра мелких млекопитающих ГССР / Сборник II Всесоюзного совещания по проблеме кадастра и учёта живого мира. — Уфа, — Т. 1. — С. 165–166.
24. Global Registry of Biological Repositories — <http://grbio.org/>
25. Registry of Biological Repositories: Institutional Acronyms and Collections Codes. —2013. — <http://www.biorepositories.org>

Zoological collections of Institute of Zoology of Ilia State University

A. Kandaurov, E. Tskhadaia, Kh. Begelauri

S u m m a r y

Collections of the Institute of Zoology consist of two parts: invertebrates, collected by employees of the Institute during 60 years (1932-1992) covering entire territory of Georgia; and collection of vertebrates, mainly small mammals, gathered under the leadership of M. Shidlovsky.

Collection of invertebrates contains insects (*Hemiptera*, *Diptera*, *Curculionidae*, *Scarabaeidae*, *Carabidae*, *Chrysomelidae*, *Formicidae*, *Lepidoptera*, *Cicadidae*, *Orthoptera*, *Thysanoptera*, *Hemiptera*, *Aphidoidea*), arachnids, basically, mites (*Acari*), conches of molluscs (*Bivalvia*, *Gastropoda*, *Polyplacophora*), earthworms (*Lumbricidae*) and hundreds of parasites, which are fixed on microscope slides: parasitic protozoa, parasitic worms of mammals and parasites of fishes.

Today, the incomplete list of invertebrates collection contains more than 3580 species belonging to 1206 genera of 115 families from three orders of insects (*Hemiptera*, *Diptera*, *Coleoptera*); more than 1150 species of mites belonging to 417 genera of 155 families from 8 orders; about 400 species belonging to 207 genera of 79 families from 26 orders of three classes of mollusks. The majority of insects are pinned and identified, but certain number of insects is still stored on cotton pads, waiting for researchers.

The collection of small mammals is of a great significance. It will hardly ever be possible to repeat collecting activities with similar scale and geographical coverage. So in short time, the collection will represent a state of fauna of small mammals for the last 100 years. Geographically the collection covers entire Georgia. Every year several expeditions worked simultaneously in different places applying the same unified methods of collecting. More than 260 catching places are distributed in every administrative region of Georgia covering all landscapes and elevation belts of Georgia.

Five orders of mammals (*Soricomorpha*, *Erinaceomorpha*, *Chiroptera*, *Lagomorpha*, *Rodentia*) and one species of Carnivores — weasel (*Mustela nivalis*) (53 specimens) are represented in the Shidlovsky collection. The catalogue of the collection was published in 1989. More than 12,850 specimens belonging to 65 species from 34 genera of 11 families are listed in the collection catalogue. All these materials are stored as skins and skulls. Approximately 2000 specimens, collected in the last years, are stored in alcohol and formalin, and are ready for further treatment and conversion in a form of skins and skulls. The rodents are most fully represented in the collection (11461 specimens). The insectivorous (738 specimens) and chiropterans (159 skins and skulls, and up to 300 stored in alcohol, which are collected during last years) are represented less fully. A serial material of many groups is stored in the collection: wood mice — 4567 specimens, house mice — 1252 specimens, bush vole — 1327 specimens, social vole — 916 skulls and 899 skins. Endemic and rare species are represented in the collection by considerable number of specimens: the long-clawed mole vole (*Prometheomys schaposchnikowi*) — 356 specimens, the Caucasian snow vole (*Chionomys gud*) — 160 specimens, Robert's snow vole (*Chionomys robertii*) — 278 specimens, the Caucasian squirrel (*Sciurus anomalus*) — 101 skull and 250 skins.

There are some specimens that are caught in place where species to which they are belonging were described (type locality). However their status (paratype, allotype, neotype etc.) is in need of clarification.

Significance of our collection is determined by the following:

- according to the Convention on biodiversity, facilitation of the collection accessibility: access to data and to the knowledge is considered as a global imperative;

- it will very expensive to repeat collecting activities with similar scale and geographical coverage
- the advances in information technologies and new research methods (molecular biology and genomics) raise new questions towards the traditional zoological collections. The materials stored in the collections become objects of research with application of new methods and are used for confirmation of results of such research.

Composting: Advantages and Disadvantages

M. Kokhia

Institute of Zoology, Ilia State University
3/5, K. Cholokashvili Ave., 0162, Tbilisi, Georgia,
mzia.kokhia@iliauni.edu.ge

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოტანილ მონაცემებს, დავინახავთ, რომ სადამოს ტბაში მოსახლეობს ზოობენტოსის სულ 13 ჯგუფი. აქედან სანაპირო ზოლის ქვიან ბიოტოპზე გავრცელებულია 12 ჯგუფი, ხოლო ლამიან ბიოტოპზე- 7 ჯგუფი (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ზოობენტოსის განაწილება ბიოტოპების მიხედვით

#	წელი	2001	
	ბიოტოპი	ქვიანი	ლამიანი
	ზოობენტოსის ჯგუფები		
1.	<i>Hidrozoa</i> - ღრუნაწლავიანები	+	-
2.	<i>Nematoda</i> - ნემატოდები	+	+
3.	<i>Oligochaeta</i> - ოლიგოქეტები	+	+
4.	<i>Hirudinea</i> - წურბლები	+	+
5.	<i>Ostracoda</i> - ნიჟარიანიკიბოები	+	+
6.	<i>Tardigrada</i> - ნელამავლები	+	-
7.	<i>Hidrocarina</i> - წყლისტკიპები	+	+
8.	<i>Chironomidae</i> - ქირონომიდები	+	+
9.	<i>Coleoptera</i> - ხოჭოსმატლები	+	-
10.	<i>Trichoptera</i> - რუსელები	+	-
11.	<i>Ephemeroptera</i> - დღიურები	+	-
12.	<i>Mollusca</i> - მოლუსკები	-	+
13.	<i>Amphipoda</i> - ღორტავეები	+	-
	სულ:	12	7

დასკვნები

საღამოს ტბის ზოობენტოსში რეგისტრირებულია სულ 13 ჯგუფი (*Hidrozoa*, *Nematoda*, *Oligochaeta*, *Hirudinea*, *Ostracoda*, *Hidrocarina*, *Tardigrada*, *Chironomidae*, *Coleoptera*, *Trichoptera*, *Ephemeroptera*, *Mollusca*, *Amphipoda*).

ზემოთ დასახელებული ორგანიზმიდან *Hidrocarina*, *Tardigrada*, *Ephemeroptera*, *Coleoptera* და *Trichoptera* პირველად აღინიშნება ჩვენს მიერ საღამოს ტბისათვის.

საღამოს ტბის ზოობენტოსში წამყვანი ჯგუფებია: *Oligochaeta* (38,47%), *Mollusca* (31,32%), *Chironomidae* (6,7%) და *Hirudinea* (2,9%).

ზოობენტოსში იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება: *Hidrozoa*, *Tardigrada*, *Hidrocarina*, *Ephemeroptera*, *Coleoptera*.

საერთო ზოობენტოსის მაქსიმალური ბიომასა აღრიცხულია გაზაფხულზე (51,1 გ/მ²), ხოლო მომდევნო სეზონებში თანდათან მცირდება (ზაფხული- 32,0 გ/მ²; შემოდგომაზე- 26,8 გ/მ²).

ზოობენტოსის საშუალო წლიური ბიომასა შეადგენს 36,6 გ/მ², რის გამოც იგი მაღალპროდუქტიული წყალსატევების რიცხვს მიეკუთვნება.

ლიტერატურა:

1. Овиникова В.В. (1959). К характеристике состояния кормовой базы бентосоядных рыб в озерах Паравани, Сагамо и в Храмском водохранилище в 1958 году. Труды научно-исследовательской рыбохозяйственной станции Грузии., т.IV, Батуми.

Zoobenthos of the Lake "Saghamo"

A. Pataridze, M. Gioshvili

Summary

In total 13 groups were registered in the zoobenthos of the Lake Saghamo. These are: *Hidrozoa*, *Nematoda*, *Oligochaeta*, *Hirudinae*, *Ostracoda*, *Hydrocarina*, *Tardigrada*, *Chironomidae*, *Coleoptera*, *Trichoptera*, *Ephemeroptera*, *Mollusca*, *Amphipoda*.

Among these organisms *Hydrocarina*, *Tardigrada*, *Ephemeroptera*, *Coleoptera* and *Trichoptera* are registered first time for the Lake Saghamo.

The dominant groups in the zoobenthos of the Lake Saghamo are: *Oligochaeta* (38.47%), *Mollusca* (31.32%), *Chironomidae* (6.7%) and *Hirudinae* (2.9%).

Hidrozoa, *Tardigrada*, *Hydrocarina*, *Ephemeroptera*, *Coleoptera* are seldom and not abundant in the zoobenthos.

Biomass of the total zoobenthos reaches maximum in spring (51.1 g/m²) decreasing gradually in following seasons (spring – 32.0 g/m²; in autumn – 26.8 g/m²).

The average annual biomass of zoobenthos is 36.6 g/m². This makes the Lake Saghamo a high productive water reservoir.

თბილისის ზღვის ზოობენტოსი

ა. პატარიძე, გ. ლებანიძე

ზოოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გ.წერეთლის 3, 0162, თბილისი

თბილისის ზღვის პირველი გამოკვლევის შედეგად (1952-54 წ.წ.) რეგისტრირებულია ქირონომიდების 17 სახეობა [3] და ოლიგოქეტების 26 სახეობა [6], ხოლო მეორე გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ თბილისის ზღვაში ბინადრობს ზოობენტოსის 5 ჯგუფი (ქირონომიდები, ოლიგოქეტები, ნემატოდები, წყლისტკიპები, ოსტრაკოდები). ამ ჯგუფებიდან ქირონომიდები წარმოდგენილია 23 სახეობით [4], ხოლო ოლიგოქეტები – 12 სახეობით [12].

მესამე გამოკვლევის შედეგად (1968-69 წ.წ.) თბილისის ზღვაში რეგისტრირებულია ქირონომიდების 17 სახეობა [5] და ოლიგოქეტების 20 სახეობა [2].

2001 წელს გ. ლებანიძემ [1] საფუძვლიანად შეისწავლა თბილისის ზღვის ერთი პატარა მონაკვეთი – თელიანისხევი და აღწერა ზოობენტოსის 11 ჯგუფი (ნემატოდები, ოლიგოქეტები, ოსტრაკოდები, წყლის ტკიპები, წყლის ობობები, ნელამავლები, ქირონომიდები, დლიურები, ნემსიყლაპიები, მოლუსკები, ღორტავები) მათ შორის ოლიგოქეტების 11 სახეობა.

თბილისის ზღვის მთელი სანაპირო ზოლი 10 მეტრის სიღრმემდე დაფარულია წყლის მცენარეებით - ხუჭუჭა წყლის ვაზით, ხოლო სპიროგირებიდან ხარა ვრცელდება მხოლოდ 2-3 მეტრის სიღრმემდე. ღია ზღვის ლამიანი გრუნტი 15-32 მეტრის სიღრმეზე დაფარულია უფერო, წვრილი, ძაფოვანი წყალმცენარეებით (კლადოფორა). კლადოფორები ისეთი დიდი რაოდენობითაა გრუნტის ზედაპირზე, რომ იქიდან აღებული ზოობენტოსის მასალა ძალიან ძნელი გასარჩევია. განსაკუთრებით ძნელი ამოსაღებია ოლიგოქეტები, რადგანაც ისინი თავიანთი ჯაგრებით გახლართული არიან წყალმცენარეებში და იოლად წყდებიან ამოღების დროს. მთლიანი ეგზემპლარის ამოღება იშვიათად ხერხდება.

თბილისის ზღვაში ადრე, როდესაც მას მარტო მდინარე იორი კვებავდა, არ იყო წყალმცენარეების ასეთი დიდი რაოდენობა. მას შემდეგ, რაც თბილისის ზღვაში დამატებით მდინარე არაგვი შეუშვეს, წყალმცენარეების რაოდენობა ძლიერ გაიზარდა როგორც სანაპირო ზოლში, ასევე ღრმა ადგილებშიც 15 მეტრიდან მაქსიმალურ სიღრმემდე (32 მ).

ბენტოსური და ცხოველური ორგანიზმებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გრუნტის ხასიათს და მის ტემპერატურას, ამიტომ მოკლედ ავლნიშნავთ, რომ თბილისის ზღვის პროფუნდალში არის თხიერი ლამიანი გრუნტი, რომელსაც გოგირდწყალბადისსუნი უკვე აღარ აქვს, რადგანაც ყოფილი სამი მარილიანი ტბის ფსკერი და მათ გარშემო არსებული დამლაშებული ტერიტორიები დაიფარა ახალი მტკნარი ლამის სქელი ფენით, რომელიც ძირითადად მდინარეების - არაგვისა და ივრის შემოტანილია. ღრმა წყლის ლამიანი გრუნტის ტემპერატურა დაბალია (საშუალო წლიური 10,4°C) და ოდნავ მერყეობს სეზონების მიხედვით (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ტემპერატურა (°C) წყლის ზედაპირზე და ლამიან გრუნტში

ზედაპირი
გრუნტი

წელი		2002			საშუალო წლიური
სადგურის ნომერი	სიღრმე მეტრებში	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	
1	27-29	$\frac{12,6}{8,2}$	$\frac{23}{12}$	$\frac{12,2}{11,8}$	
2	29-30	$\frac{12,6}{8,2}$	$\frac{23}{10,5}$	$\frac{12,2}{11,8}$	
3	28-30	$\frac{13,0}{8,2}$	$\frac{23,5}{11,0}$	$\frac{12,2}{11,8}$	
საშუალო სეზონური		$\frac{12,7}{8,2}$	$\frac{23,2}{11,2}$	$\frac{12,2}{11,8}$	$\frac{16,0}{10,4}$

ზოობენტოსის შესწავლის მიზნით თბილისის ზღვის ერთ ჭრილში, რომელიც ყვითელ ხევსა და თელიანის ხევს შორისმდებარეობს, დავნიშნეთ სამიმუდმივისადგური, რომლებიც ერთმანეთისგან 350-400 მეტრითაა დაცილებული. მასალების აღება მიმდინარეობდა სეზონების მიხედვით.

საბჭოთა კავშირში გარდაქმნით გამოწვეულმა დუხჭირმა ცხოვრებამ (უსახსრობა, სახმელეთო და წყლის ტრანსპორტის უქონლობა და სხვა მრავალი) არ მოგვცა საშუალება, ნორმალურად აგველო რაოდენობრივი მასალები ოთხივე სეზონიდან და ზღვის ყველა უბნიდან. ჩვენ შევძელით მხოლოდ სამი სეზონის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) მასალების აღება. ფეხით შემოვლით ავიღეთ თვისობრივი მასალები ზღვის სანაპირო ზოლის ყველა უბნიდან.

თბილისის ზღვიდან რაოდენობრივი მასალები აღებული არ ყოფილა ავჭალის მხარის, მდინარე ივრისა და მდინარე არაგვის შემოსვლის მიდამოებში. აქედან გამომდინარე, ზოობენტოსის ზოგიერთი ჯგუფი და იშვიათი სახეობა ჩვენს ნაშრომში ვერ მოხვდებოდა. ამიტომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ფაუნისტური შემადგენლობა შეიძლება არ იყოს ამომწურავი.

თბილისის ზღვიდან ჩვენს მიერ 2002 წელს აღებულია 9 რაოდენობრივი სინჯი, ხოლო 2004 წელს - 25 თვისობრივი სინჯი. აღებული მასალის დამუშავებამ გვაჩვენა, რომ თბილისის ზღვაში გავრცელებულია შემდეგი ჯგუფები:

***Turbellaria*.** თბილისის ზღვაში წამწამოვანი ჭიების წარმომადგენელია *Planaria* sp., რომელიც მტაცებლურ ცხოვრებას ეწევა და დიდი რაოდენობით ანადგურებს მასზე სუსტ ბენტოსურ ორგანიზმებს. თბილისის ზღვაში პლანარიები იშვიათად გავრცელებულ და მცირერიცხოვან ფორმებს წარმოადგენენ. ისინი მცირე რაოდენობით რეგისტრირებულია მხოლოდ ღრმა წყლიან ლამიან ბიოტოპზე. თბილისის ზღვის ზოობენტოსში პლანარიებს

ძალიან უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ (საშუალო წლიური დასახლება 23ეგზ/მ²; ბიომასა- 8 მგ/მ²).

Nematoda.³ თბილისის ზღვაში გავრცელებულია ოთხი სახეობის ნემატოდა (*Aporcelaimus* sp., *Monhystera* sp., *Tripula* sp., *Darylaimus stagnalis* Guiardis), რომლებიც დასახლებული არიან ყველგან. სანაპირო ზოლში აღრიცხულია მცირე რაოდენობით, ხოლო ღრმა წყლიანი ადგილებიდან (28-32მ) - საკმაო რაოდენობით. ასე მაგალითად, ისინი გვხვდებოდნენ ყველა სადგურზე და ყველა სეზონზე. მათი დასახლების სიმჭიდროვის სეზონური დინამიკა ასეთია: ყველაზე მეტი რეგისტრირებულია გაზაფხულზე (1736 ეგზ/მ²), ხოლო მომდევნო სეზონებში თანდათან მცირდება (ზაფხული-434ეგზ/მ². შემოდგომა-316ეგზ/მ²). მსგავსად დასახლების სიმჭიდროვისა, ბიომასა უდიდესია გაზაფხულზე (45 მგ/მ²), ხოლო მომდევნო სეზონებზე ძლიერ შემცირებულია (ზაფხული-20მგ/მ², შემოდგომა-20მგ/მ²).

მიუხედავად იმისა, რომ ნემატოდების დასახლების სიმჭიდროვე მაღალია (საშუალო წლიური დასახლება 829 ეგზ/მ²), მათი როლი თბილისის ზღვის ბიომასაში ძლიერ უმნიშვნელოა იმის გამო, რომ ისინი ძალიან წვრილი და პატარა ორგანიზმებია (საშუალო წლიური ბიომასა - 28 მგ/მ²).

Oligochaeta. 1963 წლის მასალების მიხედვით [4] თბილისის ზღვაში ღრმა წყლიანი სადგურების ლამიან გრუნტზე აღრიცხული იყო ოლიგოქეტების 10 სახეობა (*Nais simplex*, *N. pardalis*, *Uncinai uncinata*, *Ophidonais serpentine*, *Dero obtuse*, *Aulodrilus pluriset*, *A. pigueti*, *Limnodrilus hoffmeisteri*, *L. clapedeanus*, *Tubifex tubifex*). აქ დასახელებული სახეობებიდან დღეისათვის იმავე ადგილებში უკვე აღარ გვხვდება *Nais simplex*, *N. pardalis*, *U. uncinata*, *Ophidonais serpentine* და *Dero obtusa*.

2002-04 წლებში აღებული მასალების დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის ზღვაში სახლობს შემდეგი სახეობის ოლიგოქეტები:

Vejdovskyella intermedia (Bretcher, 1896) თბილისის ზღვაში გავრცელებულია ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან გრუნტზე, ხოლო სანაპირო ზოლის თხელ წყლიან ადგილებში მცენარეულობათა შორის არ გვხვდება. ღრმა წყლიან სადგურებზე მცირე რაოდენობით რეგისტრირებულია გაზაფხულის სეზონზე (149ეგზ/მ²), ხოლო დიდი რაოდენობით-ზაფხულის სეზონზე (692ეგზ/მ²). საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე შეადგენს 280ეგზ/მ².

ინტერმედია საქართველოში გვხვდება მხოლოდ ჟინვალის წყალსაცავში და იქაც ღრმა წყლიან ადგილებში (20-64მ). როგორც ჩანს, იგი ღრმა წყლის მოყვარული ფორმაა. თბილისის ზღვაში იგი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ჟინვალიდან წამოსული წყალი გვირაბებისა და არხების საშუალებით თბილისის ზღვას შეუერთდა.

Nais pardalis Piguet, 1906. 1963-64 წლებში პარდალისი გვხვდებოდა ყველგან და ყოველთვის. ღრმა ადგილებში მისი დასახლების საშუალო წლიური სიმჭიდროვე შეადგენდა 46 ეგზ/მ². დღეისათვის კი ღრმა წყლიან ადგილებში საერთოდ აღარ გვხვდება, ხოლო სანაპირო ზოლის წყალმცირე ადგილებში გვხვდება იშვიათად და ისიც ერთეული ეგზემპლარების სახით.

³ნემატოდები სახეობამდე გარკვეულია პროფ. ი. ელიავას მიერ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ

თბილისის ზღვაში პარდალისის ძლიერი შემცირება გამოწვეულია მდინარე არაგვისწყლით, რომელიც თბილისის ზღვას შეუერთდა ორი ათეული წლის წინათ. არაგვისწყალი შეიცავს საკმაო რაოდენობის კალციუმის მარილებს, რაც არახელსაყრელ გარემო პირობებს ქმნის პარდალისის განვითარებისთვის. არაგვისწყალში კალციუმის მარილების მაღალი შემცველობა იმითაც მტკიცდება, რომ თბილისის ზღვაში ამ ბოლო დროს დიდი რაოდენობით განვითარდა წყალმცენარეები, როგორცაა: სპიროგირა, ხარა და კლადოფორა. აღნიშნული მცენარეები კალციუმის მარილებიან წყალსატევებში გვხვდება.

Nais simplex Piguet, 1906. ისევე, როგორც პარდალისი, სიმპლექსი 1963-64 წლებში დასახლებული იყო ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან გრუნტზე (საშუალო წლიური დასახლება 46ეგზ/მ²); დღეისათვის კი იგი ღრმა ადგილებში აღარ გვხვდება და ერთეული ეგზემპლარების სახით რეგისტრირებულია მხოლოდ სანაპირო ზოლის თხელ წყლიან ადგილებში მცენარეულობათა შორის.

Nais pseudobtusa Piguet, 1906. აღნიშნული სახეობა თბილისის ზღვაში ძლიერ შვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება. რეგისტრირებულია მხოლოდ სანაპირო ზოლის თხელ წყლიან ადგილებში ყვითელი ხევის მახლობლად (სიღრმე 25სმ; ოდნავ დაღამული მაგარი გრუნტი; 2 ეგზემპლარი).

Ophidonais serpentina Müller, 1773 თბილისის ზღვაში მცირე რაოდენობით გვხვდება. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებული იყო მხოლოდ თელიანის ხევში მცენარეულობათა შორის (სიღრმე 1,5მ; გრუნტი-ლამი; 3 ეგზემპლარი).

Aulodrilus plurisetia Piguet, 1906. პლურისეტა თბილისის ზღვაში იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია ღრმა წყლიანი სადგურების ლამიან გრუნტზე (საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე 16 ეგზ/მ²), მაშინ, როცა 1963-64 წლებში გვხვდებოდა უფრო ხშირად და უფრო მეტი რაოდენობით (დასახლების სიმჭიდროვე ცვალებადობდა 92ეგზ/მ²-დან 2163ეგზ/მ²-მდე). თბილისის ზღვის სანაპირო ზოლის გრუნტზე მცენარეულობათა შორის პლურისეტები რეგისტრირებული არ ყოფილა.

Aulodrilus piqueti Kowalevski, 1914. თბილისის ზღვაში იშვიათი და მცირერიცხოვანი ფორმაა. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია მხოლოდ თელიანის ხევში ლამიან გრუნტზე (სიღრმე 1,5 მ; 2 ეგზემპლარი).

Limnodrilus clapparedeanus Ratzel, 1868. თბილისის ზღვაში საკმაო რაოდენობით გვხვდებოდა 1963-64 წლებში [4]. დღეისათვის კი მისი რაოდენობა კიდევ უფრო მომატებულია.

კლაპარედეანუსი მცირე რაოდენობით რეგისტრირებულია სანაპირო ზოლის წყალმცირე ადგილებში, როგორცაა ათელიანის ხევი, ყვითელი ხევი, მდ. ივრისა და მდ. არაგვის შერთვის მიდამოები (გრუნტი-ოდნავ დაღამული ყოფილი მდელო). იგი დიდი რაოდენობით გვხვდება მხოლოდ ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე, სადაც რეგისტრირებულია ყველა სადგურზე და ყველა სეზონში. გაზაფხულზე მაქსიმალური დასახლება იყო 3980ეგზ/მ², ხოლო მინიმალური-669ეგზ/მ². შემოდგომის სეზონზე მაქსიმალური დასახლების სიმჭიდროვე ავიდა 10081ეგზ/მ²-მდე, ხოლო მინიმალური - 3776 ეგზ/მ²-მდე.

საშუალო სეზონური დასახლების სიმჭიდროვე ასეთ სურათს იძლევა: იგი გაზაფხულზე შეადგენს 2827 ეგზ/მ², ზაფხულში - ოდნავ მცირდება (2002 ეგზ/მ²), ხოლო შემოდგომაზე ყველაზე უდიდესია (6349 ეგზ/მ²). ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კლაპარედენუსი თბილისის ზღვაში წარმოადგენს მასობრივად გავრცელებულ ფორმას, რომლის საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვეა 3726 ეგზ/მ². კლაპარედენუსი წარმოადგენს მსხვილ ფორმას, ამიტომ მის მასობრივ განვითარებას თბილისის ზღვაში აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც ბენტოსით მკვებავი თევზების საუკეთესო საკვებს.

Tubifex tubifex (Müller, 1776). თბილისის ზღვაში საკმაო რაოდენობით გვხვდებოდა 1963-64 წლებში [4]. დღეისათვის კი მისი რაოდენობა კიდევ უფრო მომატებულია.

კლაპარედენუსი მცირე რაოდენობით რეგისტრირებულია სანაპირო ზოლის წყალმცირე ადგილებში, როგორცაა თელიანის ხევი, ყვითელი ხევი, მდ. ივრისა და მდ. არაგვის შერთვის მიდამოებში (გრუნტი-ოდნავ დაღამული ყოფილი მდელი). იგი დიდი რაოდენობით გვხვდება მხოლოდ ღრმაწყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე, სადაც რეგისტრირებული არიან ყველა სადგურზე და ყველა სეზონში. გაზაფხულზე მაქსიმალური დასახლება იყო 3980 ეგზ/მ², ხოლო მინიმალური-669 ეგზ/მ². შემოდგომის სეზონზე მაქსიმალური დასახლების სიმჭიდროვე ავიდა 10081 ეგზ/მ²-მდე, ხოლო მინიმალური-3776 ეგზ/მ²-მდე.

საშუალო სეზონური დასახლების სიმჭიდროვე ასეთ სურათს იძლევა: იგი გაზაფხულზე შეადგენს 2827 ეგზ/მ², ზაფხულში-ოდნავ მცირდება (2002 ეგზ/მ²), ხოლო შემოდგომაზე ყველაზე უდიდესია (6349 ეგზ/მ²). ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კლაპარედენუსი თბილისის ზღვაში წარმოადგენს მასობრივად გავრცელებულ ფორმას, რომლის საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვეა 3726 ეგზ/მ². კლაპარედენუსი წარმოადგენს მსხვილ ფორმას, ამიტომ მის მასობრივ განვითარებას თბილისის ზღვაში აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც ბენტოსით მკვებავი თევზების საუკეთესო საკვებს.

Branchiura soweryi Beddard, 1892. თბილისის ზღვაში ბრანხიურა იშვიათად გავრცელებული და მცირერიცხოვანი ფორმაა. მცირე რაოდენობით დასახლებულია მხოლოდ თელიანის ხევის სანაპირო ზოლში, სადაც წყალმცენარე ხარა სქელფენად ხალიჩასავითაა გადაფარებული ლამიან გრუნტს (სიღრმე 1,5მ; 17 ეგზ). თბილისის ზღვისთვის ბრანხიურა პირველად აღინიშნება ჩვენს მიერ.

სასიამოვნოა ამ სახეობის ახლახან შემოსახლება თბილისის ზღვაში, რადგან იგი ყველაზე დიდი ფორმაა მტკნარი წყლის ოლიგოქეტებს შორის და თუ იგი მასობრივად გავრცელდა ზღვის ყველა უბანში, მაშინ კიდევ უფრო მოიმატებს ოლიგოქეტების ბიომასის რაოდენობა.

საქართველოს წყალსატევებიდან ბრანხიურა მხოლოდ ჯანდარის ტბაში ბინადრობს. თბილისის ზღვაში იგი მდ. ივრის ან მდ. არაგვის წყალვარდნილებთან ახლოს რომ გვეპოვნა, ვიფიქრებდით, რომ აქ იგი მდინარეების საშუალებით შემოსახლდა. თელიანის ხევი კი, სადაც ბრანხიურა ვიპოვნეთ, არავითარი მდინარე არ შედის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა ნაკადულს, რომელიც იქვე ახლოს მიწისქვეშა გამონაჟონებით წარმოიშობა და თელიანის ხევს ერთვის. თელიანის ხევი ახლოსაა ზოოლოგიის ინსტუტის ლაბორატორიასთან. ამ ადგილიდან ხშირად გვიხდებოდა ზოობენტოსის

აღება ინსტიტუტის თემატიკისათვის ან სადიპლომო შრომაზე მომუშავე სტუდენტებისთვის, მაგრამ ბრანხიურა რეგისტრირებული არასოდეს ყოფილა. ვფიქრობთ, რომ იგი თბილისის ზღვაში შემოსახლდა წყალმცურავი ფრინველების (თოლიები, იხვები და სხვ.) საშუალებით, რომლებიც ზამთრობით ღამის გასათევად გუნდებად მოფრინავენ ჯანდარის ტბიდან ან კუმისის წყალსაცავიდან და მეორე დღეს დილით თბილისის ზღვიდან უკან ბრუნდებიან.

Enchytraeidae gen. sp. მცირერიცხოვან და იშვიათ ფორმას წარმოადგენს. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებული იყო თვისობრივ მასალებში, რომლებიც აღებულია ყვითელი ხევის მიდამოებში მცენარეულობათა შორის (სიღრმე 20სმ, გრუნტი - ოდნავ დაღამული ყოფილი მდელო; 2 ეგზ.).

Hirudinae. თბილისის ზღვაში წურბელები იშვიათად გავრცელებულ და მცირერიცხოვან ფორმებს წარმოადგენს. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია მხოლოდ მდ. არაგვის წყალვარდნილთან ახლოს (სიღრმე 40სმ, გრუნტი-დაღამული ქვიშა, 2 ეგზ.).

Ostracoda. ოსტრაკოდები ანუ ნიჟარიანი კიბოები თბილისის ზღვაში საკმაო რაოდენობით გვხვდება. ისინი დასახლებული არიან ყოველგვარ ბიოტოპზე და ყველა სიღრმეზე. შედარებით მეტი რაოდენობა აღრიცხულია ღრმა წყლიანი სადგურების ლამიან გრუნტზე, სადაც ისინი გვხვდება ყველა სადგურზე და ყველა სეზონში. გაზაფხულზე მაქსიმალური დასახლება იყო 2771 ეგზ/მ^2 , ხოლო მინიმალური - 446 ეგზ/მ^2 . ზაფხულში მაქსიმალურმა დასახლებამ შეადგინა 10230 ეგზ/მ^2 , ხოლო მინიმალურმა - 167 ეგზ/მ^2 . რაც შეეხება შემოდგომას, ამ დროს ძლიერა შემცირებული როგორც მაქსიმალური დასახლება (316 ეგზ/მ^2), ასევე მინიმალური დასახლებაც (74 ეგზ/მ^2). თუ შევაჯამებთ ზემოთ მოტანილ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ოსტრაკოდების საშუალო სეზონური დასახლების სიმჭიდროვე გაზაფხულზე შეადგენს 1454 ეგზ/მ^2 , ზაფხულში აღწევს მაქსიმუმს (3602 ეგზ/მ^2), ხოლო შემოდგომაზე უმცირესია (211 ეგზ/მ^2).

თბილისის ზღვის ზოობენტოსში ოსტრაკოდებს მნიშვნელოვანია დგილი უჭირავს (საშუალო წლიური დასახლება- 1756 ეგზ/მ^2 , ბიომასა- 168 მგ/მ^2).

Tardigrada. ნელამავლები ძალიან პატარა, მიკრობენტოსური ცხოველური ორგანიზმებია, რომლებიც თბილისის ზღვის სანაპირო ზოლის წყალმცირე ადგილებში რეგისტრირებული არ არიან, ხოლო ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე მცირე რაოდენობით რეგისტრირებული იყვნენ მხოლოდ გაზაფხულზე და შემოდგომაზე. თბილისის ზღვის ზოობენტოსში ნელამავლებს ძლიერ მცირე მნიშვნელობა აქვთ (საშუალო წლიური დასახლება- 132 ეგზ/მ^2 , ბიომასა- 24 მგ/მ^2).

Ephemeroptera. დღიურები ტიპური რეოფილური ორგანიზმებია. ალბათ ამიტომ არის, რომ თბილისის ზღვაში ისინი მცირერიცხოვან და იშვიათად გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენენ. სულ რეგისტრირებული იყო 2 ეგზემპლარი, რომლებიც აღებულია თელიანის ხევის სანაპირო ზოლში მცენარეულობიდან (სიღრმე 0,5მ, გრუნტი-დაღამული ქვიშა).

Odonata. ნემსიკლაპიები მცირერიცხოვან და იშვიათ ფორმებს წარმოადგენენ. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია მხოლოდ თელიანის ხევის სანაპირო ზოლში მცენარეულობა თაშორის (სინჯი #11, სიღრმე-0,5მ, გრუნტი-დაღამული ქვიშა, 5 ეგზ.).

Chironomidae. 1963-64 წლებში თბილისის ზღვაში მოსახლეობდა 19 სახეობის ქირონომიდა [2], ხოლო 2002 წელს ჩვენს მიერ აღებული მასალები გაურკვეველი დარჩა.

ახალი მასალების მიხედვით თბილისის ზღვაში ქირონომიდები საკმაო რაოდენობით გვხვდება. განსაკუთრებით დიდია მათი რაოდენობა სანაპირო ზოლის მცენარეულობაში, სადაც რაოდენობრივი აღრიცხვა ჩვენს მიერ ჩატარებული არ ყოფილა. ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე ქირონომიდები გვხვდება ყველგან და ყოველთვის. ასე მაგალითად, გაზაფხულზე მაქსიმალური დასახლება იყო 2269 ეგზ/მ², ხოლო მინიმალური - 116 ეგზ/მ². ზაფხულში მაქსიმალური დასახლება შემცირდა (1786 ეგზ/მ²), ხოლო მინიმალური გაიზარდა (1042 ეგზ./მ²). შემოდგომაზე შემცირდა როგორც მაქსიმალური (223 ეგზ/მ²), ისე მინიმალური დასახლებაც (93 ეგზ/მ²). საშუალო სეზონური დასახლების სიმჭიდროვე ასე გამოიყურება: იგი გაზაფხულზე შეადგენს 1179 ეგზ/მ². ზაფხულში ეს რიცხვი ოდნავ მატულობს (1333 ეგზ/მ²), ხოლო შემოდგომაზე უმცირესია (155 ეგზ/მ²). რაც შეეხება ბიომასას, იგი გაზაფხულზე შეადგენს 837მგ/მ², ზაფხულში ოდნავ გაიზარდა (1234მგ/მ²), ხოლო შემოდგომაზე ყველაზე მეტად შემცირდა (700მგ/მ²). ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქირონომიდები თბილისის ზღვის ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე საკმაო რაოდენობით გვხვდება (საშუალო წლიური დასახლება - 889ეგზ/მ², ბიომასა - 924მგ/მ²).

Megaloptera. თბილისის ზღვაში ამ ჯგუფის წარმომადგენელიაშიალისფულიგინოსა Pიცტეტ, რომელიც იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია მხოლოდ თელიანის ხევის სანაპირო ზოლში (სიღრ. 1,2 მ, გრუნტი-წყალმცენარეებით (*Chara* sp.) და ფარული ლამი; 2 ეგზ.).

ლიტერატურული მონაცემებით [8] დიდფრთიანები (Megaloptera) არის ფრთოსანი მწერების პატარა ჯგუფი, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოდგენილია მხოლოდ 2 სახეობით და რომელთა გეოგრაფული გავრცელება სრულებით შეუსწავლელია. ამასთან დაკავშირებით ფულიგინოზას აღმოჩენა თბილისის ზღვის ზოობენტოზში მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. საქართველოს წყალსატევებისათვის პირველად აღინიშნება ჩვენს მიერ.

Mollusca. თბილისის ზღვაში მოლუსკები იშვიათად გვხვდება. ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე არ მოსახლეობენ, ხოლო სანაპირო ზოლის წყალმცირე ადგილებიდან გვხვდება მხოლოდ თელიანის ხევაში (სინჯი #2, სიღრ. 0,5 მ, გრუნტი-დალამული ქვიშა, 19 ეგზ.).

Amphipoda. ღორტავები დიდი რაოდენობით არიან გავრცელებული თბილისის ზღვის სანაპირო ზოლის მცენარეულობაში, სადაც გრუნტი შეიძლება იყოს ლამიანი, დალამული ქვიშა ან ყოფილი მდელო. მცირე რაოდენობით გვხვდებიან მხოლოდ ქვიან ბიოტოპზე ტალღებისცემის ადგილებში. ღორტავები ჩვენს მიერ ნაპოვნია თბილისის ზღვის მთელ სანაპიროზე, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდებოდნენ ტალღებისაგან დაცულ ადგილებში, როგორცაა: თელიანისხევი, ყვითელიხევი, დოსაფის ყურე, ავჭალის კაშხალი და მდინარე არაგვის შესართავის მიდამოები. ღრმა წყლიანი ადგილების ლამიან ბიოტოპზე ღორტავები რეგისტრირებული არ ყოფილა.

სანამ მდინარე იორი კვებავდა თბილისის ზღვას, მასში ღორტავები არ მოსახლეობდნენ, ხოლო მდინარე არაგვისშემოერთების შემდეგ ზღვაში გაჩნდა ღორტავები ჯერ ავჭალის კაშხალთან დაყრილ ქვებში, ხოლო შემდეგ თანდათან

გავრცელდნენ ზღვის მთელ სანაპიროზე. როგორც ჩანს, ღორტავები თბილისის ზღვაში შემოსახლდა მდინარე არაგვიდან, არხებისა და გვირაბების მეშვეობით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თელიანის ხევი, რომელიც წარმოადგენს თბილისის ზღვის ერთ პატარა მონაკვეთს. იგი განსხვავდება ყველა სხვაუბნისგან იმით, რომ ყველაზე უფრო მდიდარია ზოობენტოსის ჯგუფებით და სახეობათა რაოდენობით. ფაუნის მრავალფეროვნება თელიანის ხევიში შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ იგი კარგადაა დაცული ძლიერი ტალღებისაგან, მასში ბევრია წყალმცენარეები, მთელი წლის განმავლობაში მასში ჩაედინება იქვე ახლოს, გრუნტის წყლებისაგან წარმოქმნილი პატარა ნაკადული. ზღვის წარმოქმნამდე თელიანის ხევის ცენტრში არსებობდა ორი პატარა წყარო, რომლებიც გლაუბერის მარილების დიდ რაოდენობას შეიცავდნენ (დასაღვეად უწყინარი იყო მხოლოდ 100 გრამამდე).

ცხრილი 2. ზოობენტოსის დასახლების სიმჭიდროვე სეზონების მიხედვით (ეგზ/მ²)

წელი	2002		
სეზონი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
ბენტოსის ჯგუფები			
<i>Turbellaria</i>	–	–	68
<i>Nematoda</i>	1736	434	316
<i>Oligochaeta</i>	15462	11631	28904
<i>Ostracoda</i>	1457	3602	211
<i>Tardigrada</i>	285	–	112
<i>Chironomidae</i>	1179	1333	155
სულ:	20119	17000	29766

მოკლედ განვიხილოთ თბილისის ზღვის ზოობენტოსის რაოდენობრივი მაჩვენებლების სეზონური ცვალებადობა. იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება ტურბელარიები და ტარდიგრადები, ხოლო დანარჩენი ჯგუფები, როგორცაა: ნემატოდები, ოლიგოქეტები, ოსტრაკოდები და ქირონომიდები, გვხვდება ყველა სეზონში და უფრო მეტი რაოდენობით. საერთო ზოობენტოსის დასახლების სიმჭიდროვე გაზაფხულზე შეადგენს 20119 ეგზ/მ². ეს რაოდენობა ზაფხულში მცირდება 1,1-ჯერ, ხოლო შემოდგომაზე პირიქით - მატულობს 1,5-ჯერ (ცხრილი 2).

ცხრილი 3. ზოობენტოსის ბიომასის რაოდენობა სეზონების მიხედვით (გ/მ²)

წელი	2002		
სეზონი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
ბენტოსის ჯგუფები			
<i>Turbellaria</i>	–	–	0.025
<i>Nematoda</i>	0.045	0.020	0.020
<i>Oligochaeta</i>	6.020	3.106	8.351
<i>Ostracoda</i>	0.124	0.355	0.027

<i>Tardigrada</i>	0.053	—	0.019
<i>Chironomidae</i>	0.837	1.234	0.700
სულ	7.079	4.715	9.142

რაც შეეხება ზოობენტოსის ბიომასის სეზონურ ცვალებადობას, იგი ასეთ სურათს იძლევა: ბენტოსის ბიომასა გაზაფხულზე შეადგენს 7,079 გ/მ². ეს რაოდენობა ზაფხულში მცირდება 1,5-ჯერ, ხოლო შემოდგომაზე პირიქით - მატულობს 1,2-ჯერ (ცხრილი 3).

განვიხილოთ ცალკეული ჯგუფების ადგილი საერთო ზოობენტოსში. ირკვევა, რომ თბილისის ზღვის ზოობენტოსში ბიომასის სიდიდის მიხედვით წამყვანი ადგილი ოლიგოქეტებს ეკუთვნის (83,47%), ხოლო ძლიერ მცირე ბიომასით მეორე ადგილზე ქირონომიდები გამოდის (13,23%). ყველა სხვა დანარჩენი ჯგუფები, როგორებიცაა: ტურბელარიები, ნემატოდები, ოსტრაკოდები და ნელამავლები, ერთად აღებული, შეადგენს მხოლოდ 3,30% (ცხრილი 4).

ცხრილი 4. თბილისის ზღვის ზოობენტოსური ჯგუფების წილი საერთო ბიომასაში (%)

ბენტოსური ჯგუფები	აშუალო წლიური ბიომასა (გ/მ ²)	%
ოლიგოქეტები	5.826	83.47
ქირონომიდები	0.924	13.23
ტურბელარიები	0.008	3.30
ნემატოდები	0.028	
ოსტრაკოდები	0.169	
ნელამავლები	0.024	

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოლიგოქეტები დღეისათვის წამყვანი ჯგუფია თბილისის ზღვის ზოობენტოსში, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. მაგალითად, 1952 წელს ზღვის ფსკერი ყოფილ მდელის წარმოადგენდა და მასზე თანდათან სახლდებოდნენ ახლად შემოსული ფიტოფილური ფორმები, რომლებიც სიმცირის და პატარა წონის გამო დაბალ ბიომასებს იძლეოდნენ. ამიტომ იყო, რომ მათი წილი საერთო ბიომასაში ძლიერ უმნიშვნელო იყო (1,7%). მოდევნო წლებში ლამიანი გრუნტის წარმოქმნასთან დაკავშირებით გაიზარდა ოლიგოქეტების პელოფილური ფორმების რაოდენობა, რომლებიც შედარებით მაღალ ბიომასებს იძლევიან. ამიტომ იყო, რომ ყოველწლიურად თანდათან იზრდებოდა ოლიგოქეტების წილი საერთო ბიომასაში და დღეისათვის იგი (ზაფხულის მასალების მიხედვით) 65,87% შეადგენს (ცხრილი 5).

ცხრილი 5. თბილისის ზღვის ზოობენტოსის ზაფხულის ბიომასა წლების მიხედვით

ავტორი	ა. პატარიძე [6]			თ. კაკაურიძე [4]	ა. პატარიძე [2]	გ. ლებანიძე [1]	გ. ლებანიძე
წელი	1952	1953	1954	1963	1969	2001	2005
ზოობენტოსის საერთო ბიომასა (მგ/მ ²)	1792	2309	855	856	—	6175	4715
აქედან ოლიგოქეტები (მგ/მ ²)	31.16	67.95	115.92	328.1677	2418.3106		

ოლიგოქეტების წილი (%)	1.73	2.94	13.55	38.49	–	39.18	65.87
-----------------------	------	------	-------	-------	---	-------	-------

დასკვნები

თბილისის ზღვაში რეგისტრირებულია ზოობენტოსის 12 ჯგუფი. აქედან ღრმა წყლიან ლამიან ბიოტოპზე დასახლებულია 6 ჯგუფი (*Turbellaria*, *Nematoda*, *Oligochaeta*, *Ostracoda*, *Odonata*, *Chironomidae*), ხოლო სანაპირო ზოლის თხელწყლიან ადგილებში მცენარეულობათა შორის - 10 ჯგუფი (*Nematoda*, *Oligochaeta*, *Hirudinae*, *Ostracoda*, *Ephemeroptera*, *Odonata*, *Chironomidae*, *Megaloptera*, *Mollusca*, *Amphipoda*).

თბილისის ზღვაში დღეისათვის აღრიცხულია ოლიგოქეტების 11 სახეობა, საიდანაც 4 მოსახლეობს ღრმაწყლიან ლამიან ბიოტოპზე (*V. intermedia*, *A. pluriseta*, *T. tubifex*, *L. clapedeanus*), ხოლო 9 სახეობა-სანაპირო ზოლის წყალმცირე ადგილებში მცენარეულობათა შორის (*N. pardalis*, *N. simplex*, *N. pseudobutusa*, *Oph. serpentina*, *Aul. pluriseta*, *L. clapedeanus*, *T. tubifex*, *Br. sowerbyi*, *Enchytraeidae* gen. sp.).

ოლიგოქეტებიდან მასობრივად გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს *T. tubifex* (44632 ეგზ/მ²).

თბილისის ზღვის ზოობენტოსში წამყვანი ჯგუფია ოლიგოქეტები (83,47%), ხოლო მეორე ადგილზეა ქირონომიდები (13,23%).

საერთო ზოობენტოსის მაქსიმალური მაჩვენებლები აღინიშნება შემოდგომის სეზონზე (29766 ეგზ/მ²; 9,1 გ/მ²), ხოლო მინიმალური - ზაფხულში (17000 ეგზ/მ²; 4,7 გ/მ²).

ზოობენტოსის ბიომასის მიხედვით თბილისის ზღვა საშუალო პროდუქტიული წყალსატევების რიცხვს მიეკუთვნება (69,7 კგ/ჰა).

ლიტერატურა

1. გ. ლეზანიძე. (2004). თელიანის ხევის ზოობენტოსი. – ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XXII, გვ. 385-391
2. ა. პატარიძე. (1969). თბილისის წყალსაცავის ოლიგოქეტოფაუნის თანამედროვე მდგომარეობა. – ზოოლოგიის ინსტიტუტის ხელნაწერთაფონდი
3. Т.Г. Какауридзе. (1965). Зообентос Тбилисского водохранилища впервые три года его существования. – Рукописный фонд Института зоологии Грузии.
4. Т.Г. Какауридзе. (1969). Фауна личинок хирономид и некоторые вопросы биологии личинок *Procladius* из Тбилисского водохранилища. – Вопросы биологической продуктивности внутренних водоёмов Грузии (Тбилисское водохранилище), с. 106-107.
5. Т.Г. Какауридзе. (1969). Зообентос Тбилисского водохранилища, Рукописный фонд Института зоологии Грузии.
6. А.И. Патаридзе. (1963). Малошютинковые черви (*Oligochaeta*) Тбилисского водохранилища. – Труды института зоологии АН ГССР, т. XIX, с. 164-204.
7. А.И. Патаридзе. (1969). Вертикальное распределение олигохет в иловых грунтах Тбилисского водохранилища. – Вопросы биологической продуктивности внутренних водоёмов Грузии (Тбилисское водохранилище), с. 122-131.
8. М.Н. Римский-Корсаков. (1949). Большекрылые (*Megaloptera*). – Жизнь пресных вод СССР, т. I, с. 187-188.

Tbilisi Sea Zoobenthos

A. Pataridze, G. Lebanidze

Summary

In total 12 groups of zoobenthos are registered in the Tbilisi Sea. Among them 6 groups (*Turbellaria*, *Nematoda*, *Oligochaeta*, *Ostracoda*, *Odonata*, *Chironomidae*) inhabit deep-water silty biotope and 10 (*Nematoda*, *Oligochaeta*, *Hirudinae*, *Ostracoda*, *Ephemeroptera*, *Odonata*, *Chironomidae*, *Megaloptera*, *Mollusca*, *Amphipoda*) inhabit the vegetation of shallow waters of coastline.

11 species of *Oligochaeta* are inhabiting the Tbilisi Sea today; 4 of them are deep-water silty biotope forms (*V. intermedia*, *A. pluriseta*, *T. tubifex*, *L. claparedeanus*), while 9 are inhabitants of the coastline shallow water vegetation (*N. pardalis*, *N. simplex*, *N. pseudobtusa*, *Oph. serpentine*, *Aul. pluriseta*, *L. claparedeanus*, *T. tubifex*, *Br. sowerbyi*, *Enchytraeidae* gen.sp.).

T. tubifex (44632 spec/m²) is the most common species among *Oligochaeta*.

Oligochaeta (83.47%) is the dominant group in the Tbilisi Sea zoobenthos, followed by *Chironomidae* (13.23%).

Zoobenthos reaches maximum density during autumn season (29766 spec/m²; 9.1 g/m²), and minimum during summer (17000 spec/m²; 4.7 g/m²).

Tbilisi Sea belongs to the average productivity water basins (69.7 kg/h) basing on the biomass of the zoobenthos.

ლისის ტბის ზოობენთოსი

ა. პატარიძე, მ. გიოშვილი

ზოოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ჩოლოყაშვილის გამზ., 3/5, 0162, თბილისი

რამდენიმე წლის წინათ ლისის ტბის ზედაპირი მთლიანად დაფარული იყო წყლისმცენარეებით, როგორცაა ლელწამი (სანაპირო ზოლი), პოტამოგეტონი და მირიოფილუმი (ცენტრალური ნაწილი). დღეისათვის ტბა გაწმენდილია წყლის მცენარეებისაგან, რაც გამოიწვია ბალახისმჭამელმა თევზმა - ამურმა, რომელიც ლისის ტბაში შეუყვანიათ რამდენიმე წლის წინათ.

ლისის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროს მცირე ნაწილი (სიღრმე 0,5 მ) დაფარულია ქვიშით, ხოლო სამხრეთ სანაპიროს ნაწილი კლდოვანია და გრუნტი დაფარულია ხრეშით და დიდი ქვებით. ფსკერის უდიდესი ნაწილი (97%) დაფარულია შავი ფერის დეტრიტით, რომელსაც აქვს გოგირდწყალბადის ძლიერი სუნი.

ლისის ტბის გრუნტში ტემპერატურა დაბალია და თითქმის ერთნაირია შემოდგომის და ზამთრის სეზონებში (7,0°-8,8°), ხოლო გაზაფხულზე და ზაფხულის სეზონებში ძლიერ მატულობს (19,8°-24,4°).

ლისის ტბა მომლამო ტიპის წყალსატევების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც წყლის მარილიანობა საკმაოდ მაღალია (3,5%). წყლის ზედაპირული დონე წლის განმავლობაში განიცდის მცირე ცვალებადობას. იგი თითქმის ერთნაირია ზაფხულში (2,9 მ), შემოდგომაზე (2,8 მ) და ზამთარში (2,9 მ), ხოლო გაზაფხულზე 40 სანტიმეტრით იმატებს (3,3 მ).

ლისის ტბა პატარა წყალსატევია, ამიტომ მის სხვა და სხვა უბანზე დავნიშნეთ მხოლოდ 3 სადგური (#1, #2, #3), საიდანაც ოთხივე სეზონზე ხდებოდა რაოდენობრივი მასალების აღება. ამ სადგურებიდან #1 სადგური მოთავსებულია სანაპირო ზოლის თხელწყლიან ადგილას ლელწამებს შორის (გრუნტი - შავი ფერის მცენარეული დეტრიტი; სიღრმე 0,6 მ-დან 0,9 მეტრამდე). დანარჩენი ორი სადგური განლაგებულია ტბის ცენტრალურ ნაწილში, შავი ფერის მცენარეულდეტრიტიან გრუნტზე.

რაოდენობრივი მასალების აღება მიმდინარეობდა პეტერსენის სისტემის ფსკერსახაპით, ხოლო თვისობრივი სინჯებისა კი - ხელით, ჩოგბადით და ვედროთი. აღებული მასალა ირეცხებოდა ჩოგბადეში (#28). გარეცხილი მასალა ფიქსირდებოდა ალების ადგილზე 4%-იანი ფორმალინით.

1995 წლის ზაფხულში ლისის ტბიდან აღებულ იქნა 3 რაოდენობრივი და 14 თვისობრივი სინჯი, ხოლო შემოდგომაზე - 3 რაოდენობრივი სინჯი.

1996 წლის ზამთარში ავიღეთ 3 რაოდენობრივი სინჯი, ხოლო გაზაფხულზე - 3 რაოდენობრივი სინჯი. ლისის ტბიდან სულ აღებული და დამუშავებულია 12 რაოდენობრივი და 14 თვისობრივი სინჯი. აღებული მასალის კამერალური დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ლისის ტბაში მოსახლეობს ზოობენთოსის მხოლოდ სამი ჯგუფი, როგორცაა: ოლიგოქეტები, ქირონომიდები და რუსიელები.

***Oligochaeta* - ოლიგოქეტები**

ოლიგოქეტები ანუ მცირეჯაგრიანი ჭიები ლისის ტბაში წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით:

1) *Nais communis* Pig. 1906 - ლისის ტბაში იშვიათად გავრცელებულ და მცირერიცხოვან ფორმას წარმოადგენს. სულ მოპოვებულია 1 ეგზემპლარი სანაპირო ზოლის ქვიანი ბიოტოპიდან.

2) *Pristina rosea* Pig. 1906 - ეს სახეობაც იშვიათად გავრცელებული და მცირერიცხოვანია. სულ მოპოვებულია 3 ეგზემპლარი, რომელიც დასახლებულია სანაპირო ზოლის ქვიან ბიოტოპზე მცენარეულობათა შორის.

3) *Pristina aequiseti* Bourn. 1891 - ლისის ტბაში შედარებით მეტი გვხვდება, ვიდრე ზემოთ დასახელებული სახეობები. სულ რეგისტრირებულია 24 ეგზემპლარი, რომლებიც აღებულია სანაპირო ზოლის მცენარეულობათა შორის.

4) *Pristina longiseta* Ehren. 1828 - ლისის ტბაში ძლიერ იშვიათად გვხვდება. სულ რეგისტრირებულია 1 ეგზემპლარი, რომელიც აღებულია სანაპირო ზოლის ოდნავ დაღამულ ხრეშზე.

5) *Chaetogaster diaphanus* Gruith. 1828 - ეს სახეობაც იშვიათი და მცირერიცხოვანი ფორმაა. სულ მოპოვებულია 3 ეგზემპლარი სანაპირო ზოლის ქვიანი ბიოტოპიდან.

Chironomidae - ქირონომიდები

წარმოადგენენ ფრთოსან მწერებს, რომელთა მატლური სტადია წყალში ცხოვრობს რამდენიმე წლის განმავლობაში. ამ ჯგუფის ყველაზე მსხვილი ფორმები - პლუმოზუსები ლისის ტბაში ჩვენს მიერ რეგისტრირებული არ ყოფილა, მაგრამ წვრილი და პატარა ფორმები გვხვდება წყალსატევების ყველა უბანზე, განსაკუთრებით ბევრია სანაპირო ზოლის წყალმცენარეებზე და ქვიან ბიოტოპზე. მცირე რაოდენობით ქირონომიდები მოპოვებული იყო ტბის ცენტრალურ ნაწილში, სადაც რაოდენობრივ მასალებს ვიღებდით.

Trichoptera - რუისელები

რუისელები ლისის ტბაში ძლიერ იშვიათ და მცირერიცხოვან ფორმებს წარმოადგენენ. ერთი წლის განმავლობაში სულ რეგისტრირებულია 1 ეგზემპლარი, რომელიც აღებულია სანაპირო ზოლის ქვიან ბიოტოპზე ამოსული ლელწმის ფოთლებიდან.

ზოობენტოსის რაოდენობრივი აღრიცხვა

როგორც აღნიშნული იყო, რაოდენობრივი მასალები აღებული იყო ტბის ცენტრალურ ნაწილში, ხოლო სანაპირო ზოლის ქვა-ქვიშიან ბიოტოპზე მასალები არ აგვიღია, რადგანაც ეს ადგილები ტბის ძალიან მცირე ნაწილს მოიცავს.

ლისის ტბის რაოდენობრივ მასალებში გვხვდება ქირონომიდები, რომლებიც დასახლებული არიან მხოლოდ ზამთრის პერიოდში. ამ დროისათვის მათი დასახლების სიმჭიდროვე სადგურების მიხედვით ცვალებადობს 37 ეგზ/მ²-დან 260 ეგზ/მ²-მდე, ხოლო ბიომასა - 186 მგ/მ²-დან 409 მგ/მ²-მდე (ცხრ. 1).

ცხრილი 1. ზოობენტოსის რაოდენობრივი აღრიცხვა

წელი	1995		1996	
სადგურის ნომერი \ სეზონი	ზაფხული	შემოდგომა	ზამთარი	გაზაფხული
1	0	$\frac{260 \text{ ეგზ/მ}^2}{409,2 \text{ მგ/მ}^2}$	0	0
2	0	$\frac{371 \text{ ეგზ/მ}^2}{186 \text{ მგ/მ}^2}$	0	0
3	0	$\frac{260 \text{ ეგზ/მ}^2}{223,2 \text{ მგ/მ}^2}$	0	0

პირობითი ნიშანი: 0 - ორგანიზმები არ იყო.

დასკვნები

1) ლისის ტბის სანაპირო ზოლში გავრცელებულია - Oligochaeta, Chironomidae, Trichoptera, ხოლო ტბის ცენტრალურ ნაწილში - Chironomidae.

2) ოლიგოქეტებიდან ლისის ტბაში გავრცელებულია: *Nais communis*, *Pristina rosea*, *Pristina aequisetia*, *Pristina longiseta* და *Chaetogaster diaphanus*.

ყველა ზემოთ დასახელებული ჯგუფი და სახეობა ლისის ტბისათვის პირველად აღინიშნება ჩვენს მიერ.

3) ლისის ტბის ზოობენტოსის საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე შეადგენს 46 ეგზ/მ^2 , ხოლო ბიომასა - $68,2 \text{ მგ/მ}^2$.

4) ლისის ტბის ზოობენტოსის ძლიერი სიღარიბე გამოწვეულია წყლის მარილიანობით (3,5%), რომელიც ცვალებადობს სეზონების მიხედვით და გრუნტში გოგირდწყალბადის ძლიერი სუნით.

5) მიზანშეწონილად მიგვაჩნია, სოფელ ლისიდან ჩამომავალი პატარა მდინარე, რომელიც დაბლობში ჩამოსვლისთანავე ნიადაგში იკარგება, მილის საშუალებით შეუერთდეს ტბას, რომელიც დროთა განმავლობაში გაამტკნარებს მას. ამის შემდეგ ტბაში თანდათან მოიმატებს ფიტოპლანქტონის, ფიტოზენტოსის, ზოოპლანქტონის და ზოობენტოსის რაოდენობა. ყოველივე ეს, კი ხელს შეუწყობს ლისის ტბის ბიოლოგიური პროდუქტიულობის ამაღლებას.

The Lisi Lake Zoobenthos

A. Pataridze, M. Gioshvili

Summary

1. The Lisi Lake coastline is inhabited by Oligochaeta, Chironomidae, Trichoptera; central part of the lake is inhabited by Chironomidae.

2. Among Oligochaeta the following species are distributed in the Lisi Lake: *Nais communis*, *Pristina rosea*, *Pristina aequisetia*, *Pristina lingiseta* and *Chaetogaster diaphanous*. This is the first record of these species for the Lisi Lake.

3. Average annual population density of zoobenthos in the Lisi Lake is 46 spec./m², and biomass – 68.2 mg/m².

4. Extreme scantiness of the Lisi Lake zoobenthos is caused by water salinity (3.5 ‰) which varies with seasons and strong hydrogen sulfide odour in the soil.

5. There is a small river flowing down from the Lisi village, which disappears in the soil before reaching the lake. It seems expedient if this river is flow is enclosed in a pipe flowed to the lake directly. This little by little will reduce the lake water salinity and as a result abundance of phytoplankton, phytobenthos, zooplankton and zoobenthos will gradually increase. All these will enhance the Lisi Lake biological productivity.

კუს ტბის ზოობენტოსი

ა. პატარიძე, მ. გიოშვილი

ზოოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ჩოლოყაშვილის გამზ., 3/5, 0162, თბილისი

კუს ტბის ჰიდრობიოლოგიური გამოკვლევებიდან ცნობილია მხოლოდ გოგრიჭიანის [1], ლომსაძის [2] და კუტუბიძის [3] შრომები, რომლებიც გვამცნობენ, რომ შესწავლილია კუს ტბის ზოოპლანქტონი. ზოობენტოსის შესახებ კი დღემდე არავითარი ლიტერატურული მონაცემები არ არსებობს.

კუს ტბა მდებარეობს თბილისის მიდამოებში, 691 მ ზღვის დონიდან, ზედაპირის ფართობია 0,0095კმ², სიგრძე - 0,18 კმ, ხოლო სიგანე - 0,05კმ [4].

ამ ბოლო დროს კეთილმა ადამიანებმა ეს ციცქნა ტბა და მისი მიდამოები კულტურის და დასვენების საუკეთესო ადგილად აქციეს. ამოქმედდა ქალაქიდან ტბაზე ასასვლელი საბაგირო გზა, კეთილმოეწყო საავტომობილო გზები, საცალფეხო ბილიკები, პლაჟი, ტრამპლინი და სხვა მრავალი. სანაპირო ზოლი მთლიანად გაიწმინდა წყლის მცენარეებისაგან. ტბაზე ყოველ დღიურად დასრიალებენ ნავეები, წყლის ველოსიპედები და მოტორიანი ნავეები. პლაჟის გარდა, ნავმისადგომ და საბანაო ადგილებში დაყრილია ზღვისქვიშა. წყლის მცენარეულობა ძლიერ მცირე მონაკვეთზე შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ტბის სანაპიროს დიდი ნაწილი წარმოადგენს ოდნავ დაღამულ მაგარ თიხას, სადაც აქა-იქ გაბნეულია პატარა ქვები სპიროგირების გარშემონაზარდებით. სპიროგირების მცირე რაოდენობა გვხვდება ტბის მთელ სანაპიროზე, დაწყებული სანაპირო ხაზიდან 0,4 მეტრის სიღრმემდე. ნახევარი მეტრის სიღრმის შემდეგ ტბის ფსკერი დაფარულია კუპრივით შავი ფერის ლამით, რომელიც გაჟღენთილია გოგირდწყალბადის ძლიერი სუნით.

ყავრიშვილის მონაცემებით [4] კუს ტბა იკვებებოდა მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით. შემდგომში კუტუბიძის [3] მონაცემებით ტბაში ხელოვნურად შეუყვანიათ მტკნარი წყალი მდინარე ვერედან და ვარაზისხევიდან, რომელსაც მთლიანად შეუცვლია ტბის ჰიდროლოგიური რეჟიმი. ამჟამად (2004-2005 წწ.) კუს ტბას მტკნარი წყალი აღარ მიეწოდება და იგი მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით იკვებება. ჩვენი განაზომებით ტბის მაქსიმალური სიღრმეა 12 მეტრი. ეს სიდიდე დამოკიდებულია წლიური ნალექების განაწილებაზე. ტბა გაუმდინარია და წყალი - მომლაშო.

იმის გამო, რომ კუს ტბა ძალიან პატარა წყალსატევია, მის ლამიან გრუნტზე დავენიშნეთ ერთი მუდმივი სადგური, საიდანაც ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა რაოდენობრივი მასალების აღება სეზონების მიხედვით. რაოდენობრივი მასალების აღების პარალელურად ვაწარმოებდით თვისობრივი მასალების აღებას ტბის სხვადასხვა უბნებიდან და სიღრმეებიდან.

ერთი წლის განმავლობაში კუს ტბიდან აღებული და დამუშავებულია 4 რაოდენობრივი და 23 თვისობრივი სინჯი. აღებული მასალის კამერალური დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კუს ტბაში მოსახლეობს ზოობენტოსის შემდეგი ჯგუფები:

I. *Nematoda*. სხვა ბენტოსურ ჯგუფებთან შედარებით ნემატოდები დიდი რაოდენობით გვხვდება. ისინი დასახლებულია სანაპირო ზოლის მცენარეულობაში, ქვების გარშემონაზარდებზე და ლამიან გრუნტზე.

ნემატოდების საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია და შეადგენს 1348 ეგზ/მ².

II. *Oligochaeta*. კუს ტბაში გავრცელებულია ოლიგოქეტების შემდეგი ფორმები:

1) *Nais pseudobtusa* Piguet, 1906. კუს ტბაში იშვიათად გავრცელებული და მცირერიცხოვანი ფორმაა. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია მხოლოდ სანაპირო ზოლის მცენარეულობაში.

2) *Nais simplex* Piguet, 1906. იშვიათად გავრცელებული და მცირერიცხოვანი ფორმაა. ერთეული ეგზემპლარები რეგისტრირებულია მხოლოდ სანაპირო ზოლის მცენარეულობაში.

3) *Nais variabilis* Piguet, 1906. გაზაფხულზე საკმაო რაოდენობით გვხვდებოდა სანაპირო ზოლის მცენარეულობაში, სადაც გრუნტი ოდნავ დალამული მაგარი თიხაა, ხოლო შემოდგომაზე - მცირე რაოდენობით რეგისტრირებულია ქვების გარშემონაზარდებში.

4) *Nais pardalis* Piguet, 1906. რამდენიმე ეგზემპლარი მოპოვებულია სანაპირო ზოლის ქვების გარშემონაზარდებში;

5) *Chaetogaster diastrophus* Gruit, 1828. კუს ტბაში იშვიათად გავრცელებული და მცირერიცხოვანი ფორმაა. 2 ეგზემპლარი რეგისტრირებული იყო სანაპირო ზოლის ქვების გარშემონაზარდებში.

6) *Pristina aequisetia* Bourne, 1891. კუს ტბაში ეს სახეობაც იშვიათად გავრცელებული და მცირერიცხოვანი ფორმაა. სანაპირო ზოლის ქვების გარშემონაზარდებში 2 ეგზემპლარი აღრიცხული იყო გაზაფხულზე, ხოლო 1 ეგზემპლარი - შემოდგომაზე.

7) *Limnodrilus hoffmeisteri* Claparede, 1862. კუს ტბის მცირე ჯაგრიან ჭიებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. იგი დასახლებულია ყველგან, მაგრამ უფრო მეტად - ლამიან გრუნტზე. რაოდენობირვ მასალებში სულ აღრიცხული იყო გაზაფხულზე (37 ეგზ/მ²) და შემოდგომაზე (1339 ეგზ/მ²). ლიმნოდრილუსის საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე შეადგენს 344 ეგზ/მ².

8) *Tubifex tubifex* Müll, 1774. მცირე რაოდენობით დასახლებულია როგორც ლამიან გრუნტზე, ასევე სანაპირო ზოლის მცენარეულობათა შორის, ქვებისა და მცენარეების გარშემონაზარდებში. ტუბიფექსის საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე შეადგენს მხოლოდ 9 ეგზ/მ².

9) *Chironomidae*. ქირონომიდების მსხვილი ფორმები (პლუმოზუსები) კუს ტბაში ჩვენს მიერ რეგისტრირებული არ ყოფილა, ხოლო წვრილი ფორმები გვხვდება ყველგან. ყველაზე მეტი რაოდენობით ისინი აღრიცხულია სანაპირო ზოლის მცენარეულობათა შორის, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით - ლამიან გრუნტზე, სადაც გოგირდწყალბადის ძლიერი სუნია. იმის გამო, რომ სანაპირო მცენარეულობის გარდა ისინი იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდებიან, ქირონომიდების საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე კუს ტბაში არ აღემატება 56 ეგზ/მ².

IV. *Ephemeroptera*. დღიურები კუს ტბაში იშვიათად და მცირე რაოდენობით გვხვდება. სულ აღრიცხულია 8 ეგზემპლარი. აქედან 1 ეგზემპლარი - გაზაფხულზე (სირ. 0,3 მ,

გრუნტი - დალამული ქვიშა), ხოლო 7 ეგზემპლარი - შემოდგომაზე (სირ. 0,2მ, გრუნტი - ოდნავ დალამული ქვები).

ზოობენტოსის სეზონური დინამიკა

კუს ტბის რაოდენობრივ ზოობენტოსში აღრიცხულია ნემატოდები, ოლიგოქეტები და ქირონომიდები.

ნემატოდები ზაფხულის გარდა ყველა სეზონზე გვხვდება. ყველაზე მეტი რაოდენობა აღრიცხულია გაზაფხულზე (4985 ეგზ/მ²), ხოლო მომდევნო სეზონებზე მათი რაოდენობა ძლიერ მცირდება (შემოდგომა - 223 ეგზ/მ², ზამთარი-186 ეგზ/მ²).

ოლიგოქეტების მინიმალური დასახლება რეგისტრირებულია გაზაფხულზე (37 ეგზ/მ²), ხოლო მაქსიმალური-ზამთარში (1376 ეგზ/მ²). ზაფხულისა და შემოდგომის სეზონებში ოლიგოქეტები კუს ტბის ლამიან გრუნტში საერთოდ აღარ გვხვდებოდა.

ქირონომიდების რაოდენობის სეზონური ცვალებადობა ანალოგიურია ოლიგოქეტების სეზონური ცვალებადობისა. ასე მაგალითად, მინიმალური დასახლების სიმჭიდროვე რეგისტრირებულია გაზაფხულზე (74ეგზ/მ²), ხოლო მაქსიმალური - ზამთარში (149 ეგზ/მ²). ზაფხულის და შემოდგომის სეზონებზე ქირონომიდები კუს ტბის ლამიან გრუნტში აღარ გვხვდებოდა.

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოტანილ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ზოობენტოსის ძირითადი ჯგუფები - ოლიგოქეტები და ქირონომიდები უფრო მეტი რაოდენობით გვხვდებოდა ზამთარში, ვიდრე გაზაფხულზე, ხოლო მიკრობენტოსის წარმომადგენლები, ნემატოდები პირიქით - ისინი ყველაზე მეტია გაზაფხულზე, ვიდრე ზამთარში.

რადგანაც ნემატოდების რაოდენობამ გაზაფხულზე შეადგინა 4985 ეგზ/მ², საერთო ჯამში მთლიანი ზოობენტოსის დასახლების სიმჭიდროვე მაქსიმალური აღმოჩნდა გაზაფხულის სეზონზე (5096 ეგზ/მ²), ზაფხულში დავიდა 0-მდე, შემოდგომაზე შეადგინა 223 ეგზ/მ², ხოლო ზამთარში - 1711ეგზ/მ² (ცხრილი1).

ზოობენტოსის ცალკეული ჯგუფების ბიომასების სეზონური დინამიკა ასეთ სურათს იძლევა: ნემატოდების ბიომასა, მსგავსად დასახლების სიმჭიდროვისა, მაქსიმალურია გაზაფხულზე (29,7მგ/მ²), ხოლო შემდგომ სეზონებში - ძლიერ შემცირებული (ზაფხული - 0; შემოდგომა - 3,7მგ/მ²; ზამთარი - 3,3მგ/მ²).

ოლიგოქეტები სხვა ბენტოსურ ჯგუფებთან შედარებით წარმოდგენილია უფრო მეტი ბიომასით. ასე მაგალითად, მაქსიმალური ბიომასა რეგისტრირებულია ზამთარში (558,0მგ/მ²), ხოლო მინიმალური-გაზაფხულზე (37,2მგ/მ²).

კუს ტბის ზოობენტოსში ქირონომიდები ისეთი მცირე რაოდენობით გვხვდება, რომ მათი ბიომასა გაზაფხულზე არ აღემატება 18,6 მგ/მ², ხოლო ზამთარში-74,4 მგ/მ². მსგავსად ოლიგოქეტებისა, ზაფხულში და შემოდგომაზე ისინი კუს ტბის ლამიან გრუნტზე რეგისტრირებული არ ყოფილა.

ცხრილი 1. ზოობენტოსის დასახლების სიმჭიდროვე და ბიომასა სეზონების მიხედვით

		$\frac{\text{ეგზ/მ}^2}{\text{მგ/მ}^2}$		
წელი	სეზონი	2004		
ზოობენტოსის ჯგუფები		გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
				ზამთარი
<i>Nematoda</i>		$\frac{4985}{29,7}$	$\frac{0}{0}$	$\frac{223}{3,7}$
<i>Oligochaeta</i>		$\frac{37}{37,2}$	$\frac{0}{0}$	$\frac{0}{0}$
<i>Chironomidae</i>		$\frac{74}{18,6}$	$\frac{0}{0}$	$\frac{0}{0}$
სულ:		$\frac{5096}{85,5}$	$\frac{0}{0}$	$\frac{223}{3,7}$
				$\frac{186}{33}$
				$\frac{1376}{558,0}$
				$\frac{149}{74,4}$
				$\frac{1711}{635,7}$

თუ შევაჯამებთ ზოობენტოსის ცალკეული ჯგუფების მონაცემებს, დავინახავთ, რომ საერთო ზოობენტოსის ბიომასა გაზაფხულზე შეადგენს 85,5მგ/მ², ზაფხულში - 0მგ/მ², შემოდგომაზე იწყებს გამოცოცხლებას და შეადგენს 3,7მგ/მ², ხოლო ზამთარში უდიდესია სხვა სეზონებთან შედარებით - 635,7 მგ/მ² (ცხრილი1).

ყველა ზემოთ მოტანილი მონაცემიდან ჩანს, რომ კუს ტბაში ზოობენტოსის მაქსიმალური დასახლების სიმჭიდროვე ზოგჯერ მაქსიმალურ ბიომასას არ იძლევა. მაგალითად, ზოობენტოსის საშუალო სეზონური დასახლების მაქსიმალური სიმჭიდროვე არის გაზაფხულის სეზონზე, ხოლო მაქსიმალური ბიომასა კი - ზამთარში (ცხრილი 1)

კუს ტბის ზოობენტოსის ძლიერი სიღარიბე გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1) ტბის სანაპირო ზოლის წყლის მცენარეებისაგან გაწმენდამ გამოიწვია ზოობენტოსის ფიტოფილური ფორმების შემცირება.

2) პატარა წყალსატევში მოტორიანი ნავით გამოწვეულ ტალღებს მუდმივ მოძრაობაში მოჰყავს თხიერი ლამის ზედა ნაწილი მთელ სანაპირო ზოლში 3 მეტრის სიღრმემდე, რაც ხელს უშლის ბენტოსის ლამის მოყვარული ფორმების ზრდა-განვითარებას.

3) კუს ტბის ლამიან გრუნტში გოგირდწყალბადის ძლიერი სუნის არსებობა მომაკვდინებლად მოქმედებს ზოობენტოსურ ორგანიზმებზე.

4) ბენტოსით მკვებავი თევზები (კარასი და სხვ.) მაქსიმალურად ახდენენ ბენტოსური ორგანიზმების გამოჭმას.

მოკლე დასკვნები

კუს ტბის ზოობენტოსში რეგისტრირებულია ნემატოდები, ოლიგოქეტები, ქირონომიდები და დლიურები. დლიურები გვხვდება მხოლოდ სანაპირო ზოლის მცენარეულობაში, ხოლო დანარჩენი ჯგუფები - ყველგან.

ოლიგოქეტებიდან კუს ტბაში გავრცელებულია 9 სახეობა (ოჯახი *Naididae*-6, ოჯახი *Tubificidae*-2, ოჯახი *Enchytraeidae*-1).

დასახლების სიმჭიდროვის მიხედვით კუს ტბაში პირველ ადგილზეა ნემატოდები (1348ეგზ/მ²), მეორე ადგილზე - ოლიგოქეტები (353ეგზ/მ²), ხოლო მესამეზე - ქირონომიდები (56ეგზ/მ²).

ბიომასის სიდიდის მიხედვით ყველაზე მეტია ოლიგოქეტები ($148,8\text{მგ/მ}^2$), მეორე ადგილზეა ქირონომიდები ($23,2\text{მგ/მ}^2$), ხოლო ბოლო ადგილზე- ნემატოდები ($9,1\text{მგ/მ}^2$).

კუს ტბის ზოობენტოსის საშუალო წლიური დასახლების სიმჭიდროვე შეადგენს 1757ეგზ/მ^2 , ხოლო ბიომასა- $181,2\text{მგ/მ}^2$.

ზოობენტოსის ბიომასის სიდიდის მიხედვით კუს ტბა ოლიგოტროფიული წყალსატევების ტიპს მიეკუთვნება ($1,8\text{კგ/ჰა}$).

ლიტერატურა

1. მ. გოგრიჭიანი. (1970). კუს ტბის ზოოპლანქტონი (სადიპლომო).
2. ნ. ლომსაძე. (1976). კუს ტბის ზოოპლანქტონი (სადიპლომო).
3. ლ. კუტუბიძე. (1976). კუს ტბის ზოოპლანქტონი. ქიმია-ბიოლოგია სკოლაში. I.
4. Кавришвили. К.В. (1965). Физико-географическая характеристика окрестностей Тбилиси, стр. 76-80.

The Turtle Lake Zoobenthos

A. Pataridze, M. Gioshvili

S u m m a r y

The TurtleLake zoobenthos registers Nematoda, Oligochaeta, Chironomidae and Ephemerons. Ephemerons are spread only in the coastal strip vegetation, and the other groups are spread all over the territory.

Among the Oligochaeta 9 types are distributed in the TurtleLake (*Naididae* family – 6; *Tubificidae* family – 2; *Enchytraeidae* family – 1).

According to the population density Nematoda takes the first place in the TurtleLake (1348 spec./m^2), the second is Oligochaeta (353 specimen/m^2), and the third is Chironomidae (56 spec./m^2).

According to the biomass volume the most is Oligochaeta (148.8 mg/m^2), then comes Chironomidae (23.2 mg/m^2), and then Nematoda (9.1 mg/m^2).

Average annual population density of the TurtleLake zoobenthos makes up 1757 spec./m^2 , and biomass – 181.2 mg/m^2 .

According to the zoobenthos biomass volume the TurtleLake belongs to the oligotrophic type water basins (1.8 kg/ha).

**Род *Xylocopa* Latr. (Hymenoptera, Apoidea) и их связь
с энтомофильными растениями**

И. Схиртладзе

Национальный Музей Грузии

Пр. Руставели 3, 0105, Тбилиси

Apidology@mail.ru

Пчелиные (*Apoidea*), надсемейство перепончатокрылых, включающее около 30000 видов. Их можно обнаружить на всех континентах, кроме Антарктиды. Пчелы приспособились питаться нектаром и пыльцой, используя нектар главным образом в качестве источника энергии, а пыльцу для получения белков и других питательных веществ.

Пчелы играют важную роль в опылении цветущих растений, являясь самой многочисленной группой опылителей экосистем, связанных с цветами, и поэтому пчелы в качестве опылителей крайне важны в сельском хозяйстве.

Развитие пчелиных и их становление как обособленной группы перепончатокрылых и опылителей энтомофильных растений, шло сопряженно с развитием покрытосеменных. Покрытосеменные растения появились в начале меловой эпохи и уже к ее середине достигли значительного распространения.

Можно предполагать, что уже к концу меловой эпохи, сложилось большинство основных современных групп пчелиных. Наиболее древние ископаемые пчелиные известны лишь из нижнетретичных отложений Европы и Северной Америки. Это хорошо дифференцированные и разнообразные представители высших и низших групп современных пчелиных, в значительной степени представители родов, часть из которых в настоящее время являются чисто тропическими (*Trigona* Jug., *Melipona* JJJ), или распространенными преимущественно в тропической зоне. К числу последних родов принадлежит *Xylocopa*. Три вида *Xylocopa* известны их верхнемиоценовыми отложениями Энингена в Бадене и один из среднеолигоценовыми отложениями Ротта в Рейнской области [1, 2].

Современное географическое распространение *Xylocopa* характерно и типично для значительного числа родов пчелиных. Около трехсот видов рода – почти все его видовое богатство распространено по лесной зоне тропического и субтропического поясов Земли. Характер подавляющего большинства видов рода как автохтонных обитателей тропиков не вызывает сомнения. Очевидно также тесная экологическая связь большинства *Xylocopa* с древесной растительностью [3].

Однако свыше тридцати представителей рода *Xylocopa* обитают в настоящее время в южных и центральных частях палеарктической области, причем один вид (*Xylocopa valga* Gerst.) достигает даже южных берегов Балтийского моря. Довольно многочисленные представители подрода *Proxylocopa* являются по преимуществу обитателями открытых, степных и полупустынных пространств и гнездятся в земле, ведя сумеречный образ жизни.

Эволюция палеарктических форм *Xylocopa* представляется достаточно сложной, а их происхождение – неоднородным.

Положение палеарктических видов в системе рода, их современные ареалы, биология и взаимоотношения с цветковой растительностью представляют определенный интерес как материал для познания эволюции несомненных дериватов тропических и вероятно, третичных элементов фауны палеарктической области.

Smith [4] справедливо считал *Xylocopa* одним из наиболее трудных для изучения родов пчелиных.

Изучение нами материалов находящихся в коллекциях Национального Музея Грузии (Бывший Кавказский Музей) позволило в значительной мере выяснить некоторые вопросы этих палеарктических представителей.

Настоящая статья кратко касается двух наиболее изученных видов рода *Xylocopa*: *Xylocopa valga* Gerst. и *Xylocopa violacea* L.

***Xylocopa valga* Gerstaecker**, 1872 – вид одиночных пчел семейства Anthophoridae – Антофорида. Представитель реликтовой тропической группы пчелиных, восточного происхождения [5].

Крупная пчела – длина 20-27 мм. Тело черное с металлическим сине-фиолетовым блеском, покрыто черными волосками. Лёт имаго с конца мая по сентябрь.

Встречается по всей Палеарктике за исключением северных районов. Предпочитает степную и лесостепную зоны, реже встречается в лесной. В лесной зоне предпочитает лесные опушки, поляны, окрестности населенных пунктов.

Гнезда устраивает в сухих деревьях, в том числе и в старых деревянных постройках. Пчела – *Xylocopa valga* играет положительную роль в опылении многих лесных, плодово-ягодных и полевых культур.

На сегодняшний день вид, сокращающийся в численности. Необходимо принимать следующие меры охраны: В местах обитания вида следует создать микрозаповедники, а также ограничить применение пестицидов при сельхозработах.

Материалы были добыты нами по Кавказу на высоте до 1300 м. над уровнем моря в следующих пунктах:

Грузия: Восточная часть: Тбилиси, оз. Лиси, Коджори, Цодорети, Дигоми, Телави, Лагодехи, Ахмета, Бацарский заповедник, Цители-Цкаро, Вашлованский заповедник, Датвис Хеви, Касрис Цкали, Эльдарская степь.

Южная Грузия: Тетри-Цкаро, Манглиси, Ахалцихе, Аспиндза, Хертвиси, Адигени, Абастумани, Уравели, Вардзиа, Зекарский перевал, Ахалкалаки, Цалка, Бедиани, Дманиси, Укангори, Орузмани, Сурами, Борджоми.

Западная часть: Абхазия, Цебелда, Сухуми, Кобулет, Батуми.

Большой Кавказ: Душети, Пасанаури, Магароскари, Шарахеви, Барисахо, Чирдилис Хеви, Они, Лентехи.

Армения: Ереван, Эчмиадзин, Нуха, Веди, Мегри, Агарак.

Азербайджан: Ленкорань, Зуванд, Госмалян, Гирканский запов., Низовая, Каспийские степи, Кировабад, Геок тапа, Пирсагат, Пиркульский запов., Ущелье Аракси, Нахичевань, Ордубад, Килит, Шахбуз.

Северный Кавказ: Минеральные воды, Анапа, Кубань, Крымская, Дагестан, Сергокала.

К более ранним сборам в фондовых материалах относятся:

Средняя Азия: Фирюза, Мерви, Ашхабад, Сулукли, Куртусу.

Иран: Урмия, Неачалон байдости, Лешкерек, Себенд.

Турция: Артвин, Кагизман, Ольти.

Вид охраняется в заповедниках Тебердинском, Галичей горе, Воронежском, Жигулевском, Волжско-Каменском и Центрально черноземном районе. Указанный вид внесен в Красную книгу СССР [5].

***Xylocopa violacea* L.** – Вид одиночных пчел, тоже семейство Антофорида (Anthophoridae). Представитель реликтовых тропикогенных пчелиных. Крупное насекомое. Длина тела – 20-28 мм, тело черное, однако грудь и, особенно, голова с синим металлическим блеском, крылья темные с фиолетовым отливом. Лёт имаго с конца середины апреля по конец сентября, спаривание происходит весной. Гнезда строит в сухих стволах и ветвях деревьев, деревянных постройках и телеграфных столбах, выгрызая в них ходы. Дает одно поколение в год.

Вид, сокращающий в численности, неогеновый реликт пчелиных. Необходимо принимать следующие меры охраны. В местах обитания вида по опушкам лесов и островным лесам степной зоны следует частично сохранять сухостойные деревья, необходимые ксилокопе для постройки гнезд.

Вид встречается в южной части Европы, на Кавказе, в Турции, на Ближнем и Переднем Востоке.

Материалы были добыты нами по Кавказу в следующих пунктах:

Грузия: Восточная часть: Лагодехи, Телави, Ахмета, Бацарский заповедник, Гардабани, Тбилиси, Гори, Давид Гареджи.

Южная Грузия: Ахалцихе, Вардзия, Ахалкалаки, Зекарский перевал, Аспиндза, Борджом-парк, Дманиси, Укангори, Цагвери.

Западная часть: Ланчхути, Мамати, Батуми, Сухуми, Самтредиа, Диди Джихаиси.

Большой Кавказ: Магароскари, Шарахеви, Барисахо, Шуапхо.

Армения: Хосровский запов., Геок-тапа, Сарайбулагский массив, Мегри, Веди, Агарак.

Азербайджан: Нахичевань, Билав, Пиркульский запов., Гирканский заповедник, Ленкорань, Гилицара, Турианчайский запов., Дастакерт.

Северный Кавказ: Дагестан, Сергокала, Маякоп, Лаба.

К более ранним сборам в фондовых материалах относятся:

Турция: Сарабаба, Ольти, Кагизман.

Иран: Тегеран.

Вид внесен в «Красную книгу» СССР [5]. *Xylocopa violacea* L. охраняется в Крымском, Ялтинском горно-лесном, Карадагском, Казантинском, Опукском заповедниках и заповеднике «Мыс Мартыан». Для дальнейшей охраны этого вида необходимо создать особо охраняемые природные территории в местах обитания вида, а также ограничить применение пестицидов при сельскохозяйственных работах.

Географическое распространение *Xylocopa valga* чрезвычайно широко от Балтийского моря до Персидского залива, от Марокко до Китая. Прилагаемая карта (Рис. 1) составлена на основании литературных указаний и весьма значительных оригинальных материалов зоологического фонда Национального музея Грузии, собранных нами во время экспедиции по Кавказу и старинные фондовые материалы – (всего 500 экз). Северная граница вида проходит по северному побережью Пиренейского полуострова по побережью Бискайского залива, южной и центральной Франции, к северным пределам Швейцарии поднимается к Силезии, центральной Польше и далее на восток до лугов Петербургской области. Оторванным местонахождением является западный берег Ладожского озера, затем граница резко снижается к югу, к Михайловскому, Московская губ, Ярославль, Уржум, Ю. Урал, в центральном Казахстане, Кавказ, Закавказье [6, 7, 8], вновь поднимаясь по Алтаю, потом опускается на юг Китая. Южная граница *Xylocopa valga* Gerst известна в Марокко [9], Алжире, Гиблатаре [10] в южной Испании, Корсике, островах Греческого архипелага [11], Крите [12] и Передней Азии, а также и в ряде пунктов Ирана и Индии [13].

Наши материалы и литературные данные позволяют сделать ряд заключений. *Xylocopa valga* Gerst. более редка в западной части своего ареала, чем *Xylocopa violacea* L. [14]. Очень характерно ее отсутствие на большинстве островов южной части Средиземного моря, из которых почти все заселены *Xylocopa violacea* L.

Несомненно, что в своей прибалтийской части ареала *Xylocopa valga* Gerst. является реликтом достаточно теплых и сухих литоринового или суббореального периодов. Именно в это время на территории Псковской и Новгородской губернии и Лужского уезда проникли растения свойственные степным и южным борам [15 - 19].

Прибалтийская часть ареала *Xylocopa valga* Gerst. является как бы ключом для понимания его ареала в целом. Maidl [10] считает *Xylocopa valga* Gerst. приспособленной для жизни в степных ландшафтах и [20] Alfken называет ее «Европейской степной пчелой». Несомненно, что в значительной части своего ареала, особенно в восточной его границе, четко совпадают с границами с современных климатических степных ландшафтов, а в западной с границами прошлых, [21] Kuntze и Noskiewicz относят *Xylocopa valga* Gerst. к группе юго-восточных элементов.

Xylocopa valga Gerst. гнездится в дереве и, по-видимому, достаточно неразборчива к его видовому происхождению. Малышев [3] подробно изучил гнездование и биологию вида; вид охотно гнездится также в старых деревьях и мертвой древесине телеграфных столбов, старых постройках и т.д. [22, 3, 21]. Последние авторы указывают, что вид гнездится также в расщелинах скал. И, наконец, В.Ю. Фридолин [23], на основании личных наблюдений сообщил что *Xylocopa valga* Gerst. гнездится частично в земле.

Огромная азиатская часть ареала *Xylocopa valga* Gerst., ее характерные очертания здесь, обилие вида в восточной части ареала, относительная редкость в западной, все это является достаточными наводящими обстоятельствами для заключения о вероятном восточном (ориентальном) и третичном происхождении группы *Xylocopa valga* Gerst.

Географическое распространение *Xylocopa violacea* L. исследовано достаточно хорошо. Прилагаемая карта (Рис. 2) составлена с учетом всех доступных литературных данных и значительного оригинального материала, которые были добыты нами в экспедициях по Кавказу, а также старинные коллекции зоологического фонда Национального Музея Грузии (99♀♂). Вид встречается в Марокко, Алжире, Тунисе, на островах Средиземного моря (Майорка, Корсика, Сардиния, Тунис), Сицилии, Мальте, Крите, Родосе, некоторых островах Адриатического и Эгейского морей, Апеннинском, Балканском полуостровах в Малой Азии, на Кавказе, в Закавказье [6, 7], Сирии, Палестине, северо-западном Иране и юго-западной Туркмении.

Северная граница вида проходит по северному побережью Пиренейского полуострова, по-видимому по побережью Бискайского залива и центральной Франции, в южной Бельгии, в южной Голландии [24], в среднем течении Рейна [25], в южной Моравии [10], в северной Венгрии [26], в центральной Румынии [10], южной Бессарабии, южной части Крыма и Предкавказья, и далее по западному и южному побережью Каспийского моря и центральному Копет-дагу. Maidl [10], указывает его проникновение в глубь африканского материка во время четвертичного смещения тропической зоны в Южную Африку. Иными словами, здесь подразумевается автохтонное, для средиземноморской зоогеографической подобласти происхождение *Xylocopa violacea* L., а происхождение группы видов, близких к *Xylocopa violacea* L. остается неясным, но почти бесспорно эфиопским.

Некоторые авторы считали *Xylocopa violacea* L. ксеротермической формой; Stoeckhert [27] утверждал, что за последнее время в Германии вид становился все более и более редким «как и в большинстве других реликтов жарких периодов».

Как и у *Xylocopa violacea* L. родственные связи *X. valga* Gerst. не ясны; вид достаточно обособлен морфологически. Только два вида – как это установлено на основании изучения копулятивных аппаратов – несомненно, близки к нему *X. varenzovi* F. Mor. (Копет-даг) *X. pseudoviolacea* (Зап. Памир).

Предполагаемое происхождение обеих видов подрода *Xylocopa* находит отражение в особенностях их взаимоотношений с энтомофильной растительностью.

Оба вида доступных литературных указаний, широко политрофны. *Xylocopa violacea* L. зарегистрирована на 65 видах цветковых растений. Среди семейства обильно посещают Papilionacea, Rosaceae и Labiatae; высок процент деревьев и кустарников; но надо отметить, что

вид приурочен, главным образом, к средиземноморским и вообще более южным элементам флоры.

Характерно для вида также обилие культурных, особенно декоративных растений и садовых культур [25, 27, 28, 29,].

Xylocopa valga Gerst. зарегистрирована на 60 видах цветковой растительности. Среди семейств обильно посещает Papilionaceae, Rosaceae, Labiatae. Высок процент культурных и садовых цветов [3].

Морфологически *X. violacea* L. и *X. valga* Gerst. не приспособлены к опылению большинства палеарктических представителей энтомофильной флоры. Для палеарктической области размеры пчелиных, их вес, величина хоботка, их «тропический» облик, все свидетельствует об этом. Для большинства растений посещение их цветов обоими видами *Xylocopa* проходит далеко не благополучно. Пчелиные, несомненно, производят опыление цветов, но повреждают часть из них, иногда они подобно некоторым «короткохоботным» шмелям прокусывают основание венчика цветка [31].

Процесс становления пчелиных, как группы, определился лишь тогда, когда предки пчелиных стали вырабатывать адаптации к потреблению пыльцы как необходимой пищи личиночной фазы. В дальнейшем отбор шел от случайного потребления пыльцы вообще, от потребления пыльцы определенных растительных ассоциаций. Отбор шел к выработке адаптации к опылению энтомофильной растительности вообще, как форме эволюции и к появлению в результате конкуренции олиго – и монотрофных форм. Процесс этот был длителен и сложен; Изложенное выше в большинстве случаев отражают основные этапы эволюции данной группы пчелиных.

Широкий политрофизм *X. violacea* L. и *X. valga* Gerst. обусловлен не только политрофизмом, присущим вообще этим видам, но и внепалеарктическим происхождением соответствующих групп видов (Рис. 3). Значительный процент деревьев и кустарников свидетельствует о принадлежности в прошлом палеарктических представителей этих групп *Xylocopa* к фауне тропической лесной зоны.

Выводы

1. Палеарктические представители *Xylocopa* Latr. приурочены преимущественно к южным районам области, распространены по лесам субтропической и тропической зон земли и связаны своим гнездованием с различными и кустарниковыми породами.

2. *X. violacea* L. типичная форма средиземноморской подобласти, по-видимому, сокращающая свой ареал на севере и проникающая на юг до Абиссинии и юго-запад Ирана [10], эфиопские корни *X. violacea* предполагаются.

Ареал *X. valga* Gerst. более широк, в значительной части ареала, особенно восточной, его границы совпадают с границами современных климатических степных ландшафтов, а в западной с границами прошлых. Прибалтийская часть ареала *X. valga* Gerst. показывает, что здесь вид является реликтом литоринного или суббореального периодов, когда на указанную территорию проникали растения, свойственные степным и южным районам. Вид гнездится в дереве и отмечался в расселинах скал [21,23] В.Ю. Фридолин, наблюдал гнездование вида в земле.

3. Анализ взаимоотношений *X. violacea* L. и *X. valga* Gerst. с цветковой растительности показывает их широкий политрофизм. Этот политрофизм вырабатывался на представителях иной флоры и сопровождался морфологическими и другими адаптациями к иным типам цветковых растений.

Как бы ни были динамичны взаимоотношения политрофного пчелиного с энтомофильной растительностью, исторически они достаточно определены и в большинстве случаев отражают основные этапы эволюции группы.

Литература:

1. Cockerell T.D. (1931). Insects from the Miocen of Washington. Hymenoptera and Hemiptera. Ann. Ent. Soc. Amer. XXIV
2. Statz G. (1936). Über alte und neue fossile Hymenopterenfunde aus den tertiären Ablagerungen von Rott am Siebengebirge. Decheniana.
3. Malyshev S. (1931). Lebensgeschichte der Holzienen *Xylocopa* Latr. (Apoidea) Ztschr. Morphol. Oekol, Tiere, 23, 3-4.
4. Smith F. (1874). Monograph of the Genus *Xylocopa* Latr. Trans. Ent. Soc. London.
5. Красная Книга СССР, 1985.
6. Схиртладзе И.А. (1979). Пчелиные аридных районов Закавказья в сборн.: Некот. групп. живот. Аридных районов Закавказья, Тб.
7. Схиртладзе И.А. (1981). Пчелиные Закавказья. Моногр. Изд. Мецниереба, Тб.
8. Схиртладзе И.А. (1992). Пчелиные Высокогорья Большого и Малого Кавказа. В сборн.: Некоторые групп. насекомых. Выс. Больш. и Малого Кавказа, Тб.
9. Schulthess A. (1924). Contribution a la connaissance de la faune des Hymenopteros des J'Afrique du Nord Bull. Soc. Hist. Nat. Afrique du Nord. XV.
10. Maidl F. (1912). Die *Xylocopen* (Holzbienen) des Wiener Hofmuseums Ein Beitrag zu einer Monographie dieser Gattung Ann. Naturhist. Mus. Wien.
11. Alfken J.D. (1934). Ergebnisse einer Zoologischen Studien- und Sammelreise nach Griechenland namentlich nach den Inseln des Ägäischen Meeres II. Hymenoptera, I. Apiden von den griechischen Inseln, Sitz-Ber. Akad. Wiss. Wien. Math.-Naturwiss. Kl. Abt. I.
12. Alfken J.D. (1927). Zoologische Streifzüge Attika. Morea und besonders auf der Insel Kreta I. Hymenoptera, Apidae. Abh. Nat. Ver. Bremen. 36.
13. Ma N. (1938). The Indian species of the Genus *Xylocopa* Latr. Hymenoptera Record. ind. Mus. XL, III.
14. Dusmet J.M. (1923). Los Apidos de Espana. VI. Generos *Xylocopa* Latr. y *Ceratina* Latr. Mem. Real. Soc. Espan. Hist. Nat. XI.
15. Цинзерлинг Ю.Д. (1934). География растительного покрова северо-запада Европейской части СССР. Тр. Геоморфолог. института.
16. Ганешин С.С. (1927). О реликтовом характере лесов некоторых естественно-исторических районов Лужского уезда Ленинградской губернии. Юбил. сбор. И.П. Бородина.
17. Литвинов Д. (1914). Следы степного последникового периода под Петроградом. Тр. Бот. муз. имп. Академии Наук XII.
18. Лавренко Е.М. (1938). История флоры и растительности СССР по данным современного распространения растений. Растительность СССР, I.
19. Солоневич К.Н., Цинзерлинг Ю.Д. (1938). О реликтах в составе северо-запада Европейской части СССР. Пробл. реликт. во флоре СССР, 1.
20. Alfken J.D. (1936). Schwedisch-chinesische wissenschaftliche Expedition nach den nord westlichen Provinzen Chinas. 53. Hymenoptera, 9. Apidae mit Ausnahme von der *Bombus*, *Halictus* und *Sphecodes*-Arten. Arkiv F. Zool. 27 A.
21. Kunze R., Noskiewicz J. (1938). Zarys Zoogeografii Polskiego Podola. Prac. Nank. Wied. Towar. Nauk. Lwow, IV.
22. Бирули А.А. (1914). Материалы для фауны Hymenoptera Европейской России II. Русск. энт. обозр. XIV, 4.
23. Фридолин В.Ю. (1935). Значение элементов оазисов-убежища реликтовой фауны в бассейне Финского залива, в Хибинских горах и Центральной Карелии. Труды 3-го Съезда Всесоюзного Географического Общества, стр. 1-24.

24. Benno P. 1941. EentseetalZeldzamebijen uit. de Lymers. Ent. Berichten, X.
25. Friese H. (1901). Die Bienen Europas (Apidae Europeae). VI.
26. Moosary A. (1900). Fauna Regni Hungarici III. Arthropoda, Ordo Hymenoptera.
27. Stoeckhert E.K. (1933). Die Bienen Frankens (Hym. Apid) Eine ökologische tier-geographische Untersuchung. Deutsch. ent. Ztschr. Beiheft. 1932.
28. Stoeckhert E.K. (1919). Beiträge zur Kenntnis der Hymenopteren fauna Frankens, Münch. ent. Ges.
29. Knuth F.J., (1898-1899). Handbuch der Blütenbiologie, I, II, 2
30. Cobelli R. (1904). Entomologische Mitteilungen. Allg. Ztschr. f. Entomol.

გვარი *Xylocopa* Latr. (*Hymenoptera*, *Apoidea*) და მისი კავშირი

ენტომოფილურ მცენარეებთან

ი. სხირტლადე

რეზიუმე

გვარ *Xylocopa*-ს პალეარქტიკული წარმომადგენლები ძირითადად უკავშირდებიან სუბტროპიკულ და ტროპიკულ ზონის ტყეებს, რომლებიც გავრცელებული არიან დედამიწის სამხრეთ ოლქებში.

Xylocopa violacea L. ხმელთაშუა ზღვის ქვეოლქის ტიპური წარმომადგენელია. მისი არეალი ვრცელდება დაიზრდება სამხრეთ რეგიონებში, ხოლო ჩრდილოეთისკენ ვიწროვდება. შემოთავაზებულია *Xylocopa violacea* L.-ის ეთიოპური წარმოშობა.

Xylocopa valga Gerst.-ის არეალი მის აღმავლურ ნაწილში უფრო ფართოა, სადაც განხილულ სახეობას მნიშვნელოვანი გავრცელება აქვს, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში ეს სახეობა სუბბორეალურ რელიქტს წარმოადგენს.

Xylocopa violacea L. და *Xylocopa valga* Gerst.-ის ურთიერთკავშირების ანალიზი ყვავილოვან მცენარეებთან მიგვიჩვენებს მათ ფართო პოლიტროფიზმზე.

Genus *Xylocopa* Latr. (*Hymenoptera*, *Apoidea*) and its Relation to Entomophilous Plants

I. Skhirtladze

Summary

Distribution range of the Palaearctic representatives of the genus *Xylocopa* are mainly confined to the southern regions of the forest distribution area of subtropical and tropical zones. *Xylocopa violacea* L. is atypical form of the Mediterranean subregion; its distribution range spreads southwards while narrows northwards. Ethiopian origin of *Xylocopa violacea* L. is assumed.

The *Xylocopa valga* Gerst. range is much wider in the East, where the species was widely spread. In the northern area of the range this species is a Subboreal relict.

The analysis of the relationship of *Xylocopa violacea* L. and *Xylocopa valga* Gerst. with flowering plants shows their wide polytrophism.




Рис. 1.




Рис. 2.

Рис. 3. *Xylocopa valga* Gerst и *Xylocopa violacea* L.

**ქვემო ქართლში 7000 წლის წინანდელი მეფუტკრეობისა და მესაქონლეობის
არსებობის კვალი კვირაცხოველის ენეოლითური დროის სათავსოს მასალის
პალინოლოგიური კვლევის საფუძველზე**

ე. ყვავაძე¹, ვ. ლიჩელი²

¹საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი
ფურცელაძის ქ. 3, 0105, თბილისი 5, საქართველო
ekvavadze@mail.ru

²ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი
vakhlich@hotmail.com

შესავალი

არაპალინოლოგიური ხასიათის მიკროსკოპიული ნაშთების შესწავლა, რომლებიც მცენარეთა მტვერთან ერთად არის წარმოდგენილი პალინოლოგიური კვლევის ახალი მიმართულებით. ეს მიმართულება ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 70-ან წლებში და მისი ფუძემდებელია ჰოლანდიელი პალინოლოგი ბას ვან გილი [1]. არაპალინოლოგიურ ნაშთებს ნაშთების სოკოების, მათ შორის, ნაკელის სოკოს სპორები, რომელიც იზრდება მხოლოდ მცოხნელ ცხოველთა ექსკრემენტებზე. პალინოლოგიურ სპექტრში ხშირად გვხვდება მწერების და ტკიპების მიკროსკოპიული ნაშთები (ბუსუსები, ბრჭყალები, ეპიდერმისი, მარწუხები და სხვ.), პარაზიტული ჭიის კვერცხები, ტესტატური ამების ნაშთები და სხვა სახის ზოოლოგიური მასალა [2-4]. ჩამოთვლილი ორგანიზმების ნამარხებს დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო პირობების აღდგენისათვის და ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის გამოვლენისთვის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ამგვარი კვლევები პალეოდიეტის, პალეოდაავადების, დაკრძალვის წესის და სხვაგვარი ტრადიციების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

არქეოლოგიური გათხრების პროცესში კვირაცხოველის ენეოლითური დროის მიწურიდან (სათავსო 1) 2013 წლის 13 ავგისტოს, პალინოლოგიური კვლევისათვის აღებული იქნა 14 ნიმუში. გათხრები მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ ვ. ლიჩელის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ძეგლი მდებარეობს აბულმუქის ხეობაში, სოფელ ბალიჭასთან. დღეს აქ გავრცელებულია რცხილის, ჯაგრცხილას და მუხის ტყის ფრაგმენტები და მდელოები, რომლებიც სამოვრებადაა გამოყენებული. განხილულ ტერიტორიაზე ნათესები ან ბაღები არ აღინიშნება.

დასაწყისში ნიმუშების შეგროვება ხდებოდა მიწურის პირველი იატაკიდან. შემდგომ ეტაპზე გაკეთდა ორი ჭრილი. ერთი მათგანი მდებარეობს მიწურის სამხრეთ ნაწილში (ჭრილი №1), მეორე კი მიწურის ჩრდილოეთ კედელში (ჭრილი №2).

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ საქართველოში ენეოლითური ძეგლების პალინოლოგიური კვლევა თითქმის არ ჩატარებულა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა და გამოირჩევა თავისი აქტუალობით.

მასალა და მეთოდი

როგორც უკვე აღინიშნა, მიწურის ორივე იატაკიდან და სხვა ფენებიდან აღებულია 14 ნიმუში. მასალის დამუშავება მოხდა ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის

ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში დღეს მიღებული სტანდარტული მეთოდით. პირველ ეტაპზე მასალა იხარშება 10% კალიუმის ხსნარში. შემდგომ ხდება მისი გარეცხვა და ცენტრიფუგირება კადმიუმის სითხეში, რათა განცალკევდეს მინერალური და ორგანული მასალა. ბოლოს ხდება ზემოთ ამოტივტივებული ორგანული ნაშთების აცეტოლიზი, ანუ შეღებვა. მიღებული ნალექი თავსდება მინის სინჯარაში, მას ზემოდან ესხმება გლიცერინი.

ორივე ჭრილიდან გამოყოფილი პალინოლოგიური მასალა საკმაოდ მდიდარი გამოდგა: უხვად იყო წარმოდგენილი მცენარის მტვრის მარცვლები და სპორები. მრავლად იყო აგრეთვე არაპალინოლოგიური ხასიათის მიკროსკოპიული ნაშთებიც. ესენია: ხის მერქნის პარენქიმული უჯრედები, სელის და შალის ქსოვილის ბოჭკოები, სხვადასხვა მწერების და ფეხსახსრიანების ნაშთები, სოკოს სპორები და სხვა. პალინოლოგიური კვლევა და პალინომორფების ფოტოგრაფირება ჩატარდა სინათლის მიკროსკოპ Olympus BX43-ის მეშვეობით. პალინოლოგიური დიაგრამების აგება მოხდა პროგრამა Tilia-ს საშუალებით [5].

კვლევის შედეგები

ჭრილი 1. განხილული ჭრილი გაკეთდა მიწურის ჩრდილოეთ კედელში, რომელიც გადახრილია სამხრეთისკენ. პირველი იატაკიდან, ქვევიდან ზემოთ ყოველ 10 სმ-ში აღებულ იქნა 5 სინჯი (სურ. 1). ნიმუში №1 და №2 წარმოადგენს პირველი იატაკის ფენას და მათში უამრავი ხის მერქნის დაშლილი ტრაქეალური უჯრედებია (სურ. 2, 3), რაც იმის მანიშნებელია, რომ აქ ან ხის იატაკი, ან/და ხისგან დამზადებული სხვა საგნები და კონსტრუქციები უნდა ყოფილიყო. მეორე სინჯში ნაპოვნია ფიჭვის ხის მერქნის რამოდენიმე უჯრედიც. კარგადაა წარმოდგენილი მცენარეთა სხვადასხვა მიკროსკოპიული ნაშთები და მათ შორის გვხვდება ლაქაშის (*Typha*) ფოთლის ეპიდერმალური უჯრედები. ამ მცენარეს, რომელიც მდინარის და ტბის ნაპირებზე იზრდება, სქელი და გრძელი ფოთლები აქვს. მას ადამიანი უძველესი დროიდან იყენებს ძირითადად კალათების, ჭილოვების დასაწნავად და სახლის გადასახურად. ჩვენი აზრით, მიწურის იატაკზე ლაქაშის ფოთლებისგან დამზადებული ჭილობი იყო დადებული.

პირველი იატაკიდან მოპოვებული ორი ნიმუშის პალინოლოგიურ სპექტრში (ნიმუში №1 და №2) უხვადაა აგრეთვე მარცვლოვნების ფიტოლითები და მათი სახამებელი. აქვეა სოკო გლომუსის (*Glomus*) სპორები (სურ. 2). ეს სოკო იზრდება მხოლოდ დამუშავებულ ფხვიერ ნიადაგზე. ამ შემთხვევაში მარცვლოვნების სახამებელთან და მათი ფიტოლიტების უხვ რაოდენობასთან ერთად ამ სპორების არსებობა მიწურში ხორბლის არსებობაზე მიუთითებს. ამას ადასტურებს აგრეთვე მეორე ნიმუშში აღმოჩენილი სათესი მარცვლოვნების მტვრის საკმაოდ დიდი რაოდენობა (სურ.1). კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე ხორბლეულობის ნათესების სარეველათა მტვრის მარცვლები. ესენია მათიტელა (*Polygonum*), წიწიბურა (*Fagopyrum*), ნარშავი (*Carduus*).


პირველი იატაკის განხილულ სპექტრში ნაპოვნია საცხოვრებელი ეზოს სარეველები, რომლებიც მიწურში ადამიანის ფეხსაცმელს ან სხვა საგანს შემოჰყვნენ. ესენია ჭინჭარი (*Urtica*), მრავალმარღვა (*Plantago*), ავშანი (*Artemisia*), ფარსმანდუკი (*Achillea*) და ვარდკაჭაჭასნაირები (*Cichorioideae*). გარდა ეზოს სარეველათა ბალახოვნებისა

პალინოლოგიურ სპექტრებში აისახა ახლომდებარე ტყის არსებობაც (სურ. 1), სადაც იზრდებოდა მუხა (*Quercus*), რცხილა (*Carpinus*) და კაკალი (*Juglans regia*). არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის დაფიქსირდა ნაკელის სოკო სორდარიას (*Sordaria*) სპორების არსებობა (სურ. 4). ეს სოკო მხოლოდ მცოხნელი პირუტყვის ნაკელზე იზრდება და მათი სპორები ისევე, როგორც ეზოს სარეველების მტვერი, ადამიანის ფეხს ან სხვა საგანს შემოჰყვა. სპექტრში ამავე გზით უნდა მოხვედრილიყო ტკიპებისა და მწერების ნაშთები (სურ. 2). რაც შეეხება წყალმცენარეთა ნამარხებს, ჩვენი აზრით, ისინი ლაქაშის ფოთლებს უნდა მოჰყოლოდა, რომლისაგან ჭილობი იყო დამზადებული. რაც შეეხება, აქ აღმოჩენილ სელის ქსოვილის ბოჭკოს, ის ადამიანის სამოსის ან ხორბლეულის ტომრების ნაშთი უნდა იყოს.


მეორე იატაკის პალინოლოგიური სპექტრი (სურ. 1, ნიმუში 3) თითქმის ისეთივეა, როგორც პირველი იატაკის, მაგრამ აქ ხორბლეულის ფიტოლითები გაცილებით მეტია. გარდა ამისა, განისაზღვრა თავად ხორბლის მტვრის მარცვლები (სურ. 1, 5, ცხრილი 3). აღინიშნება კულტურული მარცვლოვნების სახეობების ფიტოლითები (სურ. 2). ბევრია ლაქაშის ფოთლის ეპიდერმული უჯრედები და, რაც ყველაზე საინტერესოა, აქ ნაპოვნია ლაქაშის მტვრის მარცვალიც, რომელიც, სავარაუდოდ, ჭილობის ფოთლებზე შემორჩა. არის წყალმცენარეთა ნაშთებიც, რომლებიც აგრეთვე ლაქაშის ფოთლებზე უნდა ყოფილიყო. აქაც აღინიშნება ნაკელის სოკოს და სოკო გლომუსის სპორები, ასევე, სელის ბოჭკო. ობის სოკოს (*Mycoraceae*) სპორები მხოლოდ მეორე იატაკზეა ნაპოვნი (სურ. 2,4). აღსანიშნავია, რომ მწერების და ტკიპების ნაშთები არ დაფიქსირებულა.

მეორე იატაკის ზედა ფენაში აღებულია ნიმუში №4. მისი პალინოლოგიური სპექტრი თითქმის ისეთივეა, როგორც მესამე ნიმუშისა. აქ არის სათესი მარცვლოვნების მტვერი, მათი ფიტოლითები, სახამებელი და ხორბლეულების სარეველების მტვრის მარცვლები. ნაპოვნია მწერების ნაშთები, იმ მწერებისა, რომლებმაც გაანადგურეს მარცვლოვნები.


ზემოთ მომდევნო ფენაში აღებულ №5 ნიმუშში პალინოლოგიური სპექტრი მცენარეთა მტვრის მარცვლების შემადგენლობით საოცრად მდიდარი აღმოჩნდა (სურ. 1).




სურ. 1. კვირაცხოველი, მიწური, ჭრილი №1. მიწურის სამხრეთ კედელში გაკეთებული ჭრილი #1-ის პალინოლოგიური დიაგრამა



სურ. 2. კვირაცხოველი, მიწური, ქრილი №1. მიწურის სამხრეთ კედელში გაკეთებული ქრილი #1-ის არაპალინოლოგიური ნაშთების დიაგრამა




სურ. 3. კვირაცხოველი, მიწური, ჭრილი №2-ის მესამე ნიმუშში აღმოჩენილი დაშლილი ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, რომელიც თავლის შესანახი ჭურჭლის ნაბთი უნდა ყოფილიყო



სურ. 4. კვირაცხოველი, მიწურის ფენებში აღმოჩენილი: 1 ფიტოლიტი; 2,3-სელის ქსოვილის ბოჭკო; 4-ობის სოკოს *Mycoraceae*-ს სპორა; 5-7-ნაკელის სოკოს *Sordaria*-ს სპორები

განისაზღვრა 26 მცენარის მტვერი, დაფიქსირდა მტვრის მარცვლების გუნდებიც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სპექტრის თითქმის ყველა კომპონენტი თაფლოვან მცენარეს მიეკუთვნება. ეს პირველ რიგში ცაცხვია (*Tilia*) და ამ სინჯის ერთ საპრეპარაციო მინაზე მისი 42 მტვრის მარცვალია დათვლილი. უამრავია ქოლგოსნების (*Apiaceae*) ოჯახის წარმომადგენლები. ბევრია ვარდისებრთა (*Rosaceae*) მტვრის მარცვლები. არაპალინოლოგიური ნაშთების ჯგუფში აღმოჩენილია ფუტკრის უამრავი ბუსუსი, კლანჭები და ეპიდერმისი (სურ. 2, 6), რაც თაფლის არსებობის უტყუარი არგუმენტია [2]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მეხუთე ნიმუშში ბევრია ხის მერქნის ტრაქეალური



სურ. 5. კვირაცხოველი, მიწური, ჭრილი №1. მიწურის პირველ იატაკზე აღმოჩენილი ხორბლის (*Triticum*) მტერის მარცვლები

უჯრედები, რაც ჩვენი აზრით იმ ხის ჭურჭლის ნაშთია, სადაც თავლი უნდა ყოფილიყო შენახული.

ჭრილი №2. როგორც უკვე აღინიშნა, მეორე ჭრილი გაკეთებულია მიწურის ჩრდილოეთ კედელში. აქაც პირველი იატაკიდან ყოველ 10 სმ-ში აღებულია 5 ნიმუში.


ნიმუში №1 აღებულია პირველ იატაკზე. მის პალინოლოგიურ სპექტრში, ისევე როგორც №1 ჭრილში დომინირებს ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწურის ჩრდილოეთ ნაწილშიც იატაკი ხის უნდა ყოფილიყო. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აქაც ბევრია ლაქამის ფოთლის ეპიდერმისი, რაც ჭილობის ნაშთი უნდა ყოფილიყო. კარგადაა წარმოდგენილი მარცვლოვნების ფიტოლითები და სახამებელი. აღინიშნება სოკო გლომუსის სპორებიც, რომლებიც იზრდება დამუშავებულ ნიადაგზე და მიწათმოქმედების არსებობის მაჩვენებელია.

ნიმუში №2 აღებულია მიწურის მეორე იატაკიდან. მისი პალინოლოგიური სპექტრი მცენარეთა მტვრის მარცვლების მრავალფეროვნებით და სიმდიდრით გამოირჩევა. ბევრია ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი (სურ. 4). აღმოჩენილია აგრეთვე ქერის (*Hordeum*), შვრიის (*Avena*) და ფეტვის (*Panicum*) მტვრის მარცვლები. აღინიშნება აგრეთვე, მარცვლოვნების სარეველების მტვერი, მაგალითად: ნაცარქათამა (*Chenopodium album*). კარგადაა წარმოდგენილი ხემცენარეთა მტვერი და ტყის გვიმრების სპორები. ნაპოვნია წიფლის (*Fagus*), მუხის (*Quercus*), თელას (*Ulmus*) და არყის (*Betula*) მტვრის მარცვლები. არც თუ ისე ცოტაა წიწვოვნების მტვერი. ესენია ნაძვი (*Picea*), სოჭი (*Abies*) და ფიჭვი (*Pinus*), რომლებიც დღეს მხოლოდ მთის ზედა სარტყელში იზრდება.

რაც შეეხება არაპალინოლოგიურ ნაშთებს, მეორე იატაკის სპექტრში ჭარბობს მარცვლოვნების სახამებელი და მათი ფიტოლითები. მრავლადაა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედებიც. კარგადაა წარმოდგენილი სელის ქსოვილის ბოჭკო, რაც ტომრების ნაშთი უნდა იყოს, რადგან ფერადი ბოჭკო, რომელიც ადამინის ტანსაცმელს ახასიათებს, აქ არ შეგვხვედრია.

ნიმუში №3 აღებულია მეორე იატაკის ზედა ფენაში. პალინოლოგიური სპექტრის მიხედვით ეს ნიმუში წარმოადგენს განამარხებულ თაფლს, რადგან მასში ფუტკრის უამრავი ბუსუსი და თაფლოვანი მცენარეების მტვერია. თუ პირველ ჭრილში აღმოჩენილი თაფლი ცაცხვისაა (ხემცენარეთა შორის იქ ცაცხვი დომინირებს), მეორე ჭრილის მესამე ნიმუში მდელის თაფლის ნაშთს წარმოადგენს. აქ ხემცენარეთა მტვერი ერთეულია. პალინოლოგიურ სპექტრში ჭარბობს ბალახოვანი მცენარის ალკანას (*Alkanna*) მტვრის მარცვლების რაოდენობა (სურ. 7). აღინიშნება მისი მტვრის მარცვლების გუნდებიც.

საქართველოში ამ მცენარის მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება. ეს არის *Alkanna orientalis* (L.) Boiss., რომელიც გავრცელებულია საქართველოს სამხრეთ ნაწილის მთის ქვედა და შუა სარტყლების მშრალ ფერდობებზე [6] (გვ. 290). ალკანა საუკეთესო თაფლოვანი მცენარეა, მისი მტვერი ნაპოვნია საფარ-ხარაბას გვიანი ბრინჯაოს პერიოდის სამარხის ჭურჭელში, სადაც მიცვალებულს თაფლი ჩაატანეს [7].



სურ. 6. კვირაცხოველი, მიწური, ჭრილი №1-ის მეხუთე ნიმუშში აღმოჩენილი ფუტკრის ბუსუსები, რომლებიც თავლის არსებობის ინდიკატორია

მიწურის განხილულ მესამე ნიმუშში ბევრია აგრეთვე, სხვა თავლოვანი მცენარის მტვრის მარცვლები. ესენია ვარდისებრთა (Rosacea) ოჯახის წარმომადგენლები,


ქოლგოსნები (*Apiaceae*), ღიღილო (*Centaurea*), ფარსმანდუკი (*Achillea*), ნარშავი (*Carduus*), ასტრა (*Aster*).

არაპალინოლოგიურ ნაშთებს შორის ფუტკრის ბუსუსების გარდა ბევრია ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, რაც როგორც პირველი ჭრილის მეხუთე ნიმუშში, იმ ხის ჭურჭლის ნაშთი უნდა იყოს, რომელშიც თავლი ინახებოდა.

ნიმუში №4-ის პალინოლოგიური სპექტრი მტვრის მარცვლების შემადგენლობით ღარიბია. აღინიშნება ხორბლეულების სარეველები. ნაპოვნია ჭინჭრის (*Urtica*), ფარსმანდუკის (*Achillea*), ასტრის (*Aster*), ავშნის (*Artemisia*), ვარდკაჭასნაირები (*Cichorioideae*), ნაცარქათამისებრნი (*Chenopodiaceae*) და სხვ. სამაგიეროდ, არაპალინოლოგიური ნაშთები აქ მრავლადაა. დომინირებს სახამებელი, ფიტოლითები და ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები. ბევრია აგრეთვე ლაქაშის ფოთლის ეპიდერმალური უჯრედები. აქაც აღინიშნება წყალმცენარეთა ნაშთები. ბევრია სოკო გლომუსის სპორებიც.

განხილული მეოთხე სინჯის პალინოლოგიურ სპექტრს ემსგავსება ნიმუში №5-ის სპექტრი. აქაც დომინირებს მარცვლოვნების სახამებელი, მათი ფიტოლიტები და ხის მერქნის უჯრედები. ნაპოვნია ხორბლის და სხვა სათესი მარცვლოვნების მტვერი და მათთან არსებული სარეველების მტვრის მარცვლები.

გარდა განხილული 2 ჭრილისა, მიწურის სხვადასხვა ადგილას პირველი იატაკის ფარგლებში აღებულია სამი ნიმუში. მათი სპექტრების ხასიათი ემთხვევა პირველი იატაკიდან აღებული ნიმუშების სპექტრებს. ბევრია ხის მერქნის უჯრედები, რაც იატაკის ან ხის ჭურჭლის ნაშთი უნდა იყოს. არის სათესი მარცვლოვნების სახამებელი, მათი ფიტოლიტები და მტვრის მარცვლები. აღინიშნება მარცვლოვნების სარეველები. ნაკელის სოკოს სპორები ტაქსონომიურად უფრო მრავალფეროვანია. განისაზღვრა სოკოები: *Sordaria*, *Neurospora*, *Chaetomium*.



სურ. 7. კვირაცხოველი, მიწური, ჭრილი №1 და №2-ში აღმოჩენილი თაფლოვან მცენარეთა მტერის მარცვლები: 1,2-ცაცხვი (*Tilia*); 3-ნარშავი (*Carduus*); 4-მარცვლოვნები (*Poaceae*); 5-ვარდაკაჭასნაირნი (*Cichorioideae*); 6-11-ალკანა (*Alkanna orientalis*); 12-ფუტკრის ბუსუსი; 13-ფუტკრის კლანჭი

შედეგების განხილვა

როგორც ვხედავთ, ჩვენს მიერ განხილული მიწურის ორივე ჭრილის ფენების პალინოლოგიური სპექტრი ზოგადად მსგავსია. როგორც უკვე აღინიშნა, მიწურის იატაკი, სადაც სათავსო იყო მოწყობილი, ხის უნდა ყოფილიყო. ხის იატაკზე ლაქაშის ფოთლებისგან დაწნული ჭილოფი ეფინა. სათავსოში ძირითადად ინახებოდა ხორბლეულის მარაგი და შესაძლოა ფქვილიც, რადგან ფენებში ნაპოვნია სახამებლის დიდი რაოდენობა. ფქვილი და ხორბლეული სელის ქსოვილის ტომრებში ინახებოდა.

დიდ ინტერესს იწვევს ორივე ჭრილში ნაპოვნი თაფლის არსებობის კვალი. უნდა აღინიშნოს, რომ პალინოლოგიაში განამარხებული თაფლისა და თაფლის პროდუქტების კვლევა დაიწყო ჯ. დიკსონმა ინგლისში [8]. თავის პუბლიკაციაში დიკსონი გამოყოფს რამოდენიმე კრიტერიუმს, რომლის მიხედვით ხდება განამარხებული თაფლის იდენტიფიკაცია. ესენია: 1) თაფლოვან მცენარეთა მტვრის მნიშვნელოვანი ტაქსონომიური შემადგენლობა; 2) მტვრის მარცვლების კარგი დაცულობა; 3) მტვრის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებელი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც არქეოლოგიური ჭურჭლის შიგთავსი დანაგვიანებულია შიგ ჩაყრილი ნიადაგით, თაფლის იდენტიფიკაცია რთულდება [9]. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში დიდი როლი ითამაშა არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხებმა. საუბარია თაფლში აღმოჩენილ ფუტკრის ბუსუსებზე, მათ კლანჭებსა და ეპიდერმისზე. გამოირკვა, რომ ნებისმიერი თაფლის ნიმუშში, როგორც თანამედროვე, ასევე განამარხებულში, არის ფუტკრის ბუსუსების და კლანჭების მიკროსკოპიული ნაშთები [2]. ეს, კი თაფლის, ცვილის, დინდგელის, თაფლუქის და სხვა თაფლის პროდუქტის არსებობის მძლავრი დამატებითი არგუმენტია [4, 10].

კვირაცხოვლის მიწურის სათავსოს გამოკვლეულ ორივე ნაწილში აღმოჩენილ თაფლის პალინოლოგიურ სპექტრს ახასიათებს ჩვენს მიერ განხილული ყველა თვისება. სპექტრში დომინირებს თაფლოვან მცენარეთა მტვერი, რომელიც შესანიშნავადაა დაცული, მათი მტვრის კონცენტრაცია არის მაღალი და, რაც მთავარია, სპექტრში კარგადაა წარმოდგენილი ფუტკრის ბუსუსები და კლანჭებიც. ამიტომ ექვს გარეშეა, რომ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ – სათავსოში ნამდვილად ინახებოდა თაფლის მნიშვნელოვანი მარაგი. თაფლი ინახებოდა საკმაოდ დიდი ზომის ხის ჭურჭელში, რადგან სპექტრში ძალიან ბევრია ხის მერქნის ტრაქეალური და სხვა ტიპის უჯრედები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ჭურჭელში ინახებოდა განსხვავებული თაფლი. სათავსოს ჩრდილო ნაწილში, სადაც გაკეთდა მეორე ჭრილი, მოთავსებული იყო მდელის ყვავილების თაფლი, მაგრამ იმ ჭურჭელში რომელიც შეინახეს სათავსოს სამხრეთ ნაწილში (ჭრილი №1) ცაცხვის თაფლი უნდა ყოფილიყო ჩასხმული.

თაფლის პალინოლოგიურ სპექტრებზე დაყრდნობით, რომელშიც არის კულტურული მარცვლოვნების და ადამიანის საცხოვრებელთან არსებული სარეველა მცენარეთა მტვერი უნდა ვივარაუდოთ, რომ თაფლი არ არის ველური ფუტკრის და იგი მეფუტკრის შრომის ნაყოფია. მეფუტკრეობის განვითარების უფრო ადრინდელი კვალი აღმოჩენილია შულავერის გორის თიხის ჭურჭელში, რომელიც, როგორც ცნობილია, ადრე ნეოლითური დროით თარიღდება [10].

რაც შეეხება იმდროინდელი ადამიანის მოღვაწეობას განხილულ ადგილზე, ის მისდევდა როგორც მიწათმოქმედებას, ასევე მეცხოველეობას. იყო განვითარებული

მეხორბლეობა. ითესებოდა როგორც ხორბალი, ასევე ქერი, შვრია და ფეტვი. სელის კულტურაც უკვე არსებობდა, რადგან სელის ქსოვილის ნაშთები უხვადაა წარმოდგენილი საცავის პალინოლოგიურ სპექტრში. ყველა ტომარა, სადაც ხორბლეულის და ფქვილის მარაგი ინახებოდა სელის ქსოვილისგან იყო დამზადებული. მეცხოველეობის არსებობის კარგი არგუმენტი ნაკელის სოკოს სპორების არც თუ ისე მცირე რაოდენობაა. კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობა.

განხილულ რეგიონში, როდესაც მიწური ფუნქციონირებდა, ირგვლივ, მოსწორებულ ვაკე ადგილებზე კულტურული ლანდშაფტი იყო გავრცელებული. აქ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხორბლის და სხვა მარცვლოვნების ყანები, სელის ნათესები და ბაღები უნდა ყოფილიყო. ბაღებში კაკალი და თხილი მოჰყავდათ. მნიშვნელოვანი ადგილი სამოვრებისთვისაც იყო გამოყოფილი.

მთიან ადგილებზე კი ფართოფოთლოვანი ტყე არსებობდა, სადაც ცაცხვი, რცხილა და მუხა დომინირებდა. მდინარეების ჭალის ტყეში მურყანიც იზრდებოდა, რადგან კლიმატური პირობები, დღევანდელთან შედარებით უფრო ნოტიო იყო. სწორედ ნოტიო კლიმატმა განაპირობა ობის სოკოს გავრცელება სათავსოში.

უფრო მაღალ მთებში წიფლის, არყის და წიწვოვნების ტყე უნდა ყოფილიყო, სადაც ფიჭვისა და ნაძვის გარდა სოჭიც იზრდებოდა. სოჭს, ისევე როგორც ცაცხვს, რბილი და ნოტიო კლიმატური პირობები ესაჭიროება.

დასკვნა

ენეოლითის დროს, ანუ 7000 წლის წინ, ქვემო ქართლში აბულმუგის ტერიტორიაზე მიწათმოქმედება კარგად იყო განვითარებული. ითესებოდა ხორბალი, ქერი, შვრია, ფეტვი. ბაღებში კაკალი და თხილი მოჰყავდათ. სელის კულტურაც უკვე არსებობდა. მიწათმოქმედების მძლავრ განვითარებაზე მიუთითებს აგრეთვე სოკო გლომუსის სპორების დიდი რაოდენობა, რომელიც მხოლოდ დამუშავებულ, ფხვიერ ნიადაგზე იზრდება.

კარგად იყო განვითარებული მეფუტკრეობა. თაფლის პალინოლოგიური სპექტრზე დაყრდნობით, რომელშიც არის კულტურული მარცვლოვნების და ადამიანის საცხოვრებელთან არსებული სარეველა მცენარეთა მტკერი, უნდა ვივარაუდოთ, რომ თაფლი არ არის ველური ფუტკრის და იგი მეფუტკრის შრომის ნაყოფია, რომელიც მოშინაურებულ ფუტკარს ინახავდა და უვლიდა. საცავში ინახებოდა ორი სახის - ცაცხვის და მდელოს ყვავილების თაფლი.

განხილულ ტერიტორიაზე მეცხოველეობაც საკმაოდ კარგად იყო განვითარებული, რაზეც ნაკელის სოკოს *Sordaria*, *Chaetomium*, *Neurospora*-ს სპორების მნიშვნელოვანი რაოდენობა მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Van Geel B.(1978). A palaeoecological study of Holocene peat bog sections in Germany and Netherlands, based on the analysis of pollen, spores and macro- and microscopic remains of fungi, algae, cormophytes and animals. Review of Palaeobotany and Palynology,25, pp.1-120.
2. Kvavadze E. (2008). Non pollen Palynomorphs as an important object for solution of archaeological problems. Proceedings of 3-th International Workshop on Quaternary Non-Pollen Palynomorphs, Pavoda, pp. 34-37.
3. Kvavadze E, Chichinadze M. Martkoplshvili I. (2009) Non Pollen Palynomorphs in archaeological materials. G. Gambashidze (Ed.) Proceedings of International Scientific Conference "Archaeology, Etnology and Folklore of Caucasus", Tbilisi. pp. 169-171.
4. Kvavadze E., Licheli V., Margvelashvili P. (2011). Climatic optima in the mountains of Georgia during Middle Age: results of palynological investigation of Navenakhari settlement and Betlemi monastery. Abstracts of 18 Congress of INQUA, Bern.
5. Grimm, E.C.,(2004). TGView 2.0.2. Illinois State Museum. Research and Collections Centre, Springfield, USA.
6. Гроссгейм Г. Г. (1946). Растительные ресурсы Кавказа. Академия Наук Азербайджанской ССР. Баку.
7. Kvavadze E., Narimanishvili G. (2010). The palaeolandscapes of the Tsalka Plateau in the Late Pleistocene and Holocene (in the light of palynological data from archaeological and geological material). In. M. Vickers (ed). Rescue Archaeology in Georgia: The Baku-Tbilisi-Ceyhan and South Caucasus Pipelines. Georgian National Museum Press, Tbilisi, pp. 573-606
8. Dickson J.N., (1978). Bronze Age Mead. Antiquity 52, pp.108-113.
9. Rösch M, (1999). "Evaluation of Honey Residues from Iron Age Hill-top Sites in South-western Germany: Implications for Local and Regional Land and Vegetation Dynamics," Vegetation History and Archaeobotany, No. 8, pp. 105-112.
10. ყვავაძე ე., ჯალაბაძე მ., ქორიძე ი., რუსიშვილი ნ., ჭიჭინაძე მ., მარტყოფლიშვილი ი. (2014). გადაჭრილი გორის და შულავერის გორის ნამოსახლარების ფენებისა და ჭურჭლის პალინოლოგიური კვლევის შედეგები (2007 წ. მოპოვებული მასალის მიხედვით). საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაცნე, საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სექცია № 6. გვ. 26-32.

Traces of Beekeeping and Stock-Breeding in Lower Kartli 7000 Years Ago on the Basis of Palynological Study of the Material from Eneolithic hut of Kviratskhoveli

E. Kvavadze¹, V. Licheli²

S u m m a r y

The study of 14 samples collected from two sections of the hut dated to the Eneolithic period (5th millennium BC) revealed that here, the population of that time was engaged in beekeeping and stock-breeding besides farming. Wheat (*Triticum*), barley (*Hordeum*), oats (*Avena*) and millet (*Panicum*) were sown. In the gardens walnut and hazelnut were cultivated. In the hut, the spores of the fungus *Glomus* growing only in the cultivated, loose or eroded soils are found, its presence indicates intensive development of agriculture.

The remains of fossil honey were found in the floor layer in two places of the hut. Most likely, honey was stored in large wooden vessels, since in the palynological spectrum, besides the significant

amount of pollen of honey plants, abundant tracheal cells of wood were found. Numerous bee hair and claws in the studied material is also a good argument for the existence of honey in vessels.

Based on the fact that the spectra of fossil honey contain pollen of cultivated species of grain and weeds growing near human dwellings, we can conclude that the honey in vessels was not the product of wild bees, but was produced by domestic bees placed by humans in hives located near their dwellings. Thus, the studied fossil honey is a product of the development of beekeeping. In the hut which was a repository of products, two types of honey remains – lime honey and honey from meadow flowers were found.

In the pollen spectra, the fungal spores of coprophilous fungi *Sordaria*, *Chaetomium*, *Neurospora* growing on the dung of ruminants were found, which indicates the existence of stock-breeding in the study region in the Eneolithic period.

ხავსების ნემატოდოფაუნა დასავლეთ საქართველოდან

ე. ცქიტიშვილი¹, ი.ელიავა¹, ლ. ჟღენტი², თ. ცქიტიშვილი¹, ნ. ბალათურია¹,
მ. გიგოლაშვილი¹, ქ. ტიგიშვილი³

¹ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტი

²ზათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

³ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი

eka.tskitishvili@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი. შესწავლილია დასავლეთ საქართველოს ორი რეგიონის (აჭარა და იმერეთი) სხვადასხვა ბიოტოპის (ქვა, ნიადაგი, სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეები) ხავსების ნემატოდოფაუნა. დადგენილია ფაუნის ტაქსონომიური და ეკოლოგიური სტრუქტურა. რეგისტრირებული ნემატოდები განეკუთვნებიან 9 რიგს: *Enoplida*, *Monhysterida*, *Areolaimida*, *Dorylaimida*, *Mononchida*, *Rhabditida*, *Tylenchida*, *Aphelenchida*, *Chromadorida*, 24 ოჯახს და 52 გვარს. 48 ფორმიდან სახეობამდე რეგისტრირებულია 43 ნემატოდა, გვარამდე 5. დომინირებენ ოჯახები: *Cephalobidae*, *Qutsianematidae*, *Trypilidae*, *Plectidae*, *Tylenchidae*. ეკოლოგიურ სტრუქტურაში წარმოდგენილია ნემატოდების ყველა ტროფიკული ჯგუფი, რაც ადასტურებს კვების რესურსების სიჭარბეს ხავსებზე. სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით ტროფიკულ ჯგუფებში დომინირებენ ბაქტერიოტროფები (33 სახეობა), ნაირჭამიები, პოლიფაგები (21 სახეობა), მტაცებლები (14 სახეობა), პარაზიტები (ფიტოჰელმინთები და მიკოჰელმინთები) – ყველაზე მცირერიცხოვანი ჯგუფია (შესაბამისად 5 და 7 სახეობა).

დადგენილია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის მსგავსების კოეფიციენტი ჟაკარის ფორმულის მიხედვით. იგი საკმაოდ დაბალია $Kj=0,027$. აღმოსავლეთ საქართველოში დომინირებენ ოჯახები: *Qutsianematidae* 4 გვარით და *Plectidae* 3 გვარით, დასავლეთ საქართველოში კი ოჯახები *Cephalobidae* 6 გვარით და *Mononchidae*, *Trypilidae*, *Tylenchidae* სამ-სამი გვარით, რაც ჩვენი აზრით განპირობებულია კლიმატური პირობების განსხვავებით. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ბიოტოპის ხავსების ნემატოდოფაუნის ეკოლოგიურ ჯგუფებში ბაქტერიოტროფების დომინირება კი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ხავსების ნემატოდების ძირითადი საკვები რესურსია ბაქტერიული ფლორა და ნაწილობრივ წყალმცენარეები.

იდენტიფიცირებული ხავსები (აჭარიდან: *Leucombrim glaucum* (Hedw) Schimp; *Amblistegium varium* (Hedw.) Lindb; *Hypnum cupressiforme* Hedw; *Eurhynchium lians* (Hedw.) Lindb; *E. speciosus* (Brid) Milde; *Ctenitium molluscum* (Hedw.) Mit; *Neckara complanata* (Hedw.) Hüb; *Pylaisia poliantha* (Hedw.) B.S.G.; *Hypnum cupressiforme* Hedw. და იმერეთიდან *Fissidens exilis* Hedw; *Lucodon scivroides* (Hedw.) Swager; *Amblistegilla subtitelis* (Hedw) Loeche) მიეკუთვნება 7 ოჯახს, 10 გვარს და 11 სახეობას.

ხავსები გვხვდება ყველა კონტინენტზე, მათ შორის ანტარქტიდაში, ხშირად ექსტრემალურ პირობებშიც. ისინი ნებისმიერი ეკოსისტემის განუყოფელი კომპონენტს წარმოადგენენ. ხავსისნაირები, როგორც უმაღლესი მცენარეების ევოლუციის

განსაკუთრებული მიმართულება წარმოქმნიან ჯგუფს, რომელსაც შეუძლია არსებობა არა მარტო ბუნებრივ, არამედ ურბანულ ეკოსისტემებშიც, ხე-მცენარეებზე, ქვებზე, ბეტონის ფილებზე, სახლის სახურავზე. ხავსების ცალკეული ჯგუფების ევოლუციური გზების და ფილოგენეზური კავშირების შესახებ ძალზედ მწირი მონაცემები მოიპოვება გეოლოგიური წარსულიდან. მათ დიდი ხნის წინ მყარად დაიმკვიდრეს ადგილი ბუნების ეკონომიკაში და შეინარჩუნეს იგი კონტინენტების ფორმირების, კლიმატის ცვალებადობის და მცენარეული საფარის ჩამოყალიბების ურთულეს პირობებში. მათი არსებობისათვის საკმარისია ტენის ის რაოდენობა, რაც ატმოსფეროშია, განსაკუთრებით ხელსაყრელია ის ადგილები, რომლებიც გამოირჩევა ნალექების ჭარბი რაოდენობით.

ხავსებს, როგორც ადგილსამყოფელს, იყენებენ სოკოები, ბაქტერიები და მიკროსამყაროს სხვა წარმომადგენლები, რომელთა შორის სახეობათა მრავალფეროვნებით განსაკუთრებით გამოირჩევიან ნემატოდები. ისინი ძირითადად ნიადაგის თავისუფლადმცხოვრები ფორმებია, რომელთა შორის მრავლად გვხვდებიან ფიტოჰელმინთები, მიკოხილოფაგები, ბაქტერიოტროფები და მტაცებლები. მონაცემები ხავსების ნემატოდოფაუნის შესახებ ემსახურება ზოგადად ფაუნის ზოოგეოგრაფიულ ანალიზს [1] და მათ შორის მსგავსება-განსხვავების დადგენას.

1960-70-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევები ხავსების ნემატოდოფაუნის შესწავლის მიზნით [2 - 5] დადგენილი ფაუნის 55 ფორმიდან სახეობამდე იდენტიფიცირებულია 45, გვარამდე 10 ფორმა. მათ შორის მეცნიერებისათვის ახალი 4 სახეობაა: *Eudorylaimus georgiensis*; *E. paramonovi*; *Microdorylaimus parvissimus*; *Mesodorylaimus vulvapapillatus*.

ამავე პერიოდში პოლონეთში გამოქვეყნდა ბრჟესკის [6] ნაშრომი დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის შესახებ, რომელშიც დაფიქსირებულია ნემატოდების 9 სახეობა. იმისათვის, რომ უფრო ფართოდ წარმოგვედგინა და სრულყოფილი გაგვეხადა მონაცემები დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის შესახებ, ასევე შეგვედარებინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის ბიომრავალფეროვნება, 2010 წელს ჩვენს მიერ შეგროვილი იქნა ხავსების საკმაოდ მდიდარი მასალა დასავლეთ საქართველოს ორ რეგიონში (აჭარა - ბათუმის ბოტანიკური ბაღი; იმერეთი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტი).

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ნემატოდოფაუნის მასალა შეგროვილია შემდეგი სახეობის ხავსებდან: *Leucombrim glaucum* (Hedw.) Schimp. (ნიადაგი); *Amblistegium varium* (Hedw.) Lindb. (ქვა); *Hypnum cupressiforme* Hedw. (წიფელი); *Eurhynchium lians* (Hedw.) Lindb (ნიადაგი); *E. speciosus* (Brid.) Milde (ქვა); *Ctenitium molluscum* (Hedw.) Mitt (ქვა); *Neckara complanata* (Hedw.) Hüb (რცხილა); *Pylaisia poliantha* (Hedw.) B.S.G. (წიფელი); *Hypnum cupressiforme* Hedw. (ნიადაგი)

ზესტაფონში ნემატოდოფაუნის მასალა შეგროვილია შემდეგი სახეობის ხავსებდან: *Fissidens exilis* Hedw (ქვა); *Lucodon scivroides* (Hedw.). Scwager (ვაშლი, იფანი); *Amblistegilla subtitelis* (Hedw.) Loeche (იფანი). (ხავსების სახეობები იდენტიფიცირებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის მკვლევარის ქეთევან ტიგიშვილის მიერ).

იდენტიფიცირებული ხავსები განეკუთვნებიან 7 ოჯახს, 10 გვარს და 11 სახეობას.

ხავსებიდან ნემატოდების გამოყოფა, შემდგომი დამუშავება და მორფო-ანატომიური კვლევა ხდებოდა ფიტოჰელმინთოლოგიაში მიღებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს სხვადასხვა ბიოტოპში დადგენილია ნემატოდების 80 ფორმა, რომელთაგან სახეობამდე იდენტიფიცირებულია 66 მხოლოდ გვარამდე კი 14(ცხრ. 1).

დასავლეთ საქართველოში რეგისტრირებული ნემატოდების 48 ფორმიდან სახეობამდე იდენტიფიცირებულია 43, გვარამდე 5. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ფაუნისათვის საერთო იყო 22 სახეობა. შესაბამისად მსგავსების კოეფიციენტი ჟაკარის ფორმულის მიხედვით დაბალია $K_j = 0,027$.

ხავსებში რეგისტრირებული ნემატოდები განეკუთვნებიან 9 რიგს: *Enoplida*, *Monhysterida*, *Areolaimida*, *Dorylaimida*, *Mononchida*, *Rhabditida*, *Tylenchida*, *Aphelenchida*, *Chromadorida*

ცხრილი 1. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ბიოტოპის ნემატოდოფაუნა

№	ნემატოდები	აღმოსავლეთ საქართველო	დასავლეთ საქართველო
1	<i>Chromadorella</i> sp.	+	
2	<i>Alaimus arcuatus</i>	+	
3	<i>Alaimus</i> sp.	+	
4	<i>Amphidelus lisus</i>	+	
5	<i>Amphidelus</i> sp.	+	
6	<i>Tripyla glomerans</i>		+
8	<i>Tripylina arenicola</i>	+	+
9	<i>Paratripila minuta</i>		+
10	<i>Eumonhystera dispar</i>	+	
11	<i>Eu. vulgaris</i>	+	
12	<i>Geomonhystera villosa</i>	+	+
13	<i>Cylindrolaimus communis</i>	+	+
14	<i>Plectus acuminatus</i>	+	+
15	<i>P. annulatus</i>	+	+
16	<i>P. armatus</i>		+
17	<i>P. elongatus</i>		+
18	<i>P. longicaudatus</i>	+	
19	<i>P. parietinus</i>	+	+
20	<i>P. parvus</i>	+	+
21	<i>P. rizophilus</i>		+
22	<i>Anaplectus granulatus</i>	+	+
23	<i>Tylocephalus auriculatus</i>	+	
24	<i>Wilsonema</i> sp.	+	

25	<i>Nygolaimus</i> sp.	+	
26	<i>Aquatides intermedius</i>	+	
27	<i>Paravulvulus</i> sp.		+
28	<i>Mesodorylaimus abberans</i>	+	+
29	<i>M. bastiani</i>	+	+
30	<i>M. mesonictus</i>		+
31	<i>M. signatus</i>		+
32	<i>M. spengeli</i>		+
33	<i>M. subulatus</i>		+
34	<i>M. vulvapapillatus</i>	+	
35	<i>Opistodorylaimus cavalcantii</i>		+
36	<i>Drepanodorylaimus flexus</i>		+
37	<i>Allodorylaimus alpinus</i>	+	
38	<i>Eudorylaimus acuticauda</i>	+	
39	<i>E. carteri</i>	+	+
40	<i>E. georgiensis</i>	+	
41	<i>E. leucarti</i>	+	
42	<i>E. paracirculifer</i>	+	
43	<i>E. paramonovi</i>	+	
44	<i>Microdorylaimus parvissimus</i>	+	
45	<i>Tacamangai dogieli</i>	+	
46	<i>Ecumenicus monhystera</i>		+
47	<i>Pungentus</i> sp.		+
48	<i>Enchodelus hoppedorus</i>	+	
49	<i>Enchodelus</i> sp.		+
50	<i>Aporcelaimellus</i> sp.	+	
51	<i>Practynolaimus macrolaimus</i>	+	+
52	<i>Tylencholaimellus</i> sp,		+
53	<i>Dyphtherophora</i> sp.	+	
54	<i>Clarcus papillatus</i>	+	+
55	<i>Comansus parvus</i>		+

56	<i>Prionchulus longus</i>		+	69	<i>Acrobeloides büetschlii</i>	+	+
57	<i>P. muscorum</i>	+	+	70	<i>Chiloplacus symmetricus</i>	+	+
58	<i>Mononchus truncatus</i>		+	71	<i>Tylenchus davainei</i>	+	+
59	<i>Rhabditis terricola</i>		+	72	<i>Lelenchus minutus</i>	+	+
60	<i>Diploscapter coronata</i>		+	73	<i>Malenchus bryophilus</i>	+	+
61	<i>Mesodiplogaster lheritierii</i>	+		74	<i>Ditylenchus intermedius</i>		+
62	<i>Eudiplogaster sp.</i>	+		75	<i>Ditylenchus sp.</i>	+	
63	<i>Panagrolaimus rigidus</i>	+		76	<i>Aphelenchus avenae</i>	+	
64	<i>Cephalobus nanus</i>		+	77	<i>Aphelenchoides asterocephalus</i>	+	+
65	<i>C. persegnsis</i>	+		78	<i>A. helophilus</i>	+	+
66	<i>Eucephalobus striatus</i>	+	+	79	<i>A. parietinus</i>		
67	<i>Teratocephalus terrestris</i>	+	+	80	<i>A. saprophilus</i>	+	+
68	<i>Euteratocephalus sp.</i>	+	+				

24 ოჯახს და 52 გვარს (ცხრ. 2). შედარებით მაღალი მრავალფეროვნებით გამოირჩევა ოჯახები: *Cephalobidae*, *Qutsianematidae*, *Trypilidae*, *Plectidae*, *Tylenchidae*.

ცხრილი 2. ნემატოდების განაწილება რიგების, ოჯახების და გვარების მიხედვით


რიგები	ოჯახები	გვარები	სახეობათა რაოდენობა
<i>Enoplida</i>	<i>Alaimidae</i>	<i>Alaimus</i>	2
		<i>Amphidelus</i>	2
	<i>Trypilidae</i>	<i>Tripyla</i>	1
		<i>Tripylina</i>	2
		<i>Paratripyla</i>	1
<i>Monhysterida</i>	<i>Monhysteridae</i>	<i>Eumonhystera</i>	2
		<i>Geomonhystera</i>	1
<i>Chromadorida</i>	<i>Chromadoridae</i>	<i>Cromadorella</i>	1
<i>Areolaimida</i>	<i>Cylindrolaimidae</i>	<i>Cylindrolaimus</i>	1
	<i>Plectidae</i>	<i>Plectus</i>	8
		<i>Anaplectus</i>	1
		<i>Wilsonema</i>	1
		<i>Tylocephalus</i>	1
<i>Dorylaimida</i>	<i>Nygolaimidae</i>	<i>Nygolaimus</i>	1
		<i>Aquatides</i>	1
		<i>Paravulvus</i>	1
	<i>Dorylaimidae</i>	<i>Opistodorylaimus</i>	1
		<i>Drepanodorylaimus</i>	1
		<i>Allodorylaimus</i>	1
		<i>Mesodorylaimus</i>	7
	<i>Qudsianematidae</i>	<i>Eudorylaimus</i>	6

		<i>Microdorylaimus</i>	1
		<i>Takamangai</i>	1
		<i>Ecumenicus</i>	1
	<i>Aporcelaimidae</i>	<i>Aporcelaimellus</i>	1
	<i>Nordiidae</i>	<i>Pungentus</i>	1
		<i>Enchodelus</i>	2
	<i>Actinolaimidae</i>	<i>Paractinolaimus</i>	1
	<i>Tylencholaimidae</i>	<i>Tylencholaimellus</i>	1
	<i>Diphterophoridae</i>	<i>Diphterophora</i>	1
<i>Mononchida</i>	<i>Mononchidae</i>	<i>Clarcus</i>	1
		<i>Comansus</i>	1
		<i>Prionchulus</i>	2
		<i>Mononchus</i>	1

დადგენილია ფაუნის ეკოლოგიური სტრუქტურა. წარმოდგენილია ყველა ტროფიკული ჯგუფი [7], რაც ადასტურებს, რომ საჭირო რესურსი ნემატოდების არსებობისათვის ხავსებზე არსებობს. ჩვენი მონაცემები ძირითადად ემთხვევა უცხოელ ავტორთა [8 -12] მეცნიერული კვლევის შედეგებს.

სახეობათა მიხედვით ტროფიკულ ჯგუფში დომინირებენ ბაქტერიოტროფები (33 სახეობა), ნაირჭამიები, პოლიფაგები (21 სახეობა), მტაცებლები (14 სახეობა), პარაზიტები (ფიტოჰელმინთები და მიკოჰელმინთები) – ყველაზე მცირერიცხოვანი ჯგუფია (5 სახეობა და 7 სახეობა). (ცხრ.3).

ნემატოდების ეკოლოგიური ჯგუფები ტროფიკის მიხედვით:



აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის შედარებისას აღმოჩნდა, რომ გვარების რაოდენობის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში ლიდერობენ ოჯახები *Qutsianematidae* 4 გვარით და *Plectidae* 3 გვარით. დასავლეთ საქართველოში კი ოჯახები *Cephalobidae* 6 გვარით და *Mononchidae*, *Trypilidae*, *Tylenchidae* სამ-სამი გვარით.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის შესწავლამ დაგვანახა ის განსხვავება, რაც არსებობს ამ ორი რეგიონის ფაუნის წარმომადგენელთა შორის (ცხრ.1), რაც ჩვენი აზრით განპირობებულია კლიმატური პირობების განსხვავებით.

დასავლეთ საქართველოში ჰავა ტენიანია და ატმოსფერული ნალექების რაოდენობა გაცილებით მეტია (მტირალას მთაზე, ჩაქვში ნალექების წლიური რაოდენობა 2560 მმ-ია).

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი მსგავსებაა ტროფიკულ ჯგუფებს შორის, არსებითი განსხვავებაა სახეობათა რაოდენობის მხრივ. დასავლეთ საქართველოში ბაქტერიოფაგები წარმოდგენილია ძირითადად ალაიმიდებისა და პლექტიდების გვარებით, აღმოსავლეთ საქართველო მხოლოდ რაბდიტიდების გვარით. დასავლეთ საქართველოში ნაირმჭამელები მდიდრად არის წარმოდგენილი ქვეოჯახ *Mesodorylaimidae*-ს სახეობებით, აღმოსავლეთ საქართველოში ოჯახ *Qudsianematidae* – ს წარმომადგენლებით.

ჩვენს მიერ განხილულ ორივე შემთხვევაში ბაქტერიოტროფების დომინირება (*Geomonhystera villosa* აღმოსავლეთ საქართველოში და *Plectus annulatus* დასავლეთში) ადასტურებს მოსაზრებას, რომ ხავსების ნემატოდების ძირითადი რესურსია ბაქტერიული ფლორა და ნაწილობრივ წყალმცენარეები.

დასავლეთ საქართველოს ხავსების ნემატოდოფაუნის მტაცებელი სახეობების მაღალი მრავალფეროვნება როგორც ჩანს, გამოწვეულია საკვები რესურსის სიჭარბით (სხვა ნემატოდები, როტიფერები, ნელმავალნი), რაც დამახასიათებელია მაღალი ტენიანობის პირობებისათვის.

ლიტერატურა:

1. Barbutto M. Zullini A. (2006). Moss inhabiting nematodes: influence of the moss substratum and geographical distribution in Europe. *Nematology*, vol.8(4), 574-582.
2. Элиава И.Я., Багатурия Н.Л. (1968). Три новых вида нематод мхов из Восточной Грузии. *Bulletin of the Academy of Sci of Georgia SSR*, 52 N3, 735-740. (Russian)
3. Багатурия Н.Л., Элиава И.Я. (1966). Новая нематода *Mesodorylaimus vulvapapillatus* n.sp. (Nematoda, Dorylaimida) из Восточной Грузии. *Bulletin of the Academy of Sci of Georgia SSR*, U1 N1, 169-172. (Russian)
4. Элиава И.Я. (1966). К познанию фауны нематод мхов Восточной Грузии. Материалы к фауне Грузии. Вып.1. Тбилиси, 5-10 (Russian)
5. Элиава И.Я., Багатурия Н.Л. (1971). К изучению динамики нематодофауны мхов В Восточной Грузии. Паразит. сборник Института Зоологий АНГССР. Т.2, 85-89. (Russian)
6. Brzeski M. (1961). Przyczynki do poznania fauny (Nematoda) mcholouluych Gruzii. *Przeglod Zoologiczni*. V.2, 1961, 137-138.
7. Yates G. W., Bongers T., de Goede R.C. M., Freckman D. W. (1993). Feeding Habits in Soil Nematode Families and Genera – an outline for soil ecologists, *Journal of Nematology*. V.25(3) pp.315-331
8. Overgard C. Studing on the soil microfauna. I. The moss inhabiting nematodes and rotifers. *Naturvidenskabelige Skrifter, Serie des Sci. Naturelles*. Kobenhavn, 1-98. (1948)
9. Vinciguerra M.T. De Franciski M. (1978). Nematodi muscicolo delle Alpi Apuane „Bulletino Delle Setude Dell Academia gionie D. Scienza Naturali in Catania”, Ser.IV, Vol.XI, fasc.7-8, 1-24.
10. Brzeski M. (1962). Nematodes of peat-mosces of the Bialowieza forest. *Act. Zoologica Cracoviensis*, 7, 53-62.
11. Caroll J.J. Viglerchio D.B. (1981). On the transport of nematodes by the wind. *Journal of Nematology*, V.13. 476-482.

12. Vinciguerra M., La Fauci G. (1978). Nematodi muscicoli Dell'isola Di Lampedusa. *Animalia* (Catania), V.5(1/3), 13-37.

Nematode Diversity of Moss From Western Georgia

E. Tskitishvili, I. Eliava, L. Jgenty, T. Tskitishvili¹, N. Baghaturia¹,
M. Gigolashvili¹, K. Tigishvili³

Summary

Nematodofauna of mosses of various biotopes from two regions of the Western Georgia was studied. Taxonomical and ecological structure of fauna was established. Registered nematodes belong to 9 order *Enoplida*, *Monhysterida*, *Areolaimida*, *Dorylaimida*, *Mononchida*, *Rhabditida*, *Tylenchida*, *Aphelenchida*, *Chromadorida*, 24 families and 52 genera. 48 nematode forms were recorded, among them 43 forms are identified up to species. Families *Cephalobidae*, *Qutsianematidae*, *Trypilidae*, *Plectidae*, *Tylenchidae* dominate. In ecological structure all trophic groups are presented, which confirms the abundance of food resources on mosses for nematodes. In trophic groups on a diversity bacteriotrophes (33 species) are in the lead, then go polyphagues (21 species), predators (14 species), and parasites (microhelminthes and phytohelminthes) are presented by the most low-quantitative group.

The coefficient of similarity of fauna according to Jacquard was established. It was rather low: $K_j=0,027$. Families *Qutsianematidae* and *Plectidae* (in East Georgia) and *Cephalobidae*, *Mononchidae*, *Trypilidae*, *Tylenchidae* (in Western Georgia) dominate, that in our opinion is caused by distinction of climatic factors. Domination of bacteriotrophes both in Western and in East Georgia confirms representation, that the main resource of food is bacterial flora and partially seaweed.

Identified mosses (from Ajara *Leucombrim glaucum* (Hedw) Schimp; *Amblistegium varium* (Hedw.) Lindb; *Hypnum cupressiforme* Hedw; *Eurhynchium lians* (Hedw.) Lindb; *E. speciosus* (Brid) Milde; *Ctenitium molluscum* (Hedw.) Mit; *Neckara complanata* (Hedw) Hüb; *Pylaisia poliantha* (Hedw) B.S.G.; *Hypnum cupressiforme* Hedw. and from Imereti *Fissidens exilis* Hedw; *Lucodon scivroides* (Hedw). Swager; *Amblistegilla subtilis* (Hedw) Loeche) belong to 7 families, 10 genus and 11 species.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა

გიორგი ჩალაძე¹, დავით თარხნიშვილი²

ეკოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

giorgi.chaladze@gmail.com

²ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი

ქ. ჩოლოყაშვილის ქ. 3/5, 0162, თბილისი, საქართველო

sciences_engineering@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი. ბიომრავალფეროვნების ინტენსიური კვლევის შედეგად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა ინფორმაციის ერთიან მონაცემთა ბაზაში თავმოყრა და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა. სტატიაში მოცემულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის (www.biodiversity-georgia.net), განვითარება, მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და პროგრამირების დეტალები. მოყვანილია ძირითადი სტატისტიკა ვიზიტრების და მათი ინტერესების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ბიომრავალფეროვნება, მონაცემთა ბაზა.

შესავალი

250 წლის წინ კარლ ლინემ განსაზღვრა ცხოველების და მცენარეების კლასიფიკაციის პრინციპები [1]. ამ პერიოდში ლინეს მიერ 10 000-მდე აღწერილი სახეობა 1.5-1.8 მილიონამდე გაიზარდა [2, 3]. ინფორმაციის დაგროვების პროცესში განსაკუთრებით პრობლემატური გახდა ერთიდაიგივე სახეობების მრავალჯერადი აღწერა სხვადასხვა ავტორების მიერ, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ტაქსონომისტებს შორის კომუნიკაციის სირთულეში. ინფორმაციური ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახდა ინფორმაციის სწრაფი და ეფექტური გაზიარება სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე მეცნიერებისათვის. ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზების მიზანს წარმოადგენს სახეობისათვის არსებული მთელი ინფორმაციის ერთ სივრცეში გაერთიანება [4]. ბოლო ოცი წლის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა [5]. ასევე ბევრია რომელიმე ცალკეული ტაქსონის მონაცემთა ბაზა, მაგალითად AntWeb [6] რომელიც მოიცავს მსოფლიო ჭიანჭველების ფაუნას. ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზები ძირითადად სპეციალისტების მიერ იქმნება და რედაქტირდება, თუმცა არსებობს ფართო საზოგადოებისთვის ღია ვებ-გვერდებიც, მაგალითად პროექტი Wikispecies, რომელიც 400 ათასზე მეტ სახეობაზე შეიცავს ინფორმაციას [7].

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა 2007 წელს შეიქმნა დავით თარხნიშვილის მიერ არასამთავრობო ორგანიზაცია კავკასიის ენდემების კვლევის

ცენტრში. 2009 წლიდან მის ადმინისტრირებას ახორციელებს ილიას უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი. 2010 წლიდან ვებ გვერდის ადმინისტრირებას და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს გიორგი ჩალაძე. წინამდებარე სტატიაში გამოყენებული ტექსტი და ილუსტრაციები ემყარება გიორგი ჩალაძეს სადოქტორო დისერტაციას: „უხერხემლო ცხოველების მრავალფეროვნების მოდელირება და მონაცემთა ბაზის განვითარება კავკასიის ეკორეგიონისთვის“.

მასალა და მეთოდები

პროგრამირების ენა


ვებ გვერდი შექმნილია PHP, HTML და JavaScript პროგრამული ენების მეშვეობით. სკრიპტის ძირითადი ნაწილი დაწერილია PHP პროგრამულ ენაზე - პროცედურული დაპროგრამებით.

PHP (ჰიპერტექსტული პრეპროცესორი) წარმოადგენს ზოგადი დანიშნულების პროგრამულ ენას, თუმცა ის ძირითადად გამოიყენება ვებ პროგრამირებისათვის [8, 9]. PHP ერთერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი ენაა ვებ-პროგრამირებაში: 2013 წლის იანვარში ვებ-საიტების 39% იყენებდა მას [10].

მონაცემთა ბაზის სტრუქტურა

ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ტექსტური ინფორმაცია ინახება MySQL მონაცემთა ბაზაში. MySQL წარმოადგენს ღია კოდის მქონე რელაციური მონაცემთა ბაზების მენეჯმენტის სისტემას [11].

ვებ-გვერდის MySQL მონაცემთა ბაზა ხუთი ცხრილისგან შედგება (სურათი 1). ცხრილების ერთმანეთთან დაკავშირება ხორციელდება უნიკალური სვეტის „სახეობის“ მეშვეობით. სახეობის სვეტი წარმოადგენს ბინომინალურ ლათინურ სახელს (გვარი სახეობა).



სურათი 1. MySQL მონაცმთა ბაზის სქემატური გამოსახულება. ლურჯად აღნიშნულია MySQL მონაცემთა ბაზის ცხრილები, ნაცრისფრად აღნიშნულია სერვერზე არსებული ფაილები. ცხრილების დამაკავშირებელ უნიკალურ სვეტს წარმოადგენს სახეობა (ბინომენი).

ტექსონომიური იერარქია

უმდაბლეს იერარქიულ ერთეულს მონაცემთა ბაზაში წარმოადგენს სახეობა, თითოეულ სახეობას აქვს გრაფა „Parent“ რომელიც განსაზღვრავს სახეობის ზედა ნოდას. იმის მიხედვით თუ რა ჯგუფზეა საუბარი ეს შეიძლება იყოს ქვეგვარი, გვარი, ოჯახი ან ნებისმიერი სხვა ტაქსონი რომელსაც სახეობა მიეკუთვნება. ტაქსონომიურ იერარქიას

განსაზღვრავს რედაქტორი. უმაღლეს იერარქიულ საფეხურს წარმოადგენენ ტაქსონები: *Animalia*, *Fungi* და *Viridaeplantae*.

MySQL მონაცემთა ბაზაში		იერარქია ვებ-გვერდზე	
Species	Parent		
Eucariota	NULL	Eucariota (10146)	
Animalia	Eucariota	Animalia (4389)	
Arthropoda	Animalia	Arthropoda (3360)	
Hexapoda	Arthropoda	Hexapoda (2782)	
Coleoptera	Hexapoda	Coleoptera (947)	
Carabidae	Coleoptera	Carabidae (572)	
Cychrus	Carabidae	Cychrus (2)	
Cychrus aeneus	Cychrus	Cychrus aeneus	
Cychrus signatus	Cychrus	<u>Cychrus signatus</u>	

სურათი 2. ტაქსონომიური იერარქია *Cychrus* -ის სახეობებისათვის: MySQL მონაცემთა ბაზაში და ვებ-გვერდზე გამოტანილი ინფორმაცია.

ტაქსონომიის გამოსატანად PHP სკრიპტი იწყებს მოცემული ტაქსონის „Parent“-ის ძებნას MySQL მონაცემთა ბაზაში, ინახავს მას დროებით მასივში, იგივე პროცედურა მეორდება მანამდე სანამ არ მიიღწევა ერთ-ერთი უმაღლესი იერარქიის ტაქსონი (*Animalia*, *Fungi* და *Viridaeplantae*; სურათი 2).

ტექსტური რედაქტორი

ახალი მონაცემების შეყვანა და რედაქტირება ხდება ადმინისტრატორის პანელიდან. თითოეულ რედაქტორს მისი კვლევის სფეროს მიხედვით აქვს შეზღუდული წვდომა თუ რომელი ტაქსონის რედაქტირება შეუძლია.

ტექსტის ფორმატირებისთვის გამოყენებულია ღია კოდის HTML რედაქტორი - TinyMCE [12]. TinyMCE წარმოადგენს WYSIWYG⁴ რედაქტორს და ისეთივე მარტივი მოსახმარია როგორც ფართოდ გამოყენებადი ტექსტური რედაქტორები (მაგალითად MS Word, სურათი 3).



სურათი 3. TinyMCE-ს ტექსტური რედაქტორის მენიუს პანელი.

⁴WYSIWYG - "What You See Is What You Get".

ვიზიტორების მთვლელობა

2010 წლის 1 სექტემბერს მონაცემთა ბაზას დაემატა Google Analytics-სტატისტიკური მთვლელობა, რომელიც საშუალებას იძლევა ვიზიტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ასევე თუ რა საძიებო სიტყვებით (Keywords) იქნა ვებ გვერდი ნაპოვნი და საიდან გადმოვიდა მომხმარებელი ვებ გვერდზე.

დაფინანსების წყაროები

2007 წელს შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაცია კავკასიის ენდემების კვლევის ცენტრის მიერ ენერგოკომპანია "ბრიტიშ პეტროლიუმის" (BP) დაფინანსებით.

2009 წლიდან ვებ-გვერდის ადმინისტრირებასა ხორციელდება ილიას უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი.

2009-2010 წლებში ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა დაფინანსდა ევროკავშირის მიერ პროექტ ევროპული სახეობების დირექტორიის ინფრასტრუქტურის [13] ფარგლებში. პროექტის განმავლობაში განხორციელდა ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ტექსტუალური ფაუნა ევროპეასთან შესაბამისობაში მოყვანა და ქართული სახელწოდებების დამატება.

2013 წელს ვებ-გვერდზე ქვეპროექტის „დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზა“ დაფინანსდა საქართველოს სამეცნიერო განვითარების ფონდმა [14].

2014 წელს სამხრეთ კავკასიის ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროექტის ფარგლებში ვებ-გვერდზე ინდიკატორი სახეობებზე ინფორმაციის განსათავსებლად დაფინანსდა GIZ-ის [15] მიერ.

ინფორმაციის წყაროები

ინფორმაცია რომელიც ავტორების მიერ განთავსებულია ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში არის მოპოვებული სამი გზით:

1. სავსე გასვლებიდან მოპოვებული ინდივიდები.
2. უკვე არსებული საკოლექციო მასალის შესწავლით.
3. ლიტერატურული მონაცემებიდან.

შედეგები

ძირითადი მონაცემები

სახელწოდება: საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა (Georgian Biodiversity Database)

ენა: ინგლისური

მისამართი: www.biodiversity-georgia.net

რედაქტორები: დავით თარხნიშვილი, გიორგი ჩალაძე;

ავტორები: დავით თარხნიშვილი, გიორგი ჩალაძე, ლექსო გავაშელიშვილი, ლევან მუმლაძე, ზურა ჯავახიშვილი, დიეგო როდრიგესი;

ძირითადი კონტრიბუტორები: სანდრო თარხან-მოურავი, ზეზვა ასანიძე, რუსიკო მამრამე, ქეთინო ოდიკაძე, ინგა შავაძე, თამარ ჭუნაშვილი, მაია ახალკაცი;

ტაქსონის გვერდი

ტაქსონის გვერდი შეიცავს ქვემოთ მოყვანილ გრაფებს, ვებ-გვერდზე ჩნდება მხოლოდ ის გრაფები რომლებიც ინფორმაციას შეიცავენ (ვარსკვლავით აშნიშნულია მინიმალური სავალდებულო გრაფები):

Accepted name * - ვალიდური სახელი, ფორმატით: გვარი სახეობა, ავტორი წელი.

Common name- ალტერნატიული, პოპულარული დასახელება ინგლისურ ენაზე.

Georgian name - სახელწოდება ქართულად.

Synonyms- ტაქსონომიური სინონიმები.

Taxonomic rank * - ტაქსონომიური რანგი.

Taxonomy according to - ტაქსონომია ვებ-გვერდის მიხედვით.

Reference - ტაქსონის ვალიდურობის წყარო.

ბმული ფაუნა ევროპას შესაბამისი ტაქსონის ვებ-გვერდთან (მხოლოდ სახეობებისთვის).

Remark- რედაქტორს საშუალებას აძლევს შეიყვანოს კომენტარი/დამატებითი ინფორმაცია ტაქსონის შესახებ.

Distribution - ზოგადი ინფორმაცია გავრცელება შესახებ.

IUCN Status - IUCN-ის სტატუსი.

National Red list status - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონსერვაციული სტატუსი.

Editor/Contact Person- რედაქტორი.

Contact address - რედაქტორის ელ. ფოსტა.

გავრცელების წერტილების ჩამონათვალი.

გავრცელების წერტილების რუკა- Google-map-ის აპლიკაციის მეშვეობით.

გავრცელების არეალი - ასევე Google-map-ის აპლიკაციის მეშვეობით.

GBIF - ის მონაცემთა ბაზის რუკა და ბმული.

ველზე მომუშავე მკვლევართა კავშირის მონაცემთა რუკა და ბმული (მხოლოდ წვრილი მუშუშოვრებისათვის).

Bibliography - გამოყენებული ლიტერატურა.

Citation - მომხმარებელს საშუალებას აძლევს მარტივად მოახდინოს კონკრეტული ტაქსონის ვებ-გვერდის და წვდომის თარიღის ციტირება.

კავშირი სხვა მონაცემთა ბაზებთან

ფაუნა ევროპა

ფაუნა ევროპა (<http://www.faunaeur.org/>) წარმოადგენს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ევროპაში

გავრცელებული მრავალუჯრედიანი, ხმელეთის და მტკნარი წყლების ცხოველების სამეცნიერო კლასიფიკაციის და გავრცელების შესახებ. სამეცნიერო სახელები მოიცავს როგორც ვალიდურ სახელებს, ასევე სინონიმებს [16]. ფაუნა ევროპა ნაწილობრივ მოიცავს საქართველოში გავრცელებულ ცხოველებსაც, ასეთი სახეობები შესაბამისობაშია მოყვანილი ფაუნა ევროპასთან (<http://www.faunaeur.org/>) რომელიც განხორციელდა ეკოლოგიის ინსტიტუტსა და PESI შორის თანამშრომლობის პროცესში (Pan-European Species Inventories, <http://www.eu-nomen.eu/pesi/>). თითოეული სახეობა ბმულით უკავშირდება ფაუნა ევროპას შესაბამისი სახეობის ვებ გვერდს. რომელზეც შესაძლებელია სახეობის ვალიდურობის სტატუსის გადამოწმება, სინონიმების და სრული ტაქსონომიის ნახვა.

გლობალური ბიომრავალფეროვნების ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (GBIF)

გლობალური ბიომრავალფეროვნების ინფორმაციის მონაცემთა ბაზა (GBIF) წარმოადგენს საერთაშორისო ღია მონაცემთა ინფრასტრუქტურას, რომელიც დაფინანსებულია სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების მიერ. მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს და ორგანიზაციებს გააზიარონ სტანდარტიზებულ ფორმატში ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ. ამჟამად მონაცემთა ბაზა 1.5 მილიონ სახეობას და მათი გავრცელების, 500 მილიონზე მეტ გეორეფერირებულ წერტილს შეიცავს [17].

საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის თითოეული სახეობა ბმულით უკავშირდება GBIF-ს მონაცემთა ბაზას და ინტერაქტიული რუკის მეშვეობით აჩვენებს GBIF-ში არსებულ რეგისტრაციის წერტილებს. რუკის მეშვეობით შესაძლებელია გადასვლა GBIF-ის მონაცემთა ბაზაზე.

ველზე მომუშავე მკვლევართა კავშირი – "CAMPESTER"

ველზე მომუშავე მკვლევართა კავშირი – "CAMPESTER" არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მისიაა ძუძუმწოვრების და ფრინველების შესწავლა და კონსერვაცია, ასევე ბიომრავალფეროვნებისა და ისტორიული ძეგლების კონსერვაცია. "CAMPESTER"-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია საქართველოში გავრცელებული წვრილი ძუძუმწოვრების შესახებ. 2014 წლიდან საქართველოს ბიომრავალფეროვნების ბაზა დაკავშირებულია "CAMPESTER"-ის ვებ გვერდთან და ბიომრავალფეროვნების ბაზის შესაბამისი სახეობების ვებ გვერდზე გამოაქვს ინფორმაცია გავრცელების შესახებ. ორიგინალურ წყაროზე გადასვლა შესაძლებელია გავრცელების რუკის მეშვეობით.

ფოტოსურათები

მონაცემთა ბაზა შესაძლებლობას აძლევს ავტორებს და სხვა კონტრიბუტორებს ტაქსონომიური სისტემატიკის მიხედვით ატვირთონ ფოტოსურათები, შესაბამისი სახეობების გვერდზე. ამჟამად მონაცემთა ბაზა შეიცავს 2299 ორიგინალურ ფოტოს (გადაღებული და ატვირთული სხვადასხვა ავტორების მიერ).

ქვეპროექტები

დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზა

ვებ გვერდის მისამართი: <http://vectors.biodiversity-georgia.net/>

2013 წელს მონაცემთა ბაზას დაემატა განსაკუთრებულად საშიში პათოგენების ვექტორების მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს 67 სახეობას (დანართი 1, ცხრილი1) (წვდომის თარიღი: 5 ოქტ 2014).

დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანების მონაცემთა ბაზა წარმოადგენს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ნაწილს (www.biodiversity-georgia.net), რომელშიც გაერთიანებულია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული დაავადების გადამტანი ფეხსახსრიანები.

თითოეული სახეობის გვერდი მდებარეობს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზაში და შეიცავს მინიმუმ ტაქსონომიურ ინფორმაციას. ზოგიერთი სახეობისათვის მოცემულია რეგისტრირებული გავრცელების წერტილები, ასევე მოდელირებული გავრცელების რუკა. ინფორმაცია გავრცელების შესახებ შეკრებილია სხვადასხვა ლიტერატურიდან (წყაროები მითითებულია კონკრეტული სახეობის გვერდზე).

საიტზე არსებული ნებისმიერი მასალის და ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია ავტორებთან შეთანხმების გარეშე, თანამშრომლობით დაინტერესებულ მკვლევარებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მონაცემთა ბაზის განახლება/შევსებაში - გავრცელების, დაავადებების შესახებ ინფორმაციის დამატებით, დაავადებების პრევენციის შესახებ ინფორმაციით, სურათებით ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზის შესაბამისი ინფორმაციით.

წითელი ნუსხა

ვებ გვერდის მისამართი: <http://biodiversity-georgia.net/index.php?redlist=1>

ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ვებ გვერდზე განთავსებულია საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობების სია მთავარი გვერდი შეიცავს ლათინურ და ქართულ სახელებს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტატუსებს. წითელი ნუსხის სახეობები საქართველოში განისაზღვრება კანონით „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ [18] შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის №303 2006 წლის 2 მაისის ბრძანებულებით „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“ [19]. საქართველოს წითელი ნუსხა იყენებს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) კატეგორიებს და კრიტერიუმებს [20] და ამავე კავშირის რეკომენდაციებს რეგიონული და ეროვნული წითელი ნუსხებისათვის [21].

ვიზიტორების სტატისტიკა


2010 წლის 1 სექტემბერიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე საიტს ესტუმრა 34,946 უნიკალური ვიზიტორი და დაათვალიერა 181,215 გვერდი, თითოეულმა მათგანმა

საშუალოდ საიტზე გაატარა 2 წუთი და 37 წამი და 46 %-მა დაათვალიერა ერთზე მეტი გვერდი, საშუალოდ ერთმა ვიზიტორმა დაათვალიერა 3.93 გვერდი. მომხმარებლების 24,2% ერთზე მეტჯერ ეწვია ვებ-გვერდს.

ვებ-გვერდს ესტუმრნენ ვიზიტორები 153 ქვეყნიდან (სურათი 6), აქედან ყველაზე მეტი ვიზიტორი საქართველოდან (7,634 (16.54%)), აშშ-დან (4,219 (9.14%)), გერმანიიდან (2,749 (5.96%)) და თურქეთიდან (2,301(4.99%)).

სამიეზო სისტემები 9420 სამიეზო სიტყვის საპასუხოდ აგზავნიდნენ ვიზიტორებს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის გვერდზე. ყველაზე ხშირად სამიეზო სისტემები ვიზიტორებს აგზავნიან როდესაც მომხმარებელი ეძებს: ინფორმაციას საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ (georgian biodiversity - 0,31 %; georgia biodiversity - 0,25%; biodiversity in georgia 0,21 %; biodiversity georgia – 0,25 %), ან უშუალოდ ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის საიტს (georgia database biodiversity – 0,22 %; biodiversity-georgia 0,17%).

ცხოველებიდან ყველაზე ხშირად ეძებენ: კავკასიურ სალამანდრას (*mertensiella caucasica* - 0.79%), წიამორს (*capra aegagrus* - 0.39%) და ხოჭოებს (*coleoptera* -0.34%); მცენარეებიდან: წიფელას (*fagus orientalis* - 0.51%); თხილს (*corylus avellana* - 0.48%); კავკასიურ ხარისძირას (*helleborus caucasicus* - 0.32%) და კანაფს (*cannabis sativa*- 0.27%);



სურათი 4. მონაცემთა ბაზის ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით, 2010 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე Google Analytics-ის მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Linnaeus, Carolus (1758). *Systema naturae per regna tria naturae :secundum classes, ordines, genera, species, cum characteribus, differentiis, synonymis, locis* (in Latin) (10th ed.). Stockholm: Laurentius Salvius.
2. Chapman, A. D. (2009). *Numbers of Living Species in Australia and the World* (PDF) (2nd ed.). Canberra: Australian Biological Resources Study. pp. 1–80. ISBN 978 0 642 56861 8.
3. Costello, M. J., May, R. M., & Stork, N. E. (2013). Can we name Earth's species before they go extinct?. *science*, 339(6118), 413-416.
4. Maddison, D. R., K.-S. Schulz, and W. P. Maddison. (2007). The Tree of Life Web Project. Pages 19-40 in: Zhang, Z.-Q. & Shear, W.A., eds. *Linnaeus Tercentenary: Progress in Invertebrate Taxonomy*. *Zootaxa* 1668:1-766.
5. Eol.org, (2015). 'Encyclopedia Of Life - Animals - Plants - Pictures & Information'. N.p., 2015. Web. 1 Feb..
6. Antweb.org, (2015). 'Antweb'. N.p., 2015. Web. 1 Feb..
7. Species.wikimedia.org, (2015). 'Wikispecies, Free Species Directory'. N.p., Web. 1 Feb. 2015.
8. ღონღაძე გიორგი. (2007). PHP. ვიკიწიგნების ბიბლიოთეკიდან. Itmania.ge
9. Php.net, (2015). 'PHP: What Can PHP Do? - Manual'. N.p., 2015. Web. 30 Jan.
10. Ide, Andy. (2013). "PHP just grows & grows".
<http://news.netcraft.com/archives/2013/01/31/php-just-grows-grows.html> წვდომის თარიღი: 2015-01-07.
11. mysql.com, (2015). 'Mysql :: Mysql 5.1 Reference Manual :: 1.3.1 What Is Mysql?'. N.p., Web. 30 Jan. 2015.
12. Tinymce.com, (2015). 'TinyMce - Home'. N.p., 2014. Web. 31 Jan..
13. Eu-nomen.eu, (2015). 'PESI Portal - Home'. N.p., 2015. Web. 1 Feb..
14. Grdf.ge, (2015). 'GRDF | Georgian Research & Development Foundation'. N.p., Web. 1 Feb.
15. Giz.de. (2015). GmbH, Deutsche. 'Georgia'. Giz.de. N.p., 2015. Web. 1 Feb.
16. Fauna (2014). What is GBIF. <http://www.gbif.org/whatisgbif>., წვდომისთარიღი: 2013-08-19
17. საქართველოს კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხის“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ 06/06/2003
18. საქართველოს პრეზიდენტის №303 (2006) წლის 2 მაისის ბრძანებულება. „საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ“
19. IUCN. (2001). *IUCN Red List Categories and Criteria: Version 3.1*. IUCN Species Survival Commission. IUCN, Gland, Switzerland and Cambridge, UK.
20. IUCN. (2003). *Guidelines for Application of IUCN Red List Criteria at Regional Levels: Version 3.0*. IUCN Species Survival Commission. IUCN, Gland, Switzerland and Cambridge, UK.

Georgian Biodiversity Database

G. Chaladze, D. Tarkhnishvili

S u m m a r y

As a result of intensive biodiversity research it became essential to accumulate existing information and increasing it's accessibility to researchers globally. In last two decades several national and international biodiversity databases were created. In this paper we describe development of Georgian biodiversity database (www.biodiversity-georgia.net). Statistics about visitors and their interests are provided.

**Littoral Benthic Macroinvertebrates and their correlation with the Chemical
Composition of Water in the Tbilisi Reservoir**

B. Japoshvili, A. Pataridze, M. Bozhadze, Zh. Shubitidze, M. Gioshvili

Institute of Zoology, Ilia State University

3/5 K. Cholokashvili Ave., 1062, Tbilisi

bela_japoshvili@iliauni.edu.ge

Abstract

Benthic macroinvertebrates are sensitive to any kind of changes in the aquatic environment. The distribution, taxonomic composition and relative abundance of benthic invertebrates are strongly affected by the availability and quality of feeding resource, sediment type, substrate and water quality. For this reasons benthic macroinvertebrates traditionally served as reliable bioindicators to detect and identify changes in water systems. The aim of the proposed study was to analyze taxonomic composition of the Tbilisi water reservoir littoral benthic macroinvertebrates and their relationship with chemical characteristics of water.

Tbilisi water reservoir (Tbilisi Sea) is located in the northern part of Tbilisi – N 41.75, E 44.85. Surface area is 11.6 km², maximum depth – 43 m, average depth – 26.6 m, water volume - 300 million m³. Filling of the reservoir started in 1951 by 11-km channel from the Iori River. Initially the reservoir was supplied only from Iori River. With time, the water level decreased significantly and its filling became possible only in 80-ies, after launching of Zhinvali Hydropower plant (N 42.09, E 44.45). Currently Tbilisi water reservoir is fed from the Iori River and mostly from the Aragvi River. Before filling the reservoir, there were three shallow saline lakes: Avchala (Kukia), Ilguniani and Avlabari lakes.

6 main benthic groups were determined during the research (2008, 2009): Oligochaeta, Ostracoda, Amphipoda, Chironimidae (Diptera), Ephemeroptera, Trichoptera, represented by different amounts depending on seasons. Presently the biomass of the benthic groups show drastic decline.

Among collected zoo material only Oligochaeta representatives were identified to the species level: 9 species were described. Correlation between these species and organic pollution was analyzed. Positive correlation with the organic pollution was detected in three cases: with *Nais pseudobtusa*, *Vejdovskyella intermediate* and *Chaetogaster Langi*. These 3 species were not recorded in the Tbilisi Water Reservoir in 1964. Negative correlation with the organic pollution was identified in five cases: *Dero obtusa*, *Uncinais uncinata*, *Amphichaeta leydigi*, *Limnodrilus hoffmeisteri*, *Aulodrilus plurisetus*. None of them was detected in the samples after increase of permanganate oxidation and COD, although all five were detected in 1964. Comparison of the current results of complex hydrochemical and hydrobiological studies with the results of the similar studies carried out 40 years ago revealed eutrophication process in the reservoir.

Introduction

According to the EU adopted Water Framework Directive [1] the surface waters in Europe, must achieve a good ecological quality by the end of 2015. The priority areas for cooperation were agreed between the Georgian government and the European commission in the Country Strategy Paper 2007-2013 under the European Neighborhood and Partnership Instrument. The plan identifies priority actions for key environmental sectors including study of surface water bodies and their management [2]. EU Water Framework Directive implementation is envisaged in the Annex XXVI of the EU – Georgia Association Agreement, signed on 27th of June 2014 and ratified by the European parliament

on 18th of December 2014. Therefore, gathering information on the current conditions of water resources and planning their monitoring programs are of key importance [3-5].

Water reservoirs provide many benefits to society. The physical transformations in a lentic and lotic systems due to anthropogenic influences, significantly alters the physical [6, 7, 9], chemical [7, 8], and biological water characteristics [9-12]. Benthic macroinvertebrates represent one of the sensitive taxonomic groups to any kind of changes in the aquatic environment. The distribution, taxonomic composition and relative abundance of benthic invertebrates are strongly affected by the availability and quality of feeding resource, sediment type, substrate, and water quality [13-15]. For this reason benthic macroinvertebrates historically served as good bioindicators to detect and identify changes in water systems. Composition and distribution of macrobenthic community are used in ecological monitoring programs, and is an important ecological tool to describe spatial and temporal changes in water ecosystems [16-18]. To use benthic animals in the assessment of temporal trends and changes in aquatic ecosystems, it is important to collect baseline information on the taxonomic composition and distribution of the species within a freshwater system and identify their correlation with the physical and chemical environment. The aim of the proposed study was to analyse taxonomic composition of benthic macroinvertebrates of the Tbilisi water reservoir and to identify their relationship with chemical characteristics of water.

Materials and methods

Tbilisi water reservoir is located in the northern part of Tbilisi (N 41.75, E 44.85), between Mt. Makhata and Outer (Gare) Kakheti upland. It belongs to Samgori irrigation system. Length of water reservoir is 11 km; width varies, with a maximum width of 2.5 km. Surface area is 11.6 km², maximum depth – 43 m, average depth – 26.6 m, water volume - 300 million m³. This large basin was filled artificially through 11-km channel from the Iori River in 1951 [19]. Initially the reservoir was supplied only from the Iori River. With time, the water level decreased significantly and its filling became possible only in 80-ies, after launching of Zhinvali Hydropower plant. Currently Tbilisi water reservoir is fed from the Iori River and mostly from the Aragvi River. Bottom of the reservoir is almost ideally flat, sloped southwards, with elevated banks. Before filling, there were three shallow saline lakes: Avchala (Kukia), Ilguniani and Avlabari lakes [19].

The first investigation of living forms of the reservoir date back 1952-1954 and were conducted by the Institute of Zoology; later in 1963-1964 more comprehensive study was conducted [19,20]; the benthic fauna of the point Telianiskhevi was studied separately [21] (Fig.1).

In 2008, 2009 benthos samples, simultaneously with water samples were taken in the littoral zone of the Tbilisi water reservoir at preselected locations: point 1 – Riv. Iori entrance to the reservoir (small lake); point 2 – Telianiskhevi, near to research station of the Institute of Zoology; point 3 – north-west part of the reservoir (Fig.1).




Fig. 1. 1 – Riv. Iori entrance to the reservoir (small lake), 2 – Telianiskhevi, near to research station of the Institute of Zoology, 3 – north-west part of the reservoir.

Benthos samples were taken by kick-net at the border zone of each station. Transect of minimum 10 m long were established at all three locations and samples were collected. Initial cleaning of the samples from the bottom sand and silt took place in situ; then the samples were placed in 4% formalin. Washing in water current and floating methods were used at the laboratory for cleaning the samples. Cleaned samples were sorted by Bogorov chamber under the microscope. Density (absolute number of individuals of each group) was calculated. Spring weight (0.5 mg accuracy) was used for specimen weighting.

Water samples for chemical investigation were taken for each sampling locality. Active hydrogen reaction (pH) and dissolved oxygen (DO) was measured by Extech instruments. Quantities of dissolved carbon dioxide and hydrogen sulphide were measured by titrimetry. Among the indicators of the general level of mineralization the hydrocarbonates, carbonates, sulfates, chlorides and water hardness were measured by titrimetry; potassium and sodium ions were measured by flame photometer; biogenic elements were measured by spectrum photometry method; bichromatic and permanganate oxidation by titrimetry; and biochemical oxygen demand (BOD) by Winkler's method [22, 23].

Results

Macroinvertebrates: following zoo-benthic groups were found in 2008: Oligochaeta, Ostracoda, Amphipoda, Chironimidae (Diptera), Ephemeroptera, Trichoptera. Summer samples were dominated by Trichoptera and Chironomidae – 43.48% and 36.96% respectively, followed by Ephemeroptera (10.87%), Oligochaeta (4.35%), Amphipoda (3.26%) and Ostracoda (1.09%), while benthic fauna of autumn samples was mainly composed by Chironimidae (67.50%) and Trichoptera (24.17%), followed by insignificant amount of Ephemeroptera (4.17%), Amphipoda (3.33%) and Ostracoda (0.83%). Oligochaeta were not detected in the autumn samples.

Only 3 groups of benthic fauna were registered in spring 2009 dominated by Oligochaeta (63.16%), followed by Chironomidae (26.32%) and Amphipoda (10.53%). In summer and autumn 2009 benthic macroinvertebrates had following composition: Oligochaeta, Ostracoda, Amphipoda and Chironomidae. The dominant group for both seasons of the year was Chironomidae 32.55% (in summer) and 76.58% (in autumn) respectively. In summer samples Chironomidae were followed by Ostracoda (25.94%), Oligochaeta and Amphipoda (20.75% each group), while in autumn samples

Chironomidae were followed by Oligochaeta (9.01%), Ostracoda (8.11%) and Amphipoda (6.31%). Trichoptera and Ephemeroptera were not registered in 2009 (Fig. 2).




Fig.2. Quantitative chart of the benthic macroinvertebrates in 2007 and 2009.

Annual biomass of benthos in 2008 equals to 1304 mg/g², while in 2009, equals 513 mg/g².

Oligochaeta was the only group which was identified to the species level: 9 species were identified - *Vejdovskyella intermedia* (Bretscher, 1896); *Nais pardalis* Piguët, 1906; *Nais simplex* Piguët, 1906; *Nais pseudobtusa* Piguët, 1906; *Ophidonais serpentina* (Müller, 1773); *Chaetogaster langi* Bretscher, 1896; *Aulodrilus pigueti* Kowalewski, 1914; *Limnodrilus claparedeanus* Ratzel, 1868 and *Tubifex tubifex* (Müller, 1774). *Vejdovskyella intermedia* (Bretscher, 1896) was first registered in 2001 [21]. 11 species of Oligochaeta were registered in 2001 there. *Amphichaeta leydigi* and *Enchytraeus* sp. were not found in our recent samples. The Enchytraeidae family is common in water with high content of oxygen [24, 25].

Trichoptera and Ephemeroptera were registered only in the samples from the point Telianiskhevi.

According to classification of the natural waters by O.A. Aliokin [22] the analyzed

Water belongs to the hydrocarbonate class, calcium group, type II ($\text{HCO}_3^- < \text{Ca}^{2+} + \text{Mg}^{2+} < \text{HCO}_3^- + \text{SO}_4^{2-}$). In each sample 16 chemical parameters were measured.

Table 1. Water Chemical characteristics of Tbilisi reservoir

Parameters	2008 Spring	2008 Autumn	2009 Summer	2009 Spring	2009 Autumn
pH	8,57	8,3	9	8,6	8,28
HCO_3^- (mg/l)	170,8	146,4	158,6	207,4	146,4
NO_2^- (mg/l)	0,002	0,003	0,002	0,005	0,01
NO_3^- (mg/l)	0,088	0,26	0,08	0,2	0,1
NH_4^+ (mg/l)	<0,04	0,04	0,04	0,15	0,3
SO_4^{2-} (mg/l)	80	54	50	50	10
Cl^- (mg/l)	8,51	2,84	19,87	12,2	9,93

Ca ²⁺ (mg/l)	52,44	34,2	56,8	52,8	38,4
Mg ²⁺ (mg/l)	4,61	14,45	4,37	14,06	12,14
Na ⁺ + K ⁺ (mg/l)	-	20,93	22,54	22,08	3,22
DO (mg/l)	12,2	7,78	8,38	12,48	6,72
BOD(mg O ₂ /l)	3,6	0,81	1,09	3,7	1,15
Permanganate-Ox (mg/l)	9,6	8	17,94	24	9,28
COD(mg O/l)	24	20	45	60	23,2
TOC (mg/l)	9	7,5	16,875	22,5	8,7
TDS (mg/l)	197,36	298,82	357,16	418,54	243,39

Active water reaction (pH) in all cases was alkaline, with range - 8.3-9.0. In spring, pH increased up to 8.57-9.0 due to increase of viability of phytoplankton, together with the intensification of photosynthesis, while in autumn pH decreased to 8.28-8.3. When pH was low the abundance of *Chironomidae* increased, while abundance of Trichoptera, Ephemeroptera and Ostracoda decreased; the Trichoptera case was the most explicit.

During the study period dissolved oxygen varied from 6.72 to 12.48 g/L. Daily and annual dynamics of oxygen is not limited to phytoplankton activity, because its photosynthetic impact is insignificant.

Among biogenic elements, content of N-NH₄⁺ in the water samples varies from 0.04 to 0.3 mg/L; N-NO₂⁻ – from 0.002 mg/L to 0.01 mg/L; N-NO₃⁻ – from 0.088 mg/L to 0.26 mg/L. By season, water hardness (content of Ca²⁺, Mg²⁺ ions) is quite stable. A total suspended solid matter (TDS) varies within 197.36-418.54 mg/L.

Discussion

We compared obtained chemical and hydrobiological data with the previously existing data [19, 20]. The comparison demonstrated that the highest biomass was registered in 1953 – 2309 mg/g², drastic decline of benthos biomass took place in 2009 (Fig.3).




Fig. 3. Zoo benthos annual biomass in 1952, 1953, 1954, 2007, 2009.

Analysis revealed a correlation of certain species oligochaetes with the water pollution by organic matter (table 2). Thus some of the identified species of oligochaetes could be regarded as potential indicators of water pollution.

Table 2. The species of Oligochaetes distributed in the Tbilisi Reservoir and their correlation with the Chemical Oxygen Demand (COD).

№	Species of Oligochaeta	1964		2008		2009		Relation to COD mg O/l
		species in sample	COD mg O/l	species in sample	COD mg O/l	species in sample	COD mg O/l	
1	<i>Ophydonais serpentina</i> (Muller,1773)	⊕	7.6-9	⊕	20-24	⊕	23.2-60	⊗
2	<i>Nais pardalis</i> Piguet,1906	⊕		⊕		⊕		⊗
3	<i>Nais simplex</i> Piguet,1906	⊕		⊕		⊕		⊗
4	<i>Nais pseudobtusa</i> Piguet,1906	∅		⊕		⊕		(+)
5	<i>Uncinais uncinata</i> Oersted,1842	⊕		∅		∅		(-)
6	<i>Vejdovskyella intermedia</i> Bretscher, 1896	∅		⊕		⊕		(+)
7	<i>Dero obtuse</i> Udekem, 1855	⊕		∅		∅		(-)
8	<i>Aulodrilus pigueti</i> Kowalewski,1914	⊕		⊕		⊕		⊗
9	<i>Aulodrilus pluriseta</i> Piguet,1906	⊕		∅		∅		(-)
10	<i>Chaetogaster langi</i> Bretscher, 1896	∅		⊕		⊕		(+)
11	<i>Limnodrilus hoffmeisteri</i> Claparede, 1862	⊕		∅		∅		(-)
12	<i>Limnodrilus claparedeanus</i> Ratzel, 1868	⊕		⊕		⊕		⊗
13	<i>Amphichaeta leydigi</i> Tauber,1879	⊕		∅		∅		(-)
14	<i>Tubifex tubifex</i> (Muller,1774)	⊕		⊕		⊕		⊗

⊕ - Species present in the sample. ∅ - Species absent in the sample. (+) – positive correlation to COD, (-) – Negative correlation to COD, (⊗) No correlation.

COD comprised 7.6-9mg O/L, in the data of 1964, while in 2008-2009 this number increased up to 20.0-60.0 mg O/L. Positive correlation with the organic pollution was detected in 3 cases; *Nais*

psaudoctusa, *Vejdovskyella intermedia* and *Chaetogaster langi*. These 3 species were not recorded in the Tbilisi Water Reservoir in 1964, while in 2008-2009 they were detected. Negative correlation with the organic pollution was identified for five species: *Dero obtusa*, *Uncinaxis uncinata*, *Amphichaeta leydigi*, *Limnodrilushoffmeisteri*, *Aulodrilus plurisetus*; none of them were detected in the samples after increase of permanganate oxidation and COD, although all five were detected in 1964. No such correlation was detected for other species.

Comparison of the results of complex hydrochemical and hydrobiological studies with the results of similar studies 40 years ago allows us to evaluate current condition of the water quality in the Tbilisi Reservoir. Since 60-ies of 20th century content of chemical oxygen demand (COD) increased significantly -more than 3 to 6 times, yet, COD content in the analysed water is not too high. Increase of COD is characteristic for eutrophication process. It is important to continue sampling and sample analysis for further comprehensive study.

References

1. Official Journal of the European Union, L series (OJL), (2000). **32**, pp. 1–73.
2. Common Implementation strategy for the water framework directive (2000 / 60 /EC) Guidance document No 2. (2009). 31 pp.
3. Water Quality Monitoring - A Practical Guide to the Design and Implementation of Freshwater Quality Studies and Monitoring Programmes. Eds: Bartram J, Balance R. CRC Press, 400p.
4. Navarro E., Caputo L, Marc'e R., Carol J., Benejam L., Garc'ia-Berthou E., Armengol J. (2009). Lake and Reservoir Management, **25**: 364–376.
5. Kalinkina N. M., (2012). Printsipi ekologii. **V.1** N.1 41-53. (In Russian).
6. Lessard J.A., Hayes D.B. (2003). River Research and Applications. **Vol.19**, Issue 7, 721–732.
7. Tundisi J. G., Straskraba M. (1999). Theoretical reservoir ecology and its applications. Backhuys Publishers, 592p.
8. McEwen and D.C., Butler M.G. (2010). Freshwater Biology, **55**, 1086-1101.
9. Ward J.V., Stanford J.A. (1987). In Regulated Streams Advances in Ecology, Eds: Craig JF, Kemper JB. Plenum Press, 391–409.
10. Water Quality Assessments - A Guide to Use of Biota, Sediments and Water. (1996). In Environmental Monitoring. Chapman D (Ed). WHO by F & FN Spon, 8 chapter, 651 p.
11. Holden PB. (1979). Ecology of riverine fishes in regulated stream systems with emphasis on the Colorado River. In The Ecology of Regulated Streams, Eds: Ward JV, Stanford JA. Plenum Press; 57–74.
12. Brooker MP. (1981). Advances in Applied Biology **6**: 91–152.
13. Callisto, M; Goulart, M; Barbosa F.A.R, Rocha O. (2005). Braz. J. Biol., **65** (2): 229-240.
14. Harding J. S. (1994). New Zealand Journal of Marine and Freshwater Research. **21**: 417–427.
15. Callisto, M.. In Impacto e recuperaçao de um ecossistema amazônico. (2000). Eds: Bozelli R. L., Esteves F. A. & Roland F. UFRJ, Rio de Janeiro, pp. 141-151.
16. Leal, J. J. F., Esteves, F. A. (1999). Amazoniana, **15** (3/4): 193-209.
17. Sundic D., Radujkovic B. (2012). Natura Montenegrina, Podgorica, **11**(2): 117-383.
18. Freshwater Biomonitoring and Benthic Macroinvertebrates. (1993). Eds: D.M. Rosenberg, V.H. Resh, Chapman and Hall, 488p.
19. Voprosi biologicheskoi produktivnosti vnutrennikh vodoemov gruzii (Tbilisskoe vodokhranilishe), (1969). Ed: Sadovskii A. Tbilisi, Metsniereba. 199 p.
20. A. I. Pataridze. (1963). Trudi instituta zoologii ANGSSR, **XIX**, 163-204. (In Russian).
21. Lebanidze G., Pataridze A. (2004). Proceed. of the inst of Zoology, **XXII**, 385-391. (In Georgian).
22. Aliokin O. A. (1970). Osnovi gidroimii. Leningrad, 441p. (In Russian).

23. Unificirovannii metodi analiza vod. (1973). M., Ximia (In Russian).
24. Alves R; Marchese M. R ; Martins R.T. (2008). Biota Neotropica, **Vol. 8** (number 1), p. 69-72.
25. Lencioni, V., Maiolini, B. (2002). Natura Alpina **54(4)**:1-96.

სანაპირო ზოლის ბენტოსის მაკროუხერხემლოები და მათი კავშირი წყლის ქიმიურ მაჩვენებლებთან, თბილისის წყალსაცავი

ბელა ჯაფოშვილი, ავალო პატარიძე, მარინა ბოჟაძე,
ჟანეტა შუბითიძე, მარინა გიოშვილი

რეზიუმე

ბენტოსური მაკროუხერხემლოები წყლის გარემოში ნებისმიერი ცვლილებების მიმართ მგრძნობიარე ტაქსონომიურ ჯგუფს წარმოადგენს.

ბენტოსური მაკროუხერხემლოების განაწილება, ტაქსონომიური შემადგენლობა და სიმჭიდროვე მკაცრადარის დამოკიდებული საკვები რესურსების ხელმისაწვდომობასა და ხარისხსზე, ფსკერის ტიპზე, სუბსტრატზე და წყლის ხარისხსზე. ამის გამო ბენტოსური მაკროუხერხემლოები ისტორიულად ცნობილია, როგორც კარგი ინდიკატორები წყლის ეკოსისტემაში მიმდინარე ცვლილებების აღმოსაჩენად.

წარმოდგენილი კლევის მიზანი იყო თბილისის წყალსაცავის სანაპირო ზოლის ბენტოსური მაკროუხერხემლოების ტაქსონომიური შემადგენლობის შესწავლა და მისი კავშირი ქიმიურ მაჩვენებლებთან. თბილისის წყალსაცავი თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობს (N 41.75, E 44.85). ზედაპირის ფართობი 11.6 კმ² –ია, მაქსიმალური სიღრმე – 43 მ, საშუალო — 26.6 მ, წყლის მოცულობა - 300 მლნ. მ³. წყალსაცავის შევსება 1951 წელს დაიწყო, 11 კმ-იანი არხით მდ. იორიდან. თავდაპირველად წყალსაცავი მარაგდებოდა მხოლოდ მდინარე იორიდან, დროთა განმავლობაში წყლის დონე მკვეთრად შემცირდა და წყალსაცავის შევსება მხოლოდ ჟინვალის ჰესის (N 42.09, E 44.45) ამუშავების შემდეგ გახდა შესაძლებელი, 80-იან წლებში. ამჟამად თბილისის წყალსაცავი მარაგდება მდინარე იორისგან და მეტწილად მდინარე არაგვისგან. შევსებამდე წყალსაცავის ადგილას იყო მხოლოდ 3 პატარა თხელწყლიანი მლაშე ტბა: ავჭალა (კუკია), ილგუნიანი და ავლაბრის ტბები.

კლევის განმავლობაში (2008, 2009 წწ) სეზონების მიხედვით, განსხვავებული თანაფარდობით 6 მთავარი ბენტოსური ჯგუფი იქნა რეგისტრირებული: Oligochaeta, Ostracoda, Amphipoda, Chironimidae (Diptera), Ephemeroptera, Trichoptera. ბენტოსური ორგანიზმების ბიომასის გამოთვლის შედეგად დადგინდა მისი მკვეთრი შემცირება წარსულის მონაცემებთან შედარებით.

